სსიპ აჭარის მუზეუმი
ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

მეზეიმის მაცნე

XI



ბათუმი 2019

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის

აჭარის მუზეუმი

მუზეუმის მაცნე

XI

ბათუმი 2019

მთავარი რედაქტორი

პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

დოქტორანტი სულხან ოქროპირიძე

პროფესორი ნუგზარ მგელაძე

ისტორიის დოქტორი თემურ ტუნაძე

სამდივნო: რუსუდან კობრავა

ნანა ქორიძე

ნანული სებუა

ზაალ შენგელია

თინათინ ფაღავა

დაიბეჭდა: შპს "პრინტჯეო"-ში

ISSN 1987-6807

ქართული საოჯახო სამართლის ისტორია

ქორწინება

ქორწინება ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველია, თუმცა არა ერთადერთი. დღევანდელისგან განსხვავებით ძველად ქალისა და მამაკაცის ეს კავშირი არ იყო მათი ნებაყოფლობით განპირობებული. ქორწინება, როგორც ყველა სხვა სოციალური ინსტიტუტი, იცვლებოდა ისე, როგორადაც იცვლებოდა ცხოვრების პირობები.

საქართველოში ქორწინების არსი და დანიშნულება ქრისტიანული მოძღვრებით იყო განსაზღვრული. ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ქორწინება იყო ქალისა და მამაკაცის კავშირი შთამომავლობისა და ოჯახის ერთად შექმნის მიზანი.

ქორწინების ინსტიტუტის შესწავლის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ამ საყურადღებო საკითხის შესასწავლად უძველეს ძეგლებში მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება, ნაწყვეტ-ნაწყვეტი და სხვადასხვა წყაროებში გაფანტული დროისაა და ამიტომ ცოლქმრობისა და ქორწინების, განვითარების სხვადასხვა საფეხურებს ეხება. ამის გამო მთლიანი სურათის აღდგენა ამ მასალების მიხედვით შეუძლებელია, ზოგმა მათგანმა თავისი ველურობით შეიძლება სიძველისა და პირველყოფილობის შთაბეჭდილებაც მოახდინოს, მაგრამ ნამდვილად ზოგჯერ პირველყოფილი იქ არაფერია“ (ჯავახიშვილი, 1982:32; 1982:47; 1984:65).

ყველა ცნობები ქორწინების წესების შესახებ ჩვენ მხოლოდ იმ დროიდან მოგვეპოვება, როდესაც საქართველო უკვე გაქრისტიანებული იყო. ქრისტიანობამ კი ბევრი წარმართული წესები აღმოფხვრა და თავისი შემოიღო.

ივ. ჯავახიშვილის მითითებით ქორწინება გარკვეულ საფეხურებს გადის. ქორწინებამდე არსებობდა ნიშნობა, ნიშნობამდე კი ე.წ ნიშნობამდელი მოქმედებები.

ვიდრე, სანამ ნიშნობის საკითხზე გადავიდოდი, ვისაუბრებ ნიშნობისწინა მოქმედებებზე, როგორიცაა საცოლის შერჩევა ანუ „გაჩხრეკვა“ და მაჭანკლობა.

ნიშნობამდელი მოქმედებები ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში არ არის დაფიქსირებული, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნიშნობის წინარე სხვადასხვა წესები და რიტუალები არსებობდა. ქორწინების წინაპირობად უნდა დავასახელოთ ნიშნობა.

შერჩევა

სარძლოს არჩევანში პირველ საფეხურს „შეზვერვა“ წარმოადგენდა, რისთვისაც სათანადო გარემოს „ჯარონობა“ – ხატობა, დღეობა და ჭირ-ლხინით გამოწვეული წვეულება ქმნიდა. შეზვერვით მოწონებული ქალის სავარაუდო არჩევანს „შეგულება“ ეწოდებოდა. სახელდობრ, შეგულებული საპატარძლოს საბოლოო არჩევანისათვის „გაჩხრეკა“ იწყებოდა. „გაჩხრეკა“ შეგულებული ქალის ვინაობის ყოველმხრივსა და დაწვრილებით გამოკვლევას გულისხმობდა. ამგვარადვე აქვს ს.ს. ორბელიანს „გაჩხრეკა“ განმარტებული: გაჩხრეკა – გამოწულილვით განხილვაო.

დასანიშნი ვაჟის მშობლები ქალის გაჩხრეკის ამბავს ვერ გაახმაურებდა, რადგან ასეთ მოქმედებას შეიძლებოდა ქალის მშობლების გულისწყრომა გამოეწვია, შესაძლოა გაჩხრეკის შედეგად პირველი უკანასკნელს დაეწუნა, ხოლო დაწუნება თავის მხრივ გასათხოვარი ქალის სახელის გატეხას იწვევდა, რაც შემდეგ ხელს შეუშლიდა გათხოვებაში.

გურიაში ქალს არიდებდნენ უცხო ყმაწვილ კაცს: „სტუმარი რუმ დეიძახებდა, გასათხუარ ქალს ჯერ კარებში უნდა გეეხედა, თუ შინაური ანდა ხნიერი კაცი არ იყო, ისე არ შეეყრებოდა.“ გურულთა რწმენით „გასათხუარი ქალი ყმაწვილ კაცს უნდა „ეფარიზებოდეს“ ანუ შეხვედრას ერიდებოდეს (ჭყონია, 1939:29).

საცოლის შერჩევა ხდებოდა მშობლებისა და ახლობლების გაკითხვით, ან სახალხო და რელიგიურ დღესასწაულებზე ქალის დათვალიერებით. ამ ეტაპზე ყურადღება ექცეოდა საცოლის ვინაობას, მის გარეგნობას, მშობლებს, ოჯახის საქმიან მხარეს, ჯანმრთელობას, გენეალოგიას და სხვა (მაკალათია, 1930:38).

საცოლის დათვალიერების შემდეგ ვაჟის მშობლები ქალის ოჯახში აგზავნიდნენ შუაკაცს, იგივე მედიატორს, რომელიც ნაცნობი იყო ქალის მშობლებისათვის. იგი ატყობინებდა საცოლის ოჯახს საქმროს ოჯახის სურვილს. საცოლის ოჯახი იწყებდა ცნობების შეგროვებას ვაჟის ოჯახისა და სასიძოს შესახებ.

სამეგრელოში შუამავალს „მარებელს“ უწოდებენ, რომლის შესახებ ეთნოგრაფი თ. სახოკია შემდეგს გვაუწყებს: „სანამ სასიძოს მშობლები პატარძლის მოსაყვანად ნაბიჯს გადასდგამდნენ, სცენაზე გამოდის მესამე პირი – „მარებელი“, ანუ შუამავალი, რომელსაც აზრად აქვს დააინტერესოს სიძე-პატარძალი ერთმანეთით და ერთმანეთს შეახვედროს. ეს პროფესია იმ პირისაგან, ვინც მას მისდევს, მოითხოვს დიდ ტაქტს, უნდა ემარჯვებოდეს პირფერობა, სულის გადადგომა, შეეძლოს მყიდველს საქონელი მიაწოდოს და ეს მაშინაც კი, როცა საქონელი მდარე ღირსებისაა. ერთის სიტყვით, შუამავლობა, როგორც ამ შემთხვევაში მეგრელები ამბობენ, „ტყურა სქვამას თქუას“ – ტყუილი ლამაზათა თქვას“ (ნადარეიშვილი, 1965:26).

მთიულეთში, როგორც ადრე იყო შენიშნული, შუაკაცობა „ხელობამდე“ არაა მისული. საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგებაში, ძირითადად მაინც, ნათესავები უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ.

საცოლის შერჩევის, სხვანაირად „დაკვლევის“, პარალელურად არსებობდა გარიგება, როცა წინამძღვარი ანუ მაჭანკალი აქორწინებდა ზოგჯერ სრულიად უცნობ და ერთმანეთის უნახავ ახალგაზრდებს. საინტერესოა, რომ ქალის „გასინჯვის“ საქმეში მაჭანკალი თუ შუაკაცი უსასყიდლოდ მონაწილეობდა.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მეცნირებათა დოქტორი - ბიძინა ნანობაშვილი აღნიშნავს რომ: „მანამდე, სანამ მაჭანკლობა, როგორც ხელობა, გაირყვნებოდა, მაჭანკალი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალ-ვაჟის დაქორწინებაში. XIX ს-ში როცა ფული შემოვიდა მიმოქცევაში, მაჭანკლებმა დაკარგეს ავტორიტეტი და სპეკულანტები გახდნენ. მათ უკვე აღარ ენდობოდნენ არც ქალის და არც ვაჟის მშობლები. მაჭანკალს ოჯახში პირველ მისვლაზე პასუხს არ აძლევდნენ, რადგან საჭირო იყო „გამოეწვლილათ” მოპირდაპირე მხარის ღირსება-ნაკლოვანებები” (ჯავახიშვილი, 1982:77; 1982:92; 1984:92).

მოგვიანებით მაჭანკლობა სასყიდლიანი, მაგრამ საძრახისი საქმე გახდა, რასაც კანონმდებლობაც ებრძვის. ეს ჩანს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 69-ე მუხლიდან: „თუ დედაკაცმან მეზობელს თუ მოყვასსა, თუ თავის სახლში უმაჭანკლოს და გამოჩნდეს, რისაც გვარისა იყოს ის მაჭანკალი, თავის სისხლის ნახევარი იმ ქალის პატრონს მისცეს“. თუ მაჭანკალი ამ თანხას არ გადაიხდიდა, მაშინ მას ყელზე საბელს მოაბამდნენ და ტიტველს სოფელს შემოატარებდნენ. აქედან ჩანს, რომ კანონმდებლობა ებრძოდა მაჭანკლის სასყიდლიანობასა და მომხვეჭველობას.

აჭარულ ტრადიციებში გვხვდება მაჭანკლის ინსტიტუტი, რომელიც საკმაოდ

პოპულარული იყო. გარიგების და მოტაცების გარდა, იშვიათად, მაგრამ მაინც იქმნებოდა ოჯახები ე.წ. „დაჯდომით“, თუ ქალს ბიჭი მოეწონებოდა, სახლიდან გაიპარებოდა და თავისი ფეხით მივიდოდა ბიჭის ოჯახში. ბიჭს უფლება ჰქონდა უკან გამოებრუნებინა, თუმცა ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ადრე გასათხოვი თუ იყო გოგო, ბიჭი ელჩს (მაჭანკალს) უგზავნიდა. ელჩი გადაწყვეტდა ყველაფერს, უფროსებ, რასაც ეტყოდნენ შვილს, ისე ხდებოდა ყველაფერი – გოგო და ბიჭი ქორწილის დღეს ხვდებოდა ერთმანეთს მისაღებ ოთახში, რომელსაც მაშინ „მუთვალს“ ეძახდნენ. გოგოს რამდენიმე ქალი ედგა უკან, ერთი კი გამორჩეული იყო „ბაშ მდადე“ – ხელისმომკიდე. მდადეს ეჭირა პატარძლის მიერ მოქარგული „მუჯდე“ (პირბალიში) ეს აუცილებელი იყო ყოველ პატარძალს ჰქონოდა. მდადე ესროდა ბიჭს ამ ბალიშს და თუ ვერ დაიჭერდა უნიათო სიძედ ითვლებოდა. პატარძალს შეეძლო უარი ეთქვა და ჩაეშალა ქორწილი, მაგრამ მსგავსი შემთხვევები არ ყოფილა.

ნიშნობა

საცოლის შერჩევისა და მხარეთა თანხმობის მიღწევის შემდეგი ეტაპი იყო - ნიშნობა. რომელსაც ჰქონდა სამართლებრივი მნიშვნელობა. ტერმინი „ნიშანი“ სპარსული წარმოშობისაა. ქართულში „ნიშნობის“ აღსანიშნავად, ნიშნად გამოიყენებოდა „ბელგა“ (გერმანული სიტყვა) ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ქართულში ქალ-ვაჟის დანიშვნას „დაწინდვა“ ეწოდებოდა, ის ცნებებს „დაწინდვასა“ და „დანიშვნას“ ერთმანეთისაგან არ ასხვავებს და მათ სინონიმებად იყენებს.

წინდი ს.ს. ორბელიანს ასე აქვს განმარტებული: „ვალისათვის მძევალი“. ორ ოჯახს შორის საქორწინო ურთიერთობის დამყარების დროს წინდის მიცემას ასეთი ვალდებულებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ამ პროცესს - წინდის მიცემას „დაწინდვის წესი“ ერქვა. იგი ქორწინების წინასწარ საფეხურს წარმოადენდა.

ქალის დანიშვნის (დაწინდვის) სხვადასხვა სახე არსებობდა. ივ. ჯავახიშვილის მითითებით არსებობდა აკვანში დანიშვნის წესი და მას მეცნიერი მშვიდობიანი მოლაპარაკების ფორმად მიიჩნევდა, მაგრამ ეს ყოველთვის როდი იყო, სწორედ ეს ტრადიცია, რომელიც მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, ხდებოდა სისხლისღვრისა და პიროვნული ტრადიციების საბაბი.

აკვანში დანიშვნის წესის შემთხვევაში, აკვანში მწოლიარე დანიშნულ გოგოს მიუტანდნენ ხოლმე საჩუქარს: თავშალს ან ბეჭედს, ხოლო მის ოჯახს ძღვენს: პურის, საკლავის, სასმელის და სხვათა სახით. სამკაულს აკვანზე ჰკიდებდნენ, რომელიც იყო ქალიშვილის დანიშვნის ნიშანი. ვაჟის მშობლები მოვალენი იყვნენ ქორწინების ასაკის დადგომამდე გარკვეული პერიოდულობით ქალიშვილის ოჯახში საჩუქრები მიეტანათ. შესაძლებელი იყო ზრდასრულობისას ქალიშვილს უარი ეთქვა ქორწინებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მის ოჯახს ე.წ. „დანახარჯი“ უნდა აენაზღაურებინა ვაჟიშვილის ოჯახისათვის. ამგვარად, დანიშვნის ეს წესები, თვალნათლივ გვიჩვენებენ ქალის უუფლებობას ფეოდალურ საქართველოში.

ნიშნობის კიდევ ერთი სახე იყო „ხელის დაკვრით“ დანიშვნა, რომელიც ძირითადად ხევსურეთში და აფხაზეთში გვხვდება. ასეთი წესით დანიშვნა შეიძლებოდა მომხდარიყო თავშეყრის ადგილებში. ქალს ვაჟის მამა, ბიძა ან სხვა მამრობითი სქესის ახლო ნათესავი მხარზე ხელს დაკრავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქალი „ხელდაკრულია“, „ხელმოკიდებულია“ და მას სხვაგან გათხოვების უფლება აღარ ჰქონდა.

დანიშვნის თავისებური სახე არსებობდა სამეგრელოში, რომელიც დამოწმებული აქვს ეთნოგრაფს თ. სახოკიას. ის თავის შრომაში – „ქორწინება სამეგრელოში“ წერს: „დანიშნულ დღეს მამრობითი სქესის ბავშვი აკვნით მიჰყავთ თავის მომავალ საცოლესთან,

რომელიც აგრეთვე აკვანშია. ორთავე აკვანს ერთმანეთს ამოუდგამენ გვერდით და ვაჟის დედა მიუბრუნდება შვილს, უჩვენებს ხელით გვერდით მდგარ აკვანს და ეუბნება: „აი, შენი ცოლი“. ქალის დედა კი თავისს ასულს ვაჟზე მიუთითებს და ეტყვის: „აი, შენი ქმარი. ღმერთმა გაგზარდოთ, დაგაქორწილონ და ბედნიერი ურთიერთი ცხოვრება მოგანიჭოთ“ (სახოკია, 1982:108).

ქალის ნივთებით დანიშვნის წესით, ოჯახში მოსული სტუმარი მამაკაცი ოჯახში ტოვებდა რაიმე ნივთს: სათუთუნეს, მათრახს, ფულს და ა.შ. რაც იმის ნიშანი იყო, რომ სტუმარს ამ ოჯახში ქალიშვილი მოეწონა საცოლედ ან სარძლოდ. ამ დროს მასპინძელი არავითარ შემთხვევაში არ იფიქრებდა, რომ ეს შემთხვევით მოხდა. ორი დღის შემდეგ, ქალიშვილის ოჯახს უგზავნიდნენ შუამავლებს. ასეთი წესით ქალის დანიშვნის შემდეგ ქორწილზე უარის თქმა დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა.

მცირეწლოვანთა დანიშვნის წესი სცნო 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ, მაგრამ ამავე კრებამ მანამდე მოქმედი მცირეწლოვანთა ქორწინება უკანონოდ მიიჩნია, იგი აკრძალა და ქალისათვის ქორწინების შესაძლებელ ასაკად 12 წელი განსაზღვრა: „რათა ამიერითგან არღარა და ეკურთხევოდნენ გვირგვინი ჩვილთა ქალ-ყრმათა, არამედ უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს მშობელთა მათ დიად დაუწინდენ იგი ურთიერთას. და რა ჟამს ასაკად მოვიდნენ ორნივე მაშინ იქორწინონ. და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროისი ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა (ძეგლის წერა)“ ივ. ჯავახიშვილი საქართველოში ვაჟის ქორწინებისათვის მიღებულ ასაკად 15-16 წელს მიიჩნევდა, თუმცა „ძეგლის წერა“- ში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. მთიულეთში საქორწინო ქალ-ვაჟად ჩვეულებრივ, 17-18 წლისანი ითვლებოდნენ. მიუხედავად ამისა, მეტწილად I9 წლიდან 25 წლამდე ქორწილდებოდნენ.

საქართველოში ნიშნობის საკითხი რეგულირდებოდა როგორც საკანონმდებლო ძეგლებით, ისე რელიგიური და ადათობრივი სამართლის ნორმებით.

ნიშნობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებიდან ძველ ქართულ სამართალში აღსანიშნავია:

1. ვახტანგ VI-ის სამართლის 77-ე მუხლი;

2. ვახტანგ VI-ის სამართლის 223-ე მუხლი;

3. დ. ბატონიშვილის სამართლის 119-ე მუხლი;

4. დ. ბატონიშვილის სამართლის 120-ე და 122-ე მუხლები;

5. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 390-ე და 397-ე მუხლები;

6. ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულის „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი“, მე-15 და 52-ე მუხლები;

7. სომხური სამართლის ქართული ვერსიის 57-ე და 58-ე მუხლები.

საქართველოში ნიშნობა გარიგების - ხელშეკრულების სახეს ატარებდა, რომლის მოშლა გარკვეულ პასუხისმგებლობას იწვევდა. ამის დასადასტურებლად დავით ბატონიშვილის სამართლის 120-ე მუხლიც ლაპარაკობს: „უკეთუ კაცმან გაუთხოვოს სასიძოსა ქალი ნათხოვნი (დანიშნული) მაშინ მისცეს სისხლის მეოთხედი აბიდისთვის“.

ქალის დანიშვნისათვის გამოიყენებოდა ტყვია, ჯოხი, ისარი, დამბაჩა, ხანჯალი, ყვავილი, ვაშლი, ქუდი და სხვ. ამასთან, რადგან პატრიარქალური ყოფა ქალისგან დიდ შრომას და შესაბამისად, ენერგიას მოითხოვდა, საპატარძლოს ჯან-ღონით სავსეს და საქმიანს არჩევდნენ (გოგოლიშვილი, 2010:75).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნიშნობა წარმოადგენდა მშვიდობიანი მოლაპარაკების ფორმას, მაგრამ არსებობდა ქორწინების შედარებით არაცივილური, უძველესი წესიც -

მოტაცებაც, რომელიც დღემდე შემორჩა და შემოინახა თავი. ივ. ჯავახიშვილი საისტორიო წყაროთა ანალიზით ასკვნის, რომ ცოლის მოტაცებით შერთვა ანუ „წაგვრის წესი ოდესღაც ქართველ ერსაც უნდა სცოდნოდა, როგორც სრულებით ბუნებრივი ჩვეულება“, მაგრამ „ისტორიულად ცნობილ ხანაში ქალის წაგვრით, ანუ მოტაცებით ცოლად შერთვა უწესოებად და უკანონობად ითვლებოდა და ქართული სამართალი ასეთ მოვლენას ებრძოდა ხოლმე“ (ჯავახიშვილი, 1982:89; 1982:91; 1984:114).

ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ცნობა სარგის სამთავნელის წიგნიდან, სადაც ნათქვამია: „შევიყარენით ჩუენ ცხრაზმის ხევისა სამისავე ხევის კრებულნი და მამასახლისნი და ესე პირი მოვახსენეთ სამთავნელსა და ჯაომფორსა: დღეს ამას უკანით რამანცა ხუცესმან ანუ სვინდიკინოზმანთა ანუ მეყვისთა ანუ უწესოდ მიტაცებულთა ანუ გვირგვინნი აკურთხნეს, ანუ ჯუარი დასწერნეს, ანუ სარჯულო დაუმალოს, რაც ეპრიანებოდეს დააურვებინოს, და შუა ვერცა პატრონი შემოუვიდეს, ვერცა ქვეყანა“-ო. ამავე ძეგლში ამ საგანზე ქვევითაც არის ორჯერ საუბარი და იქ ასე სწერია: „უკეთუ უქრმო დედაკაცი მოიტაცოს ცოლად, ძროხა მიართოს“ სამთავნელს დანაშაულობის საზღაურადო, ხოლო „უკეთუ მღდელმან ამგვარად მოქმედს კაცთა ჯუარი დასწეროს, განიკუეთოს“-ო. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ წაგვრის წესი ოდესღაც ქართველ ერსაც უნდა სცოდნოდა, როგორც სრულებით ბუნებრივი მოვლენა.

მთიულეთში ქალის მოტაცებას წინ თხოვა უძღოდა, ყოველ შემთხვევაში „ქალის თხოულობაზე“ უარის შემდეგ მოტაცებას ამბობენ მთიულები. აღნიშნული ორი შემთხვევის შესახებაც, მთიულთა რწმენებით, მომტაცებელი „უარ თქმულია“, ან მომტაცებელმა იცოდა, რომ ქალისგან უარს მიიღებდა. მომტაცებლის მახლობელი ნათესავები ქალის სამშობლო სოფელში საკლავით მიდიოდნენ და მამის სახლს შუაკაცებს მიუგზავნიდნენ. ამის შემდეგ თავიდან იწყებოდა საქმის გარიგება (ბალიაური, 1976).

ქალის მოტაცებას მთიულები წესის დარღვევად, ქალის მამისახლის შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ და მის აღსაკვეთად ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ, მთიულეთში მოტაცების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება იყო მოძალადის (მომტაცებლის) მოკვლა. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ მომტაცებელი ქალს მამისახლს აღარ დაუბრუნებდა. სხვაგან კი შერიგების შესაძლებლობა ყოფილა და იგი წესადაც დამკვიდრებულა.

ერთი სიტყვით, მოტაცება გამორიცხავდა ქალის გარიგების სავალდებულო ყველა წესს. მაგრამ მოტაცებით ქორწინება სირცხვილად მაინც არ ითვლებოდა. ხევსურეთში „ქმარ-ნაკვეთ“ ქალის აღკვეთილი პირისაგან წაყვანა წესით აკრ- ძალული იყო, მაგრამ აღკვეთის გადალახვა ვაჟკაცობად მიიჩნეოდა: „ღმერთმანივ, ის ქალი რო უკვეთესავ იმასაც წაუყვანავავ „და ამის გამო“ ზოგ-ზოგ ვაჟა დაიწყებს ძახილს – დედა ვაცხონე ვაჟი- საივ“ (ქართული სამართლის საფუძვლები, 2000: 41).

ზემოთ აღნიშნული ნიშნობამდელი და ნიშნობის წესების შემდეგ, ვისაუბრებ ქორწილის რიტუალზე. ქორწილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი იყო ჯვრისწერა, რომელიც, ჩვეულებრივ, საპატარძლოს სოფელში არსებულ ეკლესიაში მიმდინარეობდა. ქორწინების ქართული წესის თანახმად, მეფე-დედოფალს ეკლესიაში ჯვრის წერის დროს დადგმული გვირგვინი სამი დღე-ღამის განმავლობაში უნდა ჰქონოდა.

ჯვრისწერასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ბევრი წარმართობის დროინდელი წესები აღმოიფხვრა და ახალი დაწესდა. „სხვათა შორის ცოლ-ქმრობისათვის ქრისტიანობამ საეკლესიო ლოცვა-კურთხევა, გვირგვინთა კურთხევაც აუცილებელ პირობად გაჰხადა. ამ გარემოებამ ქორწინების ზოგი ძველი წესი შესცვალა და ამით მათ პირვანდელი თვისებები დაუკარგა. მაგრამ ხალხი დიდ ხანს საეკლესიო გვირგვინთა კურთხევას ცოლ-ქმრობისათვის თავისთვის სავალდებულოდ არ

სთვლიდა“ (ჯავახიშვილი, ტ. II, 1982; ტ. VI, 1982; ტ. VII, 1984). სწორედ ამის გამო სასჯელის ნორმაც კი ყოფილა დაწესებული როგორც ჯვარდაუწერელი ქორწინებისათვის, ისე ორსული ქალისთვის ჯვარდაწერის შემთხვევისათვის, მას მოჰყავს ნაწყვეტი „სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნიდან“, სადაც ნათქვამია: „უკეთუ ჯვარ დაუწერელად კაცმა ცოლი დააორსულოს, ძროხა მიართვას“ სამთავნელს ამ დანაშაულობის საზღაურადო, ხოლო „უკეთუ მღდელმან ორსულს ჯვარი დასწეროს, ძროხა მიართვას, თუ იცოდეს, - თუ არ იცოდეს მექორწინებმა ძროხა მიართვას“-ო.

წარმართულ პერიოდში, ეთნოგრაფიული ლიტერატურის თანახმად, გვარის, ოჯახის გამაერთიანებლად ითვლებოდა კერის კულტი, კერა იყო მარადიული ცეცხლის სიმბოლო. ნეფე-დედოფალს კერის გარშემო შემოატარებდნენ და გვირგვინს უკურთხებდნენ ვაჟის სახლშიც და ქალთანაც. ქართული საქორწილო რიტუალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენდა მექორწინეებისათვის თავზე ხორბლის მარცვლების გადაყრა და პატარძლისათვის კალთაში პატარა ბიჭის ჩასმა. ასევე მშობლიურ კერასთან პატარძლის გამოსამშვიდობებელი რიტუალური - ტირილი. ქორწილის ერთი თვის შემდეგ პატარძალი წყალზე გაჰყავდათ, რითაც იწყებოდა მისი გარე სამუშაოებზე დასაქმება. ქალი ამით პატარძლობას ასრულებდა და ოჯახის დიასახლისობას იწყებდა.

საქართველოში ძველად არსებობდა წესი, როდესაც ქალი ქორწინების შემდეგაც სახლში რჩებოდა. მას „საძეოს“ ეძახდნენ, როცა იგი ერთადერთი მემკვიდრე იყო ოჯახისა. მშობლები თავიანთი ერთადერთი შვილის ქმარს ოჯახში ზედსიძედ შემოიყვანდნენ. თუ რა უფლებრივი დამოკიდებულება სუფევდა სიძე-სიმამრს შორის, წყაროებიდან არ ჩანს (ჭყონია, 1939:86).

ქართული სამართალი არეგულირებდა ე.წ. „კიდით-კიდე“ ქორწინებას ანუ ისეთ ქორწინებას, როდესაც საქორწინო რიტუალს არ ესწრებოდა მექორწინე ან მექორწინეები. მაგრამ ქორწინების ეს წესი 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით აიკრძალა და ასეთი ქორწინება უკანონო ქორწინებად გამოცხადდა: „იგინი სჯულიერად ცოლ-ქმრად ნუმცა შერაცხულ არიან“ (მეტრეველი, 2003:55).

მთიულეთში ქორწილისათვის განსაკუთრებული მზადება მექორწინე ვაჟს მართებდა. ვაჟის ქორწილისათვის უნდა მოემზადებინათ: 15 ქვაბი არაყი, 5 ქვაბი ლუდი, 7 კოდი პური, 1 ხარი, 3 ცხვარი და სხვა (მაკალათია, 1930:48).

აჭარლების რწმენით, დედოფლის სახლში პირველი შესვლის დროს, შეითან (ეშმაკს) არ ეძინა. შეიძლება დედოფალი „დაეკოჭა“, ამიტომაც წესად იყო, რომ ქალის სახლში შესვლის წინ ხალხი ერთ მხარეს დგებოდა, რომ დედოფალს შუაში არ გაევლო. პატარძალს ეზოში დედამთილი ხვდებოდა, რძალს გადაკოცნიდა, საჩუქარს აძლევდა (ოქროს ბეჭედს) შემდეგ ტკბილს მიაწოდებდა და ხურდა ფულს აყრიდა თავზე. დედოფალს კიბეზე მარჯვენა ფეხი უნდა შეედგა, ჯერ სამზარეულოში - „მუთვაღში“ შეიყვანდნენ, მერე კერასთან მიიყვანდნენ და ხელს სამჯერ ჩამოასმევინებდნენ ბუხარზე. იქვე კეცზე გამომცხვარ მჭადს ააღებინებდნენ, ბრინჯის და პურის მარცვალს ერთმანეთში შეურევდნენ და გადაარჩევინებდნენ, რომ საქმის დროს გზას ადვილად გაიკვლევსო. სამზარეულოდან სასტუმრო ოთახში გადაჰყავთ, სკივრზე დასვამდნენ და კალთაში ვაჟს ჩაუსვამდნენ, რათა წლისთავზე ვაჟი შეძენოდათ. დედოფალს ბავშვი ფულით ან წინდებით უნდა დაესაჩუქრებინა. დაახლოებით შუაღამისას დედოფალს ძმა ხანჯლით „დვაღს“ მოხდიდა. „დვაღს“ დედამთილს აძლევდნენ და მიუმღეროდნენ „დაიჭირე და მოსრისე კარგადო, რომ არ აგიგდოს მასხრათო“. ამის შემდეგ ვაჟის მხარეს შეეძლო დედოფალს გაცნობოდა, ოღონდ ყველა შემსვლელს დედოფლისათვის „პირსანახავი“ (საჩუქარი) უნდა მიერთმია. დედოფლის ნახვის პარალელურად ვაჟის ნახვის მოთხოვნის უფლება ქალის მაყრებსაც ჰქონდათ. გათენებისას მექორწილენი იშლებიან და ქალის ნათესა-ვები ემშვიდობებიან პატარძალს და თან არიგებენ, რომ ოჯახში კარგად მოიქცეს. ქორწილის

შემდეგ ნეფე და დედოფალი ოთახში შეჰყავდათ. ოთახში ვაჟს ქალისათვის პირსანახავი უნდა ეჩუქებინა, რომ დედოფალს ხმა ამოეღო და სიახლოვის უფლება მიეცა. დედოფალი მისთვის განკუთვნილ ოთახში თითქმის სამი დღე რჩებოდა. მესამე დღეს გამოიყვანდნენ და ხაჭაპურს დააცხობინებდნენ, 22 დღის შემდეგ პატარძალს ტკბილეული მოსდის, რასაც ადგილობრივები „სადილს“ ეძახიან (ბაქლავა, შაქარლამა) იგი მოაქვს უმცროს ძმას ან ბიძაშვილს. მომტანს ფულით ასაჩუქრებენ. აღნიშნული ტრადიცია დღესაც გრძელდება.

ივანე ჯავახიშვილს თავის „ქართული სამართლის ისტორიაში“ მოჰყავს XV ს. დამდეგს საქართველოში ნამყოფი გერმანელი მეომრისა და მოგზაურის ჰანს შიტლბერგერის ცნობები საქართველოში არსებული ქორწინების წესების შესახებ. ამ ავტორის მიხედვით ქართველებს ისე როგორც ოსებსა და სომხებს ჩვეულებად ჰქონდათ ცოლად მხოლოდ ქალწულის მოყვანა. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ცნობას ივ.ჯავახიშვილი „როდესაც მშობლებს თავის შვილისთვის საცოლედ ქალწულის მოყვანა სურდათ, მაშინ საცოლოს დედას პირობას ადებინებდნენ, რომ მისი ასული მართლაც ქალწული იყო. ქორწილის დროს ქალიშვილებს საცოლო საქორწინო ოთახში მიჰყავთ. ამის შემდეგ საქმრო ყმაწვილი კაცებითურთ მიდის ამოწვდილი ხმლით, იქვე მაყრიონითურთ ჯდება და დიდი ლხინით, ცეკვითა და სიმღერით ჭამა-სმას შეექცევიან. ასე რომ დროს გაატარებენ, მერმე საქმრო საცოლესთან შეჰყავთ და ყველანი დანარჩენი გადიან. შემდეგ მისი ძმა ან ერთი მხლებელ მეგობართაგანი ოთახის კარებს ხმალამოწვდილი დრაჯობს, სანამ საქმრო ადგება. თუ საცოლო ქალწული არ გამოდგება, მაშინ დედას აცნობებს. საქმროს დედა რომ თავის მეგობრებითურთ სარეცელთან მივა, ზეწარს გასინჯავენ. თუ იქ არავითარ ისეთ ნიშანს არ შეამჩნევენ, რომელიც ქალწულს უნდა ჰქონდეს, მაშინ ყველანი დაღონდებიან. მეორე დღეს რომ საცოლოს დედმამა ქორწილში მოვლენ, საქმროს დედა ერთ ძირგახვრეტილ სასმისს დაამზადებს და როცა ღვინის დალევის ჯერი დადგება, ამ სასმისში ღვინოს ჩაასხამს ისე კი, რომ ნახვრეტი ქვეითგან თითით აქვს დაცობილი, და საცოლოს დედას გამოსცლელად მიაწვდის. ამ დროს, რაკი სასმისის გახვრეტილ ძირს თითი მოშორდება და ღვინო დაიღვრება, საქმროს დედა საცოლოს დედას მიაძახებს: შენი ასულიც ასეთი მთელი აღმოჩნდაო. ეს რასაკვირველია საცოლოს ყველა მახლობლისათვის მეტად სასირცხვილო იყო და საცოლეც ასეთ შემთხვევაში თავის მშობლებს უბრუნდებოდა ხოლმე“. ივ.ჯავახიშვილის შეფასებით „მთელი ამ ჩვეულების ველურობისდა მიუხედავად რასაკვირველია იგი ძველი არ უნდა იყოს. პირველყოფილ მდგომარეობაში ქალწულობის ასეთი შემოწმება წამოუდგენელი რამეა“ (ჯავახიშვილი, 1982:66; 1982:79; 1984:102).

მართლაც, პირველყოფილი ადამიანის ცნობიერებისათვის ძნელი წარმოსადგენია რომ უბიწოება რაიმე ღირებულებას წარმოადგენს.

ძველი ქართული სამართლის მიხედვით ქორწინების დამაბრკოლებელი მიზეზები ანუ ფაქტორები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: 1. ქორწინების აბსოლუტური ანუ გამომრიცხავი გარემოებები, ესენია: სქესობრივი მოუმწიფებლობა ანუ უასაკობა, მექორწინე მხარეთა შორის თანხმობის არარსებობა, სისხლით ნათესაობა, ქორწინებაში ყოფნა, სულით ავადმყოფობა; 2. ქორწინების შეფარდებითი ანუ ხელისშემშლელი გარემოებები, ესენია: ნათესაობა, რელიგიისადმი დამოკიდებულება, წოდებრიობა, ტერიტორიული პრინციპი და სხვა გარემოებები, რომლებიც არ თვლიან ქორწინებას მიზანშეწონილად მორალის თვალსაზრისით.

განქორწინება

ქორწინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების აღწარმოებისათვის. ამიტომაც სახელმწიფო და საზოგადოება მუდმივად ზრუნავდა და ზრუნავს ქორწინებისა და ოჯახის სიმტკიცისათვის. ამავე საქმეს ემსახურებოდა ქრისტიანული სარწმუნოება და ეკლესია.

ქრისტიანული ეკლესია განქორწინებას ერთგვარ ანომალიად თვლიდა და ყოველგვარ ზომებს ატარებდა მის წინააღმდეგ. ქრისტიანული მოძღვრება ქადაგებდა, რომ ქორწინება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მეუღლის სიკვდილის შემდეგ.

განქორწინების შესახებ ცნობები ქართული წყაროების მიხედვით მხოლოდ ქრისტიანობის მიღების პერიოდიდან შეიძლება მოვიპოვოთ. ამ მხრივ, აღსანიშნავია ი. ცურტაველის „შუშანიკის წამება“. ამ ნაწარმოების მიხედვით განქორწინების მიზეზია ქმრის - ვარსქენის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფა და მაზდეანობის მიღება, რაც მიუღებელი აღმოჩნდა შუშანიკისათვის და მან დასტოვა ოჯახი, ე.ი. ქორწინება შეწყვიტა. მეორე მხრივ განქორწინების მიზეზად ჩანს ცოლის დაუმორჩილებლობა ქმრისადმი.

ქართული სამართლის მიხედვით განქორწინების ერთ-ერთ საფუძველი იყო. ცოლის მრუშობისათვის მამაკაცს შეეძლო ქორწინების შეწყვეტა - განქორწინება. რაც შეეხება მამაკაცის მრუშობას, იგი განქორწინების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმარი კავშირს დაიჭერდა გათხოვილ მეოჯახე ქალთან, მისი კავშირი უქმრო ქალთან არ ითვლებოდა მრუშობად და ცოლს არ ჰქონდა საფუძველი მასთან განქორწინებისა. ქართული სამართალი ნებას აძლევდა ქმარს მოღალატე ცოლი ადგილზე მოეკლა თუ იგი წაასწრებდა სხვასთან და ამისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი იყო (მეტრეველი, 2003:87).

ქართული ადათობრივი სამართლის მიხედვით ქმარს უფლება ჰქონდა მრუშობაში მხილებული ცოლი ვირზე შეესვა და ისე გაეგზავნა თავის მშობლებთან. პიროვნების ვირზე შესმა უმკაცრეს გამაწბილებელ სასჯელად ითვლებოდა.

ქართული სამართლის მიხედვით განქორწინების საფუძვლად ითვლებოდა ასევე ცოლის ავადმყოფობა ანუ დასნეულება. ამის შესახებ საუბარია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 140-ე მუხლში: „თუ ცოლი დასნეულდეს, ქმარი ცოლისა გუარისა არას ემართლების, მისთვის, რომე მისსა ხელსა შიგან დამართებია... თუ გაეყაროს შეფიცოს ნაბნითა, რომე სიძულვილთა არა გაყროდეს და ნახევარი სისხლის დაუურვოს“. აქედან, ჩანს, რომ ქალის დასნეულება კანონიერი საფუძველია განქორწინებისათვის (ჩიკაშვილი, 1908:70).

ქართულ სამართალში განქორწინების საფუძვლად გ. ნადარეიშვილი ასახელებს ქორწინებამდე ორსულობასაც. ამასთან, მიუთითებს, რომ ქორწინებამდელი ორსულობა განქორწინების მიზეზი არ შეიძლება ყოფილიყო, თუ ქალი ქვრივი ან ნაქმარევი იყო და ერთ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში ხელახლა გათხოვდა, ან თუ ქმარმა იცოდა ცოლის ორსულობის შესახებ, ან თუ თვითონ დააორსულა იგი.

გ. ნადარეიშვილის მითითებით, მსგავსად სხვა ქრისტიანული ქვეყნებისა, საქართველოშიც განქორწინების მიზეზი უნდა ყოფილიყო, თუ ცოლი უცხო მამაკაცთან იქეიფებდა, ან აბანოში მასთან ერთად ტანს დაიბანდა, ან თუ დაესწრებოდა საცირკო სანახაობებს ქმრის ნებართვის გარეშე. ეს მიზეზები გათვალისწინებული იყო ქრისტიანული კანონებით, რომელიც საქართველოში მოქმედებდა. (ნადარეიშვილი, 1990:72).

საქართველოში განქორწინების მიზეზად ასახელებენ ასევე ერთ-ერთი მეუღლისაგან სახელმწიფოს ღალატს, საქორწინო თანაცხოვრებისათვის უვარგისობა ანუ იმპოტენციას, მეუღლის მონაზვნად აღკვეცას.

განქორწინების საფუძვლად სჯულის კანონში დასახელებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორის მოწამვლით მოკვლის მცდელობა, რაც საქართველოში მოქმედებდა.

განქორწინების საფუძვლად შეიძლება დავასახელოთ ზნეობის დამრღვევი

დანაშაულებები, ე.წ სოდომური ცოდვები. სოდომურ ცოდვებში იგულისხმება მამათმავლობა, ცხოველთამავლობა და მრავალი სხვა სახის ქმედებები.

განქორწინების შესახებ მსჯელობს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნიც, სჯულმდებელი მეფე თავის სამართლის წიგნის 63-ე მუხლში განქორწინების საფუძვლად მხოლოდ მრუშობას თვლის: „თუ ცოლი დაჭრას ან დააშაოს, თუ ცოლს უნდოდეს სისხლი აიღოს, თუ არ ბოზობისათვის ცოლ-ქმარნი ერთმანეთს ვერ გაეყრებიან. ვახტანგ VI არც ცოლის ტანჯვასა და შეურაცხყოფას მიიჩნევს განქორწინების საფუძვლად: „მაგრამ კაცი რომ ცოლს უპატიურად ეპყრობოდეს და ურიგოს უშვრებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს, ავად მოეპყრას და კათალიკოზმა ასრე სრული სისხლი უნდა მისცეს“. აქედან ჩანს, რომ ქალის უშვილობა ვახტანგ VI-ის კოდექსით განქორწინების საფუძველი არ არის. კაცის უშვილობაზე კი ვკითხულობთ: „იქნების კაცი ასრე ჭანი იყო, რომე ცოლთან წოლა კი შეეძლოს და შვილის შექმნა კი არ შეეძლოს, ამისთვინაც არ გაიყრებიან“, როგორც ჩანს, ვახტანგის სამართლის წიგნი არც მამაკაცის უშვილობას მიიჩნევს განქორწინების მიზეზად, ყოველივე ეს იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ქართული სამართლის მიხედვით ქორწინება არ განიხილება როგორც მხოლოდ შთამომავლობის გაჩენის საშუალება, არამედ უფრო მეტია. ვახტანგის სამართალი ებრძვის განქორწინებას და იცავს ოჯახის სიმტკიცეს.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობით განქორწინების ინიციატივა ეკუთვნის მამაკაცს. დედაკაცს არა აქვს უფლება განქორწინების საკითხის დასმისაც კი. ეს აშკარად ჩანს 74-ე მუხლიდან: „დედაკაცი ქმრის დაგდებას არა ღირსა და ნურც ჰკადრებს და თუ ღვთით შერისხდეს და მისი უსირცხვილობით ჰქნას, რასაც გვარისა იგი კაცი არის, მთელი სისხლი დედაკაცმან ქმარს მისცეს“.

მეუღლეთა შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობები.

ფეოდალიზმამდელი პერიოდის საქართველოში მეუღლეთა შორის ურთიერთობების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ამ პერიოდის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მეუღლეთა პირადი ურთიერთობები რეგულირდებოდა ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების პარალელურად და ამ რელიგიის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ქალი წარმოადგენს მამაკაცის საკუთრებას, იგი უუფლებოა თავისი მეუღლის წინაშე და ისე უნდა ემორჩილებოდეს ქმარს, როგორც უფალს.

რაც შეეხება მომდევნო პერიოდს V-VI საუკუნეებს, მეუღლეთა შორის პირადი ურთიერთობები ქრისტიანული მოძღვრების სრული შესაბამისობით ვითარდება, რომლის მიხედვითაც ცოლი მთლიანად ემორჩილება ქმარს. ქმარს შეეძლო ფიზიკურად დაესაჯა ცოლი დაუმორჩილებლობისათვის, ხოლო მრუშობისათვის ფიზიკურად გაენადგურებინა იგი (ვახტანგ VI სამართლის წიგნი, 1955:68).

V ს-ის ქართველი ავტორის ი. ცურტაველის თხზულებაში - „შუშანიკის მარტვილობა“-ში ჩანს, რომ ოჯახის უფროსი, მამაკაცი თითქმის განუსაზღვრელია ძალაუფლებაში ცოლის მიმართ, მამაკაცს, ქმარს უფლება აქვს ცოლისადმი თვითნებური მოპყრობის, არ ჩანს რომ რაღაცით შეზღუდულია, ქმარი მეუღლესთან შეთანხმების გარეშე იღებს სხვა სარწმუნოებას და მასაც იგივეს მოსთხოვს, მიუხედავად იმისა, ქალი თანახმაა თუ არა სარწმუნოების შეცვლისა. მას შეუძლია ცოლს მიაყენოს ფიზიკური შეურაცხყოფა, „შეკვრა“ და „ბორკილთა დადება“. ნაწარმოებში ასახულია თუ რა სასტიკად სცემა ქმარმა ცოლი სხვების თანდასწრებით, ნაწარმოებიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იდეოლოგიით ქალი ბუნებით მამაკაცზე დაბლა დგას, იგი მამაკაცის მორჩილია, რადგან მისი გონება შეზღუდულია „დედათა ბუნებაი იწრო არს“. ნაწარმოების მთავარი გმირის შუშანიკის

აზრით, ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ამ ქვეყნად არ არსებობს, ისინი თანასწორნი მხოლოდ იმქვეყნად, საიქიოს გახდებიან.

ცოლ-ქმარს შორის კავშირში, ყურადღებას იპყრობს მეუღლეთა დასაჩუქრების საკითხიც, ქართული სამართლის მიხედვით მტკიცდება, რომ მეუღლეები უფლებამოსილნი იყვნენ ერთმანეთი დაესაჩუქრებინათ, მაგრამ აქ დაცული უნდა ყოფილიყო გარკვეული ზომიერებაც, ამასთან, დასაჩუქრება ხდებოდა ცოლქმრობის პირობით, ნიშნობისას. „შუშანიკის წამებაში“, ვარსქენმა დაავალა იაკობს შუშანიკისთვის აერთვა ძვირფასეულობა, შუშანიკმა კი საჩუქრები უკლებლივ დაუბრუნა ვარსქენს. როგორც ჩანს, წესად ყოფილა მეუღლისათვის გარკვეული ქონების ბოძება - საჩუქრების მირთმევა, მაგრამ ეს საჩუქრები ცოლს სამუდამო საკუთრებაში არ ეძლეოდა, არამედ ქორწინებაში ყოფნის პერიოდში და თუ ქორწინება დაირღვეოდა, საჩუქრები ქმარს უბრუნდებოდა.

გვიანფეოდალურ საქართველოში არსებობდა და მოქმედებდა მეუღლეთა ქონებრივი დამოუკიდებლობა, რომლის ძალითაც მეუღლეებს უფლება ჰქონდათ გაეყიდათ თავისი ქონება. ქონებრივი დამოუკიდებლობის პრინციპით სარგებლობდნენ ოჯახის წევრებიც, რომლებსაც შეეძლოთ გაეყიდათ პირადი ქონება (მაკალათია, 1930:44).

X-XIII სს-ში ცოლის პირადი და ქონებრივი უფლებების შესახებ ცნობებს გვაწვდის საკანონმდებლო ძეგლები. კერძოდ, აღბუღას სამართლის 81-ე მუხლის მიხედვით: „დიაცსა თუ ქმარი მოუკვდეს და შვილი არ დარჩეს, ზითევი თანა გაჰყვეს უკლებლივ“.

ყურადღებას იპყრობს მეუღლეთა შორის მზითევის, პირსანახავისა და ნიშანის იურიდიული რეჟიმი. ზემოთაღნიშნული სამივე ეკუთვნდა ცოლს, ქმარს არ შეეძლო ამ ფასეულობათა ვალში გადახდა ან გახარჯვა. ყოველივე ეს მიგვანიშნებს ოჯახში ქალის მაღალ უფლებრივ მდგომარეობაზე (ფუტკარაძე, 1976:85).

გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდებიდან“ ირკვევა, რომ საოჯახო ქონებაში ქალს სრული წილი არ გააჩნდა. ეს ჩანს „ძეგლისდების“ მე-18 მუხლიდან, სადაც აღნიშნულია, რომ თუ ქალს ქმარი მოუკლეს და იგი არ გათხოვდებოდა, მოკლულისთვის სისხლის ფასიდან მის ცოლს მცირე ნაწილი „სასაპყრო“ მიეცემოდა, დანარჩენი კი ოჯახის საკუთრებას შეადგენდა.

რაც შეეხება ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს, მასში უფრო ფართოდაა მოცემული მეუღლეთა უფლებრივი ურთიერთობები. აქ აღნიშნულია, რომ ქალის მზითევი, რომელიც მოძრავი ქონების სახით ჰქონდა წაღებული ქალს მშობლების ოჯახიდან, ქალის უპირებო, ხელშეუვალი საკუთრება იყო. რაც შეეხება უძრავ ქონებას ანუ მამულს, რაც ქალს მზითევში გაატანეს, თუ ქალი თავისი ნებით დატოვებდა ქმრის ოჯახს, მისი ნამზითევი მამული ქალის მშობლების ოჯახში გადადიოდა. მას ქალი ვერ წაიღებდა თუ იგი სხვას გაჰყვა.

ბექას სამართლის 46-ე მუხლის მიხედვით, თუ ქალი თავისი ნებით გაჰყვა სხვა ქმარს, ახალმა ქმარმა პირველ ქმარს ორი წილი სისხლი უნდა გადაუხადოს. ამასთან, მისი მზითევი ყოფილ ქმარს დარჩება.

ქართული საკანონმდებლო ძეგლებიდან ჩანს, რომ ქალის მზითევი დაცულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალი მრუშობისათვის გააგდეს. ამას ვადასტურებ ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 29 მუხლიდან, სადაც ვკითხულობთ: „თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს, და მისი მზითევი სრულად. თუ ბოზობისათვის დააგდოს, მისი მზითევი მაშინცა მისცეს სრულად: თუ დიაცი ბოზი არის, ზითევიცა ბოზი იქნების“ (დოლიძე, 1957:18).

ამრიგად, XIII-XVI სს-ის საქართველოში ქალი, როგორც მეუღლე, არ წარმოდგენს საკუთრების ობიექტს - იგი თვითონვეა სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. სრულწლოვანი ქალი, როგორც მეუღლე, დამოუკიდებლად განაგებდა საკუთარ ქონებას, ცოლი და ქმარი ერთმანეთთან შედიან სხვადასხვა სახის ქონებრივ გარიგებაში - გააჩუქონ გაჰყიდონ,

გაცვალონ საკუთარი ქონება. ქმარი ვერ გაასხვისებდა ცოლის ქონებას მისი ნებართვის გარეშე. საქართველოსათვის უცხო იყო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამამცირებელი ცოლის სრული უუფლებობა.

მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობები

პირადი ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის ღრმა იმანენტურ კავშირში იყო მათსავე ქონებრივ ურთიერთობასთან.

ცნობილია, რომ თავისი ტიპიური სახით გვაროვნული წყობილების დროს, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობას არ აქვს ისეთი მკაცრი ბატონობა-მორჩილების ხასიათი, რასაც ჩვენ ვხდებით კლასიკური აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რომში. საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა მშობლების წინაშე მონური მორჩილება.

მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების შესახებ. ცნობები VI ს-მდე არ შემონახულა. სამაგიეროდ ამ საკითხზე ცნობებს გვაწვდის ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლი - „ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტვილობა“ სადაც მოთხრობილია, რომ მცირეწლოვანმა 7-9 წლის ბავშვებმა მშობლების უკითხავად მიიღეს ქრისტიანობა და ქრისტიანულად მოინათლნენ, მშობლების ნების გარეშე მონათლული ბავშვები მათმა არა ქრისტიანმა მშობლებმა სასტიკად დასაჯეს: სცემეს, დაუხეთქეს თავები და შემდეგ ღრმად ამოთხრილ ორმოში ჩაყარეს ქრისტიანულად მომნათლავი ხუცესი კი სასტიკად დასაჯეს, გაქრისტიანებული ბავშვების მშობლები ყველაფერს მთავარს შესჩივლებენ მთავარი კი პასუხობს: „შვილნი თქვენნი არიან ხელმწიფებაი გაქუს უყავით რაიცა გნებავთ“. აღნიშნული სიტყვებიდან და საერთოდ, ამ ნაწარმოებიდან ჩანს რომ ამ პერიოდის საქართველოში მშობლებს შვილებზე განუსაზღვრელი უფლებები ჰქონიათ, მშობლებს შეეძლოთ შვილების არამარტო ფიზიკური დასჯა არამედ მათი მოკვლაც. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ კოლაელთა მარტვილობის ამბავი წარმართულ საქართველოს შეეხება, ქრისტიანობა კი მშობელთა მიერ შვილების სიკვდილის დასჯის უფლებას არ იძლეოდა (დოლიძე, 1960:39).

ამრიგად, წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლის პერიოდში შვილები წარმოდგენდნენ მშობლების საკუთრებას, შვილებზე ვრცელდებოდა მშობელთა აბსოლუტური უფლებები, შეიძლებოდა შვილების გაყიდვა, ფიზიკურად დასჯა და გამონაკლის შემთხვევაში სიცოცხლის წართმევაც კი, მშობელთა და შვილებს შორის ქონებრივი ურთიერთობის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობის წესების დადგენას.

VIII-IX სს-ის საქართველოში კონკრეტულად კი ტაო-კლარჯეთში, მშობლების მემკვიდრეობას ღებულობდნენ, როგორც ვაჟები ასევე ქალებიც, ეს ჩანს გრიგოლ მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“-ში, სადაც აღნიშნულია, რომ ზენონის მშობლების გარდაცვალების შემდეგ ქონება დარჩათ ზენონსა და მის დას, რომელიც მათ სახლში ცხოვრობდა, ქონებაში იგულისხმებოდა „მონაგები“ მამულიც. მაშასადამე გრიგოლ ხანძთელის მიხედვით მშობლებისა და შვილების ურთიერთობა იმაში გამოიხატება, რომ შვილებიც, მათ შორის ქალებიც არიან მემკვიდრეები.

ბასილ ზარზმელის თხზულებაში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ მითითებულია რომ უშვილო გიორგი ჩორჩანელმა სიკვდილის წინ „ყოველივე რაც აქუნდა მამული და ყოველივე ეკლესიანი და მონაგბნი მისნი დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა საკუთრებით განუთვისა“. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქალებს ეძლეოდათ მემკვიდრეობა, რომლებიც გათხოვილნი არ იყვნენ, ე.ი სახლში იყვნენ. გათხოვილ ქალს მემკვიდრეობა არ ეძლეოდა.

IX-X სს-ში საქართველოში კონკრეტულად, კი სამცხეში ქალებს ჰქონდათ მემკვიდრეობის უფლება, მათ მზითევიც მიეცემოდათ, უმთავრესად სამემკვიდრო წილიდან. ამრიგად,

მზითევი ის ქონება იყო, რომელიც ახლად გათხოვილ ქალს მიჰქონდა თავისი ქმრის ოჯახში. თავდაპირველად მზითევი მოძრავი ქონება იყო, მოგვიანებით კი მზითევად უძრავი ქონებაც ხდება და ამ ქონებას, მიწას „დედული“ ეწოდებოდა (დოლიძე, 1960:96).

როდესაც ვმსჯელობთ მშობლებსა და შვილებს შორის ქონებრივი ურთიერთობის შესახებ, უნდა დავასკვნათ, რომ შვილები თანასწორუფლებიანი მემკვიდრეები არ იყვნენ მშობლების ქონებაზე. საქართველოში არსებობდა საუხუცესო ანუ საუფროსო, საშუალო და მინორატი ანუ საუმცროსო.

მშობლებისა და შვილების ქონებრივი ურთიერთობის საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული შვილობილისა და ზესიძის უფლებები. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მიხედვით: „სიძისა და შვილებულისა ასრე იცოდეთ: თუ წიგნითა შესრულიყვნენ, მამული დაეწეროთ, რა გაიყვნენ, საუხუცესო მამულისა პატრონს. სხუა შუა გაუყავით და შეტანილი და დახვედრებული თავ-თავისი გაიტანონ“ (მუხლი 157). თუ „უწიგნოდ შესულიყვნენ, შეტანილი და ჭირნახული გაჰყვეს და შესმულ-შეჭმული არა იხსენოს“. (მუხლი 158-ე) აქედან ჩანს, რომ შვილებული, იგივე სიძე, თუ იგი კანონიერი გზით (წიგნით ანუ ხელშეკრულებით) იქნებოდა შესული ოჯახში, სარგებლობდა კანონიერი შვილის თანაბარი უფლებებით და უძრავი ქონების მემკვიდრეც ხდებოდა (სართანია, 2002:39-40).

შვილად აყვანილის შესახებ საუბარია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 261-ე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ ნაშვილებს, შვილის მსგავსად უნდა გადაეცეს მამული და ქონება, სხვა ადგილზე კანონმდებელი მიუთითებს: „ვინც აიყვანოს ყმაწვილი ან იპოვოს, ან გაზარდოს, იმის ასრე იქნას, ამ კაცზე კიდია, თუ უნდა თავის შვილად გაზარდოს და, თუ უნდა - თავის ყმად“. სწორედ ასეთი აყვანილი პირი შეიძლება გამხდარიყო შვილად აყვანის შვილობის თანასწორნი ან ყმის მდგომარეობაში დარჩენილიყო. შვილად აყვანილი მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობდა და უთანაბრდებოდა ღვიძლ შვილებს. კანონმდებელი მებატონეს ავალებდა შეენარჩუნებინათ, არ მოუშლიათ ნაანდერძევი მამული თუ ქონება შვილად ამყვანის სიკვდილის შემდეგ (ქართული სამართლის ძეგლები, 1965:128).

ქართული სამართალი იცნობს მშობლებისაგან შვილების დასაჩუქრებას, მათ შორის უკანონო შვილების დასაჩუქრებასაც. მშობლებისაგან შვილებისთვის ნაჩუქარი შეადგენდა ე.წ. „სათავნოს“, რომელიც ქალის პირადი საკუთრება იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბალიაური მ., ქორწინების წესები ხევსურეთში ძველად, თბილისი 1976 წ.
2. გოგოლიშვილი ო, საქართველოს სამართლის ისტორია, ბათუმი 2010 წ.
3. დოლიძე ი., გიორგი ბრწყინვალის სამართალი. თბილისი, 1957 წ.
4. დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი. თბილისი, 1953 წ.
5. დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, 1960 წ.
6. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, თბილისი, 1955 წ.
7. მაკალათია ს., მთიულეთი, თბილისი, 1930 წ.
8. მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2003 წ.
9. მეტრეველი ვ., საქართველოს სამართლის ისტორია, თბილისი, 2008 წ.
10. ნადარეიშვილი გ., ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბილისი, 1965 წ.
11. ნადარეიშვილი გ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 1990 წ.
12. სართანია დ., ივ., ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები, თბ., 2002 წ.
13. ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები. თბ., 1976 წ.
14. ქართული სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2000 წ.
15. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბილისი, 1965 წ.
16. ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი საქართველოში, თბილისი, 1939 წ.
17. ჩიკაშვილი ჩ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 1998 წ.
18. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1982 წ; ტ. VI, თბილისი, 1982 წ. ტ. VII, თბილისი, 1984 წ.

Otar gogolishvili

History of Old Georgian Family Law

S u m a r y

In the Thesis “History of Old Georgian Family Law” is reviewed important subjects, which relate to the basic and fundamental issues of family law. Presented work reviews important institutions of the family law, such as: Marriage, divorce, personal and property relations between spouses, personal and property relations between parents and children.

The paper also discusses subjects that precede engagement in different parts of Georgia, which would in practice create other rights and obligations towards that, which was regulated by law. Presented work also discusses different historical aspects of old Georgian institution of marriage, clearly presents changes that the institution of marriage had endured over time. In our presented work is conveyed some of the Georgian scholarly opinions on important subjects. The purpose of the work is to discuss the issues related to these topics and develop recommendations.

ალექსანდრე ჩხაიძე

საქართველო ოსმალეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში 1878 წლამდე

1299 წ. მცირე აზიაში, თურქი ტომების ერთ-ერთმა ბელადმა ოსმან I (1258-1326 წწ.) შექმნა დამოუკიდებელი ფეოდალური სამთავრო ანუ ბეილიქი. ოსმან I-ის შთამომავლებმა ჯერ დაიპყრეს ახლოს მდებარე ბეილიქები, შემდეგ კი სხვა ტომთა ტერიტორიების ხარჯზე გააფართოეს ქვეყანა. 1453 წ. აიღეს კონსტანტინეპოლი და მათ სახელმწიფოს ეწოდა ოსმალეთის ანუ ოტომანთა იმპერია. მცირე აზიიდან შეიჭრნენ ბალკანეთში, მოედვნენ ლევანტს, ჩრდილო აფრიკას, ამიერკავკასიას და ა.შ. ამ სახელმწიფოს ძლევამოსილების მწვერვალი XVI საუკუნეზე მოდის.

ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ორი ძირითადი ეპოქა. აქედან პირველი წარმოიშვა ჯერ კიდევ ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად, მეორე კი შეიქმნა XIX ს. 60-იანი წლებიდან, ვრცელი ადმინისტრაციული რეფორმების და მმართველობის ევროპეიზაციის მცდელობის შედეგად.

ოტომანთა იმპერიის ფეოდალური ეპოქის სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაცია იყო სამხედრო-ლენური სისტემა, რომელიც შეათავსეს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან. ქვეყანა იყოფოდა ვილაიეთებად. ესენი სანჯაყებად, ხოლო სანჯაყები კი კაზებად. მოცემული სისტემის მცოდნე, სულთან მუჰამედ IV (1648-1687 წწ) კარზე მყოფი ბრიტანეთის საელჩოს მდივანი რიკო გადმოგვცემს აქაური სამხედრო-ლენური სისტემის არსს. კერძოდ, მიწები სულთნის საკუთრება იყო და იყოფოდა სამხედრო ფენის წარმომადგენლებს შორის. მათი მფლობელობაში დატოვება და ჩამორთმევა სულთნის განკარგვით ხდებოდა. ეიალეთების მმართველები იგივე ბეგლარბეგები ცხოვრობდნენ თავიანთი სამმართველოების ადგილების შემოსავლებით. აღვნიშნავთ, რომ ზოგ ადმინისტრაციულ ერთეულში მმართველებად ინიშნებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებიდან ან თავიანთ პოსტს შთამომავლობით გადასცემდნენ (მაგალითად სამცხე-ჯავახეთში, ზოგს ქურთულ პროვინციაში). რიკო აგრძელებს, რომ სანჯაყის მმართველები სანჯაყ ბეგები ცხოვრობდნენ სანჯაყში შემავალ სამფლობელოთა შემოსავლიდან. თიმარი ეწოდებობა საკარგავს, რომლის შემოსავალი იყო წელიწადში 5 ათასიდან 19.999 აღჩამდე, ზიამეთი 20 ათასიდან 99 ათასამდე, სანჯაყი 100 ათასიდან 199,999 აღჩამდე, ხოლო ბეგლარბეგების 200 000 აღჩამდე და ზემოდ. ომის დროს თიმარს უნდა გამოეყვანა 1 ჯარისკაცი 3 ათას აღჩაზე, ხოლო ზიამეთს და სანჯაყ ბეგს 1 ჯარისკაცი ყოველ 5 ათას აღჩაზე (სსცსა, ფ.231, ს.99, ფურც. 6).

ცხადია ლენები სახელმწიფო მიწების კატეგორიას შეადგენდნენ. გარდა ამისა ოსმალეთის იმპერიაში იყო სავაყუფო (რელიგიური), სასულთნო (ხასე) და კერძო საკუთრებაში მყოფი მიწების კატეგორიები.

წინასწარ ვიტყვით, რომ სამხედრო-ლენური სისტემა ცეტრალურმა ხელისუფლებამ 1834 წ. გააუქმა და მისი ლიკვიდაცია იმპერიაში ეტაპობრივად მოხდა. ამის შემდეგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს საფუძვლად დაედოთ ტერიტორიული ნიშანი. ამავე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს მიწის საკუთრების შესახებ ძალაში შესულმა ახალმა კანონმდებლობამ საბოლოოდ დაასამარა დრომოჭმული სისტემა და სოფელში დააკანონა ბურჟუაზიული სამართალწესები.

წყაროების სიმცირე თვით თურქეთში ოსმალეთის ისტორიის სპეციალისტებს არ აძლევს საშუალებას განსაზღვრონ ოტტომანთა იმპერიის პროვინცირებისა და დომინიონების ზუსტი

რაოდენობა, საზღვრები და არსებობის თარიღები, გასათვალისწინებელია, რომ მათი რაოდენობა და საზღვრები იცვლებოდნენ (Administrative divisions of the Ottoman Empire, https://en.wikipedia.org/wiki/Administrative_divisions_of_the_Ottoman_Empire).

1578 წელს დაწყებული ირან-ოსმალეთის ომი დასრულდა 1590 წელს სტამბოლში ზავის დადებით. ამ ზავით საქართველო, სომხეთი, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი (არდებილის და თალიშის გამოკლებით), ასევე ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა. ოსმალეთის სულთანს არ აინტერესებდა აღიარებდნენ თუ არა დაპყრობილი ხალხები მის უზენაესობას. იარაღით დაუფლებულის შენარჩუნებას იარაღით აპირებდა. დაპყრობილ ტერიტორიებზე ახალი პროვინციები გაჩნდა. ჩვენ ინტერეს იწვევს ქვემოთ წარმოდგენილი სია. მართალია აქ კითხვის ნიშნებს ვხედავთ, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ მდგომარეობაში ბოლომდე თვით თურქეთში ოსმალეთის ისტორიის სპეციალისტები ვერ გარკვეულა.

1609 წლამდე გამქრალი ეიალეთები (Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Eyalet)

პროვინციათა სახელწოდება	თურქ ოტომანთა სახელწოდება და ტრანსლიტერაცია (თანამედროვე თურქულზე)	არსებობდა	
აფხაზეთი	აბჰაზია	? წლები (1578-?)	ასევე ეწოდებოდა სუხუმ (სოხუმკალე) ან საქართველო (გურჯისტანი) და მოიცავდა სამეგრელოს და იმერეთს ნომინალური კონტროლით
ახალციხე	ახისხა	? წლები (1603-?)	სამცხესთან (ანუ ჩილდირთან) ერთად ან ცალკე
დაღესტანი	დაღისთან	? წლები (1578-?)	ასევე ეწოდებოდა დემირქაფი-ინიშნებოდა სერდარი (უფროსი) ვიდრე ბეილერბეი.
დმანისი	თუმანის	? წლები (1584-?)	
განჯა	გენჯე	16 წელი (1588-1604)	
გორი	გორი	? წლები (1588-?)	შესაძლოა 1586წ. შემდეგ შეცვალა თბილისის ეიალეთი
გიორი	იეანიქ	4 წელი (1594-1598)	
კახეთი	ქაჰეთი	? (1578-?)	კახეთის მეფედ დაინიშნა მემკვიდრეობითი ბეი
ლაზისტანი		?(1574-?)	
ლორი	ლორი	? (1584-?)	
ნახიჩევანი	ნაჰჩივან	1 წელი (1603)	შესაძლოა არც ყოფილა განცალკევებული ერევნიდან
ფოთი	ფაშ	?(1579-?)	შესაძლოა ტრაბზონისთვის სხვა სახელწოდება ჰქონდა
სანაა	სანა	2 წელი (1567-1569)	იემენის დროებითი დანაყოფი
შემახა	შამაჰი	1 წელი (1583)	შესაძლოა გააჩნდა სხვა სახელწოდება შირვანისათვის
სზიგეთვარ	ზიგეთვარ	4 წელი (1596-1600)	მოგვიანებით გადატანილია ქანიზსაში

შერვანი	შირვანი	26 წელი (1578-1604)	სერდარის ზედამხედველობით (უფროსი) ვიდრე ბეილებეი
თავრიზი	თებრიზი	18 წელი (1585-1603)	
თბილისი	თიფლისი	8 წელი (1578-1586)	შესაძლოა შეიცვალა გორის ეიალეთით 1586 წ.
ვალახია	ეფლაქ	2 თვე (1595 სექტემბერ-ოქტომბერი)	დანარჩენ დროს ვალახია იყო ავტონომიური პროვინცია
ერევანი	ერივან	21 წელი (1583-1604)	ზოგჯერ შეიცავდა ვანსაც
ზაბიდ	ზებით	2 წელი (1567-1569)	იემენის დროებითი დანაყოფი

ამავე წყარო გვთავაზობს ოსმალეთის იმპერიის 1609 წელს დაფიქსირებულ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სიას, სადაც დაზუსტებულია ეიალეთების დაარსებისა და გაუქმების თარიღები. აქ ჩვენთვის საინტერესოა ოთხი პროვინცია: ჩილდირის ანუ ახალციხის, ტრაბზონის, ერზრუმის და ყარსის. აღვნიშნავთ, რომ ოთხივე ეიალეთის ფაშებს შორის ერზრუმის ფაშა პირველობდა, ომის დროს ის აქ ასრულებდა სერასკირის ანუ მთავარსარდლის ფუნქციას.

ჩილდირის ეიალეთი, რომელიც ძირითადად სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე შეიქმნა არსებობდა 1578-1845 წლებში. მის ადმინისტრაციულ ცენტრებს წარმოადგენდნენ: ჩილდირი 1578-1628 წლებში, ახისხა (ახალციხე) 1628-1829 წლებში და ოლთუ (ოლთისი) 1829-1845 წლებში (childir Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Childir_Eyalet)

დაპყრობის შემდეგ ოსმალო მოხელეებმა სამცხე-საათაბაგო აღწერეს, რაც უნდა გამხდარიყო, როგორც ახალი მართვა-გამგეობის ისე გადასახადების შემოღების საფუძველი. ოსმალთა შემოსავლის ძირითადი წყარო დაპყრობილი ტერიტორიებიდან მიღებული შემოსავალი იყო. შესაბამისი დავთრები სამცხე-საათაბაგოში ჯერ კიდევ XVI ს. 70-იან წლებში გაკეთდა.

1595 წ. შედგა ,,გურჯისტანის ვილაიეთის დავთარი“. ,,გურჯისტანის ვილაიეთი“ იგივე ,,ჩილდირის ეიალეთი“ ანუ ,,ახალციხის საფაშოა.“ აღნიშნულ დავთარში 8 სანჯაყი (ლივა) იყო წარმოდგენილი: ახალციხე, ხერთვისი, ახალქალაქი, ჩალდირი, ფოცხოვი, პეტრა, ფანაკი და დიდი არტაანი. ,,გურჯისტანის ვილაიეთის“ ბეგლარ ბეგად ხიდირ ფაშა დაინიშნა, რომელიც უმთავრესად ოსმალო მოხელეთა მეშვეობით მართავდა ქვეყანას. უფრო დაწვრილებით შესაბამისი მონაცემები ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევებშია“ მოცემული (სვანიძე, სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, 1973:151) და აქ მასზე არ შევჩერდებით. შევნიშნავთ, ჩამოთვლილ სანჯაყთა შორის აჭარას ვერ ვხედავთ. რატომ? 1552 წ. აჭარა (მხედველობაშია მდინარე აჭარისწყლის აუზი) იძულებული გახდა ოსმალთა მმართველობა ეღიარებინა, მაგრამ ,,იგი მხოლოდ ოსმალთა სუზერენიტეტის აღიარება უნდა ყოფილიყო“ (შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, 2002:148-149). რადგან მისი მმართველი ბეჟანი დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვოდა, 1561 წ. დამპყრობელმა მას აღნიშნული რეგიონი ჩამოართვა და ისპირის (სპერის) სანჯაყს შეუერთა. 1563 წ. ბეჟანი სტამბოლში ჩასულა, ისლამი მიუღია, მორჩილება გამოუცხადებია და მას აჭარა დაუბრუნეს, როგორც ცალკე სანჯაყი (შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, 2002:150-151). „1576/7 წლით (984) დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია, რომ აჭარა გურჯისტანს ექვემდებარებოდა, რაც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ამ პერიოდში აჭარა დროებით გურჯისტანის ვილაიეთში იყო გაერთიანებული“ (შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, 2002:152-153). 1584 წ. აჭარა ქართველებმა დაიბრუნეს, თუმცა 1586 წ. ჩილდირის ბეგლარბეგმა მიიღო ბრძანება რეგიონის კვლავ დაპყრობის შესახებ, რაც ცოტა ხანში შესრულდა კიდეც.

აჭარა „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“ (1595 წ.) აღნიშნული არ არის იმიტომ, რომ აღწერის დროს ის სავარაუდოდ ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადენდა. იმ დროს ოსმალეთის იმპერიაში ამგვარად შეიძლება არსებულიყო ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (სვანიძე, 1971:81). ამასთან, იმდრონდელი ოსმალეთის იმპერიის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონის უფროსის, ერზრუმის ბეგლარბეგის დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყო (შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, 2002:152). 1595 წ. ოსმალეთის იმპერიის ტახტზე ავიდა სულთანი (ფადიშაჰი) მეჰმედ III (1595-1603 წწ.). აჭარის მმართველმა მიიღო შემდეგი ბრძანება.

„ბრძანება აჭარის ბეგლარბეგს:

სულთნის ტახტზე ასვლა იღბლიანათ და წარმატებით განხორციელდა. ჩემი სურვილია ყველა მხარეში მთელი ხალხის კეთილდღეობაში, სიმშვიდეში და უსაფრთხოებაში ყოფნა. ამიტომ ვბრძანებ: როგორც კი ეს განკარგულება შენამდე მოაღწევს, მთელი ჩემი ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და მუსლიმებისგან დალოცვის მისაღებად მეტი გულიხსმიერება უნდა გამოიჩინო. რაც შეეხება არამუსლიმებს, ისინიც ჩვენი შემოქმედის დანატოვარია. არავითარ შემთხვევაში არ მოექცე მათ დესპოტურად და უსამართლოდ. იღვაწე მათი უსაფრთხოების და საქმეების ჩვეულ კალაპოტში ჩასაყენებლად, სიმონთან, სადადიანოს, იმერეთის, გურიის და სხვა მოსაზღვრე მთავრებთან კარგი ურთიერთობები დაამყარე. სავალდებულო გადასახადების და სხვა მსგავს საკითხებზე ჯაფერ ფაშასთან ითათბირე, ჩილდირის ბეგლარბეგთან საქმიანი და გულითადი ერთობა იქონიე და ვილაიეთის მთელი არამუსლიმი და მუსლიმი ხალხის კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის იზრუნე, გადასახადების კეთილსინდისიერად შეგროვებაზე უკან არ დაიხიო. ჯაშუშებისა და მიმსვლელ-მომსვლელების საშუალებით მუდმივად მიიღე ინფორმაცია მთავრების ქცევასა და საქმიანობაზე, არიან თუ არა ადგილზე. ამის მიხედვით მიიღებ ზომებსა და დაიჭერ თადარიგს. თუ კი ვითარებიდან გამომდინარე საჭირო იქნება ჩემთვის მომართვა, ნუ მოგერიდება. მიღებული ბრძანებები როგორც წესია, ისე შეასრულე.

1003 წლის 28 შევალი / 1595 წლის 6 ივლისი“ (ილდიზთაში, 2012:25).

მოცემული საბუთიდან შეიძლება შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ: ჯერ ერთი სათაურში ნახსენებია ,,აჭარის ბეგლარბეგს“, ბეგლარბეგები ეიალეთის მმართველები იყვნენ. შინაარსში სხვა ეიალეთებს შორის ნახსენებია მხოლოდ ჩილდირი, შემდეგ კონტექსტში: ,,ჩილდირის ბეგლარბეგთან საქმიანი და გულითადი ერთობა იქონიე.“ ასევე ავალებენ იზრუნოს ვილაიეთის მოსახლეობაზე. ვფიქრობთ აჭარა ეიალეთია არ იქნებოდა, მაგრამ ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა აჭარის მმართველისგან ითხოვენ

დაქვემდებარებული არამუსლიმი მოსახლეობის მიმართ ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. კიდევ მეტი ბეგლარბეგს ავალებენ საჯაშუშო ინსტიტუტის გაძლიერებას. ყოველივე ეს ადასტურებს, თუ როგორ ფრთხილობდნენ ჩვენი, როგორც დამოუკიდებლობისადმი მიდრეკილების მქონე რეგიონის მიმართ და სხვადასხვა ზომებს იღებდნენ აქ კონტროლის შენარჩუნების მიზნით.

1609 წ. აჭარისწყლის აუზი ჩილდირის ეიალეთში გააერთიანეს (შაშიკაძე,ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აწარის ისტორიიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, 2002:152). ,,XVII ს. ახალციხის საფაშო 13 სანჯაყისაგან შედგებოდა: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი, მაჭახელი, აჭარა, ფანაკი (ბანა), ფერთექრექი, ლივანა, ნისფი-ლივანა და შავშეთი“ (ჯამბურია, საქართველოს გაერთიანების ცდები. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (60-90-იან წლები). საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, 1973:55). თუმცა უცხოური წყარო ახალციხის (ჩილდირის) ეიალეთის დასახელებული 13 სანჯაყიდან იმეორებს 12 და გამოტოვებული აქვს 1, კერძოდ აჭარის სანჯაყი (childir Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Childir_Eyalet). შესაძლოა იმიტომ რომ ,,1631-1632 წლის ... მიხედვით ზემო და ქვემო აჭარის ლივა. . . ყარსისადმია დაქვემდებარებული. იგივე ტიპის დავთარში, რომელიც 1717-1730 წლებს ეკუთვნის აჭარა ისევ ჩილდირის ეიალეთის შემადგენლობაშია“ (შაშიკაძე, ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, 2002:152).

1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ჩილდირის ეიალეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი გადავიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. დარჩენილი ტერიტორიის ერთი ნაწილი შეუერთეს ყარსის ეიალეთს, რომელსაც ასევე ყარს-ჩილდირის საფაშოს უწოდებდნენ (ლომსაძე, 1975:248). ზღვის სანაპიროს ნაწილი კი ტრაბზონის ეიალეთს (childir Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Childir_Eyalet).

ტრაბზონის ეიალეთი (Trebizond Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Trebizond_Eyalet)

ტრაბზონის ეიალეთი 1461-1864 წლებში არსებობდა, ადმინისტრაციული ცენტრით ტრაბზონი. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად - სანჯაყებად დაყოფა კი XVII და XIX საუკუნეებში ასეთი იყო:

ტრაბზონის ეიალეთის სანჯაყები

მე-17 საუკუნეში	**მე-19 საუკუნის დასაწყისში**
1. გიუმიუშჰანეს სანჯაყი	1. ტრაბზონის სანჯაყი
2. ჯანიქის სანჯაყი	2. კერასუნის სანჯაყი
4. ვიზას სანჯაყი	3. ლაზისტანის სანჯაყი
4. გუნიას (გონიო) სანჯაყი	
5. ბათუმის სანჯაყი	

ტრაბზონის ეიალეთის სახით გვაქვს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. ეს არის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია, ჭანეთის, ლაზეთის მხარე. ჭანები,

ლაზები ქართველთა წინაპრებია, VI ს. ეს მხარე ბიზანტიის იმპერიამ დაიპყრო.1204-1461 წწ. აქ არსებობდა თამარ მეფის მიერ ხელშეწყობით შექმნილი ტრაპიზონის იმპერია, რომელიც დროგამოშვებით საქართველოს ქვეშევრდომი ქვეყანა იყო. 1456 წ. ტრაპიზონის იმპერიას თურქ-ოსმალები შეესივნენ და დახარკეს, ხოლო 1461 წ. კი მთლიანად დაიპყრეს. ამავე წელს შეიქმნა ტრაბიზონის ეიალეთი. მე-17 საუკუნეში მისი, ზემოთაღნიშნული სანჯაყებიდან ბათუმის და გონიოს რაიონები დღეს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებშია. ამათ იქეთ ვიზას ანუ რიზეს სანჯაყი აღმოსავლეთ ჭანეთის ტერიტორიაა. ჯანიქის ანუ დამპყრობლის მიერ დამახინჯებული სახელწოდების - ჭანეთის სანჯაყს ეკავა ეიალეთის აღმოსავლეთი.

რაც შეეხება გიუმიუშჰანეს სანჯაყს მას ტერიტორიულად შუა ჭანეთის ცენტრალური ტერიტორია (შესაძლოა შუა ჭანეთის ცენტრალური და სამხრეთი ტერიტორიაც) ეკავა.

მე-19 საუკუნის დასაწყისის ტრაბზონის ეიალეთის სანჯაყების დაყოფა გვახსენებს ჭანეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს. კერძოდ ლაზისტანი აღმოსავლეთით, ტრაბზონი ცენტრში და კერასუნი დასავლეთ ნაწილში.

ერზრუმის ეიალეთი არსებობდა 1533-1867 წლებში. მე-17 საუკუნეში ის 12 სანჯაყად იყოფოდა (Erzurum Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Erzurum_Eyalet). აქ იყო გაერთიანებული ზოგი ქართული რაიონი, კერძოდ ისპირის (სპერის), საიდანაცა არიან წარმოშობით საქართველოს სამეფო დინასტიის წარმომადგენლები - ბაგრატიონები, თურთუმის (თორთომის), მამარის (იგივე ნარმანის, ნემარევანის) და ფასინლერის (ფასინის, ბასიანის) სანჯაყები. სტატიის ფორმატი საშუალებას არ გვაძლევს გადმოვცეთ მონაცემები აღნიშნული რაიონების შესახებ, თუმცა ფასინლერზე ანუ ბასიანზე მაინც შევჩერდებით. ბასიანი არის ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინცია. მის სახელწოდებას უკავშირებენ ფასიანების კოლხურ ტომს, რომელიც ქსენოფონტესთანაა მოხსენიებული (მუსხელიშვილი, ბასიანი, ქსე, ტ. III, 1977:219). ეს სახელწოდება მოგვიანებით ოდნავ სხვადასხვა (სომხურ, ბერძნულ, თურქულ) ენებზე გარდაიქმნა (Pasinler, Erzurum, https://en.wikipedia.org/wiki/Pasinler,_Erzurum). გარკვეულ პერიოდში ბასიანი საქართველოს საზღვრებში არ შედიოდა. შემდეგ კი კარგა ხანი საქართველოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. 1545 წ. იგი ოსმალებმა მიიტაცეს. ოსმალთა სიაში კი, როგორც აღვნიშნეთ, ფასინლერის სახელწოდებითაა, რასაც კოლხური ტომის დასახელებასთან ფასიანთან აქვს კავშირი. ერზრუმის ეიალეთში ცალკე იყო ერზრუმის სანჯაყი სადაც იმყოფებოდა ფაშის რეზიდენცია. მე-19 საუკუნის დასაწყიში ამ ეიალეთში სანჯაყთა რაოდენობა განახევრებულია და ექვსს შეადგენს. აქ ქართულს მიმსგავსებული სახელწოდებები არ გვაქვს, ისინი აქვე სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებშია გათქვეფილი, თუმცა დამატებულია გიუმიშჰანეს სანჯაყი (Erzurum Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Erzurum_Eyalet), ისტორიული ჭანეთის ქვეყანა.

ყარსის ეიალეთი არსებობს 1580-1875 წლებში. მე-17 საუკუნისათვის აქ ოფიციალური ცნობით ვხედავთ 6 სანჯაყს. ჩვენთვის საინტერესოა სამი მათგანი: 1. გოლეს (ქართულად კოლას), იგივე მცირე არტაანი, 2. ჰუჟუჟანის ანუ ჩილდირის, 3. ზარშადის იგივე არფაჩაის (ქართულად წინუბანის) სანჯაყები (Kars Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Kars_Eyalet). სახელწოდება კოლა სავარაუდოდ წარმოდგება აქაური უძველესი ქართული სამეფოს კოლხასგან. ამის სამხრეთით მდებარეობდა ყარსის სანჯაყი სადაც იმყოფებოდა ფაშის რეზიდენცია.

როგორც ვხედავთ ოსმალებმა დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო გააერთიანეს ოთხი ეიალეთის შემადგენლობაში. აქედან ჩილდირის (რომელსაც ჩვენ უფრო ვიცნობთ როგორც ახალციხის) და ტრაბზონის ეიალეთები ძირძველი ქართული ტერიტორიებია, ხოლო ერზრუმის და ყარსის ნაწილობრივ.

თანამედროვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც აღვნიშნეთ, ოსმალთა მფლობელობისას სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ერთიანდებოდა. მისი ზღვისპირა ზოლიდან ქ. ბათუმის მიდამოები ჯერ კიდევ XVI ს. იქნა დაპყრობილი, ,,სულთან მეჰმედ ფათიჰმა ტრაპიზონის აღების (1461 წ.- ა.ჩ.) შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მარბიელი ლაშქარი გაუშვა და ბათუმი და მისი შემოგარენი დაიპყრო“ (ილდიზთაში, 2012:22). ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1574 წ. დაარსდა ლაზისტანის პროვინცია, შეიძლება იგი ტრაბზონში იყო გაიგივებული (Eyalet, https://en.wikipedia.org/wiki/Eyalet). „(1582 წ.) ოსმალებმა ტრაპიზონს ბათუმის სანჯაყი დაუქვემდებარეს“ (სვანიძე, 1971:154). ერთი პერიოდი, XVII საუკუნეში ბათუმი ეტყობა თავისუფალი იყო, გურიის სამთავროში შედიოდა, ან ამ პერიოდში დამპყრობლის კონტროლი მასზე ძალზედ შესუსტებულა (უზუნაძე, სურმანიძე, ზოსიძე, ბათუმი, 2013:29).

„1702 წელს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები გაერთიანდნენ აჯანყების დასაწყებათ“ (სვანიძე, სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის მიტაცება ოსმალეთის მიერ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა II, 2009:237), მაგრამ ოსმალებს უმარჯვიათ და 1712 წ. ბათუმი და ჩაქვი ტრაპიზონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გააერთიანეს. მათ ეს ტერიტორია სახელმწიფო დავთარში გაატარეს (სვანიძე, სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის მიტაცება ოსმალეთის მიერ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა II, 2009:238), რაც ხელახლა დაპყრობას ნიშნავდა. ქობულეთს ყველაზე ბოლოს დაეუფლნენ. „1723 წელს ოსმალებმა დაიკავეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხეები და საქართველო ზღვას მოსწყვიტეს. ციხისძირის, ქობულეთის და ანაკლიის ციხეებში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს“. ვფიქრობთ, ქობულეთის რაიონი, როგორც ზღვისპირა ზოლი და ბუნებრივი გაგრძელება, ტრაბზონის ეიალეთს ექვემდებარებოდა. უმეტეს შემთხვევაში, ოსმალური წყაროებით ჩურუქ-სუს ანუ ქობულეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, იქ იმყოფებოდა XIX ს. 60-70-იან წლებში (როცა ტრაბზონის ეიალეთს უკვე ერქვა ტრაბზონის ვილაიეთი) 1878 წლამდე, რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრებამდე. ამ საკითხს კიდევ შევეხებით.

XVIII ს. და XIX ს. პირველი მესამედი აჭარა ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთშია. 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ ადრიანოპოლის ზავით (1829 წ. სექტემბერი) საქართველოსთან ერთად რუსეთს ერგო ქალაქები ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი. ასევე შემოიერთეს სანჯაყები: ახალციხე, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი და ჭაჭარაქი. აჭარისწყლის აუზი კვლავ ოსმალეთის ფარგლებში დარჩა, მაგრამ დასაზუსტებელია რომელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. როგორც აღვნიშნეთ, როდესაც ომის შემდეგ ჩილდირის ეიალეთის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთმა წაიღო, მეორე ნაწილი ბრწყინვალე პორტას გადაწყვეტილებით სხვა ეიალეთებს შეუერთეს. უცხოური მასალის გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ აჭარისწყლის აუზი ყარსის ეიალეთში გაერთიანდა. ჩვენთან არსებულ მასალასაც იმავე დასკვნამდე მივყავართ. კერძოდ, XIX ს. აჭარაში ყველაზე გამოჩენილი საგვარეულოს წარმომადგენელი ახმედ ხიმშიაშვილი ჩვენთან ცნობილია როგორც ჩილდირის (ახალციხის) ეიალეთის უკანასკნელი ფაშა. გიორგი ყაზბეგი გადმოგვცემს, რომ ახმედ ხიმშიაშვილი, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომის დროს დანიშნეს ჩილდირის ფაშად ამ ომის შემდეგ ყარსის ფაშა გამხდარა (ყაზბეგი, 1995:68). გ. ყაზბეგი აგრეთვე გადმოგვცემს, რომ ქორ ჰუსეინ ხიმშიაშვილი, რომელიც სავარაუდოდ XIX ს. 30-იანი წლების ბოლოს და 40-იანი წლების დასაწყისში ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლებას, ყარსის ფაშას მიერ გამოგზავნილი ჯარის წყალობით დაიჭირეს და ყარსში გაგზავნეს (ყაზბეგი, 1995:69). ასევე ჩვენს ხელთაა 1844 წ. 30 მარტით დათარიღებული საბუთი საიდანაც ვგებულობთ, რომ აჭარაში გადასახადების და რეკრუტის შეკრება ყარსის ფაშაზე იყო დამოკიდებული (სსცსა,

ფ.16, ს.8085, ფურც.10-11). 1844 წ. 5 მაისით დათარიღებული საბუთით ირკვევა, რომ სულთნის ნებით აჭარა შეუერთდა ტრაბზონის საფაშოს (ეიალეთს) (სსცსა, ფ.16, ს.8085, ფურც.35). იმავე წლის 8 სექტემბრით დათარიღებული საბუთის მიხედვით აჭარაში გადასახადებისა და რეკრუტის საკითხს უკვე ტრაბზონის ფაშა განაგებდა (სსცსა, ფ.16, ს.8085, ფურც. 36).

აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ აჭარისწყლის აუზი 1829 წლიდან 1844 წლის მაისამდე იყო ყარსის (ყარს-ჩილდირის) ეიალეთის შემადგენლობაში, ხოლო 1844 წლიდან რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის დამთავრებამდე ტრაბზონის ეიალეთის (1867 წლიდან ტრაბზონის ვილაიეთის) შემადგენლობაში.

ოსმალეთის იმპერიაში 1864 წ. გამოიცა და 1867 წწ. სრულყოფილ იქნა კანონი ეიალეთების ნაცვლად გაცილებით დიდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ვილაიეთების შექმნის შესახებ. ვილაიეთები იყოფოდა სანჯაყებად, სანჯაყები კაზებად, ხოლო კაზები ნაჰიებად.

იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთით შექმნილ ორ ვილაიეთში: ტრაბიზონსა და ერზრუმში გაერთიანდა ისტორიული საქართველოს მხარეები. აქედან ტრაბზონის ვილაიეთი (1867-1923 წწ) ოთხი სანჯაყისაგან შედგებოდა: ჯანიქის, ტრაბზონის, გიუმიუშჰანეს და ლაზისტანის. ამჯერად წარმოვადგენთ მხოლოდ ლაზისტანის სანჯაყის მონაცემებს. 1869წ. ოფიციალურ ოსმალურ საბუთში ლაზისტანის სანჯაყი შემდეგნაირად იყოფოდა:

1. ბათუმზე დამოკიდებულნი: ბათუმის კაზა, ჩურუქ-სუს ნაჰიე, აჭარა სუფლას (ქვემო აჭარის) ნაჰიე, აჭარა ულიას (ზემო აჭარის) ნაჰიე.
2. ლივანას კაზა: ლივანას კაზა, მაჭახელის ნაჰიე.
3. არჰავეს კაზა: არჰავეს კაზა, ჰოფას ნაჰიე, გონიოს ნაჰიე, ათინას ნაჰიე, ჰემშინის ნაჰიე (Emiroğlu küdret, TRABZON VILAYETI SALNAMESI-1869, Özkan Matbaacilik Ltd sti, ANAKARA, Harizan, 1993:145)

შემდეგ 1870 წელს მოხდა გარკვეული ცვლილებები (Emiroğlu küdret, TRABZON VILAYETI SALNAMESI-1870, Özkan Matbaacilik Ltd sti, ANAKARA, Harizan, 1993:185)

პირადად მუთესარიფის საგამგებლოში არსებული	ბათუმი, ბათუმის კაზა, ჩურუქ-სუს ნაჰიე
აჭარის საკაიმაკამო	აჭარა სუფლას კაზა, აჭარა ულიას ნაჰიე, მაჭახელის ნაჰიე
ჰოფას საკაიმაკამო	ჰოფას კაზა, არჰავეს ნაჰიე, გონიოს ნაჰიე
ათინას საკაიმაკამო	ათინას კაზა, ჰემშინეს ნაჰიე
ლივანას საკაიმაკამო	ლივანას კაზა, ჰაბექელასქურ ნაჰიე

მოცემული განაწილება ძალაში იყო რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878წწ. ომამდე ცოტა ცვლილებებით[1].

ერზრუმის ვილაიეთში (1867-1923 წწ.) გაერთიანდა 3 სანჯაყი: ერზრუმის, ერზინჯანის და ბაიაზედის. აქედან ჩვენს ინტერესს იწვევს ერზრუმის სანჯაყი, რომელშიც შემავალი 10 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულიდან 5 მათგანი ისტორიული საქართველოს მხარეებია: ფასინლერი, ისპირი, თორთუმი, იუსუფელი (პარხალის და ტაოს მიდამოები), ნარმანი (Erzurum Vilayet, https://en.wikipedia.org/wiki/Erzurum_Eyalet).

1 იხილეთ წიგნები: TRABZON VILAYETI SALNAMESI ე.ი. ტრაბზონის ვილაიეთის წელიდწლეული. თითო წიგნი გვაწვდის თითო წლის მონაცემებს. ამ შემთხვევაში საინტერესოა 1873,1874 და 1875 წლები. ფოტოების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდი იმოლდა მაჭუტაძეს და ზურაბ მანველიძეს.

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ტრაბზონისა და ერზრუმის ვილაიეთების ნაწილი, ისტორიული საქართველოსა და სომხეთის მხარეები, საქართველოსა და სომხეთთან ერთად რუსეთის იმპერიას ერგო, ნაწილი კი აღნიშნულ ვილაიეთებში დარჩა.

წყაროები და ლიტერატურა

1. სვანიძე მ., სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნის მიწურულში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973 წ.
2. ჯამბურია გ., საქართველოს გაერთიანების ცდები. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (60-90-იანი წლები), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, თბილისი, 1973 წ.
3. შაშიკაძე ზ., ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული III, ბათუმი, 2002 წ.
4. ილდიზთაში მ., საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბოლი, 2012 წ.
5. ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბილისი, 1975 წ.
6. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII, თბილისი, 1971 წ.
7. სვანიძე მ., სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის მიტაცება ოსმალთა მიერ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, ბათუმი, 2009 წ.
8. უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., ბათუმი, ისტორია და თანამედროვეობა, თბილისი, 2013.
9. მუსხელიშვილი დ., ბასიანი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბილისი, 1977 წ.
10. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი 1995 წ.
11. Emiroğlu küdret, TRABZON VILAYETI SALNAMESI-1869, Özkan Matbaacilik Ltd sti, ANAKARA, Harizan, 1993.
12. Emiroğlu küdret, TRABZON VILAYETI SALNAMESI-1870, Özkan Matbaacilik Ltd sti, ANAKARA, Harizan, 1993.
13. Administrative divisions of the Ottoman Empire (https://en.wikipedia.org/wiki/Administrative_divisions_of_the_Ottoman_Empire).
14. Eyalet (https://en.wikipedia.org/wiki/Eyalet)
15. childir Eyalet (https://en.wikipedia.org/wiki/Childir_Eyalet)
16. Trebizond Eyalet (https://en.wikipedia.org/wiki/Trebizond_Eyalet)
17. Erzurum Eyalet (https://en.wikipedia.org/wiki/Erzurum_Eyalet)
18. Pasinler, Erzurum (https://en.wikipedia.org/wiki/Pasinler,_Erzurum)
19. Kars Eyalet (https://en.wikipedia.org/wiki/Kars_Eyalet).
20. სსცსა - საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 16, საქმე 8085.
21. სსცსა - საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 231, საქმე 99.

Aleksandre Chkhaidze

Georgia under administrative-territorial organization of Ottoman Rule

Summary

The highly fortified Ottoman Empire in the 16th century conquered part of Georgia and turned another part of it under its influence. They created administrative-territorial units on the conquered lands. The arrangement of these units, as in the rest of the empire, was also consistent with the military-feudal system. Historic Georgia came within four Eyalets. From here, the Childir and Trabzon Eyalet were all part of our country, and Erzurum and Kars - partly.

The territory of the modern Adjara Autonomous Republic was united into different administrative-territorial units under Ottoman rule.

In the Ottoman Empire in the XIX century, according to the reforms carried out in the 1960s, the historical Georgian sides merged into two vilayets created in the northeast of the country: Trabzon and Erzurum.

In 1877-1878, as a result of the Russian-Ottoman war, part of Trabzon and Erzurum vilayets (the territories of historical Georgia and Armenia) became part of the Russian empire along with Georgia and Armenia, and some part remained in the mentioned vilayets.

ჯემალ კარალიძე

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია

ცარიზმმა გამოიყენა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი საერთაშორისო ვითარება და საქართველო დაიპყრო. 1801 წლის მანიფესტით მან დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულება. რუსეთი ესწრაფოდა მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას და შავ ზღვაზე პოზიციების განმტკიცებას. ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი მოელოდა იმერეთის სამეფოსაც „სოლომონ II კარგად იცოდა, რომ რუსეთის მთავრობის საბოლოო მიზანი იმერეთის სამეფოს გაუქმება იყო, ამიტომ იგი არ ენდობოდა რუს მოხელეთა ტკბილ სიტყვებს და დიდ სიფრთხილეს იჩენდა“ (ბენდიანიშვილი,1980:51). შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო სოლომონ II შეშფოთების საფუძვლიანობა, თუმცა მისი აცილება შეუძლებელი აღმოჩნდა. რუსეთის თვითმპყრობელობა იმთავითვე შეუდგა საქართველოში კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა იძულებით გასახლებას. ასეთი მოქმედების მიზეზი ძნელად მისახვედრი არ იყო. „ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო ქართველი ხალხის აბსოლიტურ უმრავლესობას დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურად მიაჩნდა. სწორედ ამიტომ ცდილობდა ასე დაჟინებით რუსული ხელისუფლება საქართველოს გაწმენდას სამეფო სახლის წარმომადგენლების, ბაგრატიონებისაგან, ყველა მათგანის რუსეთში გადასახლებასა და მკაცრი კონტროლის ქვეშ მოქცევას” (საქართველოს ისტორია, IV, 2012:16).

საქართველოს მიმართ ცარიზმის უკიდურესად რეაქციულმა პოლიტიკამ, დღის წესრიგში ქართველი ერის სულიერი და შემდეგ კი მისი ფიზიკური ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა .

საქართველოში არსებული სახელმწიფოებრივი წყობა და საეკლესიო მმართველობის სისტემა ცარიზმს ვერ გამოადგებოდა იმ პოლიტიკური მიზნების განხორციელებაში, რომელსაც ის საქართველოში ისახავდა. საუკუნეების მანძილზე საქართველოს ეკლესია გამოდიოდა ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად, იდეოლოგიურად აერთიანებდა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში, სათავეში ედგა ერის კულტურულ ცხოვრებას. „ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ნებისმიერ ეტაპზე ქრისტიანულ სარწმუნოებას უაღრესად რთული, დროისათვის შესაფერისად საჭირო პოლიტიკურ-სამართლებრივი, კულტურულ-იდეოლოგიური ფუნქცია ეკისრებოდა, რაც მას კონკრეტულ სახეს აძლევდა და ჩამოყალიბებულ, დახვეწილ სტრუქტურას უქმნიდა“ (პავლიაშვილი, 1995:3). საქართველოში თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით, ცარიზმი შეუდგა სახელმწიფო და სასულიერო მმართველობის სისტემის რეორგანიზაციას, რომლის დროულად გატარებასაც პირველხარისხოვან სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ ღონისძიებით თვითმპყრობელობა საქართველოში ნერგავდა ქართველებისათვის უცხო სახელმწიფო სისტემას, რაც საბოლოო ანგარიშში ითვალისწინებდა ისეთი ბიუროკრატიული აპარატის შექმნას, რომელიც დააჩქარებდა საქართველოს კოლონიად ქცევას და მისი ხალხის გარუსებას. ასეთი საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტას კი მთავრობა ქართულ ეკლესიას ვერ მიანდობდა, რადგან თვლიდა, რომ ის თავისი სტრუქტურითა და სასულიერო პირთა შემადგენლობით ამ საქმისათვის არ გამოადგებოდა. მთავრობამ დაიწყო მზადება საქართველოს ეკლესიის მმართველობის რეორგანიზაციისათვის (ხუციშვილი,1987:16).

საქართველოში დამკვიდრებისთანავე ცარიზმი ცდილობდა სასულიერო ცხოვრებაში მომხდარი ყოველგვარი წვრილმანიც კი თავისი ავტორიტეტის ამაღლების სამსახურში ჩაეყენებინა. ამ მიზნით გამოიყენეს 1801 წ. პეტერბურგიდან თბილისში „სასწაულმოქმედი“

ჯვრის (საუბარია წმ. ნინოს ჯვარზე, რომელიც ჯერ ანანურში გადამალეს, შემდეგ კი რუსეთში წაიღეს) გადმოსვენების ცერემონიალი. მას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. გენერალ კნორინგს ამის შესახებ მითითებებს აძლევდნენ, რომ ჯვრის გადმოსვენება, საქართველოს მკვიდრთა მიმართ, რუსეთის მეფის კეთილგანწყობისა და ზრუნვის გამოხატულება გამხდარიყო. ამ დღესასწაულზე ქართველი ხალხისათვის საშუალება უნდა მიეცათ, რათა მას გამოემჟღავნებინა თავისი კეთილი გრძნობები და სიყვარული იმპერატორისადმი. რუსული ხელისუფლება საქართველოში პირველი დღიდანვე შეეცადა სამღვდელოება თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. მაგრამ საქართველოს სასურიერო წოდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თვითმპყრობელობას საქართველოში დაუხვდა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ოპოზიციურად განწყობილი სამღვდელოება, რომელიც მიუხედავად ცალკეული ნაკლოვანი მხარეებისა, მოსახლეობაში დიდი გავლენით სარგებლობდა (წვერავა, 2003:9). მთავრობისათვის ნათელი იყო, რომ ქართველი სამღვდელოება უკმაყოფილო იყო და იგი არ გამოადგებოდა თავისი პოლიტიკის განხორციელებისათვის.

მთავრობამ დაიწყო მზადება საქართველოს ეკლესიის რეფორმისათვის, რომლის უპირველესი ღონისძიება უნდა ყოფილიყო სასულიერო დიკასტერიის დაარსება, საეკლესიო ქონების აღწერა და შემოსავლის დაზუსტება, სასულიერო პირთა რაოდენობის დადგენა და სამრევლოების მოწესრიგება, ავტოკეფალიის და კათალიკოსის თანამდებობის გაუქმება, სასულიერო განათლების ახლებურად ორგანიზაცია და სხვ. რეფორმის გატარებისათვის საჭირო ყოველგვარი ცნობების შეგროვება და მისი პროექტის შედგენა დაევალა საქართველოს კათალიკოს პატრიარქ ანტონ II.

ცარიზმი აპირებდა საქართველოს ეკლესიის გადარქმნას რუსულ ყაიდაზე. საქართველოს ეკლესიის მმართველობის წესი რუსულისაგან განსხვავდებოდა. მის სათავეში იდგა კათალიკოს პატრიარქი (უპირატესად ბაგრატიონთა საგვარეულოდან), რომელიც დიდი უფლებით იყო აღჭურვილი... იგი ეკლესიას განაგებდა თავისი შეხედულებისამებრ და მეფე მის საქმეებში იშვიათად თუ ერეოდა. ქართული ეკლესია ეკონომიკურად დამოუკიდებელი იყო. საქართველოს ეკლესია ამ დროისთვის ფლობდა დიდძალ ქონებას, სახნავ-სათეს მიწებს, ტყეებს, სათევზაო ადგილებს, წისქვილებს, შენობებსა და სხვა ქონებას. იგი იყო ეკონომიკურად დამოუკიდებელი ერთეული, ამით იგი მკვეთრად განსხვავდებოდა რუსული ეკლესიისაგან, რომელიც იმ დროისათვის რუსეთის ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს ნაწილად იყო გადაქცეული და საერო ხელისუფლებისადმი დამორჩილებული (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2009:1093).

საქართველოში კი პირიქით სახელმწიფო ხელისუფლება არ იყოფოდა საერო და სასულიეროდ. ქვეყნის ხელისუფლების სათავეებთან იდგნენ ეკლესიის უმაღლესი იერარქები, მაგალითად, სწორედ განსახილველი დროისთვის, იმერეთის სამეფოში მართალია, მეფე უზენაესი ხელისუფალი იყო, მაგრამ იმერეთის სამეფოს საქმეებს იგი წარმართავდა „საბჭოს“ დახმარებით, რომლის წევრები არა მარტო რჩევებში იღებდნენ მონაწილეობას, არამედ დიდმნიშვნელოვან თანამდებობებსაც ფლობდნენ. საბჭოში მონაწილეობდა ოთხი ეპისკოპოსი: ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, გელათელი მიტროპოლიტი ექვთიმე, ნოკორწმინდელი მიტროპოლიტი სოფრონიოსი, მთავარეპისკოპოსი ანტონი. ჩამოთვლილი მღვდელმთავრები საბჭოში დიდი უფლებებით სარგებლობდნენ, მათ შეხედულებებსა და მოსაზრებებს მეფე ყოველთვის გულმოდგინედ ისმენდა და დიდ ანგარიშს უწევდა.

რა თქმა უნდა ქართული ეკლესიის ასეთი სახით არსებობა ცარიზმს არ აწყობდა. ამიტომ რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, როგორც უკვე ითქვა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია იყო.

საეკლესიო რეფორმა ითვალისწინებდა სასულიერო დიკასტერიის მოწყობას.

ზრუნავდა რა სასულიერო უწყების ქონების დაზუსტებაზე, მთავრობას განზრახული ჰქონდა მისი გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავდა საქართველოს ეკლესიის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოსპობასა და სახელმწიფოსადმი მის სრულ დამორჩილებას. დიკასტერიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო თვითმპყრობელობის ერთგული სასულიერო პირების აღზრდა, რისთვისაც მთავრობა თბილისში სასულიერო სემინარიის გახსნას გეგმავდა. სასულიერო სემინარიის დაარსებით მთავრობა აპირებდა მოემზადებინა მონარქისტულ-კლერიკალურ იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდა სასულიერო წოდება, რომელიც მთავრობის პოლიტიკის ერთგული იქნებოდა. იქვე აღიზრდებოდნენ სასულიერო მისიონერებიც, რომელთა საქმიანობაზე დიდად იყო დამოკიდებული კავკასიის მთიან რაიონებში ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენა-გავრცელება და კავკასიაში რუსეთის ავტორიტეტის განმტკიცება (აქტები,IV,1870:140).

რეფორმა, მართალია ეხებოდა საეკლესიო ცხოვრების ყველა მხარეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ითვალისწინებდა სასულიერო წოდების განაწყენებას. პირიქით, მისი ძირითადი მიზანი იყო ეკლესიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამორჩილებასთან ერთად სასულიერო პირების გულის მოგება, მათი სახით ერთგული მსახურების გაჩენა (ხუციშვილი,1987:116).

1810 წლის 3 მარტს კათალიკოსი ანტონ მეორე თითქოს საქართველოს საქმეების მოწესრიგების მიზნით, პეტერბურგში გაიწვიეს. ერთი წლის შემდეგ სინოდის ობერ-პროკურორ გოლიცინისაგან მოვიდა შეტყობინება, რომელშიც ანტონის სამშობლოში დაბრუნების დაგვიანების მიზეზად მისი ავადმყოფობა იყო დასახელებული.

ანტონ II-ის პეტერბურგში გაწვევის შემდეგ საქართველოში დიკასტერიის მეთაურად, როგორც ნავარაუდევი იყო, ვარლამ ერისთავი დანიშნეს და მას საქართველოს ეგზარქოსის ტიტული უბოძეს. მასვე დაევალა რეფორმის განხორციელება. ვარლამმა საქართველოს მთავარმართებელ ტორმასოვს წარუდგინა რეფორმის პროექტი, რომელიც თითქმის უცვლელად დაამტკიცა რუსეთის წმინდა სინოდმა 1811 წლის 30 ივლისს.

საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია, ანუ გაუქმდა ივერიის უძველესი საკათალიკოსო. ჩნდება კითხვა, ჰქონდა თუ არ რუსეთის მართმადიდებლურ ეკლესიას ამის უფლება.

რა თქმა უნდა არა. რუსეთის სინოდმა საქრთველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით დაარღვია 30-ე და 35-ე მუხლი მოციქულთა კანონებისა, ასევე ანტიოქიის კრების 22-ე კანონი, რომლის მიხედვით რუსეთის ეკლესიას არ შეეძლო მასზე უძველეს საქართველოს ეკლესიაზე თავისი უფლება განეხორციელებინა. ამისათვის საჭირო იყო ერთის მხრივ თვით ქართველი ხალხის მიერ საკუთარი ავტოკეფალიის უარყოფა, ხოლო მეორე მხრივ მსოფლიო კრების გადაწყვეტილება. რუსეთის ეკლესიამ კი არაკანონიერი გზით, თვითნებურად გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია (წვერავა, 2003:11).

სასულიერო დიკასტერიამ საქართველოში 1814 წლამდე იარსება, ვიდრე მის ნაცვლად დაარსდებოდა საქართველო-იმერეთის უწმინდესი მმართველობითი სინოდის კანტორა. მიუხედავად იმისა რომ ვარლამი ენერგიულად ხელმძღვანელობდა საქართველოს საქმეებს, თვითმპყრობელობას ქართველის ამ თანამდებობაზე დატოვება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა და 1817 წელს ვარლამი გაიწვიეს რუსეთში. მის ადგილას კი დაინიშნა თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821 წწ.). ამ დროიდან საქართველოში ეგზარქოსებად მხოლოდ რუსი ეროვნების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ.

ჩამოსული მღვდელმთავრები გამოირჩეოდნენ თვითმპყრობელობისადმი დიდი ერთგულებითა და მკაცრი ხასიათით, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ საქართველოში რუსული პოლიტიკის დასამკვიდრებლად. ეგზარქოსების სამოქმედო პროგრამა კარგად იყო

ჩამოყალიბებული შავრაზმელ მღვდელ ვოსტოგროვის სიტყვაში: „საქართველოს ეგზარქოსს..., უპირველეს ყოვლისა უნდა ახსოვდეს, რომ ვალდებულია მთელი თავისი ენერგია მოახმაროს ქართველის გარუსების საქმეს რელიგიურ საფუძველზე" (ხუციშვილი,1987:116).

თეოფილაქტე რუსანოვის დანიშვნამ ქართული ეკლესიის მეთაურად აღაშფოთა, როგორც ქართველი სამღვდელოება, ისე თავადაზნაურობა. რუსანოვმა სცადა, საქართველოს მთელი საეკლესიო მმართველობის რუსულ ყაიდაზე გარდაექმნა. მას ქართულ ეკლესიაში შემოჰქონდა რუსული ენა, დასავლეთ საქართველოში 8 ეპარქიის (ქუთაისის, გელათის, რაჭის, ხონის, ჯუმათის, ჭყონდიდის, ცაიშის, ცაგერის) ნაცვლად ტოვებდა 3 ეპარქიას. ეკლესიებისა და მღვდელთმსახურების რიცხვი ორჯერ მცირდებოდა (გოგოლაძე, 1971:13).

1819 წ. მაისში თეოფილაქტე რუსანოვი პროკურორ ჭილაშვილის თანხლებით ჩავიდა იმერეთში და უშუალოდ ხელმძღვანელობდა რეფორმის გატარებას. იმერეთის მმართველის დახმარებით ეგზარქოსმა დაიწყო ცნობების შეგროვება იმერეთ-გურია-სამეგრელოს ეკლესიებზე, სამრევლოთა რაოდენობაზე, საეკლესიო მამულების შემოსავლის შესახებ. მაგრამ მყისვე წააწყდა მღვდელმთავრების, თავადაზნაურებისა და ხალხის წინააღმდეგობას. ეგზარქოსის მოხელეებს სოფლებშიაც კი არ უშვებდნენ (ბენდიანიშვილი, 1980:78). მოძრაობამ თანდათან მასობრივი ხასიათი მიიღო. 1819 წ. 2 ივლისს იმერეთის თავადაზნაურობა რაჭის თავადაზნაურობას სწერდა: „... განზრახვა აქვთ (იგულისხმება რუსანოვი - ჯ.კ.) ბევრი ჩვენი წმინდა ეკლესია დაანგრიონ, წმინდანთა ნაწილები და სახელგანთქმული ჯვრები ჩამოგვართვან. ჩვენთვის მლოცველ არქიერებს და მღვდლებს გვართმევენ, საშუალებას გვისპობენ ვადიდოთ ქრისტე. თუ ხელშეუხებლად რჩება ებრაელთა, სომეხთა და კათოლიკეთა რწმენა და ეკლესია, რატომ ჩვენ უნდა ვიყოთ გამონაკლისი? აგარიანთა ბატონობის დროს არ მოუყენებიათ ჩვენთვის ასეთი შეურაცხყოფა... ნუ მისცემთ პასუხებს გამოგზავნილ აღმწერებს, გაისტუმრეთ უკან ისევე გაწბილებულნი, როგორც ჩვენ გავისტუმრეთ. თუ ისინი მოახერხებენ ზოგიერთთა მოტყუებას, ძალით ჩამოართვით შევსებული ფურცლები. ნუ მიუშვებთ თეოფილაქტეს მოხელეებს ნურც მღვდლებამდე და ნურც ხალხამდე." (აქტები, ტVI, 1876:391).

შექმნილ ვითარებაში მთავარმართებელი ერმოლოვი ურჩევდა რუსანოვს დროებით ხელი აეღო რეფორმის გატარებაზე. თუმცა ეგზარქოსმა არ შეისმინა. საეკლესიო რეფორმა დასავლეთ საქართველოში 1819-1820 წწ. დიდი აჯანყების მიზეზი გახდა, რომლის ჩაქრობაც ხელისუფლებას ძვირი დაუჯდა.

აჯანყების შემდეგ მთავრობამ შეცვალა ტაქტიკა და რეფორმის ერთბაშად გატარებაზე უარი თქვა. თუმცა დროებით, 1821 წ. იმერეთში ერთი - ქუთაისის, ხოლო 1823 წლიდან სამეგრელოშიც ერთი - ჭყონდიდის ეპარქია შექმნეს.

ამრიგად, რუსეთის თვითმპყრობელობამ საქართველოს დაპყრობის შემდეგ იერიში მიიტანა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობაზე. გააუქმა ავტოკეფალია, შეამცირა ეპარქიების და ღვთისმსახურების რაოდენობა, აღწერა და მიიტაცა საეკლესიო ქონება. საქართველოს ეკლესიას მძიმე ჟამი დაუდგა. მაგრამ მძიმე მდგომარეობის მიუხედავად იგი ასრულებდა ერის სულიერ წინამძღოლობას, უფრო მეტიც, თავის წიაღში აღზარდა თაობა, რომელმაც მოამზადა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა 1917 წელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აქტები, ტომი IV, თბილისი, 1870 წ.
2. აქტები, ტომიVI, თბილისი, 1876 წ.

3. ბენდინიშვილი ალ., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ., თბილისი, 1980 წ.

4. გოგოლაძე დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბილისი, 1971 წ.

5. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი, 2009 წ.

6. საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში, ტომი IV, თბილისი, 2012 წ.

7. პავლიაშვილი ქ., საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წწ.,თბილისი, 1995 წ.

8. ხუციშვილი მ., საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბილისი, 1987 წ.

9. წვერავა ვლ., საქართველოს საეგზარქოსოს სამისიონერო მოღვაწეობა XIX საუკუნეში, ქუთაისი, 2003 წ.

Jemal karalidze

Georgian Annex by Russia and Georgian orthodox church

Summary

Russian rulers used the convenient international situation created at the edge of XVIII-XIX centuries breached the treaty of Georgievsk and annexed Georgia. Tsarism started to abolish Georgian state institutions which were inappropriate for its farreaching conquering aims.

Georgian orthodox church played an important mission in the history of Georgia , that’s why those who intended to assimilate Georgia attacked Georgian church. Tsarism tried to control Georgian spiritual life.

In 1811, through abrogating autocefalia and conforming to Russian synod, Russia traid to establish its own ideological basis by assuming church property.

ემზარ მაკარაძე, ბექა მაკარაძე

საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის 1921 წლის ხელშეკრულებაში

საბჭოთა რუსეთის წარმატებებმა ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ პირველ მსოფლიო ომში დიდი გავლენა მოახდინა თურქეთის 1918-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე.

1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქელალ ათათურქმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა ლენინს, რომელშიც იგი გამოთქვამდა სურვილს, რომ დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან და სთხოვდა მას აღმოეჩინა თურქეთისათვის დახმარება ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში (სვანიძე, 2005.325).

კავკასიის საკითხი XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის ერთ-ერთი აქტიური თემა იყო საბჭოთა რუსეთისა და თურქეთისათვის. ორივე სახელმწიფო ცდილობდა, როგორმე ისე წარემართათ თავიანთი ურთიერთობები, რომ არ მომხდარიყო მათი ინტერესების გადაკვეთა. სწორედ მათი ინტერესების სფეროს წარმოადგენდა საქართველოც, რომელიც ორივე მხარისათვის დიდი ინტერესის საგანი იყო.

საქართველოს რესპუბლკის მიერ 1918 წლის 26 მაისს მოპოვებული დამოუკიდებლობა ანკარის მთავრობამ 1921 წლის 8 თებერვალს სცნო დე იურედ და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

1921 წლის იანვარს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ შესთავაზა ანკარის ხელისუფლებას განახლებულიყო მათ შორის მოლაპარაკება. იმავე წლის 18 იანვარს ანკარის დელეგაცია მოსკოვში ჩავიდა. ხელშეკრულების საკითხში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საქართველოს საკითხი იყო. ფაქტი ერთია, რომ ვერც ერთი მხარე ვერ ეგუებოდა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობას და ცდილობდნენ შეხვედრაზე მწვავედ განეხილათ მისი საკითხი.

1921 წლის იანვრისათვის, საბჭოთა რუსეთს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მოეხდინა საქართველოს ოკუპაცია. თავის მხრივ, ანკარის მთავრობასაც ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ საქართველოს მიმართ.

ასეთ ვითარებაში, რუსეთმა და თურქეთმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გადაწყვიტეს მოლაპარაკების დაწყებამდე ხელთ ეგდოთ საქართველოს ტერიტორია და მიღწეული შედეგი გაეფორმებინათ ხელშეკრულებით.

1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია სომხეთიდან შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და შეუდგა მის ოკუპაციას. 25 თებერვალს წითელი არმიის მიერ თბილისის დაკავების შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. რომლის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა, რომ ვითარება ამიერკავკასიაში ხელსაყრელი იყო და გადაწყვიტა თურქეთთან დაეწყო მოლაპარაკება (სვანიძე, 2005:327).

1921 წის 26 თებერვალს მოსკოვში დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება რუსეთსა და თურქეთს შორის. საბჭოთა რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა კომისარი გ.ჩიჩერინი, ხოლო თურქეთისას ქემალ ბეი.

თურქეთის მთავრობის მეთაური მუსტაფა ქემალი კმაყოფილი იყო მოსკოვში თურქეთ-რუსეთის მოლაპარაკების მიმდინარეობით, მან 1 მარტს თურქეთის დიდი ეროვნული კრების სესიაზე განაცხადა: „ძმური დამოკიდებულებანი, რომელნიც არსებობენ ჩვენსა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შორის. ძალზე კარგ გზაზე არიან, ჩვენ ვცდილობთ განვამტკიცოთ ეს დამოკიდებულებანი უფრო სერიოზული პრინციპებით იმ კონფერენციაზე, რომელიც ამჟამად

შეკრებილია მოსკოვში“.

1921 წლის 16 მარტს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება „მეგობრობისა და ძმობის შესახებ.“ იგი შედგებოდა 16 მუხლისა და სამი დამატებისაგან. ხელშეკრულებით მყარდებოდა მეგობრული და ძმური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის (**Сборнике действующих договоров, 1960:**212).

საბჭოთა რუსეთის მთავრობა აუქმებდა მეფის რუსეთსა და სულთნის მთავრობებს შორის დადებულ ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც არ შეესაბამებოდა ორივე ქვეყნის ინტერესებს. აგრეთვე უარს აცხადებდა ყველა იმ პრივილეგიებზე, რომლითაც მეფის რუსეთი სარგებლობდა თურქეთში. მეტად მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულების ის მუხლი, სადაც საქართველოს საკითხი იყო განხილული. ხელშეკრულების მიხედვით ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს გადაეცა, ხოლო თურქეთის შემადგენლობაში დარჩა ყარსის, არტაანისა და ართვინის მაზრები, რომლებიც 1914 წლამდე შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში. იმ ტერიტორიის საერთო ფართობი, რომელიც გადაეცა თურქეთს შეადგენდა 19,915 კვ/კმ, ხოლო მოსახლეობა 492 ათას კაცს.

ხელშეკრულების მე-15 მუხლით, საბჭოთა რუსეთის მთავრობა იღებდა ვალდებულებას, რომ საბჭოთა მთავრობა გადადგამდა ნაბიჯებს, რათა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ეცნოთ ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც უშუალოდ მას ეხებოდა (სვანიძე, 2005:35).

1921 წლის მოსკოვის ხელშეკრულების მე-15 მუხლის შესაბამისად ყარსში, 26 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე ჩატარდა კონფერენცია ამიერკავკასიის რესპუბლიკების, თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით.

მათ შორის ყველაზე დიდი კამათი გამოიწვია საზღვრის საკითხმა. ამიერკავკასიის დელეგაციამ მოითხოვა, თურქეთს საქართველოსათვის დაეთმო სოფელ სარფის სამხრეთი ნაწილი, ხოლო სომხეთისათვის - ისტორიული ქალაქის ანის ნანგრევები. მაგრამ თურქეთი არანაირ დათმობაზე არ წავიდა. თურქეთის დელეგაცია უარს აცხადებდა მოსკოვში დადგენილი საზღვრის შეცვლაზე. თურქეთს სურდა მიეღო ფართო შეღავათები ბათუმის ნავსადგურზე კონტროლის დაწესების მიზნით, მაგრამ უშედეგოდ.

1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსში ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ყარსის ხელშეკრულება იმეორებდა მოსკოვის ხელშეკრულების დებულებას და შედგებოდა 20 მუხლისა და სამი დამატებისაგან. ხელშეკრულების პირველი მუხლით ოფიციალურად გაუქმდა 1918-1920 წლებში ხელმოწერილი ხელშეკრულებები ამიერკავკასიისა და თურქეთის მთავრობებს შორის. ყარსის ხელშეკრულება აფართოებდა და ამტკიცებდა ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს.

თურქეთისათვის ყარსის ხელშეკრულებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მან მოხსნა ომის საშიშროება კავკასიაში და უზრუნველყო თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრების ხელუხლებლობა.

ამრიგად, 1921 წლის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებებმა თავისებური ასახვა ჰპოვა საქართველოსთან მიმართებაში. ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ დარჩა ყარსის, არტაანისა და ართვინის ტერიტორიები, ხოლო ბათუმი და ბათუმის ოლქი კი ავტონომიის სახით დაუბრუნდა მშობლიურ ფესვებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია(1923-2000), თბილისი, 2005 წ.
2. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299-2000), თბილისი, 2007 წ.

3. «Сборнике действующих договоров…», вып. III, М., 1922 г.
4. Документы внешней политики СССР ტ.4, Москва,1960 г.

Emzar Makaradze, Beka Makaradze

The subject of Georgia in the Agreement of 1921 between Russia and Turkey

Summery

Successes of soviet Russia against Antanta Republic during the First World War had big influence on national movement for freedom.

The subject of Caucasus in the 20s of XX century was one of the active topic for soviet Russia and Turkey. Both Republics somehow were trying to direct their relations in order not to coincide their interests and Georgia was light case as the subject of the interest.

The agreement of Russia, Turkey, Moskow and Kars had typical reflection towards Georgia.

The territories of Kars, Artaan and Artvin were remained outside the borders of our country. But Batumi and Batumi district were returned as a form of Autonomy to the roots of motherland.

საშა ლეკვეიშვილი

აჭარელი ქალი XX საუკუნის 20-30-იან წლებში

ქართველმა ხალხმა უხსოვარი დროიდან შემოინახა შეხედულებები ქალზე, რომლის მიხედვითაც, დედაში, ქალობასთან ერთად კაცობაც არის მოცემული. დედა ქართულ ენაში, საწყისის, ძირითადის, უმთავრესის, საფუძველის აღმნიშვნელია.

ძველი საქართველოს სახელოვან ქალთა გმირობით აღფრთოვანებული ილია წერდა: „ქართველებისათვის დედა მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა ენას“ ეძახის. უფროს ქალაქსაც - „დედაქალაქს“. მკვიდრ და დიდ ბოძს სახლისას - „დედაბოძს“, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს - „დედაბურჯს“, სამთავრო აზრს - „დედააზრს“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გაღონიერებული და თავმოსაწონებელი! „ქალი“-იმოდენას გეტყვის, რასაც მეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“, მასთან ერთად „კაცი“!

აკაკი წერეთლის აზრით, ქართველი ქალის იდეალი ყოველთვის იყო სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მტრისგან მისი გამოხსნის ფიქრი, მშობლიური ქვეყნის თავისუფლება, წარმატება და ბოლოს, პირადი ბედნიერება.

წმინდა ექვთიმე განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ქალებს საქართველოს ისტორიაში: „ქალი იყო ქართული ოჯახის ბურჯი, სიმტკიცე და საფუძველი სახელმწიფოსი. ქართველი ქალის ხელთ იყო არა მარტო სამეურნეო ნაწილი ოჯახისა, არამედ უმთავრესად შვილების აღზრდა, წერა-კითხვის სწავლება, ქართულ ზნეთა და რწმენათა ჩანერგვა. ქართველი ქალი უზრდიდა საქართველოს ღირსეულ შვილებს. არა ნაკლები იყო ქართველი ქალის როლი პოლიტიკაშიც, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში... ისიც ფაქტია, რომ საქართველოს აყვავების ხანა, მისი პოლიტიკური და კულტურული ზენიტი ქალის მეფობას ხვდა“.

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა, წერდა: „... ქართველი ქალები არიან ტანოვანნი, საკვირველად აგებულნი და წელში გასაოცრად წვრილნი, ბუნებით მეტად ნიჭიერნი, მახვილი გონებისანი, ზრდილნი, თავაზიანები, თავმომწონენი, ამასთანავე ამაყნი და ამპარტავანნი. მათ დიდად მოსიყვარულე გული აქვთ“.

არქანჯელო ლამბერტი - იტალიელი მისიონერი, ქართველ ქალებზე აღფრთოვანებული წერდა: „ქართულთ წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, ქალებს რომ არ შეენახათ იგი ასე, ამ ქვეყანაში თუ ვისმეს სურს კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელიმე ქალს მიებაროს სასწავლებლად“.

XIII საუკუნის ცნობილი ქართველი მწერალი და მემატიანე ტბელ აბუსერისძე თავის თხზულებაში „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწმისა გიორგისანი“... მოგვითხრობს ქალთა ღვაწლზე ამ კუთხის - აჭარის ეკონომიურ და კულტურულ დაწინაურებაში... თავისი დედის - ხათუთის, მეუღლის - ბაგულის, დის - ვანენისა და სხვათა როლზე კულტურულ-აღმშენებლობით საქმიანობაში, სამონასტრო ცხოვრებაში. განსაკუთრებით აღნიშნავს თავისი დის ვანენის ღვაწლს: „ეკლესიათა აღაშენა წმიდისა იოანე მახობლისათ და ღმრთისმეტყველისათ სამკუდრებელი ჩვენი, და აღავსო საწყაული კეთილი“. იქვე აღნიშნავს თავისი მეუღლის - ბაგულის წვლილზე წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობაში (ხიხანის წმინდა გიორგის ეკლესია).

საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სახალხო მეურნეობაში სამხრეთ საქართველოს ქალის როლი და ადგილი ძირეულად შეიცვალა ოსმალთა ბატონობის პერიოდში.

დამპყრობელი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა სამხრეთ საქართველოს გამაჰმადიანებას. ვინმე მესხი (გვარამაძე) თავის წერილში წერს: „რომელ ხორციელ ენას

შეუძლია, რომ წარმოსთქვას თვითოეული იმდროინდელი ქრისტიან მამათა და დედათა დასჯა-ტანჯვა. ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ვის ოთხ პალოზე გაყრილს ბაწრებით გუდად იღებდნენ, ვის ნაკუწ-ნაკუწ სჭრიდნენ ხმლითა და ვის ხანჯლით გულმუცელს უპობდნენ, ვის შამფურზედ გაცმულს ცოცხლებრივ ცეცხლზე მწვადივით სწვავდნენ, ვის შიშველს გახურებულ თონეზე აგდებდნენ... რკინის საწვავებით ხვრეტდნენ, ვის ადუღებულ წყალში ხარშავდნენ, ვის გამდნარს ასხამდნენ პირში, ვის ანთებულ საკირეში აგდებდნენ“.

თავისუფლებისმოყვარე აჭარის მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა დამპყრობთა ბატონობას, ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს. აღსანიშნავია, რომ ხშირად ამ აჯანყებათა წამომწყები ქალები იყვნენ“.

ძალადობამ თავისი გაიტანა და განვითარებული ფეოდალური კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი ქალი ჩამორჩენილი დამპყრობლის გავლენაში მოექცა, ყურანის მონა გახდა და ჩადრით შეიბურა. „ლაღი ქვეყნის შვილები, სილამაზითა და გონებამახვილობით განთქმული ქართველი ქალები ოსმალთა ბატონობის უღელმა თანდათან ჩამოაშორა საზოგადოებრივ ასპარეზს და კერას მიაჯაჭვა, როგორც მამაკაცის მონა-მორჩილი“ - წერს ისტორიკოსი ხ.ახვლედიანი თავის წიგნში „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან.

ყურანი ქალებს ათანაბრებდა ნივთებთან - ქმარს ისე შეეძლო ბატონობა ქალზე, როგორც უსულო საგანზე: „კაცნი ქალთა უმაღლეს არიან იმ ვითარებისა გამო, რომლითაც მათ უმაღლეს ასწია“. ქალების მონურ მდგომარეობას მაჰმადიანური ადათი ასე აყალიბებდა:“ქალს სცემე, თუ ცემით არ მოკვდა, ბლაგვი ცულით მოკალი“.

თედო სახოკია ასე აღწერს გამაჰმადიანებული ქართველი ქალის მდგომარეობას: „საშინელია აქაური დედაკაცის მდგომარეობა... ტანჯვა-წვალებაა ამ დაჩაგრული არსების ხვედრი. ბუნებასთან ბრძოლა ხომ არ აკლია... რელიგიისაგან ჩაგვრა კიდევ სხვაა. სახლში ჩაკეტილია. არ შეუძია გარეთ, მამაკაცების საზოგადოებაში გაერიოს. ქმარს უფლება აქვს ფეხსაცმელივით მოიცვალოს და გაუშვას, იმის ბადლად სხვა შეირთოს“.

ქალები სწავლების საქმეს ჩამოაცილეს. დააარსეს რელიგიური სკოლები, რომლებშიც გოგონებს 13 წლამდე ასწავლიდნენ და მხოლოდ კითხვას, წერა ქალის საქმე არააო.

გამაჰმადიანებულ ქართველ ქალს მძიმე ტვირთად დააწვა ქალის თხოვა-გათხოვების მუსლიმანური წესი, რომლის მიხედვითაც ქალი ფაქტობრივად იყიდებოდა.

ოსმალთა ბატონობის პერიოდში გაჩანაგდა აჭარის მეურნეობა, დაკნინდა მაღალი კულტურა, მაგრამ დამპყრობლებმა მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. მართალია, მოსახლეობა გაამუსლიმანეს, მაგრამ ვერ გაათურქეს, ეროვნული ფესვი ვერ ამოძირკვეს. ქართული ზნე-ჩვეულება, ენა, წინაპართა ტრადიციები ყველაზე მეტად შემოინახა აჭარამ.

დამპყრობლები ქართულ წერა-კითხვასა და ლაპარაკს ისევე სდევნიდნენ, როგორც ქრისტიანობას, მაგრამ აჭარელი ქალები ხშირად სარგებლობდნენ ქართული დამწერლობის ნიმუშით - „დედაბრული ხელით“, მხოლოდ ქალებში.

„დედაბრული“ ანბანი ქართულია, მაგრამ უცხო თვალი ერთი შეხედვით ქართულ ანბანს ვერც კი მიამსგავსებდა. თედო სახოკია წერდა: „ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობს. მეტადრე ქალები არიან წმინდად დამცველი ჩვენი ენისა...თუ წერა და ნაწერის კითხვა იცოდნენ, ისევ ქალებმა...თვით სახე ამათი ნაწერი ანბანისა მეტად დაშორებულია ჩვენი აწინდელი წერისაზე და შეჩვეული თვალისათვის მეტად მძიმე გასარჩევია... ყოველ ანბანს ამათ მიერ დაწერილს სამკუთხედის ფორმა აქვს“.

პოეტმა ნანა გვარიშვილმა აჭარელი დედისადმი მადლიერების გრძნობა ასე გამოხატა:

„აჭარელო დიდო დედავ,

ნისლში მანდილს ვხედავ.

შენ იხსენი ბულბულთ სტვენა

ტკბილი დედაენა“.

ქართველმა მუსულმანმა ქალებმა ეროვნული ჩაცმულობაც შემოინახეს. ჩადრქვეშ მათ ქართული ტანსაცმელი ეცვათ მთის ქალისა, ხოლო გულისპირებსა და სამაჯურებზე ქართული ორნამენტები იყო ამოქარგული. ჯვრებია გამოსახული ქალის წინდებზე, ხელთათმანებზე და ქისებზე. ჩუმად სანთელსაც ანთებდნენ.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ჰაიდარ აბაშიძემ ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე ბათუმში აღნიშნა: „აჭარამ სამი საუკუნის მანძილზე ცეცხლში გამოატარა თავისი ყოფა, თავისი ცხოვრება და აჭარელმა ქალმა, ამ სახელოვანმა ქართველმა დედამ უმწიკვლოდ შეგვინახა და ბრძოლით მოიტანა ჩვენი ტკბილი მშობლიური ენა“.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა. საქართველო ზეიმობდა, რომ აჭარას, ოსმალეთის სამსაუკუნოვანი ბატონობის მიუხედავად, კვლავაც ქართული სული ედგა.

ცარიზმის ძირითადი ამოცანა იყო აჭარის მოსახლეობის რუსიფიკაცია, მისი ბატონობის განმტკიცება, ამიტომ მას ხელს აძლევდა დაპყრობილი ხალხების სიბნელე-გაუნათლებლობა. ეს კარგად ჩანს ოლქის მზრუნველის - იანოვსკის საიდუმლო წერილიდან, რომელიც მან ქალაქის თავს - ლუკა ასათიანს გაუგზავნა ქალთა გიმნაზიის გახსნის თაობაზე: „არ არის სასურველი გიმნაზიის გახსნა, რადგან იგი მხოლოდ გაამრავლებს ინტელეგენტი ქალების რიცხვს, რაც სასურველი არ არის“.

XIX საუკუნის ბოლოსათვის დაიწყო ქალთა მოძრაობა, საქართველოშიც ალაპარაკდნენ ქალთა როლის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცარიზმის ეროვნულმა და კლასობრივმა ჩაგვრამ ქართველი ქალიც დააფიქრა. 1916 წელს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოქვეყნდა ფეოდოსია ჯაფარიძის წერილი „ფიქრი ქართველი ქალისა“ „...დღევანდელი მდგომარეობა ქართველ ქალს დიდი საგონებელში აგდებს. დადგა დრო ქალთა სრული გამოფხიზლებისა... ძველი გზით სვლა და უმოქმედობა სასტიკ დანაშაულად ჩაგვეთვლება და ისტორია არ გვაპატიებს“.

მრავალჭირნახულმა აჭარამ უკან მოიტოვა ოსმალთა ბატონობა, მაგრამ ძალით მოხვეული ჩვეულებანი კიდევ დიდხანს შეინარჩუნა. ქალების საერო განათლებისა და კულტურის დონე ძალიან დაბალი იყო, მცირე იყო მათი როლი საზოგადოებრივ წარმოებაში. მრავალსაუკუნოვანი ყოფა-ცხოვრებით დაბეჩავება მძიმე ტვირთად აწვა ქალს.

1921 წელს ჯერ საქართველოს, შემდეგ კი აჭარის გასაბჭოებამ ცოტათი შეუმსუბუქა ქალს თავისი ყოფა. შეძლო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა და სხვადასხვა საქმიანობაში ჩაბმა. აჭარაში ძალიან რთული იყო ქალის გამოყვანა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამისათვის შეიქმნა ქალთა განყოფილებები: ორგანიზატორთა ინსტიტუტი, დელეგატთა კრება, გლეხი ქალის კუთხე, კლუბები.

ქალთა განყოფილებები იყენებდნენ ქალთა დღესასწაულებს, როგორც ქალთა მასების აღზრდისა და დარაზმვის საუკეთესო საშუალებას. აჭარელმა ქალებმა 8 მარტის დღესასწაულში პირველად 1924 წელს მიიღეს მონაწილეობა. ამ დღეს პირველად გაიგონეს ქართველი მაჰმადიანი ქალის ხმა. „აჭარელი ქალები მივესალმებით იმ 8 მარტს, რომელმაც მივიწყებულ და დაბეჩავებულ ფუხარა ქალებს მოგვანიჭა უფლება - გავმხდარიყავით თანასწორუფლებიანი მოქალაქენი, გვეყოფა, რაც დაცინვა და უუფლებობა ავიტანეთ“.

აჭარის ქალთა ბათუმისა და ჭოროხის მაზრის კომიტეტი შეიქმნა 1924 წლის 18 ივლისს,

რომლებიც ქმნიდნენ ქალთა კლუბებსა და კუთხეებს. მათი ამოცანა იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში, საწარმო არტელებში, ჭრა-კერვის სკოლებში და სხვ. ქალთა ჩაბმა. ამ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ალთუნ შაშიკაშვილი, ლამიე აბაშიძე, ულფეთ ქიქავა, აიშე ვარშანიძე, მასი ბაკურიძე, ზექირე შამილაძე, აიშე კარალიძე, ნაზიკო ჩიჯავაძე, საბრიე წულუკიძე, საქინე ხუსეინ-ოღლი, სადიე შერიფ კიზი და სხვა.

ბათუმში ქალთა კლუბის გახსნის საკითხი დაისვა 1922 წელს, მაგრამ ფაქტობრივად მუშაობას შეუდგა 1924 წლის 18 ივნისს. იგი გაიხსნა ლიბკნეხტისა და ტელმანის (ამჟ. მაზნიაშვილისა და ფარნავაზ მეფის) ქუჩების მდებარე საცხოვრებელ სახლში. სახლზე გაკრული იყო პლაკატი -უჩადრო ქართველი ქალი ამომავალი მზისკენ მიუთითებდა ხელებშებორკილ მაჰმადიან ქალს. იქვე წარწერა იყო: „კმარა სიბნელე. გავწიოთ სინათლისკენ, მივცეთ ქალს თავისუფალი გზა ცოდნისაკენ“. კლუბის პირველი გამგე იყო ალთუნ შაშიკაშვილი, რომელსაც მძიმე პირობებში უწევდა მუშაობა. კლუბის მიზანი იყო: აჭარელ ქალებში განავითაროს საწარმოო, საზოგადოებრივი და კულტურული ჩვევები, ხელი შეუწყოს მათ ეკონომიურ დამოუკიდებლობას, ქვეყნის აღმშენებლობაში ჩაბმას და სხვა.

კლუბების მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი: მინირე აბაშიძე, აიშე ქიქავა, ნარიე შერვაშიძე, ფიზე ზეინალ-ზადე, ზექიე დიასამიძე, ზექიე ხინიკაძე, მეხფულე დიასამიძე, ქევსერ თხილაიშვილი და სხვ.

მარტო წერა-კითხვის შესწავლა არ იყო საკმარისი, საჭირო იყო საერთო პოლიტიკური და პროფტექნიკური განათლებაც. ამ მიზნით 1929 წელს კლუბთან შეიქმნა ორწლიანი პროფესიული კურსები, სადაც აჭარელი ქალები ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასთან ერთად პროფესიულ განათლებასაც იძედნენ. კურსებზე ასწავლიდა შვეიცარიაში უმაღლესგანათლება მიღებული ანა ქავთარაძე, პედაგოგები: თ.მაჭუტაძე, მ.დოლიძე. აღმზრდელები: მ.ბახტაძე, ო.ჟღენტი, ჰ.კომახიძე, დ.მდინარაძე და სხვ. ვინაიდან კურსები ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, დიდად გაიზარდა სწავლის მსურველთა რაოდენობა, ამიტომ კურსები გამოეყო კლუბს და მის ბაზაზე შეიქმნა პედაგოგიური ტექნიკუმი.

აჭარელ ქალთა სამეურნეო ცხოვრებაში ჩაბმის მიზნით მოეწყო ხალიჩებისა და წინდების სახელოსნოები. წინდის საქსოვი სახელოსნო მუშაობდა ხულოში მუხთერ ბოლქვაძის სახლში, ხალიჩებისა - დიდაჭარაში.

ხულოში მომუშავე ქალთა ორგანიზატორი აგრაფინა თალაკვაძე წერდა: „ნაწილი ქალებისა თვითონაა სწავლის წინააღმდეგი, რადგან ქალის სწავლას რჯული კრძალავს, მაგრამ ისეთებიც არიან, რომლებსაც ჭრა-კერვისა და წერა-კითხვის შესწავლის დიდი სურვილი აქვთ, მაგრამ მათ ეშინიათ მამაკაცებისა...“. მიუხედავად ამისა აჭარელი ქალები, განსაკუთრებით ახალგაზრდები იმთავითვე დაინტერესდნენ ჭრა-კერვისა და წერა-კითხვის სწავლით. ისინი მოითხოვდნენ გაეხსნათ სკოლები და გაეგზავნათ მასწავლებელი ქალი“.

კლუბმა 1935 წლამდე იარსება და თავისი არსებობის 11 წლის მანძილზე ათასობით აჭარელი ქალი გამოიყვანა ახალი ცხოვრების გზაზე, აზიარა ახალ ცხოვრებას, გაზარდა მათი როლი.

უცხოეთის ოკუპაციამ, ხელიდან-ხელში გადასვლამ მთლიანად მოშალა აჭარის სამეურნეო ცხოვრება. დღის წესრიგში დადგა ახალ საწარმოთა მშენებლობის საკითხი. დაიწყო ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, აჭარისწყლის ელექტროსადგურისა და სხვა საწარმოთა მშენებლობა. სახალხო მეურნეობის აღდგენა და განვითარება შეუძლებელი იყო ქალთა მონაწილეობის გარეშე.

აჭარელი ქალები თანდათან პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზეც გამოვიდნენ. საბჭოების არჩევნებში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბათუმის მშრომელი ქალები, მათ შორის

დიასახლისებიც. სოფლად კი პოლიტიკური აქტივობა სუსტი იყო. 1926 წელს გაზეთი „ფუხარა“ (N40) წერდა: „ხანუმებიც გამოვიდნენ სოფლის საქმეებში მონაწილეობის მისაღებად. ეს უდიდესი მოვლენაა იმ მოვლენათა შორის, რომელსაც კი ადგილი ჰქონია აჭარისტანის სინამდვილეში“.

ქალთა შორის მუშაობა განსაკუთრებით ძნელი იყო მაღალმთიან სოფლებში. მუხთერ ბოლქვაძე საქმიანი და გაბედული ქალი იყო, მას მოკვლითაც კი ემუქრებოდნენ, მაგრამ ხელი ვერ ააღებინეს ქალთა შორის მუშაობაზე. რთული პირობების მიუხედავად, მათმა დაუზარელმა შრომამ შედეგი გამოიღო. აჭარელი ქალები თანდათან შეეჩვივნენ საზოგადო საქმეებზე ლაპარაკს. ქედის თემის, სოფელ ცხმორისის ქალებმა გაილაშქრეს მრავალცოლიანობის წინააღმდეგ, მოითხოვეს ჭრა-კერვის სკოლების გახსნა. ხულელი ქალები მოითხოვდნენ გზებისა და ხიდების შეკეთებას, შრომის სკოლის გახსნას, ყალიმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

აჭარაში, ისე როგორც მთელ საქართველოში, რთულად, მაგრამ მაინც მოხდა ეკონომიური და კულტურული ცვლილებები, რამაც გამოიწვია დამდგარიყო ჩადრის წინააღმდეგ და მედრესე-მექთებეს გაუქმების საკითხი. ჩადრის ახდის სამზადისსა და თვით ჩადრის ახდაზე დაშვებული იქნა შეცდომები. 1928 წლის 20 ივლისს ხულოში მოეწყო მიტინგი. საზეიმოდ მორთულ კლუბში ჩადრი პირველმა მოიხადა ხოზრევანიძის ქალმა. მას სხვა ქალებმაც მიბაძეს. სულ 150 ქალმა მოიხადა ჩადრი, მაგრამ შინ დაბრუნებულებმა ისევ ჩამოიფარეს. ასევე სხვადასხვა სოფლებში ტარდებოდა მიტინგები და ქალები იხდიდნენ ჩადრს. ჩადრახდილი ქალების სახელით მუხთერ ბოლქვაძე წერდა: „დღეს ჩვენი აჭარელი ქალების მზე ამოვიდა, მონობას ბოლო ეღება და განთავისუფლებული ქალები ჩადრს იხდიან. დღეს ეს შეიძლება ბევრს სირცხვილადაც მიაჩნია, მაგრამ სირცხვილია ჩადრის ტარება და არა უჩადროდ სიარული“.

კმარა ამდენი გაჭირვება, კმარა ამდენი ხნის მონობა, ჩვენც ხალხი ვართ, ჩვენც ადამიანური ცხოვრება გვინდა - ამბობდნენ ქართველი მაჰმადიანი ქალები.

დაშვებულმა შეცდომებმა 1929 წლის მარტში ხულოში მღელვარება გამოიწვია. მიზეზი მარტო ჩადრის ახდა და მედრესე-მექთებეების დახურვა კი არა, ეკონომიური საფუძველიც იყო. მღელვარებამ შემდეგ შეიარაღებული აჯანყების სახე მიიღო, მაგრამ მოსახლეობა არ აჰყვა მოწინააღმდეგებს და მღელვარებაც მშვიდობიანად დამთავრდა.

თანდათანობით ძირეული გარდატეხა მოხდა აჭარის ქალთა ცხოვრებაშიც. ისინი მუშაობას იწყებდნენ ახალგახსნილი ფაბრიკა-ქარხნებში, სახელოსნოებსა და არტელებში. ხდებოდა ქალთა კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება. მოწინავე მუშა ქალებს აწინაურებდნენ ბრიგადირებად და აგრეგატის უფროსებად. დაწინაურდნენ: ლუთბიე ჭიჭინაძე, ემინე მეგრელიძე, ემინე ხალვაში, ბედრიე კომახიძე, რომელიც 1932 წლიდან სატრიკოტაჟო ფაბრიკის დირექტორი იყო, აიშე ქიქავა - წინდების ფაბრიკის დირექტორი.

ამრიგად, აჭარაში მრეწველობის განვითარების საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს აჭარელმა ქალებმა, რომლებმაც უკუაგდეს ძველი ადათ-წესები, მამაკაცების მხარდამხარ დადგნენ და იღწვოდნენ.

სოფლად საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ძირითადად მუშაობდნენ აჭარელი ქალები. სახელი გაითქვეს: ლუთბიე მანელიშვილმა, მერიემ გორგაძემ, ემინე მსხალაძემ, აიშე მახარაძემ, მერიემ ბეჟანიძემ, ჰურიე მანელიშვილმა, ზექიე გორგაძემ, ნაზიე გორგილაძემ, ხატიჯე მსხალაძემ, სულთან ცეცხლაძემ და სხვ.

კარგი მაგალითი უჩვენა ანგელინა (აიშე) გურგენიძემ. შრომაში დაწინაურებული გოგონა თანასოფლელებმა სსრკ-ას უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ანგელინა მონაწილეობდა სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობის მუშაობაში. აქვე შეხვდა იოსებ სტალინს,

რომელიც დაინტერესდა მისი შრომითი საქმიანობით და დაულოცა მომავალი ცხოვრების გზა.

აჭარელი ქალის ჩაბმა სამრეწველო თუ საკოლმეურნეო შრომაში არ იყო საკმარისი. საჭირო იყო მისი პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლება. განსაკუთრებით რთული იყო აჭარელ ქალთა მონაწილეობის საკითხი არჩევნებში. მათთვის ცალკე იყო მოწყობილი საარჩევნო ურნები, მამაკაცებისათვის ცალკე. მიუხედავად ამისა, აჭარელ ქალთა აქტიურობა ძალიან სუსტი იყო დასაწყისში. გაჭირვებით, მაგრამ მაინც ნელ-ნელა ებმებოდნენ აჭარელი ქალები საზოგადოებრივ საქმიანობაში. ასე, მაგალითად, 1926 წელს ქალები მონაწილეობდნენ არჩევნებში: ხულოში - 15, ქედაში - 8, აჭარისწყლის მაზრაში - 41, ქობულეთში - 330, ბათუმის მაზრაში - 490. მონაწილე ქალთა რაოდენობამ შემდეგ წლებში იმატა.

1936-1937 სასწავლო წელს აჭარა დაიფარა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების ფართო ქსელით. გასული საუკუნის 20-30-იან წლებში უმაღლესი განათლების მქონე და გიმნაზია დამთავრებული ქალი თითო-ოროლა იყო. 1912 წელს ბათუმის ქალთა გიმნაზია დაამთავრა შემდგომში ცნობილმა პროფესორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ - ანა მენაბდემ, 1921 წელს ნინო და თამარ ღლონტებმა, სონია სკამკოჩაიშვილმა, თამარ შარაშიძემ და სხვ. ქალთა განათლების ინტერესები მოითხოვდა მასწავლებელ ქალთა კადრების მომზადებას. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა ბათუმის პედ-ტექნიკუმმა, რომელიც 1923 წელს შეიქმნა. დირექტორი იყო შუქრი ვარშანიძე. 1926-1927 სასწავლო წელს სასწავლებელმა პირველი კადრები გამოუშვა. გაზეთი „ფუხარა“ წერდა: „წელს სკოლაში პირველად შედის პედინსტიტუტის კურსდამთავრებული 10-მდე მასწავლებელი. მალე ვაჟებთან ერთად აჭარელი ქალებიც მოევლინებიან სოფელს მასწავლებლებად. აჭარისტანის კულტურის ისტორიაში ეს წელი განსაკუთრებით აღინიშნება“.

1929 წელს 8 მარტთან დკავშირებით ქალთა კლუბთან არსებული პროფესიული სკოლა აჭარელ ქალთა სამწლიან პედაგოგიურ ტექნიკუმად გადაკეთდა.

თავისი არსებობის მანძილზე ქალთა პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრა 128 ქალმა. ბევრმა სწავლა გააგრძელა უმაღლეს სასწავლებელში და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი გახდა. მათ შორის იყვნენ: ნინო ხახუტაიშვილი (აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი), ეთერ ცივაძე (აჭარის განათლების მინისტრის მოადგილე), ნაზიკო გოგიტიძე (ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმის დირექტორი), ანგელინა (აიშე) გურგენიძე (აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე) და სხვა. პედაგოგიურ ტექნიკუმს დაარსების დღიდან 1941 წლამდე ხელმძღვანელობდა ოლია ჩხიკვიშვილი.

1929-30 წლებში უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა აჭარიდან გაგზავნილი 150 სტუდენტი, მათ შორის 6 ქალი. XX საუკუნის 30-იან წლებში აჭარას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საკუთარი სპეციალისტები ჰყავდა. ესენი იყვნენ, ინჟინრები: მეხფულე დიასამიძე, ვასიე უსტიაშვილი, ბრილიანტა კვერღელიძე, ლილი სვანიძე; აგრონომები: ბესირე ხარაზი, ზინა აფაქიძე, ბედრიე უსტიაშვილი; ექიმები: მინირე აბაშიძე, თამარ კიკნაველიძე, მერი ერისთავი, მარგალიტა მაჭარაძე, ქეთევან ხორომანსკაია და სხვ. პედაგოგები: ნადია მაჭუტაძე, თამარ სიორიძე, მარო, ნადეჟდა, ნინო და თინათინ დოჭვირები, გულო ინაიშვილი, თამარ კვაჭაძე, ჰაჯიე ხალვაში, მარო მახარაძე და სხვ.

პირველი ექიმი ქალი აჭარიდან იყო ნევრესტან შაშიკაშვილი, რომელმაც თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა და თავის კუთხეს დაუბრუნდა, მუშაობდა ექიმად, 1938 წლიდან არის აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილე. 1962 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, იყო პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

1935 წლის 5 იანვრის გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ წერდა: „აჭარელი ქალი ის აღარ

არის, რაც იყო ამ რამდენიმე წლის წინათ... აჭარელი ქალები მიილტვიან ახალი ცხოვრებისაკენ, სწავლა-განათლებისაკენ... აჭარელმა ქალმა გაიგო თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლას, ცხოვრების სარბიელზე გამოსვლას. ამ ლტოლვას ახალი ცხოვრებისაკენ ვერ შეაჩერებს ვერავითარი ძალა“. მოწინავე აჭარელ ქალთა შორის ამავე გაზეთში დასახელებული იყვნენ: თუნთულ კვესეიშვილი, ლუთბიე მანელიშვილი, მერიემ მახარაძე, ელმას ცეცხლაძე და სხვა.

ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ აჭარის კულტურულ ცხოვრებაში, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში. აჭარიდან პირველი მხატვარი ქალი იყო მუთებერ ვარშანიძე, რომელიც მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა.

აჭარის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ხულოს რაიონის ქალთა მეჩონგურე ანსამბლი, რომელიც მელინიკი შარაშიძემ (ჭანიშვილი) ჩამოაყალიბა 1933 წელს. მელინიკი იმ დროს ჭრა-კერვის მასწავლებელი იყო და აქტიურად მონაწილეობდა ქალთა შორის მუშაობაში. ანსამბლმა მალე მოიხვეჭა სახელი აჭარის მოსახლეობაში. 1936 წელს ის თბილისს ეწვია და დედაქალაქის მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. ანსამბლმა 1937 წლამდე იარსება.

აჭარის ქალთა შრომა და ყოფა-ცხოვრება აისახა აჭარაში მომუშავე ქართველი მწერლების შემოქმედებაში. აღსანიშნავია პარმენ ლორია, რომელიც ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს, კორესპონდეციებსა და მოთხრობებს ქალთა ცხოვრებაზე. 1937-1938 წლებში მან გამოაქვეყნა რომანი „ჩაი“, რომლის მთავარი მოქმედი გმირის ფერიდეს (ქევსერის) სახით ავტორმა გვიჩვენა აჭარელი ქალის შრომისა და ცხოვრების რთული გზა.

აჭარელი ქალი ბუნებით მიდრეკილია პოეზიისაკენ. ისინი ლექსებით გამოთქვამდნენ თავიანთ დუხჭირ ცხოვრებას და იმედიანად შეჰყურებდნენ მომავალს. მთელი ისტორიაა ამ კუთხის გადმოცემული აჭარელი პოეტი ქალის ნანა გვარიშვილის ლექსში „ვაშლოვანი კვლავ ვაშლოვანია“.

უცხოელი დამპყრობლებისაგან გაუსაძლის ცხოვრებას ბევრმა ვერ გაუძლო, ზოგიერთი კი ნებაყოფლობით გადავიდა თურქეთში.

შერიფ ხიმშიაშვილის შვილიშვილი მელაათი თურქეთში ცხოვრობდა. მან სამშობლოს ნოსტალგია თავის ერთ-ერთ ლექსში გამოხატა:

„მენატრები ჩემო ხულო, ჩემო მიწავ ჭირნახულო,

თეთრ სიზმარში დანახულო, იქნებ ვეღარც გინახულო,

ვეფერები სხალთას, თაგოს, მანდ დარჩენა მიქადაგოს,

მშობელ მიწამ წამლად მარგოს, უცხოეთში არ დამკარგოს...

რა იქნება ჩემო ღმერთო, თაფლის სანთლად ჩამომღვენთო,

ხულოს ზეცა გადამხურო, ხულოს მიწა წამახურო,

რომ მშობლიურ აჭარაში, ჩემი სული სანთლად ენთოს...

დამესიზმრე წუხელ, ხულო, მთას კალთაზე დახატულო,

ჩემთვის ტაძრად შენახულო, მენატრები, ჩემო ხულო...“

ეს მარტო მელაათის ნოსტალგია არ იყო, სამშობლოს მოწყვეტილი ყველა ქართველის მონატრებაა და ეხმაურება დღევანდელობას.

გასული საუკუნს 20-30-იან წლებში იყო უდიდესი წინსვლისა და აღმავლობის წლები აჭარის ქალთა ცხოვრებაში. საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი, ისლამით დაჩაგრული, ჩადრში გახვეული მაჰმადიანი ქართველი ქალი სულ რაღაც ორ ათეულ წელიწადში საზოგადოებრივ ცხოვრების აქტიური მშენებელი გახდა.

ქართველ ქალთა ისტორიაში საინტერესო ფურცელი ჩაწერა აჭარიდან პირველმა მფრინავმა ქალმა ფადიმე გოგიტიძემ. 24 წლის ფადიკო ტრაგიკულად დაიღუპა 1940 წლის ოქტომბერში ერთ-ერთი საცდელი ფრენის დროს.

აჭარელმა ქალებმა გმირული ბრძოლითა და თავდადებული შრომით გამოიჩინეს თავი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში: ალექსანდრა ომერიძემ, ჰურიე ინაიშვილმა, მარგარიტა კარანაძემ, ნინო ნიკოლაიშვილმა, ჰურიე ანანიძემ, აფროდიტე სამსონაძემ, თინა თოიძემ, დარეჯან ღლონტმა, მარო ტუსკიამ და სხვ.

„ქართველობა ყოველთვის პატივს მიაგებდა ღირსეულ შვილთა დამსახურებას, როგორც მოეხერხებოდათ - ძეგლის აგებით, სახელის მინიჭებით, წიგნის მიძღვნით, თუ სხვა ცივილიზებული გზით“ - წერდა დიდი ილია.

აჭარა არ ივიწყებს იმ ადამიანებს, მათ შორის ქალებს, ვინც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოეშურებოდნენ საუკუნეებით მიტაცებულ და კვლავ დედასამშობლოსთან დაბრუნებულ კუთხეში, ვინც ცოდნის ლამპარი ააგიზგიზეს. დიდია ქალების წვლილი განახლებული აჭარის განვითარების ისტორიაში.

აჭარელი ქალები საზოგადოებრივ საქმიანობას კარგად უხამებდნენ დედობას და საოჯახო საქმეს. აჭარა განთქმულია მრავალშვილიანი დედებით, რომლებიც ზრდიდნენ და უზრდიან ღირსეულ შვილებს ქვეყანას.

თავისუფალი და განათლებული ქალი ოჯახის, ერის, საყოველთაო პროგრესის აუცილებელი პირობაა. აკაკი წერეთელი ასე აფასებდა ქალის მნიშვნელობას: „ნეტავი იმ ერს, ვისაც კარგი ქალები ჰყავს“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეგრელიძე ი., ექვთიმე თაყაიშვილი, თბილისი, 1989 წ.
2. სახოკია თ., მოგზაურობანი, თბილისი, 1950 წ.
3. ახვლედიანი ხ., სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1951 წ.
4. ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978 წ.
5. გოცირიძე მ., აჭარის ქალები ახალი ცხოვრების მშენებლები, თბილისი, 1971 წ.
6. რვა მარტი და აჭარელი ქალი, ბათომი,1926 წ.
7. აბაშიძე ჰ., წერილები, ბათუმი, 1960 წ.
8. კომახიძე თ., დიდი ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, ბათუმი, 2002 წ.
9. გვარიშვილი ნ., ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები, ბათუმი, 1953 წ.
10. გაზეთი „Трудовой Батуми“, 23.07.1924 წ.
11. გაზეთი „ფუხარა“, N40, 1926 წ.

Sasha Lekveishvili

Adjarian woman in the 20-30s of the 20th century

Summary

Three-century domination of the Turks left Adjara civilized back from the civilized world depicting the lag on its economic, political, educational and cultural development. Although the population became Muslim, the national spirit did not wane. Violence and cruelty made the Georgian woman a slave to the Koran and veiled her with a chador. Centuries-old life-style put a heavy load on Adjarian woman.

As a result of the Russian-Turkish War of 1877-1878, Adjara returned to its motherland, but the main policy of Tsarism was the Russification of Adjarian population.

The 20-30s of the XX century are the years of advancement and progress for Adjarian women. Deprived of public life, oppressed by Islam, she hardly but still became active builder of the public life.

A free and educated woman is a necessary condition for family, nation, and universal progress.

ნინო პორფილეს ასული ლომჯარია

ფადიმე ბასილაძე-დიასამიძე, ქედის ქალთა მოძრაობის აქტიური მონაწილე

აჭარის ქალთა კლუბთან არსებული წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრე

აჭარის ქალთა კომიტეტის წევრები. 1924წ (ცენტრში ზის ნუნუშ ბერიძე)

რუსუდან კობრავა

ვიეტნამური კერამიკა

(მუზეუმის ფონდსაცავში დაცული მასალების მიხედვით)

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდსაცავში დაცულია ვიეტნამური კერამიკული ნაკეთობების კოლექცია: სხვადასხვა ზომისა და ფორმის საყვავილე და დეკორატიული ვაზები, საყვავილე ქოთნები, სამშვენისები. ნაკეთობები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, სიჭრელითა და ორიგინალური ორნამენტებით. ნივთები დამზადებულია 1986 წელს ვიეტნამის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე პროვინცია დონგნაის ქალაქ ბიენჰოაში.

ქალაქი ბიენჰოა მდებარეობს ქალაქ ხოშიმინიდან 30 კილომეტრში და წარმოადგენს დონგნაის პროვინციის დედაქალაქს 1.104 მლნ. მცხოვრებით. ქალაქის ნაწილი გაშენებულია მდინარე დონგნაის სანაპიროზე. ბიენჰოა ითვლება ვიეტნამის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრად.

ტურისტული ინფრასტრუქტურა აქ ფაქტიურად არ არის განვითარებული. ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც ღირს ამ ქალაქის მონახულება, არის მთელს მსოფლიოში ცნობილი მხატვრული კერამიკა. ბიენჰოას ხელოვნების სკოლის მხატვრული კერამიკა დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს (www.vietnamguru.ru.Sity Bien-hoa).

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ბიენჰოას სამეთუნეო ნაკეთობებმა სახელი მოიხვეჭა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ჩვენს დროში ბიენჰოას ამ პერიოდის ნაკეთობები კოლექციონერებისათვის იშვიათ ანტიკვარულ ნივთებად ითვლება.

ქალაქი ბიეჰოა პირველია ინდოჩინეთში, სადაც გაიხსნა სამეთუნეო საქმის სასწავლო დაწესებულება. ეს იყო ბიენჰოას პროფესიული სწავლების სკოლა,რომელიც დაარსდა 1903 წელს. 1913 წელს სკოლას ეწოდა ბიენჰოას ძირითადი მოსახლეობის ხელოვნების სკოლა. 1923 წელს სკოლის დირექტორი გახდა რობერტ ბალიკი, რომლის მმართველობის პერიოდში ხარისხობრივად შეიცვალა ბიენჰოას კერამიკა. სკოლის ხელმძღვანელობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა დირექტორის მეუღლე მარიეტა ბალიკი, რომელმაც შეიმუშავა კერამიკის განყოფილების განვითარების სპეციალური გეგმა. კერამიკის განყოფილებაში იქმნებოდა ნაკეთობები, რომლებიც დაფარული იყო ჭრელი, ნაირფერადი მინანქრით, უნიკალური ტიპიური დეკორატიული ორნამენტით. ამუშავებდნენ უნიკალური ფერების მინანქრის განსაკუთრებულ სახეობებს.მინანქრის ფერების უმრავლესობა მიღებული იყო ნატურალური ნედლეულისაგან. მაგალითად, ბრინჯის ნერგის ჩალისაგან, ნაცრისაგან, მინისაგან, დინანგის თეთრი ქვიშისაგან და ა.შ. იმ დროში ქალბატონმა ბალიკმა და სკოლის ვიეტნამელმა თანამშრომლებმა შეძლეს მიეღოთ მინანქრის ისეთი იშვიათი სახეობა, როგორიცაა მინანქარი ნაცრისაგან, ბრინჯაოსფერი-მწვანე მინანქარი და მინანქარი, მიღბული ბიენჰოას ლატერიტისაგან.

ბიენჰოას კერამიკული ნაკეთობის დასამზადებლად დიდი დრო იყო საჭირო. ნაკეთობა საბოლოო სახის მიღებამდე რამდენიმე სტადიას გადიოდა.

თავდაპირველად თიხას ასხამდნენ სპეციალურ ფორმებში - ყალიბებში და დებდნენ მზეზე გამოსაშრობად. დიდი ზომის ჭურჭელს ხელოსანი ხელით ასწორებდა და ფორმას აძლევდა. გაშრობის შემდეგ ნაკეთობა გადმოჰქონდათ ფორმიდან და ხელით ფარავდნენ მინანქრით. ამის შემდეგ ხდებოდა ჭურჭლის გამოწვა. გამოწვის ოსტატს უნდა ჰქონოდა დიდი სამუშაო გამოცდილება. მას უნდა შეძლებოდა ტემპერატურის განსაზღვრა ღუმელში ცეცხლის ფერის მიხედვით და ამის საფუძველზე დაერეგულირებინა საწვავის რაოდენობა, რომ ტემპერატურა მიეყვანა მკაცრად განსაზღვრულ დონემდე. ღუმელში საწვავად გამოიყენებოდა ხის მერქანი.

გამოწვის შემდეგ ხდებოდა ნაკეთობის ხარისხის შემოწმება. საბოლოოდ, მზა ნაკეთობას ზემოდან ხელით ფარავდნენ უფერო საღებავის თხელი ფენით. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ჭურჭელი იყო დიდი ხნით გამძლე.

ბიენჰოას მხატვრული კერამიკა ფართოდ იყო ცნობილი ევროპისა და აზიის სავაჭრო მარკებისათვის მე-20 საუკუნის დასაწყისში. 1925 წელს ბიენჰოას ძირითადი მოსახლეობის ხელოვნების სკოლაში წარმოებული ნაკეთობები წარმოდგენილი იქნა პარიზის საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაზე და სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. ყველა ნაკეთობა გაიყიდა. ხოლო ბაზრობის შემდეგ მწარმოებლებმა მიიღეს დიდი რაოდენობით შეკვეთები. სკოლას საფრანგეთის მთავრობისაგან გადაეცა საპატიო სიგელი, ხოლო ბაზრობის ორგანიზატორებისაგან - ოქროს მედალი. რამდენიმე წლის შემდეგ, 1933 წელს პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე ბიენჰოას კერამიკამ მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი ადგილი საფრანგეთის, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ამის შემდეგ სკოლამ თავისი პროდუქცია წარადგინა ისეთ მსხვილ საერთაშორისო მნიშვნელობის გამოფენებზე, როგორიც იყო გამოფენა ნაგოიაში (იაპონია 1937 წ.), ჰანოიში (ვიეტნამი 1938 წ.), საიგონში (ამჟამად ხოშიმინი 1942 წ.), ბანგკოკში (ტაილანდი 1953 და 1955 წ.), პნომპენში (კამბოჯა 1957 წ.). ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს ბიენჰოას კერამიკის წარმატების პირველ პიკად მე-20 საუკუნეში.

ახლანდელ დროში ბიენჰოას ტრადიციული კერამიკა იწარმოება სხვადასხვა მასშტაბის 40-ზე მეტ საწარმოში, რომლებიც თავმოყრილია ქალაქ ბიენჰოას მიკრორაიონებში. წარმოების უმრავლესობა ეკუთვნის ოჯახურ მეურნეობებს, სადაც ხელობა თაობიდან თაობას გადაეცემა და ნაკეთობების დიდი ნაწილი იყიდება საზღვარგარეთ.

კითხვაზე, თუ რატომ სარგებლობს ბიენჰოას კერამიკა ასეთი ფართო პოპულარობით საერთაშორისო ბაზარზე, ვონგ კხიენგი, დონგნაის პროვინციის სამეთუნეო მწარმოებლების საზოგადოების გენერალური მდივანი პასუხობს: „ჩვენი ნაკეთობები გამოირჩევა უნიკალურობით და დეკორაციისა და მინანქრის იშვიათი სილამაზით, იმიტომ, რომ ბიენჰოას კერამიკის სტილი და ტექნოლოგია მიღებულია სამი მიმდინარეობის შერწყმით - ვიეტების, ჩინელების და ტიამების სამეთუნეო მოღწევების ესენციით“ (Нгуен Оань. Керамика Бьенхоа. (www.vietnam.vnanet.vn).

ამჟამად იწარმოება ძირითადად ორი სახის კერამიკა - თეთრი თიხის მხატვრული კერამიკა დეკორატიული კონტრრელიეფით ან უშუალოდ საღებავების დადებით და მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი შავი თიხის კერამიკა.

ბიენჰოას ტანვანის მიკრორაიონში მდებარეობს ოსტატ ნგუენ ხიუ ტანის საწარმო. ყოველდღიურად ეს საწარმო უშვებს 300-მდე ნაკეთობას. აქ ერთდროულად მუშაობს 30-ზე მეტი მუშა, რომლებიც მონაწილეობენ წარმოების სხვადასხვა სტადიებზე და შედეგად ერთბლივი მუშაობით მიიღება ეს ლამაზი ნაკეთობები. თვითონ ნგუენ ხიუ ტანი ამბობს, რომ „ეს საამქრო არის ჩემი მეურნეობის მრავალრიცხოვანი საამქროებიდან ერთ-ერთი. ხანდახან ჩვენ ისეთი მსხვილი შეკვეთები გვაქვს,რომ ვერ ვასწრებთ დანიშნულ დროში ვაწარმოოთ შეკვეთილი რაოდენობის საქონელი. 50 წელზე მეტია მე დაკავშირებული ვარ სამეთუნეო ხელობასთან და ყოველთვის ვცდილობ ჩემი ძალა და ჭკუა მთლიანად მივუძღვნა ტრადიციული ხელობის დაცვასა და განვითარებას,რომელიც მე გადმომეცა ჩემი მამისა და ბაბუისაგან“ (Нгуен Оань. Керамика Бьенхоа. www.vietnam.vnanet.vn).

ბიენჰოას კერამიკის ხარისხს ბევრი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს მინანქარი. მინანქრის შემადგენელ ინგრედიენტებსა და წარმოების ტექნოლოგიაზეა დამოკიდებული ნაკეთობაზე გადასატანი მინანქრის ფერი და გამძლეობა. მინანქრით დაფარვის ტექნიკაც, ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან

ნაკეთობის ზედაპირი უნდა დაიფაროს მინანქრის ძალიან თხელი და თანაბარი ფენით. სხვანაირად მიიღება უთანასწორო ზედაპირი, ნაპრალები და ასევე სერიოზული დეფორმაცია. ამიტომ ყველა სამეთუნეო საწარმო ცდილობს შექმნას არა მარტო ახალი დიზაინი, არამედ სრულყოს მინანქრის შემადგენლობა. ხოლო ოსტატები ინახავენ თავიანთი პროფესიული დამზადების საიდუმლოს.

კერამიკის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივი კლიმატური პირობებიც. აქაური კლიმატი საკმაოდ ტენიანია. წლის განმავლობაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა შეადგენს 26^0 C. მაისიდან ნოემბრის ჩათვლით არის წვიმების სეზონი. ლაკური ფერწერის გაშრობის მთავარი პირობა სწორედ ატმოსფეროს ტენიანობაა, რომლის გარეშეც ჟანგვის და გამაგრების ქიმიური პროცესი არ იქნებოდა შესაძლებელი (Прокофьев, 1961:47).

ბიენჰოას კერამიკა დიდებულია, როგორც მაღალი მხატვრულობით, ასევე, გამოყენების პრაქტიკულობით. აქაური კერამიკული ნაკეთობები - დასადგამები, ჭურჭელი, ვაზები, სამშვენისები არის სხვადასხვაგვარი დიზაინის, როგორც ტრდიციული, ასევე თანამედროვე. ამასთან ერთად შენახულია ამ კერამიკის განსაკუთრებული უნიკალური სტილი თხელი დეკორატიული მორთულობით. შენარჩუნებულია ნაკეთობის დამზადების ტრადიციული მეთოდები. შეცვლილია მხოლოდ გამოსაწვავი ღუმელი. ამჟამად გამოწვა ხდება გაზის ღუმელებში.

ბიენჰოას ხელოსნები, ასევე, ცნობილი არიან ტერაკოტის (წითელი ფერის გამომწვარი, მოუჭიქავი) ნაკეთობებით მინანქრის გარეშე, რომელიც გამოირჩევა სილამაზით და დიდი პოპულარობით სარგებლობს ბაზარზე.

ნაკეთობების დიდი ნაწილი აქამდე იგზავნება საზღვარგარეთ. დღეისათვის ბიენჰოას სამეთუნეო წარმოების საექსპორტო ბრუნვა შეადგენს 1 მილიონ ამერიკულ დოლარს წელიწადში.

განლაგებულია რა პოეტური მდინარე დონგნაის სანაპიროს გასწვრივ, 300 წლოვანი სამეთუნეო სოფელი ბიენჰოა აქამდე არსებობს და ვითარდება (Нгуен Оань. Керамика Бьенхоа. www.vietnam.vnanet.vn).

კომუნისტური რეჟიმის პერიოდში სსრ კავშირსა და ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ფარგლებში, 1988 წლის 27 ოქტომბრიდან 3 ნოემბრის ჩათვლით საქართველოში ჩატარდა ვიეტნამის სოციალისტური რეს-პუბლიკის კულტურის დღეები. საქართველოში ჩამოვიდა ვიეტნამის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვიეტნამის დონგნაის პროვინციის პარტიის კომიტეტის მუდმივი წევრი ვან ვინი. სტუმრები დაესწრნენ თბილისში გამართულ სახალხო დღესასწაულს „თბილისობას“. ჰქონდათ შეხვედრა თბილისის მე-6 და 32-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კოლექტივებთან, სადაც ათეულობით ვიეტნამელი ჭაბუკი და ქალიშვილი ეუფლებოდა მუშურ პროფესიებს. 1 ნოემბერს კი საქართველოში მიმდინარე ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის დღეები აჭარაში გაგრძელდა. სტუმრებმა, დონგნაის პროვინციის წარმომადგენლებმა, გვირგვინით შეამკეს ვ.ი. ლენინის ძეგლი ბათუმის ცენტრალურ მოედანზე. დღეების მონაწილენი ვიზიტით ეწვივნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს. აჭარის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში კი საზეიმოდ გაიხსნა გამოფენა, რომლის ექსპონატები მნახველს აცნობდნენ დონგნაის ცხოვრებასა და ყოფას, მის მიღწევებს ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. აქვე გამოფენილი იყო ფოტომასალები, რომლებიც ასახავდნენ ერთი წლის წინ ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში საქართველოს სსრ რესპუბლიკის მაგალითზე მოწყობილ სსრ კავშირის დღეებს. ექსპოზიციაში ფართოდ იყო წარმოდგენილი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ცნობილი ვიეტნამელი ხელმარჯვე ოსტატების ნამუშევრები:

კერამიკული და ქაშანურის ნაწარმი, ბამბუკის ნაკეთობები, ხალიჩები ეროვნული ორნამენტით. (გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1988: 3.11).

2 ნოემბერს ხელი მოაწერეს პარტნიორობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ აჭარის ასს რესპუბლიკისა და დონგნაის პროვინციის ხელშეკრულებას. იგი ითვალისწინებდა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში პირდაპირი კავშირურთიერთობის განვითარებას, საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების ტრადიციული ძმური ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას. კერძოდ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების - ყავის, კაკაოს, წიწაკის, კაუჩუკის, სოიის, მიწის თხილის მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების, აგრეთვე მეთევზეობის, საერთაშორისო ტურიზმის დარგის ერთობლივი საწარმოები და ა.შ. გადაწყდა, რომ ქართული და ვიეტნამური სამზარეულოს ერთთვიურები გაიმართებოდა დანგნაის პროვინციის ქალაქ ბიენჰოასა და ბათუმში (გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1988:5.11).

3 ნოემბერს ვიეტნამის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

აჭარის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში გამოფენილი ნივთები, მათ შორის 60 კერამიკული ნაკეთობა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 19 დეკემბრის აქტის საფუძველზე, 1989 წლის 13 იანვრის №3 განკარგულებით გადმოეცა აჭარის სახელმწიფო მუზეუმს. ვიეტნამური კერამიკული ნაკეთობების კოლექციაში შედის სხვადასხვა ფორმისა და ზომის საყვავილე და დეკორატიული ვაზები, საყვავილე ქოთნები და სამშვენისები. საინვენტარო №23407/1-55 (მუზეუმის საინვენტარო წიგნი №15). აღნიშნული ნაკეთობები გამოფენილი იყო 2008 წლის 18 მაისიდან 9 ივნისამდე, მუზეუმში დაცული ვაზებისა და კერამიკული ნაკეთობების გამოფენაზე.

ამრიგად, შორეულ ვიეტნამში დამზადებული ლამაზი კერამიკული ნაკეთობები სათუთად არის დაცული ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მრავალრიცხოვან ექსპონტებს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გენძეხაძე თ., გოლდმანი ო., მეგობრობის ხელშეკრულება. - გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1988 წ. 5 ნოემბერი, №212
2. ესტაფეტას აჭარა იღებს. - გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1988 წ. 3 ნოემბერი, №210
3. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის საინვენტარო წიგნი №15
4. Нгуен Оань., Керамика Бьенхоа. www.vietnam.vnanet.vn.
5. Прокофьев О., Современное искуство социалистических стран Востока. Москва 1961 г.
6. www.vietnamguru.ru.Sity Bien-hoa

Rusudan Kobrava

Vietnamese ceramics

(According to the material kept in the Museum Fund)

Khariton Akhvlediani Museum Foundation holds a collection of Vietnamese ceramic items - flowering and decorative vases, flower pots, of various sizes and shapes. 60 items

in total. The works were manufactured in 1986 in the city of Bien Hoa in Dong Nai Province, south-east of Vietnam. They are distinguished by their versatility, variegation, original ornaments and are practical to use.

Bien Hoa pottery works were known in many countries around the world in the late 19th and early 20th centuries and is still widely popular on the international market. The popularity of the pottery works was due to both traditional manufacturing technology and the rare beauty of decoration and enamel.

Bien Hoa ceramics is still used today in enterprises of various ranges. Most of the production belongs to family farms, where crafts are passed down from generation to generation.

ასეთ ფორმებში იქმნება ბიენჰოას სამეთუნეო ნაკეთობები

ფორმებში ჩასხმული თიხის გაშრობა მზეზე

გამშრალი ნაკეთობის ხელით დაფარვა მინანქრით

ნაკეთობების მომზადება ტრადიციული მეთოდით მერქანზე გამოსაწვავად

ნაკეთობების გამოწვა თანამედროვე ღუმელში

ნაკეთობის დაფარვა უფერო საღებავის თხელი ფენით

ვაზა საყვავილე

ვაზა საყვავილე

ვაზა საყვავილე

ვაზა საყვავილე

ვაზა საყვავილე



ვაზა საყვავილე

ვაზა საყვავილე

ვაზა საყვავილე



ვაზა საყვავილე

ვაზა დეკორატიული

ვაზა დეკორატიული

ვაზა დეკორატიული

ქოთანი საყვავილე

ქოთანი საყვავილე

ქოთანი საყვავილე

ქოთანი საყვავილე

ქოთანი საყვავილე

ქოთანი საყვავილე

ვაზა საყვავილე



ვაზა საყვავილე

ვაზა საყვავილე



ვაზა საყვავილე

ვაზა საყვავილე

სპილო. სამშვენისი

ორი სპილო. საფერფლე

ქოთანი საყვავილე

ქოთანი საყვავილე

ქოთანი საყვავილე

წერო. სამშვენისი

სპილო. სამშვენისი

მაყვალა გოგუა

მუზეუმში დაცული ჩიბუხების კოლექცია

ყალიონი (ჩიბუხი) წარმოადგენს სხვადასხვა მასალისაგან (ხე, თიხა, შაქრის ლერწმი, სპილოს ძვალი და სხვა) სპეციალურად დამზადებულ, თამბაქოს მოსაწევ საშუალებას. იგი განსაკუთრებული პოპულარობით მე-19 საუკუნის შუა პერიოდამდე სარგებლობდა. მისი გამოყენების ისტორია ერთობ მრავალფეროვანია, რადგან ყალიონს ადამიანები იმთავითვე იყენებენ, როგორც თამბაქოსაგან სიამოვნების მისაღებად, ასევე, სამედიცინო დანიშნულებისათვის და რელიგიური რიტუალების აღსასრულებლადაც. ყალიონის მაგვარი მილები მოხსენიებული აქვს ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ-ის V, VI საუკუნეებში ანტიკური მედიცინის დიდ ძველ ბერძენ რეფორმატორს - ჰიპოკრატეს, რომელიც თავის პაციენტებს სასუნთქი გზების დაავადებების ინჰალაციისათვის ურჩევდა სხვადასხვა ბალახეულის კვამლის შესასუნთქავად სწორედ ეს მილაკები გამოეყენებინათ. თუმცა ფაქტია, რომ იმ პერიოდისათვის ჰიპოკრატესათვის თამბაქოს არსებობა უცნობი იყო. მიუხედავად უამრავი ვერსიისა „ნამდვილი ყალიონის“ შექმნის ზუსტი თარიღი მაინც უცნობი რჩება. დღეისთვის არსებული მონაცემების თანახმად „ნამდვილი ყალიონის” გამოყენებას სათავე დაუდო აცკეტების, მაიას, ტოლტეკების და სხვა ინდიელი ტომის ხალხმა, რომლებიც მათ რელიგიური რიტუალებისათვის, სამედიცინო პროცედურებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების დროს იყენებდნენ. სპეციალისტთა მოსაზრებით პირველები ვინც ყალიონის საშუალებით თამბაქოს მოხმარება დაიწყო ინდიელი ხალხი - მაიას ტომი იყო. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ყალიონს გამოიყენებდნენ აფრიკის კონტინენტზე მაცხოვრებელი ხალხებიც, მაგრამ ისინი ამისათვის არა თამბაქოს, არამედ სხვადასხვა სახის მცენარეებს გამოიყენებდნენ.

ევროპაში პირველი ყალიონი ლათინური ამერიკიდან იქნა შეტანილი თამბაქოსთან ერთად. ფრანგმა მკლევარმა ჟაკ კარტიემ ანალოგიური ტრადიცია ინდიელი ხალხის კულტურაშიც აღმოაჩინა. 1559 წლიდან თამბაქო ესპანეთის სამეფოში გავრცელდა. საფრანგეთის სამეფო ელჩი პორტუგალიაში ჟან ნიკო მუდმივად თან ატარებდა სპეციალურ პაკეტში შენახულ ფხვნილისებურად დამუშავებულ თამბაქოს. რადგან იგი თავის ნერვიულ დაავადებას მიგნერის სამკურნალო საშუალებად იყო მიჩნეული.

ევროპაში თამბაქოს გავრცელებასთან ერთად ყალიონმაც დიდი დატვირთვა შეიძინა. 1590 წელს ინგლისელმა სახელმწიფო მოღვაწემ, ავანტურისტმა და ინგლისის დედოფლის ელისაბედ 1-ის ფავორიტმა მამაკაცმა სერ უოლტერ რეილიმ პირველად აჩვენა დედოფალს თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა - 4 ყალიონი. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ყალიონის ფართოდ გამოყენება და მალევე ინგლისელებმა მისი წარმოებაც დაიწყეს. 1602 წლისათვის ყალიონს უკვე მოიხმარდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნებში. აფრიკაში, ჩინეთში, ინდოეთში და იაპონიაში. 1625-1655 წლებში თამბაქოს მოსაწევ სპეციალურ მოწყობილობას, რომელსაც უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. „მსოფლიო მილაკი“ უწოდეს. ერთ-ერთი ინდიელი ტომის ლაკოტას ხალხში გავრცელებული ლეგენდის თანახმად „მსოფლიოს მილაკი“ ადამიანებს თავდაპირველად ერთ-ერთმა ღვთაებამ თეთრმა ბუფალო ქალმა გააცნო და მათ რელიგიური რიტუალებისას მისი გამოყენებაც შეასწავლა. სწორედ ამიტომ მიიჩნევდნენ ისინი ასეთი სახით ყალიონებს ,,წმინდა'' ნივთებად.

ფაქტია, რომ მაიას ტომის ინდიელი ხალხის მიერ შექმნილი ყალიონით სხვადასხვა ეპოქაში სარგებლობდნენ ისეთი ცნობილი ადამიანები როგორებიც იყვნენ: იოჰან სებასტიან ბახი, ნილს ბორი, ვინსტენ ჟაკ დერიდა, უოლტ დისნეი, სერგეი ესენინი, იმაუელ კანტი, არტურ კონან დოილი, მადონა, ბერტრან რასელი, ფრენკ სინატრა, მარკ ტვენი, ჯერარლდ ფორდი,

ჩარლზ ჩაპლინი, ალბერტ აინშტაინი და სხვები.

ძველი დასტაქრები და კულტმსახურები თვლიდნენ, რომ თამბაქოს პრაქტიკულად ყველა ავადმყოფის განკურვნა შეეძლო. მეზღვაურები და ჯარისკაცები თამბაქოს მოწევით დროსაც კლავდნენ და შიმშილსაც ივიწყებდნენ.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ნარკოტიკებისაგან განსხვავებით თამბაქო ნაკლებად მოქმედებდა ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ალბათ ამიტომ, მამაკაცებთან ერთად თამბაქოს მწეველები გახდნენ ქალები და ბავშვები.

თამბაქოს პირველი მწეველის ვინაობა დღემდე უცნობია. თამბაქოს ავკარგიანობის შესახებ დებატები საუკუნეებს ითვლის. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დღემდე თამბაქოს აქტიური მომხმარებელია.

ჩრდილო ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა თამბაქოს ეწეოდა ჩიბუხის საშუალებით. ამის კვალობაზე შეიქმნა მითები ჩიბუხზე, მის სოციალურ და რიტუალურ ფუნქციებზე.

მოგვიანებით ჩიბუხის მოწევა მამაკაცთა „პრივილეგიად“ ჩაითვალა. ჩიბუხი გახდა თავდაჯერებულობისა და მაღალი სოციალური სტატუსის სიმბოლო.

ჩიბუხები უფრო მეტად მყიფე სტრუქტურისაა და ამიტომ დიდი რაოდენობით გვხვდება შუა საუკუნეების ძეგლების გათხრებისას. ჩიბუხებს დატანებული აქვს დამღები, რომლებიც ერთამეთისაგან განსხვავდებიან შესრულების სტილით და ხარისხით. ჩიბუხის დამღები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩიბუხის მფლობელის სოციალური სტატუსისა და დამზადების ადგილსამყოფელის დასადგენად.

ჩიბუხების აბსოლიტური უმრავლესობა დამზადებული იყო თიხისაგან, ამიტომ ხშირი იყო მისი დაზიანების შემთხვევები. წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ თიხის ჩიბუხი, აქტიური მოხმარების პირობებში ერთ თვეზე მეტ ხანს ვერ ძლებდა დაუზიანებლად, აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ „პროფესიონალ“ მწეველებს ათეულობით, ზოგ შემთხვევაში კი ასეულობით ჩიბუხი ჰქონდათ მომარაგებული.

ყაყაჩოს თესლისაგან მიღებულ ოპიუმს, ჯერ კიდევ მარკო პოლოს მოგზაურობიდან ცნობილ ჰაშიშს, ღებულობდნენ კანაფის თესლისაგან. 1125 წელს იგი არაბულ ტექსტებში მოიხსენიება, რაც მეტყველებს, რომ მისი მოხმარება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ჰაშიში ინდურ ეპოსშიც მოიხსენიება.

მე-17 ს-ის ფრანგმა დიპლომატმა და სწავლულმა ჟან ნიკომ, რომელსაც შაკიკი აწუხებდა, თამბაქოს ფოთლების კომპრესით წარმატებით იმკურნალა. იცოდა რა საფრანგეთის დედოფლის - ეკატერინე მედიჩის და მისი შვილის, ჩარლზ მე-9 ავადმყოფობის შესახებ, ნიკომ დედოფალს თამბაქოს ფხვნილი გაუგზავნა. როგორც ჩანს, დედოფალმა მკურნალობით შვება იგძნო და ელჩს სამსახური დაუფასა, მცენარეს მის პატივსაცემად, „nicotiana“ ეწოდა. მადლიერმა დედოფალმა ნიკოს მამულებიც უბოძა და გამოსცა ბრძანება სამეფო ბაღებში თამბაქოს გაშენების შესახებ

აცკეტები წითელი ქარის მკურნალობის დროს ფეხებს თამბაქოს წვნიან ჭურჭელში აწყობდნენ. მაშკოს ტომელები თამბაქოს წვენს თვალში იწვეთებდნენ. ამერიკო ვესპუჩის ცნობით ვენესუელის ინდიელები თამბაქოს ფხვნილს ხმარობდნენ კბილების მათეთრებლად.

1613 წელს ლონდონში დაბეჭდილ ნაშრომში „რჩევები ჯამრთელობის შენარჩუნებისათვის“, საკმაოდ დამაჯერებლად იყო განმარტებული, რომ „ჩიბუხის მოწევა უზმოზე ნესტიან და წვიმიან ამინდში, წარმოადგენს ერთადერთ და უებარ წამალს ყველა ავადმყოფობისაგან თავის დასაცავად.

პორტუგალიელმა მეზღვაურებმა ითავეს და 1512 წელს, პირველად ამერიკის კონტინენტს

გარეთ თამბაქოს პატარა პლანტაციას ჩაუყარეს საფუძველი.

ესპანელმა კოლონისტებმა პირველებმა დაიწყეს თამბაქოს მოყვანა კუნძულ სანტა-დომინგოზე.

მე-17 - მე-18 საუკუნეების მანძილზე თამბაქო გავრცელდა ყველა ევროპულ და აზიურ ქვეყანაში.

1604 წელს მარიამ სტიუარტის შვილმა ინგლისის მეფემ ჯეიმს 1-მა სტიუარტმა გაილაშქრა თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ დევიზით „პროტესტი თამბაქოს“.

1654 წელს ინგლისში პურიტანული კოალიციის ლიდერის ოლივერ კრომველის ძალისხმევით, მომზადდა დეკრეტი, რომელიც კრძალავდა თამბაქოს გაშენებას.

1612 წელს სულთანმა ახმედ 1-მა შეზღუდა თამბაქოს მოხმარება.

მე-19 ს-ის ბოლოს, ბრძოლა თამბაქოს წინააღმდეგ ფაქტობრივად დასრულდა . უელსის პრინცმა ედუარდ მე-7 წარმოთქვა სიტყვა ბუკინჰემის სასახლეში: „ბატონებო, ამიერიდან თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად მოწიოთ თამბაქო’’

თამბაქოს გავრცელების კვალობაზე, თიხის ჩიბუხების ორი ძირითადი ტიპი ჩამოყალიბდა : ევროპული და აღმოსავლური.

ევროპული ერთნაწილიანი ჩიბუხები გავრცელდა ევროპის გზით ინგლისსა და ჰოლანდიაში, ნაწილობრივ მეზობელ ქვეყნებშიც.

აღმოსავლური ტიპის (სამნაწილიანი) ჩიბუხები, ფრანგი და პორტუგალიელი ვაჭრების, „მონდომებით“ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის გზით დამკვიდრდა სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზრვისპირეთში, ჩრდილოეთ აფრიკიდან და ეგვიპტიდან მოყოლებული თურქეთისა და ბალკანეთის ჩათვლით.

კლიმატური ფაქტორით უნდა ყოფილიყო განპირობებული ამა თუ იმ რეგიონში არა მარტო ჩიბუხის, არამედ თამბაქოს კონკრეტული სახეობის შერჩევის ძირითადი პრინციპით. ცხელი კლიმატური სარტყლის ქვეყნებში არჩევანს უფრო მსუბუქ და ზომიერ თამბაქოზე აკეთებდნენ, ხოლო ცივ კლიმატურ პირობებში მცხოვრებში, შედარებით მაგარ თამბაქოს ანიჭებდნენ უპირატესობას.

აჭარის სახელმწიპფო მუზეუმში ინახება ჩიბუხების კოლექცია, რომლის უმეტესებო მოპოვებულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად და მოტანილია მუზეუმში ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ.

ძირითადი მათგანი თიხისაგანაა დამზადებული და ძირითადად ოსმალური წარმოშობისაა. ჩიბუხების უმრავლესობა კარგადაა შემონახული, ზოგიერთი მათგანი კი დაზიანებულია. ჩიბუხები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფორმით, ზომით, წონით და შემადგენლობით. მუზეუმის ექსპოზიციაში გამოტანილია სულ 11 ცალი.

არქეოლოგიურ მონაპოვართა მიხედვით დასტურდება, რომ ელინისტური ხანიდან გონიო (აფსაროსი) დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამხედრო სტრატეგიულ და სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრს წარმოადგენდა. მეტ-ნაკლები ინტენსივობით ცხოვრება აქ გვიანფეოდალურ ხანაშიც გრძელდება (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, 1989:114).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკმაოდ მრავლადაა მოპოვებული ამ ეპოქის სხვადასხვა სახის ნივთიერი მასალა. **მრავალრიცხოვნობით ხასიათდებიან კერამიკული ნაწარმის ერთ-ერთი სახეობის - თიხის ჩიბუხები**, **რომელიც სპეციალური კვლევის საგანია**. **გარკვეულად იგი უკავშირდება მუსლიმურ სამყაროს**. **მით უმეტეს ისეთ პუნქტებშია გავრცელებული**, **რომელნიც ხანგრძლივი დროით ეპყრა ირან-ოსმალეთს.**

თიხის ჩიბუხების ფორმა და ორნამენტი მრავალფეროვანია, ძირითადი მათგანი ყალიბშია

ჩამოსხმული, მათი დიდი ნაწილი შემკულია გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით. ზოგ მათგანს აქვს ყავისფერი ან წითელი წერნაქი, ზოგსაც დამღა აზის, განსაკუთრებით ეს ითქმის მოწითალო კეციან ჩიბუხებზე.

კეცის მიხედვით შესაძლებელი ხდება გონიოში მოპოვებული ჩიბუხების კლასიფიკაციის დადგენა. ესენია: წითელი, მოწითალო ნაცრისფერი და თეთრკეციანები (ხახუტაიშვილი, 1982:116).

მუზეუმის ექსპოზიციაში გამოტანილია ჩიბუხი (აჭმ. ნ. 22113/1) დაზიანებულია, შემოვიდა გიორგი სკენდერის ძე ოსანაძისაგან. ნაპოვნია გონიოს ციხის ერთ-ერთ კოშკთან. მასთან ერთად იყო სხვადასხვა სახის ჩიბუხები. გაკეთებულია თიხისაგან. ყვითლად გამომწვარი, წელში ოდნავ გამოყვანილი, გარედან წიწვოვანი, ჩაჭრილი (ამოკაწრული) ორნამენტებით. მრგვალი პირით და სატარე ხვრელით.

ჩიბუხი აჭმ.ნ.22113/2. დაზიანებულია, ნაპოვნია გონიოში. ხასიათდება წითლად გამომწვარი, მრგვალი და მაღალი პირით, გრძელი სატარე ხვრელით, წელში გამოყვანილი, გარედან ტანზე და სატარე ხვრელზე ამოკაწრული ორნამენტებით შემკული.

ჩიბუხი თიხის აჭმ. ნ. 22113/3. შემოსულია გონიოდან, ლეგად გამომწვარი მაღალი ტანით, წელში გამოყვანილი, გარედან ჩაჭრილი, ორნამენტებით შემკული.

ჩიბუხი აჭმ. ნ.22113/4. თიხის შემოსულია გონიოდან, ლეგად გამომწვარი, წვრილი ტარით, რომელსაც გარედან ჰორიზონტალურად შემოსდევს ჯვარედინი ორნამენტები.

ჩიბუხი აჭმ. ნ.22721. მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა ჯემალ აბდულას ძე კვირიტიძემ სოფ. სინდიეთიდან, მაჭახლის ხეობიდან. თიხისაა, თეთრად გამომწვარი, გარედან გასდევს ვერტიკალური ხაზები. წელში გამოყვანილია. აქა იქ გარედან შემორჩენილი აქვს მოყვითალო ფერის ლაკის ნაშთები.

ჩიბუხი აჭმ.ნ.16470. „ნარგილე“, არის ფაიფურის და ხის მასალისაგან დამზადებული. შემოსულია მუზეუმში 1949 წელს მოქალაქე ტ. გიგინეიშვილისაგან. ფაიფური გატეხილია, ხე არის შავი ფერის, სპილოს ძვლით გაფორმებული, ფაიფურის სათამბაქოეთი, ნახატებითა და წარწერით, ვერცხლის ძეწკვით, მასალად გამოყენებულია ხე, ლითონი, ძვალი.

ჩიბუხი აჭმ. ნ.19971 მასალა თიხაა. შემოვიდა მუზეუმში 1973 წელს სოფ. ჩიქუნეთიდან (ხელვაჩაურის რაიონი) ირა შოთას ასული ქოქოლაძისაგან. თიხა წითლადაა გამომწვარი, გაპრიალებული, მოგრძო, მსხვილი სატარე ხვრელით. გარედან ირგვლივ დაკუთხულია და კუთხეებს შორის გაკეთებულია ჭდური ორნამენტები (რომბისებური ორნამენტი დაყოფილია რომბისებურ უჯრედებად) ჩიბუხს ნაპირები მომტვრეული აქვს.

ჩიბუხი აჭმ.ნ.18528. ნანახია სოფელ ერგეში (ხელვაჩაურის რაიონი) ერგეში მცხოვრები იუსუფ ლორთქიფანიძის მიერ. მუზეუმში ჩამოიტანა ა. დავითაძემ. 1962 წელს. ჩიბუხი (ყალიონი) არის თიხის, არის მრგვალი თავით და ასეთივე სატარე მილით, ყალიონის თავზე და ტარის ბოლოზე გაკეთებული აქვს ვერტიკალური ხაზები, ნახმარია, კიდე ოდნავ ჩამოტეხილი აქვს.

ამრიგად, გონიოში და საქართველოს სხვა რეგიონებში აღმოჩენილი ჩიბუხები ძირითადად თიხისაა, და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მრავალფეროვნებით, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით, თუმცა ზოგადად ჩიბუხების დათარიღება ჯერ კიდევ შესწავლის საგანია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გუბელიძე ნ., მეთამბაქეობის განვითარება აჭარაში. ხელნაწერი, ბათუმი, 1985 წ. აჭმ. ხ/ფ 1016.
2. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., მასალები ბათუმის რაიონის არქეოლოგიური შესწავლისათვის. - მოამბე, ტ. XXIV, №6, თბილისი, 1960 წ.
3. ხახუტაიშვილი დ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XI, თბილისი, 1982 წ.
4. ჯაფარიძე ა., დგებუაძე ო., მეთამბაქეობა, თბილისი, 1973 წ.
5. წულაია დ., მეთამბაქეობის განვითარების რეზერვები რელიეფის პირობებში, ბათუმი, 1987 წ., აჭმ. ხ/ფ 1022.
6. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1966 წ.

Makvala Gogua

Collection of pipes kept in the museum

Summary

Georgia is a country that supplies tobacco raw materials with its climate and soil conditions.

The French ambassador to Europe, Jean Nico, laid the foundation for the spread of tobacco in Europe. The spread of tobacco in Russia began in the late 16th century, and in Georgia in the early 17th century. Since 1850 the tobacco development in Georgia has been led by the Caucasian Agricultural Society. Adjara is distinguished for its tobacco development. The mountainous region of Adjara appeared to be particularly effective. The whole West Georgia raw material was processed by Biniatoghli tobacco factory. Archaeological excavations have revealed pipes of various shapes and sizes on the territory of Georgia. The pipes were made of different materials. A large number of pipes are found in the excavations of medieval monuments. The main part of the collection of pipes kept in Adjara Museum is made of clay. Most of it was found in Gonio (Apsaros) archaeological excavations. They are of various shapes, the main ones are moulded.

ჩიბუხი. ქედა. XVI ს.
I ნახევარი

ჩიბუხი. გონიო, XVI ს.
II ნახევარი

ჩიბუხი. გონიო, XVI ს.
II ნახევარი

ჩიბუხი. გონიო, XVII ს.
II ნახევარი

ჩიბუხი. ხელვაჩაური,
XVII ს. II ნახევარი

ჩიბუხი. გონიო, XVI ს. II



ჩიბუხი. ხელვაჩაური,
XVII ს. II ნახევარი

ჩიბუხი. გონიო, XVI ს.
II ნახევარი

ნარგილე. ხელვაჩაური,
XVII ს. I ნახევარი

ნარგილეს მილი.
ხელვაჩაური, XVII ს.
I ნახევარი

ჩიბუხი. გონიო, XVI ს. II
ნახევარი

ეთერ კიღურაძე

ქალის სახე აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში

აჭარული ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შესწავლა ცხადყოფს, თუ რაოდენ ორგანულ კავშირშია იგი საერთოდ, ქართულ ფოლკლორთან. მიუხედავად იმისა, რომ აჭარა დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო დედა-სამშობლოს, ქართულ ფოლკლორულ ძეგლთა უმრავლესობა მან თითქმის უცვლელად შემოგვინახა. აქაურ ზეპირსიტყვიერებაში ქართველ მეფეთა შორის ყველაზე მეტი გადმოცემები, თქმულებები და ლექსები თამარ მეფეზეა შემორჩენილი. ამას ჯერ კიდევ გასული საუკუნის უცხო და რუსი მკვლევარებიც აღნიშნავდნენ. საქართველოს არც ერთი კუთხისთვის უცხო არაა თვალსაჩინო მოვლენებისა და ამბების დაკავშირება თამარის სახელთან, მაგრამ ეს გამოცემები რაოდენობრივად ვფიქრობთ ყველაზე მეტად აჭარაშია შემონახული. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვა ქართველ მეფეებზე არა გვაქვს, ან თითქმის არაა თქმულებები და გადმოცემები, ეს მოვლენა საყურადღებოა და მრავალმნიშვნელოვან ფაქტზე მიუთითებს. ე. ტეილორის შენიშვნით ხალხური რწმენა ყველაზე ახლოს იქ არის თავის საწყისთან, სადაც მას ყველაზე დიდი და ყველაზე ამაღლებული მნიშვნელობა ენიჭება.

ზ. ჭიჭინაძის წიგნში „ქართველ მაჰმადიანთა სახალხო ლექსები“ მოცემული აქვს ლექსები თამარზე. იგი თამარის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის მტრის წინააღმდეგ საომარი მზადების ამსახველი, აქაური რიტმისა და კილოს გავრცელებული სიმღერაა (სიხარულიძე, 1949:72).

თამარ მეფე და ხონთქარი

მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა

ზღვაში ჩაუშო ხომალდი

ზედ ალმასები დაჰკიდა,

ზედ დასხა ქართველთ ლაშქარი,

მრავალ წყალობა დაჰპირდა.

ამ ლექსის სხვა ჩანაწერი აჭარაში არ მოგვეპოვება, არც იმის ცნობებია დაცული იმღერებოდა თუ არა იგი ადრე აჭარაში.

ზ. ჭიჭინაძის აღნიშნულ წიგნში არის ლექსი - ცნობილი ეპიტაფია „უბისს ავაგე საყდარი“ რომლის შესახებაც ისევე, როგორც სხვა აქ მოტანილ ლექსებზე, არავითარი ცნობა ჩაწერის ადგილისა არ მოგვეპოვება.

1961 წლის ფოლკლორული ექსპედიციის დროს ხინოში სოფელ წერაქვეთში ცნობილმა მთქმელმა 85 წლის ახმედ ქათამაძემ ჩაწერა. მთქმელი დაბეჯითებით გვიმტკიცებდა, რომ ახლო წარსულში ეს ლექსი ხინოში ბევრმა იცოდა „თამარი აქ ნამყოფია, იგი შოთას (რუსთაველს) ესტუმრა ხინოს მთაზე, შოთა მიეგება თამარს დავლით, ჩანგით, ბორით და წინწლით საგებაურზე“.

ნათქვამი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის საკრავი ინსტრუმენტი აჭარაში ადრე გავრცელებული და შემდეგ დავიწყებას მიცემულნი. ეს ლექსი ინახება აჭარის მუზეუმის (აჭმ) ხელნაწერთა ფონდში, რომელიც ჩაწერილია 1940 წელს ქობულეთში, სათაურით: „ქართველი ხელმწიფის ლექსი“:

„უბისს საყდარი ავაგე,

უწყალოდ წყალი ვადინე,

ისლამს დავდევი ბეგარა,

სტამბულში ხარჯი ავიღე

აწ ამის მოქმედმა კაცმა

ცხრა ადლი ტილო წავიღე“.

მართალია, დღესდღეობით ჩვენ არ გვინახავს ცოცხალი მცოდნე ლექსისა თამარზე „ათასი კაბა ყმა მყავდა“ მაგრამ უხუცეს მცხოვრებთ ნაამბობით ირკვევა, რომ ეს ლექსიც აჭარაში ძალიან გავრცელებული ყოფილა. სულ ბოლო დრომდე ზოგიერთები სახელებითაც ჩამოთვლიდნენ თუ ვინ იტყოდა ამ ლექსს და ამასთან იმასაც დასძენდნენ ამ ლექს სიმღერით იტყოდნენო.

საინტერესოა, რომ აღნიშნული ლექსის უძველესი ჩანაწერები და საკმაოდ თავისებური ვარიანტი ჩაწერილია 1879 წელს ბათუმში - ხუსეინ-ბეგ ბეჟანოღლისაგან პ.უშიკიშვილის მიერ და ზ.ჭიჭინაძისაგან. ხუსეინ ბეგ ბეჟანიძისაგან გაგონილი:

„ათასი კაბა ყმა მყავდა, ყველანი ოქროს ღილითა,

ვაჭმევდი დედალ ხოხობსა, ვასმევდი ბროლის ჭიქითა,

ვინც რომ შემება შევები, ალალითა და ჭიქითა

აწი, თქვენ იცით მეფენო, ვინც დარჩით ამას იქითა“ (ჭიჭინაძე, 1916:16).

თამარ მეფეს დიდად უყვარდა საქართველო. ხშირად დაბრძანდებოდა ბათუმის ახლო-მახლო, ამიტომაც არის, რომ აჭარელ-ქობულეთელ ქართველებს დღესაც ახსოვს თამარ მეფის ცხოვრების ცნობები. ეს ცნობები მათში ვერავითარ მუსლიმანურ მახვილს ვერ ამოუგდია. დღესაც უკვდავად ახსენებენ თამარ მეფის სახელს. ძველად ქობულეთელ ბეჟანიძეების ერთ წევრთაგანს გამოუთქვამს ლექსი.

ეს ლექსი თითქმის ასეთივე სახით დაბეჭდილი აქვს „ჯეჯილში“ გ. წერეთელს, რომელიც ჩამწერის და ჩანაწერის ზუსტ ადგილს არ ასახელებს, მხოლოდ რედაქცია აღნიშნავს, რომ „ხალხური ლექსი აჭარაშია ჩაწერილი გიორგი წერეთლისგან“. უცვლელად აქვეყნებს ამ ლექსს აგრეთვე თ.სახოკია. იგი წერდა: აქვე (აჭარაში) გავიგონეთ ერთი ქობულეთელი აზნაურის, მაჰმადიანი ქართველის ყურშუმ-აღა ჭყონიასგან თამარის ანდერძისებური ლექსი (სახოკია, 1950:267).

აჭარაში ძალიან ბევრი თქმულება-გადმოცემა არსებობს თამარ მეფეზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არ არის ისეთი სოფელი, სადაც არ იყოს დაცული რაიმე სახის ზეპირგადმოცემა თამარ დედოფლის შესახებ. მაშინ როდესაც სხვა მეფეებზე, მათ შორის თამარის შემდეგ დროინდელთა შესახებაც არაფერი შემონახულა. ეს სვებედნიერი ხანის შედეგია, რაც საქართველოს მაშინ ეღირსა. შემდეგ დროისათვის, როდესაც აჭარა ოსმალთა მონობაში მოექცა, ხალხს თავისუფლების და ძლიერების სიმბოლოთი თამარი და მისი დრო მიაჩნდა. მიუხედავად ხშირად უხეში ისტორიული ანაქნონიზმებისა, ყოველივე კარგს, დიდებულს, ამ ხანას მიაწერდა, უმღეროდა და მარად უქრობ ლამპრად გადასცემდა თაობიდან თაობას. კიდევ მეტი, გამაჰმადიანებულ ქართველებს იმდენად უყვარდათ თამარ მეფე, რომ მას რელიგიურ შეხედულებათა გარდატეხასაც კი წარმოგვიდგენდნენ.

მრავალ ადგილს თუ წყაროს ახლაც თამარის სახელი აქვს. ბათუმის მახლობლად ახლაც არის პატარა გორაკი რომელსაც „თამარის გორას უწოდებენ“. მრავლადაა წყაროები, რომლებსაც „მეფე წყალი“ ან „დედოფლის წყარო“ ეწოდება.

ასეთივე გადმოცემას ვხვდებით ჭანეთში, სადაც ხოფის მახლობლად ბუჯაღში ნაქები წყაროს წყალია, მას „მეფის წყარო“ (მაფა წყარო) ქვია. ბუჯაღელი მთხრობლის ჩვენებით ეს მეფე თამარია (ყიფშიძე, 1939:21).

თქმულება, რომელიც ჩაწერილია ხიხაძირში, მოგვითხრობს, რომ სულთანს თამარისათვის შემოუთვლია ცოლად გამომყევი თუ არა ქვეყანას ავიკლებ და შენც ძალით წაგიყვანო. თამარს უარი შეუთვლია და დიდი ჯარით ჩაკეტილა ხიხაძირის ციხეში. სულთანს ციხისათვის ალყა შემოურტყამს. მისი აღება გაძნელებია და ამიტომ მტერს ხერხი უხმარია: გაუთხრიათ რამდენიმე კილომეტრი მიწისქვეშა გზა და ასე ციხეში შემოსულან. თამარს იმის შიშით, რომ მტერს არ ჩავარდნოდა ტყვედ თავი მოუწამლავს (სიხარულიძე, 1943:10).

გადმოცემა თამარ მეფეზე მაჭახელას ხეობაში სხვადასხვა დროს ჩაწერილა, რომელიც გამოაქვეყნა გ. წერეთელმა, რომ თამარ მეფე ზაფხულობით მაჭახელაში დადიოდა და იქ ატარებდა დროს. ერთ საღამოს მაჭახელის კოშკიდან თამარმა დაინახა ცეცხლი ეფრატის მთაზე და ბრძანა გაეკეთებინათ საიდუმლო მიწისქვეშა გზა მაჭახელას ციხიდან ევფრატამდე. ექვსი საათის სავალზე გააწყვეს ჯარისკაცები და აშენებული იქნა აქ ციხე, ტაძარი და საიდუმლო მიწისქვეშა გზა.

თამარის დროის თქმულება-გადმოცემები აჭარაში ყველგან გვხვდება. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით მაჭახელას ხეობა გამოირჩევა. აქ ახლაც არიან მთქმელები რომლებიც ამბობენ, ეს მიდამო მაჭახელებს თამარმა უბოძაო.

ზ.ჭიჭინაძის მიერ აქ ჩაწერილი ერთ-ერთი თქმულების მიხედვით თამარ მეფე შავშეთიდან კარჩხალის მთაზე გადმობრძანდა. ერთ საღამო ჟამს, როცა იგი თავის კოშკში ბრძანდებოდა და აქეთ-იქეთ იმზირებოდა, ევფრატის ეკლესიის გვერდით შენიშნა ერთი მეტად საუცხოო ბრწყინვალე ცეცხლის შუქი. ამიტომ თამარ მეფემ კარჩხალიდან მალე ისურვა ეფრატში ჩამოსვლა და ნახვა იმ ეკლესიის, საიდანაც მან ცეცხლი დაინახა, ეფრატის ეკლესია მას მაინც და მაინც არ მოეწონა და ბრძანა: მე ჩემი ხარჯით ერთი კარგი ეკლესია ხერთვისში უნდა ავაშენო სამახსოვროდ ჩემი აქ მოსვლისა და კარჩხალის მთაზე ყოფნისა. დაიწყეს ეკლესიის მშენებლობა და ყოველ ღამით სამუშაო იარაღები იქ აღარ ხვდებოდათ მშენებლებს სადაც ტოვებდნენ. ასე მეორდებოდა ყოველ ღამეს. მეფეს მოახსენეს ყოველივე დაწვრილებით, თამარ მეფე დაფიქრდა და ბრძანა: მაშ დაანებეთ თავი ხერთვისში ეკლესიის კეთებას. დარჩეს ისევე ისე ეფრატის ეკლესია. ამ ხეობის მცხოვრებ ქართველთა დედა ეკლესიად, თუმცა ეს ეკლესია ღარიბად არის ნაშოვნი, მაგრამ მე გავამდიდრებ, მე შევმოსავ მას ყოვლის სამკაულებით (სიხარულიძე, 1943:13).

როგორც ვხედავთ, თამარის შესახებ აჭარაში ძალიან ბევრი თქმულება გადმოცემა არსებობს, ბევრ მათგანში შესულია მითიური და წარმართული ხანის ელემენტები. შემდეგ ამ ელემენტების შესწავლა ისტორიულია და ამიტომაა, რომ მხატვრული სახე უამრავი მსოფლიო პარალელების მქონეა. გარდა ამისა „ოქროს ხანის“ მოღვაწეები არა მარტო საკუთარი ქვეყნის მდიდარ ზეპირსიტყვიერებას სწავლობენ, არამედ ეცნობოდნენ მეზობელ ქვეყნის მდიდარ ზეპირსიტყვიერებას და ზოგჯერ კიდევაც თარგმნიდნენ მას (ჩიქოვანი, 1957:83).

აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სატრფიალო ლირიკას. ხალხურმა პოეზიამ შემოგვინახა და ჩვენამდე მოგვიტანა სატრფიალო ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშები, სადაც ასახულია ქართველი კაცის შინაგანი სამყარო, მისი ჯანსაღი სურვილები, განცდები, ემოციები.

პოეზიის სფეროთა შორის ლირიკა ყველაზე ახლოა ადამიანთან, ის პიროვნების გრძნობათა გამოთქმაა, პერსონალური ემოციების ამსახველი. აქ შემოქმედის სულიერ განწყობილებებთან, შეხედულებებთან გვაქვს საქმე (სიხარულიძე, 1958:267).

აჭარულ სატრფიალო ლექსებში შექებულია ქალის გარეგნობა მისი უნარი საქმიანობაში, ქალისა და ვაჟის ლტოლვა ერთმანეთისადმი.

აჭარული სატრფიალო ლირიკა შეგვიძლია დავყოთ შემდეგ ქვეჟანრებად: შაირი, ქება,

გაბაასება ე.წ. მინიატურები, წერილები ლექსად, საალბომო ლექსები.

აჭარაში შაირები უმეტესწილად სრულდება ჭიპონსა და საზზე. ჭიპონზე უფრო სატრფიალო ლირიკის ნიმუშები სრულდება.

აჭარულ სასიმღერო შაირებში შექებულია სატრფოს გარეგნული მიმზიდველობა, ქართველი ქალის ნაწნავ-დალალები, რაც ქების ობიექტი იყო ოდითგანვე, როგორც ხალხურ პოეზიაში ასევე ლიტერატურაში. ამ მხრივ, მარტო ბესიკისა და ბარათაშვილის გახსენებაც კმარა.

თმა უპირველესი სამკაულია ქალისა - ამბობს ვაჟი, ქალის ამ სამკაულის აღმნიშვნელი შაირები ფართოდაა გავრცელებული. ქალის ნაწნავები ვაჟს სიზმარშიც არ ასვენებს:

„წუხელ სიზმარში გნახე

წარბი აღმა აგეყარა,

ფანჯარაზე მომდგარიყავ

ნამწნები გადმოგეყარა“ (კოტეტიშვილი, 1961:345).

საინტერესოა აჭარაში შაირების სახით გავრცელებული ცნობილი ლექსი „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“.

ლექსში ყურადღებას იქცევს „ნაფოტი“, რომელიც სხვადასხვა ხალხის პროზასა და პოეზიაში აქტიურ სიმბოლოდ გვევლინება. „ნაფოტს“ გარდა სხვა დანიშნულებისა სატრფოთა შორის ურთიერთკავშირების ფუნქციაც ჰქონდა. ვ.კოტეტიშვილი მაგალითად, ასახელებს ტრისტანისა და იზოლდას ამბავს. იზოლდა იცნობს ტრისტანის მიერ ნაფოტზე ამოჭრილ ნიშნებს და ამით გაიგებს მის სამყოფელს, ნაფოტის ამ დანიშნულებაზე საუბარია ხალხურ ზღაპრებშიც.

საინტერესოა „ნაფოტთან“ დაკავშირებული აჭარული ლეგენდები, რომლებიც ამ კუთხის ცალკეულ ხეობის მიგნებასთან არის დაკავშირებული: წყალს მოჰქონდა ნაფოტი, მდინარის შესართავთან მყოფნი დაინტერესდნენ, საიდან მოდისო, ეს ნაფოტი აყვნენ მდინარეს ზემოთ „ნაფოტის ნაკვალევზე და ასე მიაგნეს თითქოს ზემო აჭარელთა საცხოვრებელ ადგილს“.

ხალხურ შაირებში მოტრფიალე ვაჟი თხოვნით მიმართავს ნაფოტს:

„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა

ალვის ხის ჩამონათალი,

დადექ ნაფოტო, მითხარი

საყვარლის შემონათვალი“.

ყურადღებას იპყრობს აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ერთად გავრცელებული შაირი:

„მაღლა სერზე ევედი,

გადმოვდენე ხარები,

აბლახანუმ, გოგო მომეც

სამ დღეს მოგეხმარები“.

შაირი სრულდება სიმღერით ჭიპონზე, შესაძლებელია იგი ოდესღაც არსებული ვრცელი ლექსების ფრაგმენტი იყოს.

შეხვედრა-გაცნობა, მთქმელთა განმარტებით ხდებოდა აჭარაში ფართოდ გავრცელებულ სახალხო დღესასწაულებზე „შუამთობაზე“. წლის განსაზღვრულ დროს ზაფხულში, როცა ძირითადი საზაფხულო სამუშაოები მოთავებული იყო, საზაფხულო საძოვრებზე იკრიბებოდა სოფლის მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა მხიარულობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. ამ დროს ქალ-ვაჟი მალულად უჭვრეტდა ერთმანეთს, მათ შორის იბმებოდა სიყვარულის უხილავი სიმები, რომელიც შემდეგ მტკიცედ აკავშირებდა ერთმანეთთან.

გოგო ბიჭი ერთმანეთს გაეშაირებოდა მთაში:

„შუამთობა მოაწია, მინდა წევდე მთაშია,

ჩევერიო გოგოებში, ხელი მოვდვა თმაშია“.

ვაჟს იმედი აქვს, რომ კარგსა და ლამაზ ქალს სწორედ იქ მთაში შეხვდება.

„ქალო, ქალო, ლაო, ლოყაფანდულაო,

შემევვარდი თასა, იქ ვიშოვდი ქალსა,

ლამაზსა და კარგსა“.

აჭარული სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჟანრია ქება, შექებულია როგორც ქალი, ასე ვაჟი, მაგრამ უმეტესწილად ქალის შექებაა წარმოდგენილი. ქება ძველთაგანვე არსებობდა საქართველოს ხალხურ თუ ლიტერატურულ ნიმუშებში. როგორც მ.ჩიქოვანი აღნიშნავს, ქება პირველად შეიქმნა ხალხურ პოეზიაში, შემდეგ გადავიდა ლიტერატურაში, ქების ბრწყინვალე ნიმუშები ჩვენთვის ცნობილია ძველი ლიტერატურიდან „თამარიანი“, „აბდულმესია“.

აჭარული სატრფიალო ლირიკაში წერილების გაგება მიიღო ე.წ. „დესტანებმა“. დესტანი დიდი ზომის ლექსია. დესტანების გამოთქმა ნიშნავდა წერილის სახით თავისი გრძნობების გადმოცემას და მისი დანიშნულებისამებრ გაგზავნას.

ქალის ქების შესანიშნავი ნიმუშია აგრეთვე „ერთხელ გიხილე ბატონო“ იგი პირველად გამოქვეყნდა „დროებაში“ შემდეგ პ.უშიკიშვილის ხალხურ სიტყვიერებაში, აგრეთვე აჭარის ხალხური პოეზიის კრებულში. ვარიანტები დაცულია ბათუმის ხ.ახვლედიანის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. ლექსი სატრფიალო ხასიათისაა. მიჯნური უდიდესი მოკრძალებით მიმართავს სატრფოს და ქება-დიდებას ასხამს მის სილამაზეს.

ქების ნიმუშია ლაზურ ფოლკლორში საინტერესო ლექსი „ჭუტა ნუსა“ (პატარძალი) (ზოიძე, აჭარული სახოტბო ლექსი - სამხრეთ დასავლეთ საქართველო. ზეპირსიტყვიერება, 1975:47).

ხალხური მთქმელი მემედ ყურშუბის ძე ჭყონია (1860-1940) უმღეროდა სამშობლოს, საქართველოს ერთიანობას, იგი დაიბადა ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთში, იმ დროისათვის ცნობილ ყურშუმ ჭყონიას ოჯახში.

მემედ ჭყონიამ საკმაოდ დიდი მემკვიდრეობა დატოვა. მან შექმნა არაერთი ორიგინალური ლექსი, რომელიც სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში.

მემედ ჭყონიას სატრფიალო ლექსებიც აქვს. იგი ასე უმღეროდა ჩიბათელი ურუშაძის ქალს:

„გურიაში ცნობილია

თონთი ურუშაძის ქალი,

ამას ყველა დამიმოწმებს

არის ლამაზების თვალი“.

აჭარაში ამჟამად შენარჩუნებულია პოეტური პაექრობის პრინციპი: „ვინ მეტი შაირი იცის“, რაც უმეტესად პოპულარულია მოზარდებში, ისინი ერთმანეთს შენაცვლებით ეუბნებიან შაირებს. მასში შეიძლება მონაწილეობდეს ორი, სამი ან მეტი მოშაირე.

კიდევ უფრო საინტერესოა პაექრობის დასასრული მოშაირენი ამ დროს ერთმანეთს დამათავრებელ და „ჩასაკეტ“ შაირებს ეუბნებიან, რომლის შინაარსიც მოწინააღმდეგის დამარცხებას ხაზს უსვამს, ასეთია მაგალითად:

„შაირები ბევრი ვიცი

ბევრი გამიგონია,

შენისთანა მოშაირე

ნეკით ამიწონია“.

ქართული ზღაპრული ეპოსი ძვირფას კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. განსაკუთრებით საინტერესოა საგმირო-საქორწინო თემაზე აგებული სიუჟეტები, რომელსაც ხალხური საგმირო სათავგადასავლო მოთხრობა შეიძლება ვუწოდოთ, პერსონაჟთა გმირული მოქმედება და სამოქმედო არე, გმირის მიზანსწრაფვა, ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. გმირის ხასიათი და ცხოვრებისეული მხარეები გვიჩვენებენ, რომ ამ ჯგუფს ზეპირ მოთხრობებში რეალისტურადაა წარმოსახული ადამიანის სულიერი სამყარო.

საქორწინო და მათ შორის საგმირო-საქორწინო თემაზე აგებული ზღაპრები, ძირითადად ქალ-ვაჟის სატრფიალო ურთიერთობებზეა დამყარებული და მთავარ გმირებათაც სწორედ ქალ-ვაჟი გვევლინება, ხოლო პერსონაჟთა ფართო გალერეის ყველა წარმომადგენელს მხოლოდ დამხმარე როლი ეკისრება.

საგმირო-საქორწინო სიუჟეტების შემცვლელი ხალხური მოთხრობების მთავარ მოქმედ პერსონაჟთა შორის ერთ-ერთ ცენტრალურ სიუჟეტურ ფიგურას ქალის სახე წარმოადგენს.
ქალი პერსონაჟი აქტიურად მონაწილეობს ხალხური მოთხრობის სიუჟეტის განვითარებაში და წარმოადგენს ნაწარმოების ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას.

სახე გმირი ქალისა, ერთგული და მეომარი ცოლისა, თავისი დადებითი თვისებებით და მონაცემებით შეესაბამება ხალხის საერთო იდეალებს. მისი პირადი მიზნები და მისწრაფებები ხალხის საერთო ინტერესებიდან გამომდინარეობენ. იგი გამოირჩევა, როგორც ფიზიკური ისევე გონებრივი მონაცემებითაც.

ქორწინების ამსახველი ზღაპრები მდიდარ მასალას შეიცავენ ქალის პერსონაჟის დასახასიათებლად. „ხალხი თავის შემოქმედებაში, წერს პროფ. ა.ხინთიბიძე -მამაკაცთა გმირულ თავდადებასთან ერთად უმღეროდა და აქებდა ქალის გმირული საქმეებითა და ადამიანურ გრძნობებსაც.

ზღაპრებში „ბოჟმის ყვავილი“ როცა გმირი ვაჟის მიერ მოყვანილ ქალს ნახავს ხელმწიფე, გონება ეკარგება, ქალი ისეთი ლამაზია, რომ ხელმწიფე გაგიჟდა სილამაზით (ფარტენაძე, ქალის სახე ქართულ ხალხურ საგმირო-საქორწილო ზღაპრებში, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, 1972:89).

ხალხურ მოთხრობაში „ზექიე“ ვკითხულობთ: ზექიე ბუნებრივად ძალიან ლამაზი იყო, ცოტა მომაღლო ტანის, შავგრემანი, ხუჭუჭთმიანი, შავთვალა. მარა ეს გაფითრება მას გაორკაცებით ამშვენებდა, ზექიე ისე გადაქცეულიყო, რომ მთვარეს გააწბილებდა სილამაზით“.

მეგობრობა, ამხანაგობა და ურთიერთდახმარება ზღაპრული გმირის ერთ-ერთი მთავარი იდეალია. იგი გმობს ცრუსა და მოღალატეს. მას არაფრად მიაჩნიათ ასეთი გმირის ვაჟკაცობა, რომელიც მუხანათურად ესხმის მტერს და სახელს იხვეჭს. მისი შეხედულებით გმირ ვაჟკაცს უნდა ახასიათებდეს პირდაპირობა და ვერ ურიგდება მუხანათურად მოპოვებულ სახელს, ასეთი კაცი არ მიაჩნიათ ადამიანად. კიცხავს მოღალატეს, არ თვლის მას ქმრობის ღირსად.

ქალი პერსონაჟი გამოირჩევა თავისი შინაგანი სულიერი სამყაროს სიმდიდრით, გონიერებით, მტკიცე ნებისყოფით, მას არ ახასიათებს გადაწყვეტილების შეცვლა, ფიცის გატეხა, მტკიცედ იცავს მას.

საგმირო-საქორწინო ხალხური მოთხრობების მთავარი მოქმედი ქალი პერსონაჟის სახით ხალხმა შექმნა ტიპიური სახე, ქალწულებისა, რომელიც თავისი ეპოქის ტრადიციების დამცველია. იგი, როგორც „ვეფხვისტყაოსნის“ მთავარი მოქმედი პერსონაჟები, მოითხოვს

სიყვარულის განმტკიცებას საგმირო საქმით. იგი საზოგადოებრივ ინტერესებს უთანხმებს საკუთარი პიროვნების მაღალ მისწრაფებებს, მასში განვითარებულია უმაღლესი ზნეობრივი გრძნობა, მაღალი მორალური ღირებულებებისადმი, მას შეუძლია პირადი ბედნიერების დათმობა, მისი ქცევა ვლინდება ღრმა და შეკავებული გრძნობების ფონზე.

ქალის სახეში ხალხს ჩაქსოვილი აქვს ზოგადსაკაცობრიო ნიშნებიც. მისი ყოველი ნაბიჯი, გულისწყრომა, მრისხანება, ყოველთვის გონებრივად მოტივირებულია, როცა ხალხური ნაწარმოების კითხვას ვამთავრებთ, გმირი ქალი ჩვენ წარმოგვიდგება, როგორც მშვენიერი, კეთილი, გონიერი, დიდი ტრფიალების ნიჭით დაჯილდოებული, ძლიერი ნებისყოფის, დიადი მიზნებისათვის მებრძოლი და ჰარმონიული ადამიანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფარტენაძე ე. ქალის სახე ქართულ ხალხურ საგმირო-საქორწილო ზღაპრებში. სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1978 წ.
2. ზოიძე ე. აჭარული სახოტბო ლექსი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, თბილისი, 1975 წ.
3. სიხარულიძე ქ., ქართული ხალხური ლირიკის სიმბოლიკების საკითხები, თბილისი 1958 წ.
4. ნოღაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, ბათუმი, 1984 წ.

Eter Kiguradze

Woman’s face in Adjarian literature

Summary

The study of the Adjarian literature reveals how organic it is generally in relation to Georgian folklore. It has almost invariably preserved the vast majority of Georgian literary texts.

Love lyrics plays an important role in Adjarian literature. Folk poetry has preserved and brought to us brilliant examples of love lyrics depicting the inner world of a Georgian man, his healthy desires, feelings, emotions.







მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ფოლკლორული მასალების სატიტულო გვერდები

ნატაშა ცეცხლაძე

ქალაქური აბრები და ჟეტონები
(მუზეუმის ფონდში დაცული მასალების მიხედვით)

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან, რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ ხელი შეუწყო ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას, სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება ქალაქმა, აშენდა ახალი შენობები, გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა, კეთილმოეწყო ქალაქის ქუჩები, დაიწყო მათი მოასფალტება, გამწვანება და განათება.

1888 წელს ბათუმში დაფუძნდა ქალაქის თვითმმართველობა, რის შემდეგაც უფრო მიზანმიმართულად დაიწყო ქუჩების განვითარება. 1892 წელს ქუჩების რაოდენობამ 31-ს მიაღწია, ხოლო 1900 წლისთვის 44-მდე გაიზარდა. 1902 წლამდე ქალაქში არ არსებობდა ქუჩის სახელის აღმნიშვნელი აბრები, არც სახლებს გააჩნდათ ნუმერაცია, რაც ცხადია, ართულებდა ქუჩისა და სახლის მოძებნას. ხშირად ადგილი ჰქონდა ერთი ქუჩისთვის რამდენიმე სახელის დარქმევას (ტოტოჩავა, 1979:ხ/ფ 797).

1918 წლის 16 აპრილს ბათუმში ჩამოვიდა ახლად დანიშნული თურქეთის გენერალ-გუბერნატორი (ვალი) - ხემიდ ბეი, რომელმაც გამოსცა ბათუმის ქუჩების სახელების შეცვლის განკარგულება, კერძოდ, ქუჩების აბრები და წარწერები უნდა შეცვლილიყო თურქულ ენაზე, ხოლო ქუჩებს თურქეთის მთავარსარდლისა და დივიზიის მეთაურების სახელები მინიჭებოდა. ქალაქის თვითმმართველობამ მოახერხა და თურქეთის გენერალ-გუბერნატორს განკარგულების გადავადება მოსთხოვა (კომახიძე,1998:34-153).

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქუჩების სახელები კვლავ შეიცვალა, დამზადდა ახალი აბრები სამენოვანი წარწერებით: ქართული, რუსული და თურქული. სამენოვანი აბრები მე-20 საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე გამოიყენებოდა. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდებში დაცულია: ქუთაისის, კამოს, ტურგენევის, საქართველოს, ჯაფარიძის და ლუქსემბურგის ქუჩების თუჯისგან ჩამოსხმული სამენოვანი აბრები (მუზეუმის ფონდების ძირითადი საინვენტარო წიგნი - IV, VIII, IX). თითოეული მათგანი შესაბამისი ქუჩის საინტერესო ისტორიას ინახავს.

აღსანიშნავია, რომ წყობისა და ხელისუფლების შეცვლა ყოველთვის იწვევდა ქუჩების სახელების ცვლას, ყველაზე ხშირად პოლიტიკური მოღვაწეების სახელობის ქუჩებს ეცვლებოდათ სახელები, ხოლო საზოგადო მოღვაწეთა, ხელოვანთა და მწერალთა ქუჩების სახელები თითქმის უცვლელი რჩებოდა.

ქუჩების სამენოვანი აბრები:

კამოს ქუჩა (ახლანდელი ახმედ მელაშვილის ქუჩა) იწყება ი.გოგებაშვილის ქუჩიდან და მთავრდება ნ.ბარათაშვილის ქუჩასთან. იგი განლაგებულია მემედ აბაშიძის გამზირსა და მერაბ კოსტავას ქუჩებს შორის. ქუჩა წარმოქმნილია მე-19 საუკუნის 40-იან წლებში. ის თავდაპირველად ცნობილი იყო რუსი გენერალ-გუბერნატორის - სვიატოპოლსკ მირსკის სახელით, მოგვიანებით კი ცნობილი რევოლუციონერის - სიმონ პეტროსიანის, იგივე კამოს სახელი მიენიჭა. 1994 წელს ქუჩას სახელი გადაერქვა და

გამოჩენილი ქართველი მამულიშვილის - ახმედ მელაშვილის სახელი ეწოდა.

ტურგენევის ქუჩა (ახლანდელი ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა) იწყება 6 მაისის პარკიდან და მთავრდება პ.ბაგრატიონის ქუჩასთან. განლაგებულია პ.მელიქიშვილისა და ს.ხიმშიაშვილის ქუჩებს შორის. ქუჩა წარმოქმნილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მას დაარსებიდანვე მიენიჭა გამოჩენილი რუსი მწერლის - ი.ტურგენევის სახელი, ხოლო 1994 წლიდან ქუჩას ქართველი საზოგადო მოღვაწის - ჰაიდარ აბაშიძის სახელი ეწოდა.

ჯაფარიძის ქუჩა (ახლანდელი ლუკა ასათიანის ქუჩა) იწყება შ.რუსთაველის ქუჩიდან და მთავრდება მთისძირის ქუჩასთან. იგი განლაგებულია დემეტრე თავდადებულისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩებს შორის. ქუჩა წარმოიქმნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. თავდაპირველად ის რუსი გენერალ-ადიუტანტის - სერგეი შერემეტიევის სახელს ატარებდა, მოგვიანებით ცნობილი რევოლუციონერის - პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძის სახელი ეწოდა, 1994 წელს კი ქუჩას მიენიჭა ქართველი საზოგადო მოღვაწის, ბათუმის ყოფილი ქალაქის თავის (1895 წ.) - ლუკა ასათიანის სახელი.

ლუქსემბურგის ქუჩა (ახლანდელი კოსტავას ქუჩა) იწყება ი.გოგებაშვილის ქუჩიდან და მთავრდება კ.გამსახურდიას გამზირთან. იგი განლაგებულია ახმედ მელაშვილისა და ნოე ჟორდანიას ქუჩებს შორის. ქუჩა წარმოქმნილია მე-19 საუკუნის 40-იან წლებში. სხვადასხვა დროს ქუჩას მინიჭებული ჰქონდა რუსი გენერალ-ლეიტენანტის - ოკლობჟიოსა და პოლონელი საზოგადო მოღვაწის, სოციალურ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის - რ.ლუქსემბურგის სახელები. დღეისათვის ქუჩა საქართველოს ეროვნული გმირის - მერაბ კოსტავას სახელს ატარებს (კომახიძე, 2000:90).

ქუთაისის ქუჩა იწყება ა.მელაშვილის ქუჩიდან და მთავრდება რ.კომახიძის ქუჩასთან. იგი განლაგებულია ი.გოგებაშვილისა და 9 აპრილის ქუჩებს შორის. ქუჩა წარმოქმნილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. არსებობის მანძილზე ქუჩას სახელი არ შეცვლია.

საქართველოს ქუჩა (ახლანდელი ახმეტელის ქუჩა) იწყება თავისუფლების მოედნიდან და მთავრდება კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩასთან. იგი წარმოქმნილია მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. ქუჩის დაარსებიდანვე მიკუთვნებული ქონდა საქართველოს ქუჩის სახელი. 1960 წლიდან კი ქუჩა გამოჩენილი ქართველი რეჟისორის ალექსანდრე ახმეტელის სახელს ატარებს.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმის შენობა-ნაგებობებზე გამოჩნდა აბრები სადაზღვევო დაწესებულებების დასახელებით, რომლებსაც ძალიან ძველი და საინტერესო ისტორია აქვს. ხშირად მათზე გამოსახული იყო სადაზღვევო დაწესებულების საფირმო ნიშანი (სავაჭრო მარკა) ან იმ ტერიტორიის გერბი, რომელზეც ახორციელებდა სადაზღვევო საქმიანობას.

1881 წლის გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ: „ბათუმში დაარსდა ცეცხლისაგან დამცველი ორი საზოგადოება „სალამანდრა“ და „რუსკი ობშესტვო“, რომლის აგენტად არის ბატონი კობილიანსკი, „სალამანდრას“ კი - ბატონი ქაჩუხოვი. პირველი საქონელსაც და უძრავ ქონებასაც იღებს, მეორე - მარტო უძრავ ქონებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ხანძრის შემთხვევები მომრავლდა ქალაქში. დღემდე დამწვარი შენობები ბატონ კობილიანსკის მიერ აღებული შენობები იყო, ხოლო ქაჩუხოვის არც ერთი დამწვარა, ეს იმისთვის, რომ, როგორც ხალხი ამბობს, ბატონი ქაჩუხოვი იმ ფასად აფასებს აღებულ მამულს, რომ პატრონს იმისი დაწვა ხელს არ მისცემსო და ვისაც კი ბატონი კობილიანსკისთვის ჰქონდა მიცემული, იმას თურმე უხარია, რომ დაიწვასო. ასეთი ფაქტები ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა, ზოგმა ფული იშოვა, უმეტესობა კი ღატაკდებოდა და იძულებული ხდებოდა ქალაქიდან წასულიყო“ (გაზეთი „დროება“ №133, 1881 წ., რ.ს.მ. ფონდი 4, საქმე 55).

სადაზღვევო ფირნიშების გამოყენების ტრადიცია იწყება მე-17 საუკუნის დასასრულიდან, ლონდონის ცნობილი დიდი ხანძრის (1666 წ.) შემდეგ, როცა 5 დღეში დაიწვა და განადგურდა 13 ათასზე მეტი შენობა-ნაგებობა. ამ ფაქტის შემდეგ, სახლების მფლობელები იძულებულნი გახდნენ დაეწყოთ სადაზღვევო კომპანიების შექმნა, ვინაიდან იმ დროს ჯერ არ არსებობდა მუნიციპალური სახანძრო დაწესებულება. ხანძართან ბრძოლის მიზნით თითოეული სადაზღვევო კომპანია ქმნიდა თავის სახანძრო რაზმს. ერთ ტერიტორიაზე რამდენიმე სადაზღვევო დაწესებულების არსებობა ქმნიდა გარკვეულ პრობლემებს, კერძოდ, ქუჩებს და შენობებს არ ჰქონდა დასახელება, ნუმერაცია და ხანძრის შემთხვევაში, სახანძრო რაზმები ვერ არკვევდნენ, ვის მიერ იყო დაზღვეული შენობა, ვის ეკუთვნოდა ხანძრის ჩაქრობა. ანალოგიური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახდა სპეციალური ნიშნულების გაკეთება. სწორედ ასეთი ამოსაცნობი ნიშნებით მზადდებოდა სადაზღვევო აბრები (http://firemarks.ru/publikaciy_borzyh).

ინგლისში გამოგონებული სადაზღვევო აბრები თანდათან გავრცელდა სხვადასხვა ქვეყნებში. რუსეთში მათი გამოყენება მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყეს. აბრები მაგრდებოდა შენობის ფასადის თვალსჩინო ადგილას, ან კარების თავზე. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა ზომისა და დანიშნულების მიხედვით. რუსეთში სადაზღვევო აბრების დამზადება ხდებოდა ქარხნული წესით, თავდაპირველად მასალად გამოიყენებოდა სპილენძი და თითბერი, ხოლო 1880-იანი წლებიდან დაიწყო ფურცლოვანი ლითონის გამოყენება. ზედაპირი წინასწარ იფარებოდა კალის ფენით, რაც დაზიანებისაგან იცავდა ათწლეულების მანძლზე.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ექსპოზიციაში ექსპონირებულია და ფონდში დაცულია სადაზღვევო აბრების 10-მდე ეგზემპლარი, სხვადასხვა ზომის და ფორმის. ბათუმში მემედ აბაშიძისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩებზე, ძველ შენობებზე დღემდე შემორჩენილია ორი სადაზღვევო აბრა.

სადაზღვევო აბრები

სადაზღვევო საზოგადოება „რუსეთი“ დაარსდა 1881 წელს ქ. სანკტ-პეტერბურგში. წრიული ფორმის ფასადის ფირნიში გამოიყენებოდა მე-19 საუკუნის დასაწყისში. ფირნიში დამზადებულია თუნუქისაგან.

სადაზღვევო საზოგადოება „მოსკოვი“ დაარსდა 1888 წელს ქ.მოსკოვში. იგი ხანძრისგან დაზღვევის საქმოანობას ეწეოდა. საზოგადოება ლიკვიდირებული იქნა 1893 წელს, რეზერვების არ ქონის გამო. ფირნიში დამზადებულია თუნუქისაგან.

სადაზღვევო საზოგადოების „იაკორი“ (ღუზა) ფასადის ფირნიში გამოიყენებოდა მე-19 საუკუნის დასასრულიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. ფირნიში დამზადებულია თუნუქისგან.

სადაზღვევო ამხანაგობა „სალამანდრა“ დაარსდა 1846 წელს ქ. სანკტ-პეტერბურგში. ის ეწეოდა უძრავ-მოძრავი ქონების ხანძრისაგან დაზღვევის საქმიანობას, ასევე საზღვაო, სამდინარო და სახმელეთო ტრანსპორტის უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევის საქმიანობას. აღნიშნული სადაზღვევო კომპანია ბათუმში 1881 წელს გაიხსნა, დღევანდელი ვახტანგ გორგასალის ქუჩის 4 ნომერში. ფასადის ფირნიში დამზადებულია თუნუქისაგან.

სადაზღვევო საზოგადოება „ნადეჟდა“ (იმედი) დაარსდა 1847 წელს ქ. სანკტ-პეტერბურგში. იგი ეწეოდა სადაზღვევო საქმიანობას საზღვაო, სამდინარო და სახმელეთო ტრანსპორტის სფეროში. ფირნიში დამზადებულია თითბერის შენადნობისაგან.

„ხანძრისგან დაზღვევის რუსული საზოგადოება“ დაარსდა 1867 წელს ქ. სანკტ-პეტერბურგში. 1896 წელს მას ეწოდა „რუსული სადაზღვევო საზოგადოება“. ფასადის ფირნიში დამზადებულია თითბერისაგან.

ბათუმის ურთიერთდაზღვევის საზოგადოება დაარსდა 1907 წელს, ის ხანძრისგან დაზღვევის საქმიანობას ეწეოდა. აბრა განსხვავებული ფორმის და რუსულენოვანი წარწერითაა. სამწუხაროდ, ემბლემა დაზიანებულია .(Батумь и его окрестьност, 1910:101)

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდსაცავში დაცულია ნიშნები (ჟეტონები), რომლებიც 900-იანი წლების ბათუმის განვითარების ისტორიას ასახავს. მეფარნის, მეფაეტონის, მეეტლის, მეძველმანის, წყლის მზიდავის, წყლის გამყიდველის, მეყვავილის, მტვირთავის და სხვა მსგავსი შინაარსის თითბერისა და თუნუქისაგან დამზადებული, ადგილობრივი წარმოების, ქართულ და რუსულენოვანი აბრები, რომლებსაც ჩვენი ქალაქის ქუჩებში შეხვდებოდით.

აღნიშნული ნიშნები მუზეუმში შემოვიდა 1921 წელს ბათუმის საქალაქო კომისარიატიდან.

1883 წელს ბათუმში ძმებმა ნობელებმა ნავთის რეზერვუარები ააგეს, შესაბამისად, ქალაქის ცენტრალური ქუჩები და ზღვის სანაპირო ნავთის ლამპებით განათდა. ამ საქმეს საგანგებოდ განსწავლული მეფარნე ყავდა მიჩენილი, რომელიც ფარნებს შებინდებისას ანთებდა, დილით კი აქრობდა. მეფარნეებს სპეციალური ფორმა ეცვათ და ეკეთათ სამკერდე ნიშანი. მეფარნის ნიშანი ექსპონირებულია მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში.

1894 წელს ბათუმში მსუბუქ მეეტლეობას 96 კაცი მისდევდა, საფორნე მეურნეობას კი გაცილებით მეტი - 384. მეფორნეებს ცხენით უმეტესად ნავთის პროდუქტების გადატანა უხდებოდათ, სანავთე ქარხნებიდან ნავსადგურში, გემებამდე. ასევე ნავსადგურიდან, გემებიდან ქარხნებამდე ეზიდებოდნენ სხვადასხვა სამშენებლო მასალებს, ხრეშს, ქვიშას და სხვ. ქალაქის მეეტლეების მეურნეობა გაერთიანებული იყო მსხვილ მეპატრონეთა მფლობელობაში. მსუბუქი, სამგზავრო მეეტლეების საშუალო დღიური შემოსავალი 4-5 მანეთს შეადგენდა. მსუბუქი ეტლით მომსახურებაზე არსებობდა სხვადასხვა ნიხრი, ღამის საათებში და დღესასწაულებზე მომსახურების ფასი თითქმის ორმაგდებოდა. როგორც სამგზავრო მეეტლეებს, ისე მეფორნეებს, მტვირთავებს სათანადო ნიშანი ჰქონდათ.

ბათუმელი მეფაეტონე

ქალაქის ერთ-ერთ სატრანსპორტო საშუალებას ფაეტონი წარმოადგენდა, ფაეტონში ორი ცხენი იყო შებმული. ბათუმის თვითმმართველობას ხელმისაწვდომი ფასები ჰქონდა დაწესებული მგზავრებისათვის: ქალაქის ფარგლებში - 20 კაპიკი, გარეუბანში - 40 კაპიკი. მოქმედებდა ფაეტონის გამოძახების სერვისი. როგორც მეფაეტონის, ასევე მეეტლის მიმართ დაწესებული იყო გარკვეული მოთხოვნები, კერძოდ, ისინი უნდა ყოფილიყვნენ სუფთად ჩაცმულები, ფხიზელ მდგომარეობაში, არ უნდა მოეწიათ თამბაქო, არ უნდა გადაეყვანათ მოჩხუბარი და ხმაურიანი მგზავრები, უნდა ჰქონოდათ ტრანსპორტზე სათანადო ნიშანი და პირადობის მოწმობა. ფაეტონის და ეტლის სადგომები რამდენიმე ადგილას იყო ქალაქში.

ოს.კამოდოლოვი ბათუმში

ამ პერიოდში სრულყოფილად არ ფუნქციონირებდა წყალსადენი, სასმელი წყლის საჭირო რაოდენობა ბაკებით და კასრებით გადაჰქონდა სატვირთო ტრანსპორტს. შესაბამისად, ქალაქის ქუჩებშიც დადიოდნენ წყლის გამყიდველები შესაბამისი ნიშნით (გუჯაბიძე, 2015:57-65).

ბათუმის ქუჩებში მრავლად იყვნენ ფეხსაცმლის მწმენდავები, ძველმანებით მოვაჭრეები, ყვავილების გამყიდველები და სხვ.

ამრიგად, ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცული აბრები და ნიშნები მნიშვნელოვან ექსპონატებს წარმოადგენენ, ვინაიდან ისინი თვალსაჩინოდ გადმოგვცემენ ჩვენი ქალაქის საუკუნეების წინანდელ ყოფა-ცხოვრებას, მის თავისებურებებს, მომხდარ ძირეულ ცვლილებებს, ცალკეული ქუჩების განვითარების ეტაპებსა და წარსულის საინტერესო ისტორიებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გუჯაბიძე შ., ბათომი. 2015 წ.
2. კომახიძე თ., ქალაქ ბათუმის ქუჩების ისტორია. 1998 წ.
3. კომახიძე თ., ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების ისტორია. ბათუმი 2000 წ.
4. მუზეუმის ფონდების ძირითადი საინვენტარო წიგნი - IV, VIII, IX;
5. ტოტოჩავა გ., ბათუმის ურბანიზაციის ზოგიერთი საკითხები, 1979 წ., ხ/ფ 797;
6. Батуми и его окрестности вь описании Н.А.Веру. Батуми 1910 г.
7. გაზეთი „დროება“ №133, 1881 წ., რ.ს.მ. ფონდი 4, საქმე 55;
8. http://firemarks.ru/publikaciy_borzyh

Natasha Tsetskhladze

City signs and tokens

(According to the materials kept in the Museum Fund)

Summary

In the period of the Ottoman rule, there were no streets in Batumi, their duty was fulfilled by paved chariot and walking paths. Since the end of the Russian-Turkish war in the 1980s, the declaration of Batumi's Porto-Franco has promoted the development of trade and industry, the rapid development of the city, the construction of new buildings, the increase of population, the improvement of city streets, asphalting, planting and lighting.

The tokens and signs that were housed in the museum's foundations are exactly of the previous century and the tell the story of the urban life of that period.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ნიშნები (ჟეტონები):

ქობულეთის ჭარბტენიანი ტერიტორიები

საქართველო ცნობილია გლობალური მნიშვნელობის მქონე ეკოსისტემებით. განსაკუთრებით გამორჩეულია კოლხეთი.

კოლხეთი ერთადერთი ადგილია, სადაც ერთადაა ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, ეს არის ადგილი, სადაც იქმნებოდა უძველესი ისტორია და ლეგენდები. „კოლხური ტრადიციები იკარგება... ძველი კოლხეთი აღარ არის, ლეგენდაა. მაგრამ არის მეორე ლეგენდა იქვე, რაც გრძელდება დღესაც, ესაა სწორედ უნიკალური ტორფნარები“ (იზოლდა მაჭუტაძე).

და ეს უძველესი ლეგენდაც რამდენ დიდ საიდუმლოს, რა დიდ ჭეშმარიტ ისტორიას ინახავს:

„კავკასიაში ფასის მთიდან მოედინება მდინარე ფაზისი (რიონი), გამოივლის კოლხთა დედაქალაქს კვიტაისს (ქუთაისი), სადაც სახელოვანი მეფის აიეტის სასახლეა; მას ჰელიოსის სასახლესაც უწოდებენ, შემდეგ ფაზისი ჩაუვლის ბერძნული მითის ცნობილი ქალღმერთის - კირკეს ველს; შემდეგ უდიდესი მაგის, ქალღმერთ ჰეკატეს სამმაგი სპილენძის ჭიშკრით დაცულ ბაღს; აქვეა ჰეკატეს ტაძარი, სადაც მედეა ტაძრის ქურუმია; ჰეკატეს ბაღში ხარობს სამკურნალო მცენარეები, სადაც მედეა ამზადებს წამლებს. ჰეკატე ფრიად განსწავლული იყო საექიმო ხელოვნებაში, მან პირველმა აღმოაჩინა მომაკვდინებელი ფესვები, ჰეკატემ და კირკემ საწამლავების დამზადების ცოდნას მედეაც აზიარეს. ფაზისი ჩაუვლის უძველესი ღმერთქალის, „დიდი დედის“, კიბელას ტაძარს; იქვეა ომის მრისხანე ღმერთის არესის ჭალა და წმინდა მუხის ხე, რომელზეც კიდია უდიდესი განძი - „ოქროს საწმისი“. აქვე ფაზისს უერთდება შენაკადი ლიკოსი და ჩაედინება პონტოს ზღვაში, შესართავთან კი არის ქალაქი ფაზისი (ფოთი)“ (პაპავა, 2016).

კოლხეთი ძველთაგანვე ცნობილი იყო შხამიანი და სამკურნალო მცენარეებით. სწორედ აქ, კოლხეთში, დახვდათ არგონავტებს ის ბალახი – პრომეთეს სისხლი, რომლითაც მედეა კურნავდა, ის ჰეკატეს ბაღი, რომელიც იყო უძველესი სამკურნალო მცენარეების ბაღი, სადაც მედეამ შეიყვანა არგონავტები და სადაც ისინი აზიარა ამ ცოდნას, იმ სამკურნალო სიბრძნეს, რომელიც კოლხეთში არსებობდა.

გერმანელ ბოტანიკოსს კურტ შპრენგელს თავის მედიცინის ისტორიის ხუთტომეულში დასახელებული აქვს მედეას ბაღის 36 სამკურნალო მცენარე (რ. კუპცისი მათ ხუთ მცენარეს უმატებს). შპრენგელი წერს ჰეკატეს ბაღზე, რომელიც მისივე თქმით მედეამ შეავსო და განავრცო. აი, მოკლე ამონარიდი ძველი კოლხეთის დიდებული სურათისა - კირკეს ველი, ჰეკატეს ბაღი, არესის ჭალა, წმინდა მუხა... მრავალფეროვნება კოლხური მცენარეულობისა.

ახლა როგორია რეალობა:

კოლხური ტყე და ჭარბტენიანი ტერიტორიები გამოირჩევა ულამაზესი ბუნებითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით, სადაც მცენარეთა დაახლოებით 1100 სახეობა და ხერხემლიან ცხოველთა 500-მდე სახეობაა აღრიცხული. აქ შეხვდებით ფლორისა და ფაუნის უნიკალურ და იშვიათ სახეობებს. ეს არის ადგილი, სადაც თავშესაფარი ჰპოვა მცენარეთა იმ უძველესმა სახეობებმა, რომლებიც მილიონობით წლის წინ დედამიწის სხვადასხვა ადგილებში გადაშენდნენ. კოლხეთს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტორფნარების მსოფლიო რუკაზე. 2019 წლის 2 თებერვალს დაცული ტერიტორიების სააგენტომ „კოლხეთის ტყეები და ჭარბტენიანი ეკოსისტემები“ UNESCO-ში წარადგინა, როგორც მსოფლიო ბუნებრივი

მემკვიდრეობის უბანი.

ჭაობი დედამიწის ზედაპირის განსაკუთრებული ტიპია, რომლისთვისაც დამახასიათებელია უტორფო და ტორფიანი, მუდმივად ტენიანი გრუნტი და სპეციფიკური მცენარეულობა, რომელშიც გაბატონებულია ჭაობის მცენარეები - ჰელოფიტები.

ჭაობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა წყალდიდობებისაგან დაცვა. ჭაობები დიდი რაოდენობით იწოვენ მდინარეთა მიერ ჩამოტანილ წყალს, რითაც ახორციელებენ წყლის დონის ნორმალურ რეგულაციას. ჭაობებში ხდება ბუნებრივი გაწმენდა მავნე ნივთიერებებისაგან, პესტიციდებისაგან, მძიმე მეტალებისაგან. ჭაობებიდან ეკოლოგიურად სუფთა წყალი მიეწოდება მდინარეებსა და ტბებს, რითაც მცირდება ზღვის დაბინძურება.

საქართველოში დიდხანს ბატონობდა აზრი, რომ ჭაობი არის შლამით სავსე უძირო ღრმული, უსარგებლო ტერიტორია და მალარიისა თუ სხვა დაავადებების წყარო. ამის გამო აუცილებლად მიიჩნევდნენ მათ დაშრობას. დღეს, მსოფლიო საზოგადოების ნაწილმა უკვე გააცნობიერა ჭაობებისა და ჭარბტენიანი მიწების მნიშვნელობა და ქმედით ღონისძიებებს მიმართავს მათ დასაცავად. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ჭაობები ამჟამად საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვის ქვეშ მყოფ ტერიტორიებს წარმოადგენენ. არსებობს ჭაობებისა და ჭარბტენიანი მიწების დაცვის სპეციალური კონვენცია - რამსარის კონვენცია.

1971 წლის 2 თებერვალს ქ. რამსარში (ირანი) 18-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა კონვენციას „საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების“ შესახებ (www.Ramsar.Org). რამსარის სტრატეგიული გეგმა მოუწოდებს რამსარის კონვენციის ქვეყნებს ეროვნულსა და რეგიონულ დონეზე ტორფიანების შენარჩუნებისა და მათი გონიერი გამოყენებისაკენ.

საქართველო 1996 წლის 7 ივლისს მიუერთდა რამსარის კონვენციას და შავი ზღვის სანაპიროს კოლხეთის ჭარბტენიან ტერიტორიებს მიენიჭა საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი, ხოლო საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“.

1999 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ გარემოს დაცვითი კანონმდებლობით მიღებულ იქნა კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ''. ამავე წლიდან მოქმედებს სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტი, რომელიც მოიცავს კოლხეთის ეროვნულ პარკსა (იმნათი, ანაკლია, ჭურია, ნაბადა) და ქობულეთის აღკვეთილს (ისპანი 2).

ჭარბტენიან ტერიტორიას საერთაშორისო სტატუსი რომ მიენიჭოს, იგი სამი კრიტერიუმიდან ერთ-ერთს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს: იყოს მოცემული გეოგრაფიული რეგიონისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ჭარბტენიანი მხარე; გამოირჩეოდეს ბიომრავალფეროვნებით და წარმოადგენდეს ადგილობრივი და გადამფრენი ფრინველების დასასვენებელ ან გამოსაზამთრებელ ადგილს. კოლხეთის ჭაობები უნიკალურია იმით, რომ სამივე პირობას აკმაყოფილებს.

აფრიკა-ევრაზიის წყლისა და ჭაობების გადამფრენი ფრინველების საიმიგრაციო გზის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით შეიქმნა კოლხეთის ეროვნული პარკი და ამავე დროს რამსარის საიტად გამოცხადდა კოლხეთის დაბლობის წყალჭარბი სავარგულები.

კოლხეთის ჭაობებს და დაჭაობებულ ტყეებს დიდი სამეცნიერო და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. კოლხეთის ჭაობური ლანდშაფტები შეიცავენ მდიდარ და მეტად საინტერესო ბიოგეოგრაფიულ და პალეოგეოგრაფიულ მასალას, რომლის ანალიზი საშუალებას იძლევა, გაირკვეს კოლხეთის თანამედროვე ფლორის თავისებურება, შემადგენლობა, განვითარების ისტორია, კლიმატის ცვალებადობა და ზღვის დონის რყევის ხასიათი ახლო გეოლოგიურ

წარსულში. შემონახულია ისტორიული ინფორმაცია. ცნობილია, რომ ტორფის მატრიცა ხელს უშლის აქ შენახული მასალის გახრწნას, ტორფის ხავსიანი ჭაობების გაბურღვისას 6-12 მ. სიღრმეზე ორგანულ მასაში ნაპოვნ მცენარეთა ნაშთებს და მტვრის მარცვლებს უდიდესი საინფორმაციო (კლიმატური, ბოტანიკური, ენტომოლოგიური, ზოოოლოგიური, პალეონტოლოგიური) ღირებულებანი გააჩნიათ, ბიბლიოთეკებზე მეტიც კი. ისინი ჩვენს წარსულზე გასულ გეოლოგიურ ეპოქებზე მოგვითხრობენ.

* * *

აჭარა კოლხეთის ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ყველაზე გამორჩეული ნაწილია. აჭარის დაცული ტერიტორიებიდან ცნობილია კინტრიშის ნაკრძალი, მტირალას ეროვნული პარკი, მაჭახელას ეროვნული პარკი და ქობულეთის დაცული ტერიტორიები.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები (ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და აღკვეთილი) შეიქმნა საერთაშორისო მნიშვნელობის, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი უნიკალური ჭარბტენიანი ეკოსისტემების, როგორც მაღალი ღირებულებების მქონე ბუნებრივი მემკვიდრეობის გადარჩენის მიზნით, რომელთა სტატუსიც აღიარებულია რამსარის კონვენციით. აღნიშნული ტორფნარები მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მოიცავს ქობულეთის ზღვისპირა ვაკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, გამოირჩევა წყლის ფრინველთა და მცენარეების მრავალფეროვნებით.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები 1999 წელს შეიქმნა და მოიცავს ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალს - ისპანი II (331 ჰა) და ქობულეთის აღკვეთილს - ისპანი I (439 ჰა). ისპანი I-ზე (ქობულეთის აღკვეთილი) დღევანდელი მდგომარეობით წარმოდგენილია ნახევრად დეგრადირებული მეორადი მცენარეული დაჯგუფებები. აღნიშნული ტერიტორიები მდებარეობს ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთით ფიჭვნარის ეკოპლაჟიდან დაახლოებით 300 მეტრში (შესახვევია აღმაშენებლის გამზირის N 642-თან). ისპანის დაცული ტერიტორიები ქალაქ ქობულეთს აღმოსავლეთით მიუყვება. ჩრდილოეთით დაცულ ტერიტორიებს თიკერის რელიქტური კოლხური ტყის „აღდგენის ზონა“ ესაზღვრება, აღმოსავლეთით კი – გომის მთა, კინტრიშის ნაკრძალი და აჭარა-გურიის მთები გადმოჰყურებს. ტერიტორია აგებულია თანამედროვე (მეოთხეული ასაკის) ზღვიურ-მდინარეული და ტბიურ-ჭაობის ნალექებით.

ქობულეთის დაბლობის ბუნებრივი გარემო იცვლებოდა დროში. მასზე მოქმედებდა პალეოკლიმატური ცვლილებები, ზღვის ტრანსგრესიები და რეგრესიები. სტრატიგრაფიულ ჭრილში, ხმელეთის ზედაპირიდან 5-42 მ. სიღრმეზე, გვხვდება ტორფისა და ჭაობის თიხის ჰორიზონტები. ჭაობში ახლაც მიმდინარეობს ტორფის აკუმულაციის პროცესი.

ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტორფიან ჭაობებში განვითარებული სხვადასხვა ასაკის ტორფიანი ფენები შეიცავენ მეტად საინტერესო პალეობოტანიკურ მასალას. ტორფის ფენებში განამარხებულია როგორც მაკრობოტანიკური წარმონაქმნები, ისე მცენარეული სპორები და მტვერი. აღნიშნული მასალის პალეობოტანიკური და რადიოკარბონატული მეთოდით შესწავლა საფუძველს იძლევა დადგინდეს, თუ რა გზით მიმდინარეობდა ქობულეთის ზღვისპირა ვაკის ჭარბტენიანი ლანდშაფტების განვითარება ახლო გეოლოგიურ წარსულში. ,,ისპანი''-2 ჭაობში ყველაზე ღრმად მდებარე ტორფის ფენის აბსოლუტური ასაკი, რადიოკარბონატული მეთოდის გამოყენებით, განსაზღვრულია 5500-6000 წლის წინანდელი დროით.

ტორფნარები ინახავენ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ ძეგლებს. უნდა აღინიშნოს ბრინჯაოს და და ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები - ბრინჯაოს ხანის ქობულეთის ტორფქვეშა ნამოსახლარი „ნამჭედური“, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ხანის ფიჭვნარის

ნაქალაქარი და სხვ. აქ 5–6 ათასი წლის წინ დასახლებულა ადამიანი, მაშინ როცა ეს ადგილი ჯერ კიდევ არ იყო დაჭაობებული.

ისპანი II მსოფლიოში პირველი უნიკალური ხელუხლებელი, ცოცხალი სფაგნუმიანი ტორფნარია. სადაც წყლის დანაკარგი მხოლოდ აორთქლებით ხორციელდება. ის მხოლოდ წვიმის წყლით საზრდოობს. ისპანის ტორფნარი თითქოს ტბაა ნიადაგის ზედაპირის ზემოთ, რომელსაც საბანივით ახურავს 25-45 სმ სისქის სფაგნუმი-თეთრი ხავსი. იგი არასოდეს იფარება წყლით. სფაგნუმი წყალთან ერთად ქმნის სრულიად გლუვ გუმბათს, რომელიც შემოგარენიდან 4-5 მეტრით მაღლაა წამოწეული. სფაგნუმი ისე მოქმედებს, როგორც ღრუბელი. მას შეუძლია წონასთან შედარებით 25-ჯერ მეტი წყალი შეიწოვოს. ძლიერი კოკისპირული წვიმებისას, როცა არემარე წყლითაა დაფარული, ამ დროს ისპანი II-ის გუმბათი მშრალია.

ქობულეთის დაცული ტერიტორიების სფაგნუმიან ტორფიანი ჭაობების რელიეფი ბრტყელი და ოდნავ ეროზირებულია მდინარეების, შავი ღელესა და ტოგონის მიერ. აქ ზღვის ტიპური, ნოტიო, სუბტროპიკული კლიმატია. წლიური ნალექიანობა 1,500-2,500 მმ-ია, რომლის დიდი წილი, წვიმის სახით შემოდგომისა და ზამთრის სეზონებზე მოდის. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ჭაობიანი ჰაბიტატები გადამფრენი წყლის ფრინველთა სახეობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მაგრამ განსაკუთრებულად მდიდარია მცენარეთა სახეობებით.

ქობულეთის დაცული ტერიტორიების ტორფიანი ჭაობის საერთო ფონს ქმნის ტორფის ხავსები – სფაგნუმის სახეობები, მცენარეულობიდან: ე. წ. „იმერული ისლი“, რინხოსპორები (თეთრი რინხოსპორა, კავკასიური რინხოსპორა), ტორფის ისლი, წყლის სამყურა, მრგვალფოთოლა დროზერა, იგივე ცვრიანა, წყლის სამყურა და სხვა, იზრდებიან კოლხეთის ფლორისათვის დამახასიათებელი შქერი, იელი, ეკალღიჭი. აქ ხარობს აგრეთვე სამეფო გვიმრა, ჯადვარი, იგივე ორქიდეა, ლიკოპოდიელა და ზოგიერთი სხვა სახეობები. ამ მცენარეთა უმეტესობა ჩრდილოური (ბორეალური) წარმოშობისაა და კოლხეთში მოხვდა მეოთხეული პერიოდის გამყინვარების ეპოქებში. ქობულეთის აღკვეთილში ასევე გვხვდება იშვიათი სახეობის სამეფო გვიმრაც. ცალკე განხილვის საგანია სფაგნუმის ხავსები:

სფაგნუმი (ლათ. Sphagnum) – ღეროფოთლოვანი ხავსების კლასის სფაგნიდების (Sphagnidae) ქვეკლასის ერთადერთი გვარი. აერთიანებს 320 სახეობას. საქართველოში გვხვდება 26 სახეობა. უმთავრესად ჭაობის ხავსებია, დიდი ზომის, მოთეთრო-მომწვანო, რუხი ან მოწითალო. ღეროს არ აქვს რიზოიდები, ტოტისა და ღეროს ფოთლები უძარღვოა, შეიცავს ქლოროფილიან და წყლის შემცველ (ჰიალინურ) უჯრედებს. იზრდება ხშირი და მკვრივი კორდების სახით. ქმნის სფაგნუმიან ჭაობებს, რომელთაც განსაკუთრებით დიდი ფართობი უკავიათ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. საქართველოში გვხვდება კოლხეთსა და მთიანეთში (ძირითადად Sphagnum cuspidatum, Sphagnum centrale, Sphagnum palustre და სხვა).

სფაგნუმის ხავსის კიდევ ერთი საოცარი უნარი და დამსახურება შეიძლება მოვიგონოთ: 1973 წელს, ასტრახანში ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების დროს ქართველ მეფეთა ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის სამარხები აღმოაჩინეს.

თეიმურაზ მეორის სამარხის გახსნისას მოულოდნელი და გასაოცარი სურათი გადაიშალა მეცნიერთა თვალწინ. 211 წლის შემდეგ თეიმურაზ მეორის ნეშტი და მდიდრული სამეფო ტანსაცმელი დაუზიანებლად იყო ჩვენამდე მოღწეული.

კუბოს გახსნისას, სუდარის ახდის შემდეგ, დიდი რაოდენობით ხავსის ფენა აღმოაჩინეს. თეიმურაზ მეორის ცხედარი გულმოდგინედ იყო გახვეული ამ სფაგნუმის ფენაში. ორ საუკუნეზე მეტი ხნის მიუხედავად, სფაგნუმმა ასე კარგად შეინახა როგორც ცხედარი, ისე ტანსაცმელი

(ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში, თბ., 1974 წ.). ცხადია, სფაგნუმის ხავსი გამოიყენეს მეფის ცხედრის დასაცავად.

კოლხეთში სფაგნუმის ხავსს დიდი გამოყენება ქონდა ყოფა-ცხოვრებაში, ლეიბების, ბალიშების დასამზადებლად. სფაგნუმი გამოვიყენე აჭარის მუზეუმის ბუნების ექსპოზიციაში, ფიტულების დიორამის სტილში წარმოსაჩენად.

მრავალფეროვანია ქობულეთის დაცული ტერიტორიების ორნითოფაუნა. უცხოელ მეცნიერთა მიერ ჩატარებულ დაკვირვებებზე დაყრდნობით ქობულეთის დაცული ტერიტორიების 55 სახეობის ფრინველი იყენებს საბინადროდ, აქედან 4 სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში, ხოლო 2 სახეობა IUCN-ის წითელ ნუსხაში.

ფრინველები ტორფნარების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. შემოდგომასა და გაზაფხულზე აქ უამრავი გადამფრენი ან მოზამთრე ფრინველი იყრის თავს: კოხტა ჭოვილო, კაკაჩა, ბექობის არწივი, ტურუხტანი, ზღვის კაჭკაჭი, სისინა გედი და სხვ.

მრავლადაა ბეღურასნაირები: შაშვები, ტოროლები, მწყერჩიტები, ბოლოქანქარები, კვირიონები, შოშიები, სკვინჩები. მრავლადაა შორს მანძილზე მიმომფრენი სახეობებიც, რომლებიც ზაფხულის განმავლობაში მრავლდებიან, ზამთარში კი როცა საკვები მცირდება, სამხრეთით მიგრირებენ. შემოდგომაზე ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე მტაცებელზე დაკვირვებაცაა შესაძლებელი - სხვადასხვა სიმაღლისა და სხვადასხვა სისწრაფით ჰაერში ნავარდობენ ძერები, შევარდნები, არწივები.

ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე ძუძუმწოვრებიდან ბინადრობენ: წავი, მაჩვი, კურდღელი, ნუტრია, ბუჩქნარის მემინდვრია, მინდვრის თაგვი და სხვა; ამფიბიებიდან: ვასაკა, ჩვეულებრივი გომბეშო, მწვანე ბაყაყი, ჩვეულებრივი ტრიტონი. ქვეწარმავლებიდან: ჩვეულებრივი ანკარა, წყლის ანკარა, ბოხმეჭა, ანუ მყვარი, გველხოკერა, ზოლიანი ხვლიკი, კასპიის კუ, ჭაობის კუ. თევზებიდან: ქორჭილა, კარჩხანა, მდინარის გველთევზა, ქარიყლაპია.

ჭაობს განსაკუთრებული ბიოლოგიური და უდიდესი გარემოსდაცვითი ღირებულებანი გააჩნია, როგორიცაა: გლობალური და რეგიონალური კლიმატის რეგულაცია, წყალმარეგულირებელი და წყალშემკავებელი ფუნქცია.

კოლხეთში არსებული განსაკუთრებული კლიმატის გამო სფაგნუმი მთელი წლის განმავლობაში, ანუ 365 დღე იზრდება. დაკვირვებების შედეგად აღმოჩნდა. რომ თუ სფაგნუმი მთელ მსოფლიოში 6 სმ-ს იზრდება, აქ ოთხი თვის (აპრილი-ივლისი) განმავლობაში 13-15 სმ-ით გაიზარდა.

საქართველოში ბოლო დროს ისეთი იშვიათი ტიპის ენერგეტიკული წყაროც აღმოჩნდა, რაც ჯერ მსოფლიოშიც კი არ არის სათანადოდ დანერგილი. საუბარია სფაგნუმზე, იგივე ჭაობის ტორფზე.

ქართველი მეცნიერები კოლხეთის ცოცხალ სფაგნუმიან ტორფნარებზე 1998 წლიდან აწარმოებენ კვლევებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილების (ხელმძღვანელის იზოლდა მაჭუტაძის) კვლევები. 2002 წელს მან დაარსა ველური ბუნების საზოგადოება „ჭაობი“, რომელმაც მრავალი საერთაშორისო პროექტი განახორციელა. 2006 წლიდან იგი არის გლობალურ წითელ ნუსხაში სახეობის გლობალური სტატუსით შემფასებელი, მათ შორის ენდემური სახეობებისა, როგორიცაა კოსტალეცკაია, აქ არსებული კოლხეთის უჩვეულო სახეობა მანანა ჩვეულებრივი და სხვ.

მის მიერ შემუშავებულია ეკოტურიზმის სამოქმედო გეგმა: „კოლხეთი - ბუნებრივ კულტურული მემკვიდრეობის საგანძური“. იზოლდა მაჭუტაძის მიერ კოლხეთის ტორფნარებსა

და ტყეებზე შესრულებული სამეცნიერო კვლევები დაედო საფუძვლად UNESCO–ში მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის ნომინაციის დოსიეს.

ამჟამად, ქართველი მეცნიერები კოლხეთში სფაგნუმის ტორფნარის მოშენების პერსპექტივებს განიხილავენ. გარდა იმისა, რომ კოლხეთის ჭარბტენიანი ეკოსისტემებისათვის განსაკუთრებული ღირებულების მქონეა ცოცხალ სფაგნუმიანი ტორფნარები, იგი ასევე შეგვიძლია საექსპორტო პროდუქტად ვაქციოთ. მთელ მსოფლიოში სფაგნუმი, ანუ თეთრი ტორფი, დღემდე არაგანახლებად რესურსად ითვლებოდა. ცნობილია, რომ თუ ცოცხალი სფაგნუმიანი ტორფნარი ერთხელ დაირღვა, სრულიად შეუძლებელია მისი აღდგენა. ქართველ-გერმანელ მეცნიერთა ექსპერიმენტი სრულიად საპირისპიროს ადასტურებს.

გერმანელი მეცნიერის მატიას კრებსის სადოქტორო კვლევის სახელწოდებაა: ”სფაგნუმის მოშენების პერსეპექტივები კოლხეთში”. იგი გულისხმობს სფაგნუმის შესაძლო მოშენებას მინერალურ, რუდერალურ და იმ ადგილებში, სადაც ადრე დრენაჟი წარმოებდა. უზუსტესი მეცნიერული კვლევები საფუძვლად დაედება ეკოლოგიურად ღირებული და ეკონომიურად მომგებიანი პროექტის „სფაგნუმი – როგორც განახლებადი რესურსი” განხორციელებას.

ძალზე საოცარია ის, რომ ისეთი გვალვიანი ზაფხულის პირობებშიც კი, სფაგნუმი 13 სმ-ით გაიზარდა, და გრიგოლეთსა და ქობულეთში სანიმუშო ფართობებზე ზრდა დაიწყო. ეს საუკეთესო მაჩვენებელია და საწინდარია იმაზე ფიქრისა, რომ შეიძლება დაიწყოს პროექტის განხორციელება, რაშიც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება. შეიქმნება მსოფლიოში პირველი სფაგნუმის პლანტაციები და ის ევროპაში გაიყიდება. მაგალითად გერმანიაში.

სამეცნიერო კვლევების შედეგები საფუძვლად დაედება ეკოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური ღირებულების მქონე პროექტების განხორციელებას. განვითარდება სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები როგორიცაა: „პალუდიკულტურა“ ანუ ჭარბწყლიან გარემოს შეგუებული მეურნეობის დარგები. „პალუდიკულტურის“ შექმნით დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, იქნება შემოსავალი, რაც დიდ ეკონომიკურ მოგებას მოუტანს რეგიონს. განვითარდება მეყვავილეობის დარგები, სამშენებლო ბრიკეტების და ალტერნატიული საწვავისათვის აშენდება საამქროები.

კოლხეთის ჭაობი და ჭარბტენიანი მიწები, სადაც სასწავლო შემეცნებითი ექსკურსიების მოწყობით, კვალიფიციური ლექცია-საუბრების ჩატარებით, ვიზიტორებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გაეცნონ ჭაობურ ლანდშაფტებს, გააცნობიერონ, რომ ამ ლანდშაფტების შენარჩუნება საზოგადოების ყველა წევრის მოვალეობაა.

საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ძლიერ, შეთანხმებულ, გაწონასწორებულ ეკოსისტემას მკაცრი დაცვა და მოვლა ესაჭიროება. ამიტომაც ჩვენი უპირველესი მოვალეობაა გაუფრთხილდეთ ბუნების ამ საოცარ ქმნილებას.

მუდამ გვახსოვდეს! მსოფლიოს ეს უნიკალური საგანძური ყოველი ჩვენგანისაგან სათუთ მოფრთხილებას მოითხოვს, რადგან მრავალი სახეობისთვის ნაკრძალი ერთადერთი თავშესაფარია. ნადირობა მკაცრადაა აკრძალული. აქ ფაუნის ყველა სახეობას კანონი იცავს.[2]

გამოყენებული ლიტერატურა

1. დარციმელია გ., ჯანელიძე ზ., განგაშის ზარი კოლხეთის ჭაობებზე. თბილისი 1997 წ.
2. მაჭუტაძე ი., კოლხეთის ტორფიანები, ბათუმი, 2003 წ.
3. მაჭუტაძე ი., შევუნარჩუნოთ თაობებს, ბათუმი, 2003 წ.

2 ფოტოების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდი იზოლდა მაჭუტაძეს და ზურაბ მანველიძეს.

4. მგელაძე კ., ბიოგეოგრაფია, თბილისი, 1983 წ.
5. პაიჭაძე გ., ჯაფარიძე ვ., ქართული ისტორიული ძეგლები ასტრახანში, თბილისი, 1974 წ.
6. პაპავა რ., კავკასია წარღვნის შემდგომი ცივილიზაციის კერა, თბილისი, 2016 წ.
7. ხახუტაიშვილი დ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. - სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VIII, თბილისი, 1979 წ.
8. ხახუტაიშვილი დ., ქობულეთის ქვეყანა. ბათუმი 1995 წ.
9. ყაუხჩიშვილი თ., ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1965 წ.
10. ჩიქოვანი ნ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბილისი, 1089 წ.
11. გაზეთი „ჩემი ქობულეთი», ,,ქობულეთის დაცული ტერიტორიები'', გვ. 3, N12, 2013 წ.

Lamara Gulordava

Kobuleti wetlands

Summary

Georgia is known for its global ecosystems. Colchis is particularly distinguished, having a special place on the world map of peatlands.

On February 2, 2019, the Agency for Protected Areas put forward “Colchis forests and wetlands ecosystems” to UNESCO as a world natural heritage site. They include Kobuleti State Reserve and Managed Reserve. They were created to protect unique wetland ecosystems of international importance, especially the habitat of aquatic birds.

Peat mosses create a general background for Kobuleti Protected Areas. Ispani 2 is the world’s first unique intact sphagnum peatland. It only feeds on rainwater. It can absorb up to 25 times more water than it weighs. The vegetation is rinhospora, water clover, sundew, rhododendron, azalea, smilax, royal fern, orchis and others.

55 species of birds use Kobuleti Protected Areas as habitats. There are many migratory or wintering birds here in the fall and spring. There are numerous predators, sparrows, water and marsh birds.

The marsh has special biological and environmental protection values such as global and regional climate regulation, water regulation and catchment function.

Georgian scientists have been conducting research on sphagnum peatlands since 1998. Sphagnum breeding is currently under discussion. By organizing cognitive excursions in Kobuleti peatlands, lectures and talks, visitors, pupils and students are given the opportunity to get acquainted with the unique marsh landscapes.

სფაგნუმის ხავსი

მწერიჭამია დროზერა

სამეფო გვიმრა

ჯადვარი

წყლის დუმფარა

იელი

წყლის კაკალი

კოსტალეცკაია

რამფიკარპა

თიკერის ტყე

ველის კაკაჩა

კაჭკაჭი

კვირიონი

მცირე თეთრი ყანჩა

შოშია

რუხი წერო

ნუტრია

მაჩვი

ჭაობის კუ

ტრიტონი

თამარ ტარიელაძე

აჭარის მუზეუმში წარმოდგენილი ენტომოლოგიური კოლექციები

ცხოველთა სამყაროს არც ერთი კლასი და არც ერთი ტიპი არ შეიძლება შეედაროს მწერების კლასის სახეობათა რაოდენობას. დადგენილი და აღწერილია 900000 მწერის სახეობა, როგორც ფიქრობენ რამდენიმე მილიონს აღწევს.

მწერები თავისუფლად მცხოვრები ცხოველებია, მაგრამ მათ შორის ცნობილია 50000-მდე პარაზიტული სახეობა. მწერების სახეობების უდიდესი უმრავლესობა ცხოვრობს ხმელეთზე და შეგუებულია ფრენას, მაგრამ არის მნიშვნელოვანი რაოდენობა სახეობებისა, რომლებიც ხელმეორედ შეეგუა წყლიან გარემოში ცხოვრებას.

განვითარდნენ რა, როგორც მიწისზედა ცხოველების ჯგუფი, მწერებმა ფართოდ აითვისეს ხმელეთის ყველა ადგილი, რომელიც გამოსადეგია მათ საცხოვრებლად და გასამრავლებლად, მაღალი არქტიკისა და მაღალმთიანი ზონების გამოკლებით. სადაც ისინი მცირე რაოდენობით არიან. მნიშვნელოვნად ღარიბია მწერების ფაუნა ზღვებსა და ოკეანეში. მწერების სამყარო განცვიფრებას იწვევს სხვადასხვა გარემო პირობებისადმი შეგუების დიდი უნარით. ეს შეგუება ხშირად გასაოცარი სიფაქიზითა და უნაკლობით ვლინდება სხეულის აგებულებასა და შეფერილობაში, ორგანოების სტრუქტურასა და ცხოველმოქმედებაში, გამრავლების პროცესში, ინდივიდუალურ განვითარებაში, გრძნობათა ორგანოების მოქმედბაში, განსაკუთრებულ ქცევებში. ამავე დროს მწერების სხეულის ორგანიზაციის ძირითადი ნიშნები საკმაოდ ერთნაირია და პარაზიტულ ფორმებშიაც არის შემონახული.

მწერებიდან ყველაზე საშიში ხოჭოები და პეპლები არიან. ესენია მაისის ხოჭოები (ღრაჭები), მერქნჭამია ხოჭოები, აბრეშუმმხვევი პეპლების მუხლუხოები და ა.შ.

სწორფრთიანების წინა ფრთები უკანა ფრთებზე ვიწროა და გაცილებით სქელია, ტყავისებურია. უკანა ფრთები რბილია და ვარდისფერი. ფრენისას მარაოსებურად იშლება. მრავალი მათგანი გადაადგილდება ხტომით. უკანა კიდურები მათ აქვთ სახტომი ტიპის. შეფერილობა მწვანე ან მორუხოა სუბსტრატის ფერთან შეხამებით. ამ რიგის წარმომადგენელია კალია. მდედრ კალიას მუცელი კვერცხსადებით ბოლოვდება, რომლითაც კალია ხვრეტს ნიადაგს და მასში 20-50 კვერცხს დებს. კვერცხიდან კალია ვითარდება არასრული გარდაქცევით. იკვებება მცენარეთა ფოთლებით. ამიტომ მას დიდი ზარალი მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის.

კალიებს ძალიან გავს კუტკალიები, ესენიც მავნებლები არიან. კუტკალიებს კალიისაგან განსხვავებით გრძელი, სხეულზე უგრძესი ულვაშები აქვს (მწვანე კუტკალია, თეთრშუბლა და გრძელკუდა კუტკალიები).

ვინ არ იცნობს ჭრიჭინებს. ვინ არ დამტკბარა მათი გადაფრენის ცქერით, მათი მკვეთრი შეფერილობით და ცისარტყელას ერთმანეთში გარდამავალი შეფერილობით, ასხივებული ელვარებით. ყველა ხალხს აქვს განსხვავებული სახელი ჭრიჭინების და ამასთან არაერთი. ჭრიჭინებმა მიიპყრეს ისეთი ადამიანების ყურადღება, როგორებიც იყვნენ გოეთე, ტოლსტოი და სხვები. მათი სილამაზით მოხიბლულები უძღვნიდნენ ლექსებს.

ჭრიჭინების სხეული არის წაგრძელებული, მკვეთრად შეფერილი ბრწყინვალე, კარგად გამოყოფილი თავით, რომლის უმეტესი ნაწილი უჭირავს თვალებს. ულვაშები პატარა აქვთ, ნაკლებშესამჩნევი. ჭრიჭინებს ორი წყვილი ფრთა აქვთ. ფრთები გამჭვირვალე და წვრილბადისებურია. ფრთების წინა ნაწილში წვეროს ახლოს აქვს შავი ლაქა. უმეტესობა ჭრიჭინებისა ფრენენ დღისით ყველაზე ცხელ დროს. განსაკუთრებით ბევრნი არიან

წყალსატავების სიახლოვეს და არა იშვიათად ტყისპირებში. ზაფხულის განმავლობაში ისინი ანადგურებენ კოღოებს და სხვა მცირე მწერებს. თუკი ჭრიჭინას ქვედა ყბას ჩამოვაწევინებთ ნემსით დავინახავთ თუ რა დიდი ხახა აქვთ მათ.

ცნობილია 3000 სახეობაზე მეტი ჭრიჭინა. ჭრიჭინები ძალიან ძველი მწერთა ჯგუფია. მათი სხეულის კარგად შემონახული ნაშთები ცნობილია პალეოზური ერის ქვანახშირის პერიოდიდან. აღმოჩენილია გიგანტური ჭრიჭინები, რომელთა ფრთების ზომა 90 სმ-ს უდრის.

ჭრიჭინები - ეს არის ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი სრულყოფილი სიცოცხლის ფორმა. ისინი გაჩნდნენ ასობით მილიონი წლების წინათ, ჯერ კიდევ დინოზავრებამდე. ისინი არიან უმაღლესი ფრენის ოსტატები და ამასთან შეუბრალებელი მტაცებლები. მათი შესახედაობა და ცხოვრების ციკლი იმდენად უჩვეულოა, რომ შეიძლება ჩავთვალოთ ისინი მოვიდნენ სრულიად სხვა სამყაროდან.

ამერიკაში არსებობს ჭრიჭინები, რომლებსაც უცნაური სიცოცხლის ციკლი ახასიათებთ, რასაც უკვე დიდი ხანია აღტაცებაში მოჰყავს ბიოლოგები. ეს იშვიათი სახეობის ჭრიჭინები გაზაფხულზე მოულოდნელად ჩნდებიან. მათი რიცხვი მილიონებს აღწევს. სინათლეზე გამოსვლის შემდეგ ისინი, სულ რაღაც, რამდენიმე კვირას ცოცხლობენ. ეს მწერები მიწიდან ამოსვლისთანავე კანს იცვლიან, იწყებენ ფრენას, გამაყრუებელ ჭრიჭინს და მრავლდებიან. ამ სახეობის ჭრიჭინები ქვესახეობებად იყოფიან: ზოგი ქვესახეობის მომდევნო თაობა 13 წლის შემდეგ ჩნდება, ზოგის 17. რატომ სჭირდება ამდენი დრო ახალი თაობის გამოჩენას? დაახლოებით ერთ კვირაში, რაც მზის შუქს იხილავენ ეს მწერები წყვილდებიან. მდედრები 400-600-მდე კვერცხს ხის ტოტების ნაპრალებში დებენ. ამის შემდეგ ისინი მალევე იხოცებიან. რამდენიმე კვირაში კვერცხებიდან მატლები იჩეკებიან. მოგვიანებით კი ნიმფობის ფაზაში (განვითარების გარდამავალი სტატია) მიწაზე ვარდებიან, შიგ ძვრებიან და იქ იწყებენ ცხოვრებას. ეს მწერები წლების განმავლობაში ბუჩქებისა და ხის ფესვებიდან სითხის სახით იწოვენ საკვებ ნივთიერებებს. 13 ან 17 წლის შემდეგ ზრდადასრულებული მწერების ახალი თაობა ჩნდება, რათა ეს უჩვეულო სასიცოცხლო ციკლი კვლავ განმეორდეს.

ერთ ჟურნალში აღნიშნულია, რომ ჭრიჭინების ასეთი რთული განვითარების ციკლი „საუკუნეებია საგონებელში აგდებს მეცნიერებებს... ენტომოლოგები დღემდე ცდილობენ ამოხსნან რატომ აქვს ამ მწერს ასეთი ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე ამოუხსნელი მოვლენაა ცხოველთა სამყაროში.

მწერების რიგი ხეშეშფრთიანები (coleoptera) ხოჭოები უმდიდრესი რიგია (იგი უმდიდრესია ცხოველთა სამყაროშიც) აღწერილია ხოჭოების 300000-მდე სახეობა.

ხოჭოებს ახასიათებთ მკვეთრი, ლამაზი შეფერილობა, უფრო ხშირად მბრწყინავი ლურჯი ან მწვანე ელფერი დაკრავთ. თავდაცვის საშუალებად იყენებენ როგორც მფარველობით შეფერილობას, ისე სწრაფ სირბილს, ხტომას, ფრენას, ტანატოზურ მდგომარეობას (გარინდებას და მცენარეებიდან ვარდნა).

ხოჭოებს შორის ზოგი მცენარეებით (ფიტოფაგები), ხსნადი ორგანული ქსოვილებით (საპროფაგები) იკვებება, ზოგი მტაცებელია. ფიტოფაგებს თავის მხრივ ყოფენ ორ ჯგუფად: ხოჭოები, რომლებიც მცენარეთა მწვანე ნაწილებით იკვებებიან - ფილოფაგები (ფოთოლჭამიები, ცხვირგრძელები, ღრაჭები) და ხოჭოები, რომელთა მატლები ბალახოვან და მერქნიან მცენარეთა ქსოვილებში ბინადრობენ და ვითარდებიან (ცხვირგრძელების დიდი ნაწილი, ქერქიჭამიები, მემარცვლიები, პეწიანები).

ხოჭოების დიდი უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების, საკვები ბალახების, ტყის მერქნიანი მცენარეებისა და საკვები პროდუქტების საშიში მავნებელია.

ხოჭოების მთელი რიგი სახეობები (ჭიამაიები, ბზუალები) სასარგებლო მტაცებლები

არიან და მათ მავნე მწერების წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლისათვის იყენებენ. მაგ. საქართველოში ციტრუსოვანი კულტურის მავნებლების წინააღმდეგ იყენებენ ჭიამაიების ინტროდუცირებულ სახეობებს - როდოლიას, კრიპეტოლემუსს და ლინდორუსს.

ხოჭოები ბინადრობენ მთელ დედამიწაზე, გარდა ანტარქტიდის ყინულოვანი ზონისა და უმაღლესიმწვერალებისა. ხოჭოების უძველესი ნაშთები ცნობილია ქვედა პერმული პერიოდიდან. ხოჭოების ძირითადი ჯგუფები ცარცულ პერიოდში ჩამოყალიბდა. თანამედროვე ხოჭოების მრავალი გვარი კი პალეოგენში უკვე არსებობდა.

ადამიანის სასრგებლო ხოჭოების სახეობები მეტად მცირეა. მსხვილი ლამაზსხეულიანი ხოჭო (Calosoma sycophanta) და მათი მატლები ანადგურებენ აბრეშუმის ჭიებს, რომლებიც ხეების საშიშ მავნებლებად ითვლებიან. ხოჭოები ჭიამაიების ოჯახიდან და მათი მატლები დიდი რაოდენობით ანადგურებენ ცრუფარიანებსა და ბუგრებს. ხოჭო-მენაკელეები, ლეშიჭამიები, მესაფლავეები, ზოგიერთი მტაცებელი ხოჭო, იკვებებიან ცხოველების ლეშით და მათი გახრწნილი პროდუქტებით და გარკვეულ როლს ასრულებენ სანიტარიაში.

ბუნებაში მრავალნაირი მწერია. მწერები ერთმანეთითაც იკვებებიან. ე.ი. არიან მტაცებელი მწერები, რომლებიც სხვის ხარჯზე იკვებებიან. განსხვავება კვების თავისებურებაშია. ზრდასრული პარაზიტი მწერი, ჩვეულებრივ მსხვერპლის ორგანიზმში დებს კვერცხს, რომელიც შემდეგ იჩეკება და მსხვერპლის სხეულის ხარჯზე იზრდება. მტაცებელი მწერი კი თავის მსხვერპლის ორგანიზმს ერთბაშად ჭამს. ადამიანი სარგებლობს მწერებს შორის ბუნებრივად შექმნილი ასეთი მმდგომარეობით და ამა თუ იმ პარაზიტ ან მტაცებელ მწერს იყენებს მავნე მწერების გასანადგურებლად.

ბუნებაში მრავალნაირი ჭიამაიაა. მათ „ხვალდარიებსაც“ უწოდებენ. ზოგჯერ ჭიამაიები მოედებიან მცენარეული ტილებით, ანუ ბუგრებით დაზიანებულ ხემცენარეებს, მინდვრებს და ბოსტნებს და ანადგურებენ მათ.

65 სახეობის ჭიამაიაა ნაპოვნი. ქილოკორუსის გვარის ჭიამაიები ანადგურებენ ციტრუსების მავნებლებს. ქილოკორუსის მატლები ციტრუსების მავნებლებით იკვებება, თუმცა ის სრულად არ გავს ზრდასრულ მწერს. ქილოკორუსის გვარის წარმომადგენლები, რომლებმაც დაამარცხეს ციტრუსების მავნებლები არიან როდოლია და კრიპტოლემუსი. როდოლიამ ავსტრალიის ღარიანი ცრუფარიანა მოსპო. კრიპტოლემუსმა ციტრუსების ფქვილისებური ცრუფარიანა. ავსტრალიის ღარისებური ცრუფარიანა მეოცე საუკუნის ოციან წლებში გამოჩნდა და იმდენად გამრავლდა, რომ საჭირო გახდა მის წინააღმდეგ სპეციალური ღონისძიებების ჩატარება. ჭიამაია როდოლია ამ მავნებლით იკვებება. ცრუფარიანას ჭამენ როგორც ხოჭოები, ისე მისი მატლები.

ციტრუსების ფქვილისებური ცრუფარიანაც მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში გამოჩნდა. ჭიამაია ხოჭო კრიპტოლებუსი მისი ბუნებრივი მტერია. ეს ხოჭო ანადგურებს აგრეთვე ვაზის ფქვილისებრ ცრუფარიანას, აკაციის ფქვილისებრ ცრუფარიანას, ასევე ღინღლიან ბალიშა და წაგრძელებულ ბალიშა ცრუფარიანებსაც, რომლებიც ციტრუსებს და ჩაის ბუჩქს აზიანებენ.

უზომოდ დიდია ხეშეშფრთიანების უარყოფითი როლი სოფლის მეურნეობაში. ფოთლის მღრღნელების ოჯახის სხვადასხვა წარმომადგენელი კულტურული და ველური მცენარეების ძალიან ბევრ ფოთოლს ჭამენ. მათ ეკუთვნის კოლორადოს კარტოფილის ხოჭოები (Leptinotarsa decemlineatu), რომლებიც ფართოდ გავრცელდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აშშ-ში, საიდანაც პირველი მსოფლიო ომის დროს შემთხვევით იქნა შემოტანილი საფრანგეთის ატლანტიკის სანაპიროზე. ხოჭო გამოჭამს კარტოფილის ფოთლისა და ბოლქვის რბილ ნაწილებს, რასაც მცენარე მიჰყავს დაღუპვამდე. მავნებლები არიან აგრეთვე ნახევრადხეშეშფრთიანი ბაღლინჯოებიც. მაგალითად მავნე კუსებურა. ზრდასრული ბაღლინჯოს სხეულის აგებულება

კუს სხეულს წააგავს, ამიტომ მისთვის „კუსებურა“ დაურქმევიათ. ზრდასრული მწერის სხეულის სიგრძე 8-13 მმ-ია. მრავლდება კვერცხების დებით.

2015 წელს საქართველოში დაფიქსირდა ამ რიგის ერთ-ერთი წარმომადგენელი აზიური ფაროსანა (Halyomorpha Halys) ამ მავნებელმა დააზიანა თხილის და სიმინდის პლანტაციები. გარდა ამისა ფაროსანა აზიანებს ხეხილოვან, კენკროვან და ბოსტნეულ კულტურებს. განსაკუთრებით ატამს, ვაშლატამას, ვაშლს, მსხალს, ჟოლოს, პამიდორს, წიწაკას, მზესუმზირას. ფაროსანას მიერ დაზიანებული ხეხილის ნაყოფი დეფორმირდება, დაზიანების ადგილებში ვითარდება ყავისფერი ლაქები და ხილი საკვებად გამოუსადეგარი ხდება.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია ირემა ხოჭო (lucanus ervis) დიდი თავი და ირმის რქისმსგავსი უზარმაზარი ყბები აქვს. სხეული შავია, ზედა ფრთები მოყავისფრო მურა. საქართველოში ირემა ხოჭოს 6 სახეობაა აღრიცხული. იკვებება ხიდან (უმთავრესად მუხიდან) გამონადენი წვენით. მისი მატლი ცხოვრობს ლპობად მერქანში. მისი განვითარება 4-6 წელს გრძელდება. ირემა ხოჭოს ზიანი არ მოაქვს.

მარტორქა ხოჭო 4 სმ-ს აღწევს. მამლებს თავზე უკან გაღუნული რქა აქვს. მისი მატლი იკვებება გახრწნილი მცენარეული ნარჩენებით. ზოგჯერ აზიანებს მცენარის ფესვსაც. მისი განვითარება 4 წელს გრძელდება.

ამიერკავკასიის მარმარა ღრაჭა (Polyphylla olivieri) ფირფიტულვაშა ხოჭოების ოჯახს მიეკუთვნება. ხოჭო შავია, 35 მმ-მდე სიგრძისაა. წინა ფრთები თეთრი, მარმარა ლაქებით აქვს დაფარული, ბინადრობს ლამოვან ნიადაგში, დებს 40-მდე კვერცხს.

მატლი ყვითელია, რკალივით მოხრილი 8 სმ, სიგრძის. ნიადაგში რამდენჯერმე იზამთრებს, რადგან ერთი თაობის გამოზრდას 3-5 წელი სჭირდება, მატლი იკვებება მცენარის ფესვებით და განსაკუთრებით საშიშია ახალგაზრდა ვენახში, ვაზისა და ხეხილის სანერგეებში. მასთან ბრძოლისათვის გამოიყენება ნიადაგის დამუშავების დროს მისი მატლების მოსპობა და მსხმოიარე და არა მსხმოიარე ბაღ-ვენახში ჰექსაქლორანის შეტანა.

მახრასებრნი (Gryllotalpidae) მწერები სწორფრთიანების რიგიდან (ქვერიგი გრძელულვაშებიანი) ცხოვრობენ ტენიან ნიადაგში. ნაირჭამია მავნებელია. ოჯახში 45 სახეობაა. მის სრულ განვითარებას ერთი წელი ჭირდება.

მახრა (ბოსტანა) სხვა სწორფრთიანებისაგან მკვეთრად განსხვავდება წინა კიდურებით, რომლებიც განიერი და ნიჩბისებურია. მათი საშუალებით მახრა ნიადაგში თხრის სასვლელებს. ნიადაგის ზედაპირზე მახრა იშვიათად ამოდის, ფრენას მხოლოდ მამრი მახრები ახერხებს. ახასიათებს არასრული მეტამორფოზი. კვერცხიდან მატლი დაახლოებით 3 კვირის შემდეგ იჩეკება.

რიგი ბოგომოლები (MANTODEA). ბოგომოლები საკმაოდ დიდი ზომის მწერებია. თავისებური, წაგრძელებული სხეულით. აქვთ ძალიან მოძრავი თავი, დიდი ამობურცული თვალები, რომლებსაც თითქმის სამკუთხა ფორმა აქვთ. მღრღნელი პირის აპარატი მიმართულია ქვევით და უკან. ულვაშები უმრავლეს შემთხვევაში დატოტვილი და ძაფისებურია, მაგრამ ზოგიერთებში ის ფრთისებური ან სავარცხლისრბურია. ბაგამოლები მტაცებლებია. თავისი განვითარების ეტაპზე ისინი ანადგურებენ ძალიან ბევრ მწერებს. ბაგამოლებს ახასითებთ კანიბალიზმი. მდედრი ჭამს მამრს შეწყვილების დროს ან შეწყვილების შემდეგაც.

აგრეთვე შეუძლია შეჭამოს თავისი შვილი, ახალგამოჩეკილი თუ კი დროზე არ გაფრინდა.

ქერცლფრთიანების რიგი - პეპლები. ბუნებაში სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები მკვეთრად მცირდებიან. ევროპის ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენელი სამუდამოდ გადაშენდა. ზოგიერთებს კი ვხდებით მხოლოდ ნაკრძალებში, დაცულ ტერიტორიებზე და ზოოპარკებში. მიუხედავად ამისა ჩვენს ირგვლივ კიდევ არსებობენ განუმეორებელი სიმდიდრის ყვავილთა

სამყარო, ფრინველთა სამყარო და აურაცხელი რაოდენობის წვრილი და მსხვილი მწერები. პეპლები კი ამ მწერთა სამყაროში ისეთივე მარგალიტია, როგორც ორხიდეა ყვავილებში, სამოთხის ჩიტები ფრინველებში. პეპლები არა თუ ლამაზაბი და მრავალნაირებია, არამედ ასევე საინტერესოა მათი ცხოვრების ციკლი.

ქერცლფრთიანები ანუ პეპლები (Lepidopiera) წარმოადგენენ მწერების დამოუკიდებელ რიგს. პალეონტოლოგიური მასალის არარსებობის გამო ამ რიგის ასაკის დადგენა ვერ ხერხდება. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ პეპლების სასიცოცხლო მოქმედება დაკავშირებულია ყვავილოვანი მცენარეების არსებობასთან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქერცლფრთიანები უკვე არსებობდნენ ცარცული პერიოდის ბოლოს. ზუსტად ამ პერიოდის ნალექებშია აღმოჩენილი ყვავილოვანი მცენარეების ნარჩენები. ქერცლფრთიანების წინაპრები დიდი ალბათობით უკვე ბინადრობენ კარბონულ პერიოდში.

გათხრების შედეგად მოპოვებული ნამდვილი პეპლების ნარჩენები ეკუთვნის მესამეულ პერიოდს. ამ პერიოდში უკვე არსებობდნენ პეპლების მრავალი სახეობა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მათი ფილოგენეტეკური განვითარება მიმდინარეობდა ათასობით მილიონი წლების წინათ, მესამეულის პერიოდამდე. დედამიწაზე პირველი პეპელა 200 მილიონი წლის წინ გაჩნდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ყვავილები არ არსებობდა. ამის შესახებ განაცხადეს მეცნიერებმა, რომლებმაც წიაღისეულის ნალექის ნიმუშში სულ მცირე 7 სახეობის პეპელა აღმოაჩინეს. კვლევას The Guardian-ი აქვეყნებს.

მანამდე პალეონტოლოგებს მიაჩნდათ, რომ ყვავილები და პეპლები დედამიწაზე ერთდროულად წარმოიქმნენ. „ჩვენი აღმოჩენა აჩვენებს, რომ პეპლები 70 მილიონი წლით ადრე წარმოიქმნენ, ვიდრე მანამდე მიგვაჩნდა, ეს ნიშნავს იმას, რომ დედამიწაზე მათი გამოჩენა აუცილებლად ყვავილებთნ დაკავშირებული არ იყო“ - აცხადებს ნიდერლანდების უნივერსიტეტის მეცნიერი ბას დე სხოტბიურგე.

პალეონტოლოგების თქმით ადრინდელი პეპელა დღევანდელ ჩრჩილს ჩამოგავდა. 2017 წლის აგვისტოში ბიოლოგებმა ყვავილოვანი მცენარეების ევოლუციის ისტორია გააანალიზეს და დაასკვნეს, რომ დედამიწის პირველ ყვავილებს ყველაზე მეტად დღეს თეთღი შროშანი ჰგავს.

ქერცლფრთიანების რიგში ძირითადად განასხვავებენ ორ ქვერიგს: დღისა და ღამის პეპლებს. დღის პეპლების სხეული გამართულია, ანტენები ქინძისთავისებური ფორმისაა, ფრთები დაჯდომის დროს ეწყობათ სხეულის ვერტიკალურად. ღამის პეპლებს აქვთ მასიური სხეული და ბუმბულისებური ანტენები. მათი ფრთები სახურავისებურად ეწყობა. მათი უმრავლესობა მავნებელია.

პეპლებს, პატარა და ნაზ არსებებს, საოცრად დიდ მანძილზე გადაფრენა შეუძლიათ. ფრინველების მსგავსად, პეპლებიც შედარებით ხელსაყრელი პირობების: მეტი საკვების, უკეთესი ამინდის, შეწყვილებისა და კვერცხების დასადებად შესაფერისი ადგილების საძებრად მიფრინავენ. მაგრამ პეპლებისა და ფრინველების მიგრაციებს შორის დიდი განსხვავებაა. ზრდასრულ ფრინველებს, როგორც წესი, უკუმიგრაცია ახასიათებს. პეპლები კი, რომელთა სიცოცხლეც გაცილებით ხანმოკლეა, მხოლოდ ერთი მიმართულებით მიფრინავენ, თავდაპირველი ადგილსამყოფლისკენ კი უკვე მათი შთამომავლობა ბრუნდება. ფაქტობრივად მიგრაციული მარშრუტის ორივე მიმართულებით გავლის დროს პეპლების რამდენიმე თაობა იცვლება.

ქერცლფრთიანებიდან მუზეუმის ექსპონატებიდან წარმოდგენილია ლივონური სფინქსი. (Deilephila lineta var livonica Esp) ვაზს უზიანებს ფოთლებს, ყლორტებს და კოკრებს.

პეპელას სხეულის სიგრძე 35-40 მმ, მისი სიგანე გაშლილი ფრთების დროს კი 56-90

მმ. ზედა ფრთები ყავისფერია ბოლომდე გამავალი თეთღი ზოლით. ზედა ფრთების ძარღვები თეთრი ფერისაა, ქვედა ფრთები ვარდისფერია შავი ფუძით. მათ კიდეებზე არშიასავით გასდევს შავი და ნაცრისფერი ზოლები. მუცლის ყოველი სეგმენტი თეთრი ზოლითაა გამოყოფილი.

ლივონური სფინქსი ზამთარს ჭუპრის სახით ნიადაგში ატარებს. ამ ჭუპრებიდან პეპლები გაზაფხულზე მაისში ან ივნისის დასაწყისში გამოფრინდებიან. 2-3 დღის შემდეგ კვერცხებს დებენ ვაზის ფოთლის ქვედა მხარეზე 225 ცალამდე. მატლები 3-10 დღეში იჩეკებიან ტემპერატურის შესაბამისად. მატლები კანს 5-ჯერ იცვლიან, გადადიან ნიადაგში და ჭუპრდებიან. სფინქსი წელიწადში საქართვ ელოში 3 თაობას იძლევა, ყურძნის შეწამვლა უნდა მოხდეს შეთვლვამდე 40 დღით ადრე.

Pieris brassicae L. კომბოსტოს თეთრულა - ერთ-ერთი მავნებელი და ჩვენში ფართოდ გავრცელებული მწერია. მისი მატლები თითქმის მთლიანად ჭამენ კომბოსტოს. მოზრდილ მწერს ნაცრისფერი, ბეწვიანი სხეული და თეთრი ფრთები აქვს. ამიტომ მას თეთრულა უწოდეს. წინა ფრთების წვეროზე მკაფიოდ ჩანს შავი ნამგლისებრი ლაქა. ამის გარდა მდედრ პეპელას წინა ფრთებზე ზედა მხრიდან, ორი მრგვალი შავი ფერის ლაქა ემჩნევა სხეულის ზომა გაშლილი ფრთბით 60 მმ-ია. კომბოსტოს თეთრულა გვხვდება ყველგან. მდედრი დებს 200-დან 300 ცალამდე ყვითელ-ფორთოხლისფერ კვერცხს, რომელსაც ამაგრებს ფოთლის ქვედა მხარეზე. 4-10 დღის შემდეგ იჩეკებიან მატლები, რომლებიც ხრავენ ჯერ ფოთლის შუა ნაწილს და შემდეგ ფოთლის დანარჩენ ნაწილებს მატლების განვითარება გრძელდება 3-4 კვირას, ხანდახან მეტსაც. დაჭუპრებამდე მატლები ტოვებენ მკვებავ მცენარეს და ჭუპრდებიან სახლის კარნიზების ქვეშ, ღობეებზე, ქუჩის პატარა ტუმბოებზე და ა.შ. ჭუპრი მომწვანო მოყვითალო ფერისაა.

კომბოსტოს თეთრულას პეპლების ფრენა, კვება, პეპლობა და კვერცხის დება მხოლოდ მზიან დღეებში ხდება. უმზეო ამინდში ისინი უმოძრაო არიან. უსაკვებოდ 12 დღემდე ცოცხლობენ. საერთოდ კი სიცოცხლის ხანგრძლივობა უმზეო დღეებში 4-დან 12 დღემდე მერყეობს. ჭუპრის სტატიის ხანგრძლივობა ზაფხულში 7-10 დღეა, გაზაფხულზე 13 დღე. საქართველოს დაბლობებში 4-5 თაობას იძლევა.

კრაზანები ნესტრიანი სიფრიფანაფრთიანი მწერების (ფუტკრებისა და ჭიანჭველასებრთა გარდა) კრებითი სახელწოდებაა. კრაზანებს მიაკუთვნებენ მბზინვარაასბრნს, გზის კრაზანებს, მთხრელ კრაზანებს, კრაზანისებრებს და სხვა.

კრაზანისებრებს - ნამდვილი კრაზანისებრნი - სიფრიფანა ფრთიანი მწერების ოჯახის წარმომადგენლებს მოსვენებულ მდგომარეობაში წინა ფრთები სხეულის გასწვრივ აქვთ დაკეცილი. მუცელზე ხშირად მონაცვლეობით გასდევთ შავი და ყვითელი ზოლები. კრაზანებს შორის გვხვდება როგორც ერთეული სახეობები, რომელთა დედლები მატლებს მოკლული მწერებით ან ყვავილის მტვერით კვებავენ. ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ნირის მქონე ფორმები, რომლებსაც ჰყავთ როგორც ნაყოფიერი, ისე უნაყოფო დედლები (მუშები).

ბაზი არის ბუდის მშენებელი საზოგადოებრივი მწერების გვარიდან ფუტკრისებრთა ოჯახიდან. საკმაოდ მსხვილი 3,5 სმ-მდე სიგრძის სხეული ხშირი ბუსუსით აქვს დაფარული.

ამჟამად ცნობილია ბაზების 300-მდე სახეობა, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ზომიერსა და ცივ სარტყელში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ბაზი შეყვანილია ევროპიდან წითელი სამყურას დამტვერვის მიზნით. ბუდეს აშენებს დედალი ბაზი. კვერცხების დაყრიდან 20-25 დღის შემდეგ იჩეკებიან პირველი „მუშები“ ზაფხულის მიწურულში კი-დედლები და მამრები. განაყოფიერება შემოდგომაზე ხდება, რის შემდეგ მამლები იღუპებიან, დედლები კი მყუდრო ადგილებში იზამთრებენ. ბაზი სასარგებლო მწერია, ითვლება მრავალი მცენარის (მაგ. წითელი სამყურას) საუკეთესო დამამტვერავად (ამის გამო ბოლო დროს ცდილობენ მის

მოშინაურებას). ზოგი ბაზი პარაზიტობს საკუთარ და მონათესავე ბუდეში.

მართალია ბაზს უფრთხიან, მაგრამ რაოდენ დაუჯერებლადაც უნდა მოგეჩვენოთ, ის სასარგებლო მწერია და ბევრ მავნე მწერს ანადგურებს. იგი ბალახეულით არ იკვებება და საერთოდ არ აზიანებს მცენარეებს. ის ადამიანისაკენ აგრესიულად არ იწევს, თუ ჩვენ თვითონ არ გამოვიწვევთ მას. მაგრამ თუ მაინც გიკბინათ ნაკბენზე უნდა დაიდოთ ყინული და დალიოთ ალერგიის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკი.

ფუტკარი (Apoidea) - სიფრიფანაფრთიანების რიგის ზეოჯახი. შეიცავს რამდენიმე ოჯახს: მოკლეხორთუმიანები, ნამდვილი ფუტკრები. აქვს მლოკავ-ღრღნელი პირის აპარატი. უმრავლესობის ქვედა ყბა და ზედა ტუჩი წაგრძელებულია ხორთუმად. სხეული მოფენილია ბუსუსებით. უკანა კიდურების წინა ნაწევარი გაედაქმნილია „კალათად“, რომელშიც აგროვებენ მტვერს. მუცლის ბოლოს აქვს ნესტარი ანუ საწერტელი. ახასიათებთ შთამომავლობაზე ზრუნვა. ერთეული ფუტკრების დედალი ერთ ან რამდენიმე უჯრიან ბუდეს აშენებს, შიგ დებს კვერცხებს, უჯრას ბეჭდავს და ბუდეს ტოვებს. კვერცხებიდან შეიძლება გამოიჩეკოს როგორც დედალი, ისე მამალი ფუტკრები.

ე.წ. ნახევრადსოციალური ფუტკრების დედალი ბუდეში რჩება პირველი თაობის გამოჩეკამდე, რომელიც მხოლოდ დედლებისაგან შედგება. ისინი აშენებენ ახალ უჯრედებს, ავსებენ საკვებით, მაგრამ კვერცხებს არ დებენ. კვერცხებს ისევ ძველი დედალი დებს, მხოლოდ 1-4 უნაყოფო თაობის შემდეგ, ძველი დედა ფუტკარის მიერ დადებული კვერცხებიდან ვითარდებიან როგორც დედლები, ისე მამლები, დედა ფუტკარი კი კვდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე ე., - ქსე ტომი 7. გვ. 262-263. თბ. 1984 წ.
2. ბათიაშვილი ი. დეკანოიძე გ. – „ენტომოლოგია“ თბ. 1974 წ.
3. იოზეფ მოუხა., პეპლები, პრაღა, 1979 წ.
4. კალანდაძე ლ., ბათიაშვილი ირ., ალექსიძე ნ., ყანჩელი გ., ენტომოლოგია, თბ., 1962 წ.
5. კობახიძე დ., მაჩაბელი ალ., ზოოლოგია, თბ., 1986 წ.
6. კობახიძე დ., ნორჩი ზოოლოგები, თბ., 1952 წ.
7. ნოვიკოვი პ., ნაუმოვი ს., ზოოლოგია, თბ., 1989 წ.
8. საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. 2., თბ., 1964 წ.
9. ყურაშვილი ბ. – „უხერხემლოთა ზოოლოგია“ თბ., 1973 წ.
10. Жизн Животних. Т. 3. Москва. 1969 г.
11. ალექსიძე გ., ქსე ტ.VI. თბილისი, 1983 წ.

Tamar Tarieladze

Entomological collections presented in Ajara Museum

Summary

No class or type of wildlife can match the number of insect species. Insects are free-living animals. The vast majority live ashore and are accustomed to flying, but there are a

significant number of species that have adapted to living in aquatic environments. The insects have largely mastered the terrain with the exception of the high Arctic and the highland zones. The insect world causes amazement by its ability to adapt to different environmental conditions. Insects go through different stages of life as adults: eggs, worms, chrysalis and adults.

Insects participate in the circulation of substances. They feed on a variety of foods - living and dead plants, animal carcasses by which they perform the role of sanitation to the nature. They participate in pollination of flower plants, improve soil mechanical and physical and chemical properties, provide nutrients (bees) and technical products (silkworm). Most insects are dangerous pests of plants and animals. They also carry various diseases.

ნემსიყლაპია





ფარშავანგთვალა და მისი კვერცხები

კომბოსტოს თეთრულა

ხოჭოების კოლექცია

ხოჭოების კოლექცია

აზიური ფაროსანა

იზოლდა აბაიშვილი

ოსკარ შმერლინგი - ქართველი იუმორისტ-სატირიკოსი

(1863 – 1938)

იუმორი აზროვნების ერთ-ერთი ფორმაა. მისი ნიშანდობლივი თვისებაა სიცილი. მაგრამ განა ყველა სიცილი იუმორს ნიშნავს? ზოგჯერ სიცილი „ცრემლზე უფრო მწარეა“. იუმორისტი ისეთივე მებრძოლია, როგორც საზოგადო მოღვაწე. იუმორი ხელოვნებაა მეტად ძნელი და მეტად საჭირო. თითზე ჩამოთვლა შეიძლება მეტად ისეთი ცნობილი იუმორისტების, როგორიცაა: სერვანტესი, მარკ ტვენი, სვიფტი, დიკენსი, მოლიერი და კიდევ სხვები. მაგრამ მათი რიცხვი მაინც მცირეა. ნამდვილი იუმორისტის ნიჭი იშვიათიც არის და სანთლით საძებარიც. ეს იმითაც აიხსნება, რომ სიცილის მომგვრელი იუმორისტული ამბები ბევრი ხდება, მაგრამ მათი დანახვა და გამოსახვა მეტად ძნელია.

ხელოვნების ეს დარგი კარგა ხანია საქართველოში არსებობს, მაგრამ მხატვრობაში და პრესაში ბოლო დროს (XX საუკუნის დასაწყისი) გადმოვიდა და წარუშლელი კვალი დატოვა. ქართველი იუმორისტები ჩვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, ბევრი მოწინავე ერების ლიტერატურას დაამშვენებდა. ერთ-ერთი მათგანია ოსკარ შმერლინგი რომლის კარიკატურული ნახატები ცრემლიანი სიცილით აცინებდა ქართველ საზოგადოებას. გაზეთები: „ცნობის ფურცელი“, „ჩერნომორსკი ვესტიკი“, „კავკაზსკი ლისტოკი“, „ნაკადული“, „მოგზაური“, „ჭეჭილი“, „ტელეფონი“, „ნოვოე ვრემია“, „ხუმარა“, „მასხარა“, „ეშმაკის მათრახი“, „ბზიკი“, „ეკალი“, „ნიშადური“ და მრავალი სხვა საქართველოში გამოცემული გაზეთები და მათი დასურათებული დამატებანი უშურველად ბეჭდავდნენ სხვადასხვა თემაზე დახატულ მის იუმორისტულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ქართულ გაშარჟებულ გამონათვქმებს, ანდაზებსა თუ სახელმწიფო სტრუქტურებში გამოვლენილ ჩინოვნიკურ ნაკლოვანებებს. თითქმის არ დარჩენილა არც ერ დარგი, რომელსაც მხატვარ-კარიკატურისტის მათრახიანი ფანქარი არ შეხებია.

ქართული კარიკატურის 15 წლის თავზე გაზეთი „ეშმაკის მათრახი“ დაინტერესდა ნიჭიერი მხატვრისა და კარიკატურისტის ოსკარ ივანეს ძე შმერლინგის ბიოგრაფიით. ქართული კარიკატურის 15 წლისთავზე ო.ი.შლინგმა დახატა ამ ჟურნალის კარიკატურული მედლის გამოსახულებით ნახატი, რომლის შუაგულში ჩახატულია ოსკარ შმერლინგის პორტრეტი, გარს შემორტყმული ეშმაკებით, ეკლიანი გვირგვინით, კალმისტრითა და მათრახით შუარგოლში. რედაქციისადმი მიწერილ წერილში იგი წერს: „დავიბადე ჩემი საყვარელი მხარის საუბედუროდ, 1863 წლის 1 ივლისს ცალ ხელში „კარანდაშით“ (ფანქრით), ხოლო მეორე ხელში-მათრახით“. ამ დღიდან „კარანდაში“ და მათრახი შეიქნა მისი განუყრელი მეგობარ-თანაშემწე საყვარელი სამშობლო კუთხისათვის „დიდად სასარგებლო მოღვაწეობის“ დროს.

გერმანული წარმოშობის ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი სწავლობდა თბილისის რეალურ სასწავლებელში. სწავლობდა ძალიან ცუდად (როგორც თვითონ აღნიშნავს), როცა ცალ ხელში ფანქარი ეჭირა, მეორეში კი მათრახი, შეუძლებელი იყო მისი მათემატიკით გატაცება და რადგან სასწავლებელში ყველაფერი, მშობლიური ენიდან დაწყებული გალობით დამთავრებული, დამყარებული იყო მათემატიკაზე, შმერლინგის სასკოლო მოღვაწეობამ მეექვსე კლასამდე ძლივს მიაღწია. მეხუთეკლასელმა ოსკარმა გამოუშვა ჟურნალი „კოღო“, რომელმაც ვერ დაიმსახურა კლასის დამრიგებლის მოწონება, ვერ მოიპოვა ფართო გავრცელიბისათვის ბაზარი, 1880-81 წლებში სულ სამი ნომერი გამოვიდა და დაიხურა.

თბილისში გამოდიოდა ჟურნალი „ფალანგა“ (იგივე „ღრიანკელი“), რომლის რედაქციის მახლობლად აუღელვებლად ვერ ჩაივლიდა ხოლმე პატარა ოსკარი. ერთ მშვენიერ დღეს

იგი ეწვია რედაქციას და აღარც უძებნია სხვა სასწავლებელი. მისი კარიკატურები პანტასავით ცვიოდა სარედაქციო მაგიდაზე, საიდანაც ერთი-ორი ჟურნალისაკენ მიდიოდა, ხოლო დიდი უმრავლესობა უზარმაზარ გოდორში პოულობდა ადგილს.

შეუდრეკელი სურვილისა და ზღვა ცრემლების გამო ოსკარის თხოვნას ესწავლა აკადემიაში მშობლები დაეთანხმნენ, თუმცა იმ დროისათვის სიტყვა მხატვარი დიდ მოწონებაში არ ყოფილა. 1884 წლის აგვისტოში ოსკარ შმერლინგი პეტროგრადის სამხატვრო აკადემიის ჭერქვეშაა. პირველი მისი მხატვრული სურათი „დარაჯთა ცვლა“ გამოცდაზე ყველაზე ბოლოს იყო მოქცეული ცარცით ჯვარედინად გადახაზული. ამგვარ ნიშანს „გიორგის ჯვარს“ ეძახდნენ, თუმცა ყველა ერიდებოდა მის მიღებას, პეტროგრადის რედაქციები არ სწყალობდნენ ოსკარს და თვითონაც ერიდებოდა სახუმარო ჟურნალების რედაქციებს, თუმცა სატირასთან სიახლოვე გაუათკეცდა. იგი იძულებული იყო წასულიყო პეტროგრადიდან და ს.ხანკენდში ქ.შუშის მახლობლად მამისეულ სახლში გაჩერდა, სადაც დაიწყო თავგანწირული მოღვაწეობა ხანკენდის ერთ ძველ ყაზარმაში. ბოლოს კი მიუნხენში ამოყო თავი. აქ ის ვითარდებოდა არა მხოლოდ მხატვრობაში, არამედ გერმანული ლუდის სმაშიც. გერმანიაში მუშაობა დაიწყო „Radfar Humor“-ში („ველოსიპედისტთა ხუმრობა“) აქაც მალე დარწმუნდა, რომ სპორტული ცხოვრება მისი საქმე არ იყო და მათრახი და მისი „კარანდაში“ კვლავ ოსკარს ელოდა.

1901 წელს საფუძველი ჩაეყარა ქართულ კარიკატურას და ოსკარ შმერლინგიც დაუღალავად იბრძოდა ქართულ იუმორისტულ პრესაში. ამ დღიდან მოყოლებული ოსკარ შმერლინგმა თავს ნება მისცა აეწია ყანწი და გადასძახა მშვენიერ მშობლიურ საქართველოს:

„გაუმარჯოს ქართულ იუმორს! გაუმარჯოს ქართულ კარიკატურას!“

კარიკატურა მრავალფუნქციური დარგია იგი დამახასიათებელია ყველა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის, როგორც პროპაგანდისტული, სააგიტაციო და პოლიტიკური იარაღი. მისი გამოყენება ჯერ კიდევ XIII საუკუნეში დაიწყეს, კარიკატურები არსებობდა ძველ რომსა და საბერძნეთში ქილიკის საგანი ძირითადად მმართველები, ან მათი ქვეშევრდომები იყვნენ. ცნობილია, რომ ნაპოლეონი საშინლად რეაგირებდა საკუთარ კარიკატურაზე. მიხეილ კუტუზოვმა განსაკუთრებული სტამბა შექმნა, რათა ომის დროს ფრანგების საწინააღმდეგო კარიკატურები შეექმნა. საბჭოთა პერიოდში კარიკატურა მასობრივი სააგიტაციო ხელოვნების ნაწილი გახდა. იყო შემთხვევები, როცა ხანგრძლივი პარტიული სხდომებით დაღლილი პოლიტბიუროს წევრები თავად ხატავდნენ საკუთარი მეგობრების შარჟებს. ცივი ომის პერიოდში პოპულარობა მოიპოვა ატომური ბომბის, რაკეტის, ამერიკელი ჯარისკაცის, ბირთვული აფეთქებების შედეგად მიღებული სოკოს გამოსახულებებმა.

კარიკატურების სარკაზმი შეეხო ყველა მოვლენას, რომელიც მსოფლიოში განვითარდა. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა პროპაგანდისტული, სააგიტაციო ფორმით დიდი სამამულო ომის პერიოდში. (მუზეუმის ფონდში დაცულია კარიკატურები ამ პერიოდის შესახებ...)

ოსკარ შმერლინგი ჯერ თბილისის სამხატვრო სასწავლებლის, შემდეგ კი იყო ფერწერისა და ქანდაკების სკოლის დირექტორი 1918 წლამდე. 1921 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ახლად დაარსებულ სამხატვრო აკადემიაში, სადაც პროფესორად მუშაობდა. მისი მოსწავლეები იყვნენ: ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, ალექსანდრე ციმაკურიძე, მიხეილ ჭიაურელი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული წიგნის ილუსტრაციის განვითარების საქმეში. ოსკარ შმერლინგს ეკუთვნის ძველი თბილისის ყოფისა და ტიპების ამსახველი მრავალრიცხოვანი აკვარელი („მეზურნეები“, „ორი ქალაქელი“) მის შემოქმედებას დიდი შეფასება მისცეს შალვა დადიანმა, სანდრო შანშიაშვილმა, იოსებ გრიშაშვილმა მას ქართული კარიკატურის პიონერი უწოდეს. იგი 40 წელი ემსახურა ქართულ ჟურნალისტიკას. 1933 წელს აღინიშნა ოსკარ შმერლინგის შემოქმედების 40 წლისთავი.

გერმანული წარმოშობის ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი, იუმორისტი და კარიკატურისტი გარდაიცვალა თბილისში 1938 წ. მან უაღრესად ღრმა შინაარსიანი, მრავალფეროვანი შემოქმედება დაგვიტოვა, ბევრი მიმდევარიც, რომელთაც გააგრძელეს და გაამდიდრეს ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგი ხელოვნებისა.

ოსკარ შმერლინგის იუმორისტული მათრახი, მისი კარიკატურული შემოქმედება იმდენადაც არის ჩვენთვის საინტერესო, რამდენადაც მრავალმხრივ შეეხება ბათუმს, აქ განვითარებულ მოვლენებს, როგორც პოლიტიკურს, ისე სოციალურ სიდუხჭირეს, მის თეატრალურ ცხოვრებას, ქართული ენის სიწმინდეს, სამედიცინო სფეროს, განათლების სფეროს, ამხელს ადგილობრივი მმართველობის ნაკლოვანებებს. დიდი ადგილი ეთმობა ბათუმის პროვინციიდან მიღებულ ამბებს, რათა იუმორისტული ჟურნალები და მათი სურათებიანი დამატება დარაჯად მდგარიყო იმდროინდელი ცხოვრების საკითხებისადმი და ეკრიტიკებინა ისეთი კილოთი, რომ „მტერს“ შურდულივით მოხვედროდა გულში, ხოლო მოყვარეს სიამოვნების ღიმილი მოჰგვროდა.

ჟურნალი „ბზიკი“ აგრეთვე „ეკალი“, „ეშმაკი“, „მათრახი“ აქვეყნებს ქალაქის თავის განკარგულებას ბათუმის ბულვარში მოსეირნეთათვის, რომ ზაფხულის სეზონზე „ძაღლების გამოფენის“ გამო აღიჭურვონ ჯოხებით პირუტყვებისაგან თავდასაცავად. საინტერესოა იუმორისტული ლექსი ბათუმის რკინიგზაზე „თბილისიდან ბათუმისაკენ“ სათანადო კარიკატურით. იუმორისტული ლექსები, რომელთაც ხელს აწერს „ბლიკვაძე“ (კუთხურად ნიშნავს მოღერებულ მუშტს) „მესტვირული“ (ბათუმისათვის) „არჩევანი ბათუმში“, „ვნახე ტაძარი“ (ჟურნალი „ეშმაკი“) იუმორისტული ლექსით აღწერს ბათუმში ქართული ეკლესიის მშენებლობას ჟურნალი „მათრახი N6“, ბათუმელი „კვინწარი ეშმაკის“ მოხსენება აღწერს ბათუმის დუხჭირ ცხოვრებას.

ოსკარ შმერლინგის კარიკატურები შეეხო ბათუმის ზღვისპირა საავადმყოფოებს („ნიშადური N47“) პანორამას ზღვის პირას, ასე იკურნება ტვინის ანთება („ეშმაკის მათრახი N25) ექიმის გამოწერილი წამალი პირველს, მეორეს, მესამეს ...(ეშმაკის მათრახი 1908 წ.) და ა.შ.

პროვინციული ამბებიდან აღსანიშნავია ბათუმიდან მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აჭარლები ითხოვდნენ ადგილობრივი გამგეობიდან ნებართვას, ჩამოერეკათ საქონელი საბალახოდ ბათუმის ქუჩებში, ან გაეთიბათ მთავარი ქუჩები. მაშასადამე, 1907 წლის მდგომარეობით ბათუმის ქუჩებში ბალახი ჭარბობდა და მიუხედავი იყო.

ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“ N10 აქვეყნებდა ო. შმერლიკის პორტრეტულ მეგობრულ-იუმორისტულ შარჟებს ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და ცნობილი პიროვნებებისა. მისი კარიკატურები შეეხო ქართულ ანდაზებს, ბრძნულ გამონათქვამებს: „რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო“ (ჟურნალი „ნიშადური“ 1908 წ.). 1907 წელს გამოდიოდა ყოველკვირეული კარიკატურებიანი გაზეთი „ხუმარა“ რომლის რედაქტორი და გამომცემელი იყო აკაკი წერეთელი. ეს არ იყო რომელიმე პარტიის ორგანო. ეს იყო ღია გაზეთი, რომელშიც ერთმანეთს ეჯახებოდა სხვადასხვა მიმართულების შეხედულებები. ეს საჭიროც იყო და კარგიც. აზრთა ჭიდილში ხომ ჭეშმარიტება იკვეთება. ამავე დროს ზნეობრივი საბრძნეა „მოყვარეს პირში უძრახო“ მაგრამ უფრო მეტი ხარისხის ზნეობრივი სიბრძნეც „მტერს რომ პირში უძრახო“.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ეს საოხუნჯო - თუ ბელეტრისტული ჟანრის ჟურნალ-გაზეთები, მათი დასურათებული დამატებანი უგროვებია, შეუნახავს და მუზეუმისათვის საჩუქრად გადაუცია ამავე რედაქციების მაშინდელ თანამშრომელს პლატონ პავლეს ძე კილასონიას. ყველა ჟურნალს მისივე ხელით მინაწერი და ბეჭდური დამღა აქვს. პლატონ კილასონიამ მუზეუმს მიანდო ამ ჟურნალების მოვლისა და მისი მომავალი თაობებისათვის გაცნობის დიდი მოვალეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭმ, რევოლუციის მუზეუმის ფონდი 4, საქმე 268
2. ჟურნალი: „ხუმარა“, 1907 წ.
3. ჟურნალი: „ნიშადური“, N47, 1907-08 წწ.
4. ჟურნალი: „მათრახი“, N25, 1908 წ.
5. ჟურნალი: „ეშმაკის მათრახი“, N10, 1908 წ.

Izolda Abaishvili

Oscar Schmerling - Georgian humorist-satirist (1863 – 1938)

Summary

Oscar Schmerling, the founder and prominent representative of Georgian humorous art, has left a lasting mark on Georgian painting and the press.

The magazines and newspapers featured caricatures, posters, humorous posters painted by Schmerling on various topics. The “sharp” pen of the satirical caricaturist touched every aspect of public life. His work reflected the existence of Batumi, historical, political and social events.

Georgian painter and graphic artist, humorist and cartoonist of German origin died in 1938.

The journals and newspapers of the jokey-belletristic genre had been collected and gifted to the museum by a former collaborator of these editorials, publicist Platon Kilasonia. He entrusted the museum with a great deal of its care, preservation, and introduction to future generations.







სამდინარო ნაოსნობის განვითარება აჭარაში

ნაოსნობას, ხმელეთის ტრანსპორტთან ერთად, როგორც წარსულში, ისე ამჟამადაც, ხალხთა შორის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის დამყარებისათვის, როგორც სატრანსპორტო საშუალებას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. სწორედ ამითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ კაცობრიობა მთელი თავისი არსებობის მანძილზე ტრანსპორტის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევდა.

ნაოსნობა, როგორც ოკეანეებზე და ზღვებზე, ისე მდინარეებზე უხსოვარი დროიდან მომდინარეობს, ფინიკიელები და ძველი მესოპოტამიელები ამ საქმის დიდი ოსტატები იყვნენ. მათი მიბაძვით ძველ სამყაროში არა ერთმა ხალხმა მოჰკიდა ხელი მას.

საქართველოში მოპოვებული არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მასალები მეტყველებენ, რომ ქართველი ტომები უძველესი დროიდან დაწინაურებული ნაოსნობიდან ნავმშენებლები ყოფილა. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძველი კოლხები.

მდინარეებზე ნაოსნობას, რომელსაც განსაკუთრებული თავისებურებანი ახასიათებდა, ძველ საქართველოშიაც მისდევდნენ. ამის დამადასტურებელ ცნობებს ჩვენ ვხდებით ძველი ბერძენი ისტორიკოსების და გეოგრაფების (ქსენოფონტეს, ჰიპოკრატეს, აპოლონ როდოსელის, სტრაბონის) შრომებში.

ძველი ბერძნების ცნობით, ფაზისი (მდ. რიონი) ჯერ კიდევ არგონავტების ცნობილი ლაშქრობის დროს კოლხებს სანაოსნოდ ჰქონდათ გამოყენებული „ნავები შავი ზღვიდან დღვანდელ შორაპანამდე მოდიოდა და აქედან საურმე გზის გავლის შემდეგ სანაოსნო მარშუტი მტკვარზე გადიოდა. ასე, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთს საქართველოს ეს ორი მდინარე ერთ სანაოსნო სისტემაში ყოფილა გაერთიანებული (ჩიქოვანი, ნიკოლაიშვილი, 2015:2).

უცხოური წერილობითი წყაროებიდან საყურადღებოა ძვ.წ. V საუკუნის ბერძენი მეცნიერის ჰიპოკრატეს ცნობები, რომლის მიხედვით კოლხეთი ხე-ტყით მდიდარი ქვეყანაა; ფაზისის სანაპიროს ეს მხარე ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და ტყეებით დაბურული, მოსახლეობა ფეხით ნაკლებად დადის, ჩვეულებრივ კი ისინი ცალფა ნავებით დაცურავენ ზევით-ქვევით არხებზე, რომლებიც აქ მრავლად მოიპოვება (უზუნაძე, 2001:152). ყველაზე უფრო ადრინდელი ცნობა ბათუმის შესახებ დაცულია არისტოტელეს და (ძვ.წ. V საუკუნე). განსაკუთრებით საყურადღებოა ქალაქ ბათუმის ახლანდელ სახელწოდებასთან დაკავშირებული მასალები, რომელბსაც ვხდებით რომაელი მწერლის პლინიუს უფროსისა და ბერძენი ავტორის ფლავიუს არიანეს სამოგზაურო ჩანაწერებში, თუმცა მათ მასალებში „ბათუსის'' სახით მოხსენებულია მდინარე და არა ქალაქი.

ნაოსნობის და გემთმშენებლობის საკითხებზე მდიდარ მასალებს შეიცავენ შემდგომი პეიროდის მოგზაურთა ჩანაწერებიც. ამ მხრივ საინტერესოა XVII საუკუნის განთქმული თურქი მოგზაურის ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. მასში გადმოცემული სხვადასხვა ეთნოგრაფიული მასალები შავიზღვისპირეთის ქართველ და სხვა ხალხებში ზღვაოსნობის, ნავმშენებლობის, სანავსადგურო ცენტრების, ხომალდებისა და ნავების მრავალფეროვნების შესახებ ისტორიულ ცნობებს შეიცავს.

XVIII საუკუნეში სახელოვანი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი ლაზების შესახებ წერდა: „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთთა დიდთა და მცირეთა''... განთქმული ნავებით დაცურავდნენ შავი ზღვის თითქმის ყველა მიმართულებით. ლაზი ოსტატები საზღვაო საქმის კარგ გამოცდილ ხელოსნებად ითვლებოდნენ.

ლაზ მოსახლეობაში ნაოსნობის განვითარება მნიშვნელოვნად განაპირობა მათმა ცხოვრების პირობებმა. ლაზების საცხოვრებელი ადგილი დაფარული იყო ხშირი ტყით, უმეტეს შემთხვევაში მთა-გორიანი და კლდოვანი ადგილებით. ცნობილი ქართველი მკვლევარი გ. ყაზბეგი ამის შესახებ წერდა: „აქ ლაზეთში არ არსებობს არა თუ ალპური მდელოები, არამედ მცირე ოდენი საძოვარი და სათესი მიწა... ამიტომ მთელი მოსახლეობა ჩამოირეკა ზღვის სანაპიროზე“... (უზუნაძე, 2001:152).

განსაკუთრებით საინტერესო ისტორია გააჩნია სამდინარო ნაოსნობის განვითარებას აჭარაში. მდინარე ჭოროხი ანტიკურ მწერლობაში იხსენიება აკამფსისის სახელწოდებით, რის შესახებაც საყურადღებოა რომაელი მწერლის გაიოს პლინიუს უფროსის ცნობა: „140,000 ნაბიჯზე ტრაპიზონიდან არის მდინარე აფსარი, რომლის შესართავთან ამავე სახელწოდების ციხე-სიმაგრეა“ (ჩიქოვანი, ნიკოლაიშვილი, 2015:2).

აფსარს იხსენიებს აგრეთვე, მეორე რომაელი მწერალი ფლაბიოს არიანე, რომელმაც 134 წელს იმოგზაურა კოლხეთში შავი ზღვის გასწვრივ. ჯერ კიდევ არიანეს დროს, როგორც მისივე აღწერიდან ჩანს, მდინარე აკამფსისი (ჭოროხი) ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ სანაოსნოდ ყოფილა გამოყენებული (ჩიქოვანი, ნიკოლაიშვილი, 2015:2).

ანტიკური წყაროები დღესაც მეტყველებენ გონიას ციხე-ქალაქის უდიდეს სტრატეგიულ მნიშნელობასა და საერთოდ ჩვენი ხალხის კულტურაზე შორეულ წარსულში. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ ისტორიული საქართველოს შავი ზღვის ტერიტორიის მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის მეზობელ ქვეყნებთან აღებ-მიცემობის ერთ-ერთ ცენტრს აფსარის ციხე-ქალაქი წარმოადგენდა, რომელთანაც დაკავშირებული იყო სახმელეთო, საზღვაო-სანაოსნო გზები და რომელსაც ალბათ გააჩნდა მოხერხებული ნავსადგური. გასაგებია ისიც, თუ რატომ ატარებდა აღნიშნული ციხე აფსარის სახელს. ეს მდინარე განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ქალაქის ასაგებად.

მდინარე ჭოროხზე ნაოსნობას უძველესი დროიდან მისდევდნენ და მას დიდხანს არ დაუკარგავს თავისი მნიშვენლობა. მხოლოდ ოსმალებმა სულთან მეორის (1526-1566 წწ.) დროს დაიპყრეს გონია, რომელიც გადააქციეს ძარცვა-გლეჯის ცენტრად. აქ 1662 წელს გაძარცვეს ფრანგი მოგზაური შარდენი. აგრეთვე საქართველოს ცნობილი მწერალი და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი. ამ გარემოებამ დროთა განმავლობაში შეაფერხა ვაჭრობის საქმე და შეამცირა ნაოსნობაც.

მე-19 საუკუნის დასასრულს სამხრეთ-დასავლეთ ისტორიულ საქართველოში იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა და სხვებმა, რომლებმაც დაგვიტოვეს მეტად საინტერესო ცნობები ჭოროხზე არსებული ნაოსნობის შესახებ.

მდინარე ჭოროხი წარმოადგენს იმ სასიცოცხლო არტერიას,რითაც ოდითგანვე მთელი შავშეთის მოსახლეობა უკავშირდებოდა შავიზღვისპირა ძველ ქართულ პროვინციებს: ლაზებს, გურია-აჭარას, ქობულეთს, შავშეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სწორედ მდინარე ჭოროხის საშუალებით უკავშირდებოდა.

მდინარე ჭოროხი სხვა გზებთან შედარებით უფრო საიმედო და იაფი იყო მიმოსვლისათვის და თანაც მას ჭოროხისპირა სოფლებისთვისაც დიდი შინასამეორნეო მნიშვნელოობა ჰქონდა.

ჭოროხზე სამი სახის ნაოსნობა იყო განვითარებული: სამგზავრო, შინა სამურნეო და სატვირთო. აქედან უკანასკნელი უფრო ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. ამიტომ სანაოსნო გზა შედარებით უფრო გრძელი იყო - ართვინიდან მიყოლებული ბათუმის ჩათვლით. შინასამეურნეო ნაოსნობა ადგილობრივ ხასიათს ატარებდა და მისი გზა ახლო-მახლო სოფლებს მოიცავდა. სამგზავრო ნასონობა ისეთი მომგებიანი არ იყო,როგორც სატვირთო, მიუხედავად ამისა, მგზავრების გადაყვანა ბათუმისაკენ მაინც რეგულარულად ტარდებოდა.

ნავის მკეთებელი ოსტატები იყვნენ ხებელები, ქვედა მარადიდელები და ბორჩხელები. თითქმის ყველა ოჯახს ჰქონია ნავი. ჭოროხის ხეობის ნავმშენებლობის ცენტრი ყოფილა ქვედა მარადიდი. სოფელ მარადიდში თოთხმეტი ნავსაშენი სახელოსნო ყოფილა.

ნავის კეთების მეორე ცენტრი იყო ბორჩხა. ამ სოფელში წარმოებული სამუშაოს ინტენსიურობა და მასშტაბი ქვედა მარადიდთან შედარებით ნაკლები იყო.

ნავის გასაკეთებლად ჭოროხელი ოსტატები ხმარობდნენ წაბლსა და თხმელას, რადგანაც ხის ეს ორი ჯიში მკვირივია, მალე არ ლპება და საღებავს კარგად ისრუტავს. მარადიდელი ოსტატები ნავის საჭირო ხეს საგულდაგულოდ შეარჩევდნენ. მასალა კარგად უნდა გაეშროთ. ნავის ძირისათვის აუცილებლად თხმელა იხმარებოდა, გვერდებისათვის კი ყოველთვის წაბლის ხე.

ჭოროხის ნავი მდინარის სპეციფიკურობის გამო ყოველთვის ბრტყელძირიანი იყო.ნავის ძირი არ კეთდებოდა იმიტომ,რომ ჭოროხი არ არის ღრმა მდინარე და თანაც მისი სიღრმე დინების სიგრძეზე არათანაბარი და ცვალებადია. ნავის ძირი სამი ერთმანეთზე მიკრული ფიცრისაგან კეთდებოდა და ძირის შუა ფიცარს „სარაგანა“ ეწოდებოდა.

ჭოროხის ნავი გარდა ძირისა, კორპუსის მოყვანილობითაც განსხვავდებოდა ზღვის ნავისაგან. ჭოროხის ნავს, როგორც წინა, ისე უკანა ნაწილი აწეულ-წამახვილებული აქვს, უკანა კი ჩაჭრილი და ბრტყელია. ზედ საჭეს მიამაგრებდნენ. ნავის გვერდების შეკვრის შემდეგ ნავის თავსა და ბოლოში მენავის საჯდომი სკამი და ბაქანი „ჩათალი'' კეთდებოდა.

ჭოროხული ბრტყელძირიანი ნავი შედგება ხუთი ნაწილისაგან: „ნავი ბოლო“ – „კაბულღა'', „ნავი თავი'' – „ნავის კიჩო'', „საჭვირთე'' – შუა ნაწილი, გვერდები და ძირი. „საჭვირთეს'' ნავის შუა ნაწილი უკავია.

ბრტყელძირიანი ნავის ეკიპაჟი ოთხი მენავისაგან შედგებოდა. ნავის მეთაური „რეიზი'' იყო. „რეიზის'' შემდეგ მეორე კაცი იყო უფროსი მენიჩბე - უფროსი „ტაიფა''. გარდა ამისა იყო ორი რიგითი მენიჩბე „ტაიფა''. „რეიზის'' თანამდებობაზე გამოცდილი მენავე უნდა შეერეჩიათ. „რეიზს'' ჯერ ნაოსნობაში გამოცდიდნენ, შემდეგ ნავის მეთაურად ამტკიცებდნენ.

ნაოსნობა ჭოროხზე იწყებოდა ართვინიდან და მთავრდებოდა ბათუმში. დ.ბაქრაძის ცნობით ართვინიდან ბათუმამდე 200 ცალი ნავი მოქმედებდა ... მაგრამ მუდმივი სანაოსნო ხაზი ხშირად ბათუმამდე მთავრდებოდა,რადგან ღელვის შემთხვევაში ბრტყელძირიან ნავებს ზღვაში შესვლა არ შეეძლო (უზუნაძე, 2001:220).

ნავებით მიჰქონდათ ბათუმისა და სანაპიროს სხვა ბაზრებზე გასაყიდად ზეითუნი, ყურძენი, ნიგოზი, შავშური პური, კომში, ვაშლი, ჩურჩხელები, ქიშმიში და სხვა. ასევე მოწონებას იმსახურედა ართვინისა და ბორჩხის კრამიტი, ქვევრები დერგები, ქოთნები და ჯამები. ჭოროხის ხეობის სოფლებში ბათუმიდან შემოქონდათ სიმინდი, მარილი, ნავთი, ქსოვილები და სხვა სამრეწველო საქონელი.

ნაოსნობა ჭოროხზე დაწინაურდა XVIII-XIX საუკუნეებში. ნავის ტვირთმწეობა 150-200 ფუთამდე მერყეობდა და დამოკიდებული იყო მდინარის წყალუხვობის პერიოდზე. საპირისპირო მიმართულებით ტვირთის ატანა 50-100 ფუთს არ აღემატებოდა. 50 კილომეტრიანი სანაოსნო გზის გადაცურვას ჭოროხელი ნაოსნები 3-4 სთ ანდომებდნენ. ხოლო უკან დაბრუნებისას 15-20 სთ უნდებოდა.ნავების უკან სვლა იწყებოდა მდინარე ჭოროხის მარჯვენა ნაპირიდან – კაპნის თავიდან. ძნელად სავალ ადგილებში ერთი ნაპირიდან მეორეზე გადადიოდნენ - მანევრირებდნენ. ამ ადგილს სამენაო თავს უწოდებდნენ. ჭოროხიდან ართვინამდე 100-მდე სამენაო თავი ყოფილა, რომლის გადალახვას დიდი დრო სჭირდებოდა. სამშენებლო მასალის შერჩევა აგებულება, ნავიგაციის მთელი სისტემა შემუშავდა ყველა მოთხოვნების საფუძველზე და შეგუებულია ამ ხელობის გეოგრაფიულ-სამეორნეო გარემოსთან. მის კლიმატურ ბუნებრივ

თავისებურებებთან. ნავმშენებლობას საფუძვლად ედო ხე-ტყის სიმდიდრე და ძველი მეტალურგიული დაწინაურება.

ჭოროხზე ნავით მგზავრობის ღირებულება არ იყო განსაზღვრული. მას მენავეები აწესებდნენ. თუ წყალი ადიდებული იყო ან მცირეწყლიანობის პერიოდში ნაოსნობა ჭირდა, შესაბამისად მგზავრობა ძვირი ღირდა. ნავით მგზავრობა 4-5 რუბლი ღირდა. შედარებით ძვირი იყო აღმა მგზავრობა. კაპანდიდან ართვინამდე ღირდა 10-15 რუბლი.

1880-90-იან წლებში ართვინიდან ბათუმამდე მგზავრობა ღირდა 10-15 რუბლი, ხოლო ზევითკენ 20-25 რუბლი, ზოგიერთი ცნობით 20-25 რუბლიც.

ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ აღებ-მიცემობა ჭოროხის გზით გააქტიურდა: შავშეთ-იმერხევსა და ართვინ-არტანუჯის რაიონებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები პური, თამბაქო, თაფლი, ხილი, ბოსტნეული, ყურძენი, ზეთისხილი, ვაშლი დიდი მოწონებით სარგებლობდა ბაზარზე.

ჭოროხის სანაოსნო გზით ბორჩხიდან ბათუმში ჩამოჰქონდათ ხე-ტყე, თიხის ჭურჭელი, აგური, კრამიტი, კირი. ბათუმიდან ართვინის მიმართულებით გადაჰქონდათ სიმინდი, მანუფაქტურული ნაწარმი, ქვემო აჭარის სოფლებიდან ნავთი და სხვა საგნები. განსაკუთრებით უგზოობის პერიოდში გადაჰქონდათ ფოსტა.

საზღვარგარეთიდანაც ართვინელ ვაჭრებს შემოჰქონდათ სხვადასხვა პროდუქტი, რომლებიც ბათუმიდან ნავებით გაჰქონდათ ართვინში, იქედან კი -არტაანში, ყარსში, როგორც ირკვევა ჭოროხის სანაოსნო გზა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. არტაანიდან, ყარსიდან, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ეზიდებოდნენ ხორბალს.

ჭოროხზე ნაოსნობის განვითარებამ ბიძგი მისცა ბათუმის ოლქში სამთომომპოვებელი და სამთოგადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას.

სამდინარო ნაოსნობის განვითარების შემდეგ ზღვისპირა პუნქტებში ცხოვრების გამოცოცხლება შეინიშნებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ართვინი, ნაღვარევი, ბორჩხა, ზედა და ქვედა მარადიდი,რომელთაც გააჩნდათ მოხერხებული ნავმისადგომები. ართვინიდან მომავალი და ზევითკენ მიმავალი ნავები გზად აღნიშნულ პუნქტებში ჩერდებოდნენ, იმართებოდა ვაჭრობა. შედარებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შიდა სამეურნეო ნაოსნობა. ამ ურთიერთობის შედეგად აქ აღმოცენდა ყავახანები, სასტუმროები, დუქნები. მათი შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს სწორედ ნაოსნობა წარმოადგენდა.

ჭოროხზე ნაოსნობის განვითარებამ, მისმა მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციებმა და ინტენსიურმა ხასიათმა გამოიწვია საბაჟო სისტემის წარმოქმნა, რომელიც არეგულირებდა ნაოსნობას და საბაჟო საგადასახადო საქმიანობას.

ფეოდალური ხანის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ბაჟის გადახდა მდინარეზე ნაოსნობისათვის არსებულ მოსაკრებელს - ნავის გადასახადი - „ნავის ბაჟი'' - ეწოდებოდა. ბაჟს იხდიდნენ ნავის მფლობელები.

მდინარე ჭოროზე არსებობდა - „ნავის ბაჟის აკრეფის სხვადასხვა წესი: 1. ბაჟი ნავრეისისათვის; 2.ყოველწლიური საბაჟო მოსაკრეფელი. პირველი წესი მოქმედებდა XIX-ის 80-იან წლებამდე, ხოლო ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთების შემდეგ შემოიღეს ყოველწლიური საბაჟო გადასახადი, რომელიც დიდ შემოსავალს იძლეოდა, ამიტომ იგი ძირითადად წარმოადგენდა ხელისუფლების მონოპოლიას.

ბათუმ-ართვინის შარაგზის გაყვანის შემდეგ 1903 წლიდან ნაოსნობა ჭოროხზე თანდათან შესუსტდა, მაგრამ კვლავ ინარჩუნებდა მნიშვნელობას. ნ.შავროვის გადმოცემით „მიუხედავად თვლიანი ტრანსპორტის განვითარებისა, ნაოსნობა ჭოროხზე არ დაცემულა და აგრძელებდა

არსებობას, თუმცა ნავების რიცხვი არც ისე დიდია...“ (კომახიძე, 2010:396).

ჭოროხზე გრძელდებოდა 1914 წლის შემოდგომამდე. ქვეყნის შიგნით შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის და საომარი ვითარების გამო 1914 წლიდან ნაოსნობამ კიდევ უფრო იკლო. ნაოსნობა ძირითადად ატარებდა სტიქიურ, არარეგულარულ ხასიათს და უფრო გამოიყენებოდა შიდა სამეურნეო დანიშნულებისთვის.

ამგვარად, სამდინარო ნაოსნობის განვითარებას აჭარაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჭოროხზე ნაოსნობის განვითარებამ, მისმა მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციებმა დადი დახმარება გაუწიეს საზღვაო ნაოსნობის შემდგომ განვითარებას და საფუძველი ჩაუყარეს ისეთი საზღვაო-სატრანსპორტო ხომალდების აგებას, როგორიცაა ლაზური „მენექსილა'', ლაზური „სანდალა გემი'' და სხვა.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულია ბრტყელძირიანი ნავის მოდელი. საინვ. N 1559. დამზადებულია ქ. ბათუმში. მუზეუმში შემოვიდა 1913 წ. მოქალაქე არაბოღლისაგან. ზომა 20X12.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კომახიძე თ., აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, წიგნი I, ბათუმი, 2010 წ.
2. უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათუმი, 2001 წ.
3. ქათამაძე ა., ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან, ბათუმი, 1983 წ.
4. ჩიქოვანი თ., ნიკოლაიშვილი ჭ., ჭოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან. - გაზეთი „აჭარა“, თებერვალი, 2015 წ.

Shorena Makharadze

Development of river navigation in Adjara

Summary

The development of river navigation was of great importance in Adjara. Navigation in southwest Georgia has been one of the oldest transportation means in the world. Through this means, the population of this region had a wide and multilateral relationship with the seaside and riverside parts, with the outer world.

Archaeological or ethnographic materials obtained in Georgia indicate that the Georgian tribes were advanced sailors and shipbuilders from ancient times. In this field, the old Colchis were particularly distinguished.

Navigation is confirmed on the river Adjaristskali from the ancient times, the main navigational highway of western Georgia in feudal times were the rivers Khobi, Rioni and Chorokhi. From past centuries, the main artery of Batumi district was the river Chorokhi. The naval building centers were Artvin, Borchkha, Lower Maradidi. The boats made here were intended solely for sailing on the river Chorokhi and always had a flat bottom. Sailing on the river Chorokhi started from Artvin and ended in Batumi. The boat masters were from Khebe, Lower Maradidi, and Borchkha.

The development of sailing in Adjara, its centuries-old traditions have greatly contributed

to the further development of maritime navigation and laid the foundations for such maritime transport vessels as the Laz “Meneksila”, the Laz “Sandal Ship” and others.

The Khariton Akhvlediani Museum exhibition presents a model of a flat-bottom boat made in Batumi. The flat-bottomed boat was brought to the museum in 1913 by a citizen Arabogli.

ჭოროხული ბრტყელძირიანი ნავი



ჭოროხელი მენავეები



ჭოროხელი მენავეები ბათუმის ციხესთან

ლაზი მენავეები

ნინო ჩხარტიშვილი

ლურჯი სუფრა

ტექსტილს ყოველთვის დიდი დატვირთვა ენიჭება, მისი შერჩევა ერთ-ერთი საბოლოო ეტაპია ოთახის ინტერიერის დიზაინზე მუშაობისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუფრა, რომელიც გამოიყენება, არა მხოლოდ სამზარეულოსა ან მისაღებ ოთახში, არამედ სხვაგანაც. სწორად შერჩეული სუფრა რომელიც ავეჯსა და ოთახის ზოგად სტილს უხდება, აუცილებლად ანიჭებს სახლის ინტერიერს სიმყუდროვისა და სითბოს განსაკუთრებულ შეგრძნებას. სხვადასხვა ფორმის, ზომისა და ქსოვილის სუფრების უზარმაზარ არჩევანში გამორჩეული და უნიკალური ადგილი ტრადიციულ ქართულ ლურჯ სუფრას ეკუთვნის, მას იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსიც კი აქვს მინიჭებული და მიუხედავად იმისა,რომ გასულ საუკუნეებში შეიქმნა, დღესაც არ კარგავს მომხიბვლელობასა და აქტუალობას.

ქართველი ხალხის ყოფაში ფართო გამოყენება ჰქონდა მხატვრულ-დეკორატიულ ანუ სახიან ქსოვილებს. საქართველოში ქსოვილთა მხატვრული შემკულობის ყველაზე გავრცელებული ხალხური ტექნიკური ხერხები იყო ნაქარგობა, მხატვრული ქსოვა და ღებვა. ამ უკანასკნელში, საკუთრივ, ღებვის გარდა, შედიოდა ქსოვილებზე მხატვრული სახეების გამოყვა ანუ ჭრელის მიცემა ხის საბეჭდების ან სამღებრო ქვების მეშვეობით (ჩაჩაშვილი 1971:12).

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის ყალიბების კოლექციის მიხედვით ირკვევა, რომ ყალიბები - ხის მაგარი ჯიშების - პანტის, ბზის ხისგან ამზადებდნენ. ყალიბთა ორნამენტების შესრულების დონე ცხადყოფს, რომ მათ ჭრიდნენ მაღალი მხატვრული გემოვნებისა და დიდი ოსტატობის მქონე ხით ხუროები.

საქართველოში დაჩითვის ორი წესი არსებობდა: პოზიტიური და ნეგატიური. პირველ შემთხვევაში მთელი ნახატი და შეფერილობა ყალიბების მეშვეობით იბეჭდებოდა ანუ „იჩითებოდა“ ქსოვილზე, მიღებულ ქსოვილებს რუსეთში სპეციალური სახელწოდება- ,,Навоика’’-ჰქონდა. მეორე წესი ე. წ. ცივი კუბური ღებვა იყო, როცა ქსოვილის ღებვის დროს ნახატის რეზერვაცია ხდებოდა ქსოვილზე საჩითავი ყალიბით ცხიმნარევი სანთლის დაღვენთის მეშვეობით. ღებვის პირველი წესით მიღებული ,,Навоика’’-საგან განსხვავებულად მეორე წესით დაჩითულ ქსოვილს ,,Вибоика’’, ეწოდებოდა. საქართველოში ,,Вибоика’’-მ სპეციალური გამოყენება ჰპოვა. ასე ჩითავდნენ მხოლოდ და მხოლოდ „ლურჯ სუფრებს“. (ბრაილაშვილი 1971:4)

ლურჯი სუფრა ქართველი ხალხის გემოვნებისა და სილამაზისადმი მისწრაფების ერთ-ერთი გამოსახულებაა, ეს არის მუქი ლურჯი ფერი, ორნამენტის თეთრი არშიებითა და მის შიგნით მჭიდროდ განლაგებული თეთრი სახეებით - ვარდულებით, ირმებით და თევზებით.

„ლურჯი სუფრების“ წარმოების წესი ე. ი. ქსოვილის ღებვა, ნახატის რეზერვაციის მეშვეობით აღმოსავლეთში წარმოიქმნა უძველეს დროში.

ძნელია იმის თქმა, თუ როდის დაიწყეს საქართველოში ქსოვილის ნეგატიურად ღებვა. თუმცა რუსეთის საელჩოთა დოკუმენტებში მრავლად არის ნახსენები დაჩითული ქსოვილები, კერძოდ კი ,,Вибоики’’. ტიპიურია, მაგალითად 1640-1643 წწ. კახეთში ნამყოფი რუსი ელჩების მიერ მეფე თეიმურაზის ერთ-ერთი ნადიმის აღწერის დროს გაკეთებული ასეთი შენიშვნა: ,,... А скатерть Теимуразу царю и царевичу Давиду послана била одна каточная кизылбаская.А перед послом и перед властыми и перед гасударевами и перед азнауры посланы были скатерти вибочатые...“ სუფრების ერთმანეთისაგან გამორჩევის ასეთი ხაზგასმა, ვფიქრობთ, უნდა მოწმობდეს იმას, რომ აქ სწორედ „ლურჯი

სუფრებია“ ნაგულისხმევი და არა ჩვეულებრივად დაჩითული ქსოვილი. „ჭრელ ტილოს“ იხსენებს შარდენიც, რომელიც ეწვია საქართველოს XVIII ს. 70-იან წლების დასაწყისში (ბრაილაშვილი 1971:4-5).

სუფრებს ერთმანეთისაგან განასხვავებდა ქსოვილი, რომელზედაც ისინი „იჩითებოდნენ“. სელის ქსოვილზე „დაჩითული“ სუფრა უფრო ძველი წარმოშობისაა. იგი ბაცი ლურჯი ფერისაა. კაშკაშა თეთრი ნახატი ოდნავ ბუნდოვანია და სტილის მიხედვით თითქოს არქაული. ბამბის ქსოვილისაგან დამზადებული სუფრები, კი მუქი და ინტენსიური ლურჯი ფერისაა. კაშკაშა თეთრი ნახატი - უაღრესად ნათელი და მკვეთრი და თავის სიმკვეთრეში სიმშრალეს ოდნავ მოახლოვებული, თუმცა კი იგი მასში არასოდეს არ გადადის ორნამენტალურ მოტივთა სილამაზისა და მარჯვე განაწილების გამო.

„ლურჯი სუფრის“ ძირითადი დეკორატიული მოტივები შემდეგია: საერთო აღმოსავლური „მანი“ სხვადასხვა ზომისა და სახის. დაწყებული პატარა მშრალი და სტატიური მანებით, შემდეგ - საშუალო ზომის მოძრავი და ხაზოვანი ორნამენტით შევსებული და დიდი ფოთლებით შემკული მანებით დასრულებული; როზეტი ანუ ვარდული, როგორც პატარა, ფონების შემვსები.

მოტივთა მეორე ჯგუფი ცხოველთა სამყაროდანაა აღებული. ყველაზე უფრო გავრცელებული და საყვარელი მოტივია ირემი, უზარმაზარი დატოტილი რქებით, უმრავლეს შემთხვევაში დროშით, რომელზედაც ჯვარი ან ადამიანის მსგავსი არსებაა გამოსახული. ხშირად ირემს თან ახლავს ბიჟინა (პატარა ირემი) ნადირობის სცენები, სადაც ტახი, შველი, ძაღლი, ლომი, კურდღელი და სხვა მრავალგვარადაა დაჯგუფებული, ასევე ახლავს შუბებითა და თოფებით შეიარაღებული მონადირეები.

ირემიც, ფრინველიც, თევზიც ჯვარიცა და მზეც - ყველა ეს მოტივი უნებლიეთ გვაფიქრებინებს, რომ მათ წმინდა დეკორატიული დანიშნულების გარდა გაცილებით უფრო ღრმა და ქართველი ხალხის უძველეს მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული შინაარსი აქვთ. ამიტომაც სავარაუდოა, რომ ,,ლურჯი სუფრები ‘’ მათი საყოფაცხოვრებო დანიშნულების გარდა ატარებდნენ გარკვეულ რიტუალურ ხასიათს. ამ მხრივ საყურადრებოა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ დრომდე ,,ლურჯი სუფრები’’ იშლებოდა მხოლოდ განსაკუთრებით საზეიმო ვითარებაში - საქორწინო ნადიმის დროს, საეკლესიო დღესასწაულზე, დღეობაში, „ხატობაში“.

უაღრესად თავისებური და დამახასიათებელი მოტივია ერთიმეორის გვერდით გამოსახული დანა, ჩანგალი და კოვზი. დეკორის ზემოჩამოთვლილ ელემენტებთან შედარებით ეს მოტივი უფრო გვიან წარმოქმნილი და უკავშირდება სუფრის წმინდა საყოფაცხოვრებო ხასიათს. მასვე შეიძლება მივაკუთნოთ ადამიანთა გამოსახულებანიც - ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი - დაირაზე დამკვრელი ანდა მოცეკვავე ჩონგურზე დამკვრელის გვერდით (ბრაილაშვილი 1971:6-7).

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულია მხოლოდ ერთი ლურჯი სუფრა (აჭ.მ.N23612), ქსოვილი-აბრეშუმი რომელიც შექმნილია სწორედ ძველი ტრადიციული ლურჯი სუფრის ინსპირაციით, თუმცა გაცილებით მარტივი ტექნოლოგიით, მეოცე საუკუნის 30-40-იან წლებში. ლურჯ ფონზე თეთრი ორნამენტები, სხვადასხვა ფორმის და ზომის დოქები, ყურძნის მტევნები და მცენარეების ტოტები - ეს არის ამ სუფრის მთავარი მახასიათებლები.

ახალი „ლურჯი სუფრები“ თავს იჩენენ ჩვენს თანამედროვე ყოფაში. ისინი ხან ქართულ სტილში გაფორმებულ რესტორნებში გვხდება, ხან კი სპეციალურად სასაჩუქრედ მზადდება ექსპორტისათვის. ქართულ „ლურჯ სუფრას“ დიდი სიხარულითა და მოწონებით ეგებება ჩვენი საზოგადოება.

დღევანდელ დღეს, ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, ქართული „ლურჯი სუფრა“ ბევრად ხარისხიანი და მარტივად შესაქმნელი გახდა, შეუზღუდავი გახდა ფერთა პალიტრა. რაც,

როგორც ქართული ტრადიციული რეწვისა და დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში, ყოველთვის იქნება ქართული სტუმართმოყვარეობისა და კულტურის მაჩვენებელი (ნუცუბიძე, 2017).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბრაილაშვილი ნ. ლურჯი სუფრა, თბილისი, 1971 წ.
2. ჩაჩაშვილი გ. ქართული დაჩითული ქსოვილები. თბილისი, 1971 წ.
3. ნუცუბიძე ნ. პროექტი-წერე ქართულად, თბილისი, 2017 წ.

Nino Chkhartishvili

Blue tablecloth

Summary

The traditional blue tablecloth is one of the distinctive and characteristic attributes of the 19th, 20th century Georgian life that was used by everyone in Georgia, regardless of social class or status. The blue tablecloth was especially popular during New Year, Easter or any other festive rituals. Georgian table was mainly made of cotton and flax fabric by the printing method, the background of which varied from light to dark blue, while the ornament remained white, the color of the fabric. The tablecloth was painted by an Indian pigment indigo imported from the east.

ფრაგმენტი, ირემი, დატოტვილი რქებით
და ბიჟინა.

ლურჯი სუფრა-ჩიტები და ქართულ
ეროვნულ სამოსში გამოწყობილი
ქალი და მამაკაცი

ლურჯი სუფრა-აღმოსავლური მანები
და როზეტი

ლურჯი სუფრა-ჩიტები და ქართულ ეროვნულ სამოსში
გამოწყობილი ქალი და მამაკაცი

ლურჯი სუფრა-დანები, ჩანგლები, კოვზები, ცენტრში დიდი
ვარდულით, ფონები შევსებულია პატარა ვარდულებით

ლიანა ჯაყელი

ქალთა ხელსაქმე ზემო აჭარაში

საქართველო უხსოვარი დროიდან განთქმული იყო მხატვრული ხელსაქმით, კერძოდ ქარგვისა და ქსოვის ხელოვნებით. ამას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების დროს იმერეთში, ძუძუანას მღვიმეში ნაპოვნი, 32 000 წლის წინანდელი, მსოფლიოში პირველი ძაფი, რომელმაც კაცობრიობის ისტორია შეცვალა.

ქსოვა-მქარგველობა ჩვენს ქვეყანაში კარგად იყო განვითარებული ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში. ქართული ქსოვილი უძველესი დროიდან მოკიდებული, საგარეო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს საგნად იქცა. იგი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ შორეულ ქვეყნებში.

რთვა-ქსოვის განვითარებამ ხელი შეუწყო ქარგვის ხელოვნების განვითარებას, რამაც დროთა განმავლობაში მაღალ სრულყოფას მიაღწია.

ქართველი ხალხის მაღალმა კულტურამ, თავისი გამოხატულება ჰპოვა, როგორც ლიტერატურასა, ხელოვნებასა და არქიტექტურაში, ასევე მატერიალურ-კულტურულ დარგში... საოჯახო ნივთ-მოწყობილობაში, ტანსაცმლის დამზადებასა და მის მორთვა-მოკაზმულობაში.

ქართველი ხალხის ძველი ჩაცმულობის ნაირობა მის ეთნიურ სიჭრელესთან იყო დაკავშირებული. დღესაც არის შემონახული ტანსაცმლის ზოგიერთი დამახასიათებელი ელემენტი, რომელიც ჩვენი კუთხის აჭარის ძველ ჩაცმულობის იერს გამოხატავს. ეს განსაკუთრებით ითქმის აჭარის მოსახლეობაზე, რომელმაც საუკუნეების მანძილზე შემოგვინახა ჩაცმულობის, ტანისამოსის, ქსოვის, ჭრა-კერვის და ქარგვის უძველესი ტრადიციები.

აჭარელი ქალები უდიდესი სიფაქიზით, დახვეწილი გემოვნებით ქმნიან, საყოფაცხოვრებო ნივთებს. მათი ხელსაქმე მაღალი შემოქმედებაა...ხალხური ქსოვა დაკავშირებული იყო ხალხურ შრომასთან და ყოფაცხოვრებასთან.

საქსოვ მასალად აჭარაში ფართოდ გამოიყენებოდა აბრეშუმი, სელი, მატყლი. ხალხური ხელსაქმე ტრადიციულ ქართულ ოჯახებს წესად მოსდევდათ, იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. რთვა-ჩეჩვა, ქსოვა, ქარგვა ოჯახში ყველა ქალს უნდა სცოდნოდა. პატარძალს თავისი ნაქსოვი ხურჯინ-ჯეჯიმები და წინდები ქმრის ოჯახისათვის საჩუქრად მიჰქონდა. ბუნებრივი მატყლის ძაფისაგან აჭარაში უძველესი დროიდანვე იქსოვებოდა, შალის ქსოვილები, ხალიჩები, ფარდაგები, ჯეჯიმები... ქსოვდნენ აგრეთვე აბრეშუმისა და ბამბის ძაფისაგან. გარდა ამისა გავრცელებული იყო სელის ძაფისაგან დამზადებული ქსოვილები. იქსოვებოდა ყდაზე ყაისნაღით (ხალიბები იყენებდნენ სელისაგან ასეთ დაწნულ ჯავშანს... ქსენოფონტე) ჩხირებით ნაქსოვი და შეკერილი სამოსი ბოლოს იქარგებოდა, მაგ. სამაჯურები, ლეჩაქები, მანდილები, ქუდები, თავსაკრავები, ყაბალახები, ფაფაკები, პერანგები, თათები, წინდები, პაჭიჭები, საწვივეები, ქისები, სათამბაქოები, ჩანთები, ბალიშები, მუთაქის პირები...

რაც შეეხება საეკლესიო ნაქარგობას, მზადდებოდა კრეტსაბმელები, გარდამოხსნები, დავარნები, ოლარები, საბუხარები, ომოფორები, სამღვდელო და სამღვდელმთავრო შესამოსები, შესანიშნავად ქსოვდნენ და ქარგავდნენ ქრისტეს შობამდეც კავკასიის მთიელები.

ეს ნაქარგობა არ ხუნდებოდა. ჰეროდოტეს ცნობით კოლხური სელის ქსოვილი (485-422 წ) ეგვიპტესთან არის გათანასწორებული და უფრო მეტიც შეიძლება მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებდნენ სელს ერთნაირად.

საქართველოში თუთის ენდემური (ადგილობრივი) ჯიშები ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ეს გვაფიქრებინებს, რომ საქართველო დიდი ხნის წინ ყოფილა დაკავშირებული ძაფის წარმოებასთან, V ს. მეფე ვახტანგ გორგასლის დროს. ცნობილია აგრეთვე, რომ წმინდა

მეფე თამარი მოწყალებას, მხოლოდ საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაქარგიდან გასცემდა და არა სამეფო ხაზინიდან... მეფე თამარი თავად ქსოვდა, კერავდა და თავის ნამუშევრებს გლახაკებს უნაწილებდა.

2003 წ. ჭიათურაში ძუძუანას მღვიმეში გახეხილი ველური სელის ძაფის ბოჭკოები იპოვეს. დღემდე ითვლებოდა, რომ ყველაზე ძველი - ჭინჭრისგან დამზადებული ძაფი აღმოჩენილი იყო ჩეხეთში ძვ.წ. 2900 წ. დღეს კი შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჭიათურაში აღმოჩენილი სელის ძაფი, პრეისტორიული ხანის უძველესი ძაფია ძველ მსოფლიოში. აქ აღმოჩენილია 1500-მდე სელისა და შალის ბოჭკოები, რომლის დიდი ნაწილი ხელით უნდა იყოს დართული. თეორიულად ტამსაცმლის დამზადების ნაცვლად, კალათებისა და თოკების წვნა დაახლოებით 3500 წ. წინანდელია. ასევე აღმოჩენილია ყაისნაღით ნაქსოვი თევსაჭერი ბადეები.

აჭარის მთიანეთში წინდების ქსოვის ხელოვნება უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ქსოვა მთიანი რეგიონის საოჯახო ყოფის უმთავრესი ატრიბუტი იყო. ოდითგანვე მთიელი ქალები ქსოვდნენ ხურჯინებს, აბგებს, წინდებს, ქალამანსა და ტანისამოსის შესაწყობ-შესაკრავებს, ოჯახში ყველა ქალისთვის სავალდებულო იყო ქსოვის ცოდნა, ძირითადად იყენებდნენ მატყლის ძაფს, მატყლის დამზადება მეტად შრომატევად სამუშაოებს ითხოვდა. ცხვრის პარსვა მთაში აპრილში იწყებოდა, მატყლს ჯერ კარგად გარეცხავდნენ, მზეზე აშრობდნენ და ჩეჩავდნენ საჩეჩელზე. მატყლის ჩეჩვა საკმაოდ რთული საქმეა, ამიტომ ქალები ამ საქმეს ხშირად ერთად აკეთებდნენ, საღამოობით იკრიბებოდნენ ახალ თუ ძველ ამბებს ჰყვებოდნენ, ხალისობდნენ და ასე იოლებდნენ სამუშაოს. ამ პროცესს „მჩეჩელობას“ უწოდებდნენ... დღეს ჩემთან შევიკრიბოთ „მჩეჩელობაზე“- ასე ეპატიჟებოდნენ ერთმანეთს ხშირად. გაჩეჩილი მატყლისაგან მზადდებოდა ძაფი -რომლისაგანაც იქსოვებოდა ფარდაგები, ხურჯინები, წინდები, პაჭიჭები. მატყლისაგან ასევე თელავდნენ თექას. სამოსის სახით აჭარაში უმეტესად ქალის ჯუბებს ქსოვდნენ, ზოგჯერ დაზგით, ზოგჯერ საქსოვი ჩხირებით, ფერადი ორნამენტებით ამკობდნენ. ძაფს ბუნებრივი საღებავებით, უმეტესწილად მცენარის ნახარშით ღებულობდნენ.

ზემო აჭარაში ქალები ექვსი წლის ასაკიდან ღრმა მოხუცებულობამდე ქსოვდნენ. ყველაზე იოლად ქსოვდნენ წინდებს, ქსოვას იწყებდნენ 5 ჩხირით, წინდა იქსოვება მრგვალად, იწყებოდა ფეხის თითებიდან, გრძელდება მატებით სანამ ტერფის სიგანეს არ მიიღებდნენ, ამის შემდეგ იქსოვება წინდის ქუსლი, შემდეგ გრძელდება ქსოვა წრიულად, სასურველი სიმაღლის მიღების შემდეგ აკეთებდნენ რეზინას, ბოლოს პირი გადაიქმნება და დაასრულებდნენ წინდის ქსოვას.

ძველად ქალებს ჰქონდათ ხის ქერქის კალათა - „ხოკერი“, მცენარისაგან დაწნული, მრგვალი ფორმის, რომელსაც იყენებდნენ საქსოვი მასალის შესანახად.

მატყლის დასამზადებლად, რომ მიიღონ ძაფი იყენებდნენ საჩეჩელს. მას ლითონის კბილები აქვს, რომლითაც მატყლს ჩეჩავენ და აკეთებენ ფთილებს, შემდეგ აყენებენ თითისტარს. თითისტარი ხისგან დამზადებული თავსა და ბოლოში გამოყვანილი ხის ჩხირია, რომელსაც ბოლოში უეთებენ კვირისთავს და ართავენ ძაფს.

ადამიანი ყოველთვის მიისწრაფოდა შრომის გაადვილებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისაკენ. ამ სწრაფვაში ერთ-ერთი გამოგონება იყო ბორბალი, რომელიც სხვა ტექნიკურ სიახლეებსაც დაედო საფუძვლად. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით ბორბალი ადამიანმა დაამზადა კვირისთავის მიხედვით, ეს არის თითისტარის ბრუნვის გასაადვილებლად მასზე წამოცმული რგოლი. მისი ერთ-ერთი განვითარებული მოდელია „ჯარა“, რომელიც მთლიანად ხისგან მზადდება. შემადგენელი ნაწილებია: ფრთები, ჯარის ტარი, ჯარის ფრთები, ხელი. საქსოვი დაზგა მეტწილად იფნის ხისგან მზადდებოდა. ასრულებდა შემდეგ ფუნქციას: ძაფი ეხვევა ნელ-ნელა ტარზე და სრულიად დახვევის შემდეგ იძახება, ჯარა ერთ-ერთი უძველესი ნაკეთობაა ზემო აჭარაში.

კარგი მქსოველი ქალი დღეში ერთ მეტრ შალს მოქსოვდა, მათ ამზადებდნენ მსხვილი ძაფისაგან, რომელსაც ფერებში ღებავდნენ, უფრო ჭარბობდა ყავისფერი, შავი, ალისფერი, ცისფერი, წენგოსფერი და თავისთავად თეთრი.

მქსოველი ქალის თქმით, გზას ის წინდის ქსოვით იმოკლებს, მგზავრობის თუ დასვენების დროს, მას მკლავზე საწინდე კალათა ჰკიდია და გამალებით ქსოვს. წინდებს ხშირად ფერად საწუღე ბაწრით აჭრელებდნენ. ყოველთვის ქსოვდა აჭარელი ქალი. გულში დარდი ჰქონდა ქსოვდა, მხიარული იყო მაშინაც ქსოვდა, საქონელს აძოვებდა და ქსოვდა, საუბარში იყო შალის მურგს ახვევდა და ა.შ. წინდის ნაჭრელი სხვადასხვანაირი იყო, რთული გეომეტრიული ფიგურებით და ჯვარ-კავებით, მათი ქსოვის ტექნიკა უფრო რთული იყო.

წინდების უმეტესობაში სხვადასხვა ვარიაციით შეფარული ჯვრის სახეებია გამოყენებული. წინდებსა თუ ჯეჯიმებში ქრისტიანული ორნამენტების ჩაწვნით ქრისტიანული რწმენისადმი დიდ სიყვარულსა და მსახურებას გადმოსცემდნენ. ამას წინდებში ჩაქსოვილი ჯვრები ადასტურებს, რომლებიც მუზეუმის ექსპოზიციაშია გამოფენილი.

წინდა ორი სახისა იყო, მაღალყელიანი მუხლამდე, ზოგჯერ მუხლს ფარავდა და დაბალყელიანი - წვივს ფარავდა. მაღალყელიან წინდებს ხმარობდნენ მხოლოდ ქალები, დაბალყელიანს კი ქალებიც და მამაკაცებიც. ძირითადად წინდები იქსოვებოდა თეთრი ფერის, ზოგ შემთხვევაში ჭრელიც. ახალგაზრდის წინდა მეტად მრავალფერადი და რთულსახიანი იყო, ვიდრე ხანში შესულისა. ერთმანეთისაგან განირჩეოდა საქორწინო, სამგლოვიარო, საშინაო და საგარეო წინდები.

საუკუნეების განმავლობაში ყველა ოჯახში წამყვანი დარგი იყო რთვა-ქსოვა. ქალიშვილს ისე ვერავინ გაათხოვებდა თუ მან ქსოვა არ იცოდა და მომავალ ოჯახის წევრებისათვის ე.წ. ფეხწინდას არ მოქსოვდა. ახლა იშვიათად თუ გაყვება ვინმე ამ მამაპაპისეული ტრადიციას. ძველად ასე იყო, როცა გოგოს დასანიშნად მოვიდოდნენ საპატარძლოს მომავალი ქმრის თითოეული ნათესავისთვის უნდა ჰქონოდა თავისი ხელით მოქსოვილი წინდები, ხელთათმანები, თუ სხვა ნაქსოვი. ოჯახში წინასწარ ამზადებდნენ სხვადასხვა ნაქსოვებს და ამას „ფეხწინდას“ ეძახდნენ. ეს ნაქსოვები ნიშნობის დღისათვის სკივრში ჰქონდათ ჩალაგებული, სადედამთილო-სამამამთილოსათვის, სამაზლო-სამულეებისათვის, დეიდაშვილ-ბიძაშვილებისათვის, რამდენი კაციც ესწრებოდა ნიშნობას, საჩუქარიც იმდენი უნდა ყოფილიყო. აგრეთვე სამამამთილოსთვის აუცილებელი იყო ყაბალახისა და ხურჯინის მოქსოვა-გაწყობა, დედამთილისათვის თავსაკრის დამზადება. ასე გამოარჩევდნენ ქალის სისწრაფეს, ყოჩაღი ქალია, ამდენი წინდა მოუქსოვია (თუმცა წინდების ქსოვაში ზოგჯერ სხვებიც ეხმარებოდნენ).

ტრადიციულად საპატარძლოს ოჯახს, საქმროს ოჯახიდან უგზავნიდნენ ქსოვილებისათვის საჭირო მასალას. გოგონას, რომელიც ამ მომენტისათვის 11-12 წლის გახდებოდა ვალდებული იყო მოექსოვა 10 ჯეჯემი, წინდები საქმროს ოჯახის ყველა წევრისათვის, მამაკაცებისათვის წინდებთან ერთად ქალამნის წაღები, ქალებისათვის ახალუხის ტოლაღები, ასევე ნაქარგობის ნაირსახეობები, ცხვირსახოცები... დანიშნული გოგონას გათხოვება მხოლოდ ამ სავალდებულო სამუშაოს დასრულების შემდეგ იყო შესაძლებელი. სწორედ ამ სანტერესო ტრადიციამ განაპირობა რომ აბსოლიტურად XX ს. 80-იან წლებამდე ყველა ქალმა დიდმა თუ პატარამ იცოდა წინდის ქსოვა. მთაში ცხვარი თითქმის ყველას ჰყავდა, ასევე მატყლის ძაფისაგან ქალები ქსოვდნენ ფარდაგებს, ძალიან შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესი იყო ფარდაგების ქსოვა. ქსოვა წარმოებდა სპეციალურ დაზგაზე ჭიმავდნენ ქსელს, შემდეგ მის ძაფებს, თითოს გამოტოვებით ერთი ხელით ამოკრეფდნენ და დარჩენილ ძაფებს შორის ნართს გაატარებდნენ, ნაქსოვს ხშირ-ხშირად ჭიმავდნენ, შემდეგ მის ძაფებს, თითოს გამოტოვებით ერთი ხელით ამოკრეფდნენ და დარჩენილ ძაფებს შორის ნართს გაატარებდნენ, ნაქსოვს ხშირ-ხშირად ტკეპნიდნენ ბეჭით, მჭიდრო რომ ყოფილიყო, როცა ბევრი რამის მოქსოვა

უნდოდათ დაუძახებდნენ მეზობლებს, ნათესავებს და ძაფს დაართავდნენ, შეიკრიბებოდნენ ქალები, სადაც ყველა თავისი საჩეჩელით მოდიოდა, ბოლოს სუფრა იმართებოდა, სადაც კაცებს არ ეპატიჟებოდნენ. ხშირად გასათხოვარ გოგონებს ირჩევდნენ ასეთი შეხვედრების დროს. ფარდაგზე გამოჰყავდათ გეომეტრიული ფიგურები, მერე თანდათან ფიგურები შეცვალა ყვავილებმა, გამოჰყავდათ ასევე ირმები, ლომები, ვეფხვები, რაც უფრო აფერადებდა ფარდაგებს.

მისასალმებელი იქნება დღევანდელობაში ქალი დაუბრუნდეს ხელსაქმის ხელოვნებას ქსოვას, ქარგვას და ამით უფრო გაიმრავალფერონ ცხოვრება.

საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ქსოვილის დამზადებისა და დამუშავების, ტექნოლოგიური და მხატვრული ხერხები. ხელსაქმეში დაოსტატებული ქალისათვის აუცილებელი იყო შეექმნა სახლისთვის საჭირო ყველა აქსესუარი, რომელიც ქსოვილისაგან იკერებოდა. მითუმეტეს ერთობ ბავშვობიდანვე ეუფლებოდნენ მატყლის, სელის, კანაფის, აბრეშუმის დამუშავებასა და ღებვას.

ქსოვილებისა და ძაფების შესაღებად ბუნებრივი საღებავები გამოიყენებოდა, რასაც „ტუტისღებვა“ ეწოდებოდა. (ფერის შესაქმნელად ქალები იყენებდნენ: შაბს, ნიგოზს, წარნაქს, დარიჩინს, ბალახეულ მცენარეებს, ინას და სხვა). ღებულობდნენ სასიამოვნო ფერებს. ეს უნიკალური ერთობრივი რეწვა ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა და ის რაც უნიკალურია თაობებს აღარ გადაეცემა.

მაღალმთიან აჭარაში ნაქსოვი და ნაქარგი ნივთების ბევრი ისეთი ექსპონატია შემორჩენილი, რომელიც ორნამენტებით და ძაფის დამუშავების ტექნიკით სრულიად უნიკალურია.

მთაში ნაქარგ ტილოებს „დაროშკებს“ უწოდებენ. სხვადასხვა ფერის და ნახატის დაროშკებს, სამგზითვო სკივრში აწყობდნენ. ოჯახის მიერ გამზითვებულ ქალს სკივრში ასევე ულაგებდნენ თეთრეულს, ფარდებს, ხალიჩებს და მოქარგულ ნივთებს, რომელსაც პატარძალი ახალ ოჯახში კარადებისა და თაროების მოსართავად, მაგიდის გადასაფარებლად ან ფანჯრების გასაფუშფუშებლად იყენებდა.

ასევე ქარგავდნენ ოქროს ძაფით, ასეთ ნაქარგს დამზეებულს უწოდებდნენ. მზით გამთბარი და გაზავებული სილუეტები ერთ ნახატად იკვრებოდა. წრეზე შემომსხდარი ქალები „ზღვის ქალებსაც ხატავენ“. ხშირ შემთხვევაში მათ უმეტესობას ზღვა ახლოდან არც უნახავს, ეს მათი ფანტაზიის ნაყოფია. ის ჯადოსნური სამყარო რომელიც მთაშია და ყოველდღიურობის მიღმა, დღესაც პარალელურად განაგრძობს არსებობას.

ეს არის შენახული ისტორია - ტილოზე დაცული ადამიანების მეხსიერება და ფანტაზია, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რაზე ფიქრობდნენ და ოცნებობდნენ ჩვენი ქალები მაღალ მთაში.

ქარგულობის ნიმუშები, ხელოვნების შედევრს წარმოადგენდა, იგი განსაცვიფრებელი იყო თავისი მრავალფეროვნებით, მაღალი მხატვრული დონით დახვეწილი გემოვნებით. სხვადასხვა ქსოვილები იქარგებოდა სხვადასხვა ძაფებით. ოქრომკედი, ვერცხლმკედი, კილიკებით, ფერადი წვრილი მძივებით, მულინებით, აბრეშუმით.

ქარგავდნენ ტანსაცმლის დეტალებს, ქართული კაბის სარტყელ-გულისპირებს, სახელოებს, ქალისა და კაცის თავსაბურავებს, ჩიხტებს, ლეჩაქებს, მოსასხამებს, ქისებს, სათუთუნეებს, ჩანთებს, ასევე საეკლესიო და საღვთისმსახურო დანიშნულების ქსოვილებს. ნაქარგში გამოიყენებდნენ ნაირსახეობებს: სადა, ყაისნაღური, განემსილი, მზეხილული, კლერატული და სხვა.

უპირველეს ყოვლისა ქარგვის დაწყების წინ, საჭირო იყო ესკიზი, რომლის მიხედვითაც

უნდა შეიქმნას ნაქარგი, შემდეგ ხდება ესკიზის გადატანა ქსოვილზე. გვირისტულობის ან ნაკერების წესები დადგენილი არ არის, რომელიც უფრო მოუხდება და იოლად იყო გასაკეთებელი იმას გამოიყენებდნენ.

არის ღერიანი ნაკერი, ყველაზე მარტივია, გამოიყენებოდა კოსტუმების შემოსავლებად. ნემსის უკან გდებით ამოვქარგავთ ღეროს მსგავსად. ასევე ყულფი შეიძლება გავაკეთოთ მოკლე ერთმანეთზე მიმჯდარი ან დაშორებული იყოს.

ასევე ხშირად გამოიყენებოდა ყვავილთა მრავალფეროვნება, გვირისტულ მოყვანილობის. საქარგავი რგოლი რაც უფრო დიდია უკეთესია. ქსოვილი სელის უკეთესია, ნემსი ქსოვილის ტექსტურაზე და ძაფის სისქეზე არის დამოკიდებული.

მთელი ქარგვის სტილია ჩადებული როკოკოს ქარგვის დროს, მისი არსი ნემსზე ძაფის შემოხვევაში მდგომარეობს. შემოხვევა ძაფის იმ ბოლოთი უნდა მოხდეს, რომელიც ქსოვილიდან არის ამოსული და კიდევ მნიშვნელოვანია ნემსზე ძაფის შემოხვევა საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ მოხდეს.

როკოკო ძირითადად ყვავილების კოკრებს და გვირგვინების ქარგვისას გამოიყენება და კარგად ჯდება ტრიკოტაჟის ქსოვილზე. ამ ტექნიკით აფორმებენ სუფრებს, ხელსახოცებს, ცხვირსახოცებს, საწოლის თეთრეულს. უნდა აღინიშნოს, რომ ქარგვის ამ სტილს შალის ძაფი უფრო მეტად უხდება, ვიდრე აბრეშუმის. მართლაც უფრო ეფექტური გამოდის და ძაფიც ნაკლებად იბანდება.

ყველაზე ხშირად როკოკო ფარდის ქარგვის დროს გამოიყენება, ასევე აკეთებდნენ ფოთლებსაც. ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ყაისნაღით ქსოვა. აუცილებელია სპეციალური ცოდნა, თვალს ამოყვანის, ნამატის გაკეთების, ჰაეროვანი თვალის და თვლების ერთად ამოყვანა.

თუ ოდესმე ზემო აჭარაში ტიპიურ ოჯახში მოხვდებით, სარკესავით კრიალა ჯამ-ჭურჭელთან, მოხეხილ ქათქათა იატაკთან და იდეალურ წესრიგთან ერთად ყურადღებას აუცილებლად მიიქცევს ფერადი მაქმანები, ისინი სახლის სხვადასხვა კუნჭულებშია გაფანტული და ყველას თავისი დანიშნულება აქვს. ზოგი ტელევიზორს აფარია, ზოგი მაგიდას, ზოგი ლარნაკის ქვეშ, ზოგი კი ფანჯრის ქვემო ნახევარს ამშვენებს.

მაქმანი წვრილად ნაქსოვი ბადეა, მისი წარმოშობის ადგილად იტალიას მიიჩნევენ. ვენეციელმა ქალებმა მე-14 ს. უწვრილესი ძაფებით დაიწყეს უნატიფესი ნამუშევრების შექმნა. მაქმანი გახდა მალე პოპულარული. გოგონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საუკეთესო მაქმანის შექმნაში. სამუშაო მასალად იყენებდნენ სელის და აბრეშუმის ძაფს. საქართველოში მაქმანზე როდის დაიწყეს მუშაობა უცნობია, თუმცა აჭარაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აჭარელი ქალს ასევე მზითვად უნდა წაეღო აუცილებლად. ქალები გამუდმებით ქსოვდნენ, აგვირისტებდნენ, საკუთარ მზითვს თვითონ იმზადებდნენ ხალისიანად. ამიტომაც გოგონებს ადრეული ასაკიდან ასწავლიდნენ ხელსაქმეს. მაშინ ქალი თავისი ხელსაქმით ფასდებოდა, რაც უფრო მეტ მაქმანს მიიტანდა, მით უფრო დაფასებული იქნებოდა ოჯახში.

მაქმანი თეთრ ნაჭერზე სრულდებოდა, ნაჭერს საგულდაგულოდ არჩევდნენ. ზოგი ორნამენტის ამოიყვანას რამდენიმე დღე სჭირდებოდა. მაქმანზე სხვადასხვა ორნამენტთან ერთად ყაისნაღითა და ნემსით ქარგავდნენ ყვავილებსა და ფრინველებს.

თავადის ქალებისათვის ხელსაქმე ნომერ პირველი საქმე იყო. უზარმაზარი შრომაა ჩადებული თითოეულ მაქმანში. ხშირად ფერად მაქმანებსაც აკეთებდნენ. ასევე პოპულარული იყო ზემო აჭარაში ოქროსფერი ძაფით შესრულებული გვირისტები.

აჭარაში მაქმანების ხელოვნება ოსმალთა ბატონობის პერიოდში შემოვიდა, პირველად ქარგვა ემიგრაციაში მყოფმა (თურქეთში) ქალებმა დაიწყეს, თავის დარდებსა და ფიქრებს

მაქმანებში აქსოვდნენ, ძნელი იყო ემიგრაცია, უცხო მხარეში დასახლება, არც გარემო იყო მშობლიური, ვერც გარეთ გადიოდნენ. დარდებს და ფანტაზიებს ხელსაქმეში აქსოვდნენ.

ზემო აჭარა მდიდარია უნიკელური ხელსაქმის ნიმუშებით, რომელიც გადაშენების გზაზეა უკვე. უნდა გავაცოცხლოთ ეს ტრადიცია - ეს იქნება საშვილიშვილო კეთილი საქმე.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ქსოვილების ფონდის მდიდარი კოლექცია მრავალმეცნიერულ გამოკვლევას დაედო საფუძვლად. ფონდში დაცული მასალა მრავალი თემატური გამოფენის მოწყობის საშუალებას იძლევა. ლამაზი ორნამენტებით დამშვენებული ხალიჩა და ფარდაგი, წინდები, სხვადასხვა მოსართავები ოჯახში წარმოადგენდა ესთეტიკურ სიამოვნებისა და მხატვრული გემოვნების ტრფობის ნიმუშს. ფარდაგში ჩაქსოვილი ნახატები კი არ ხუნდებოდა, არამედ ცვდებოდა შალთან ერთად.

ფერთა წყვილები დაახლოებით ასეთი შეფარდებით იყო შეხამებული: თეთრი - ნაცრისფერთან, კრემისფერთან, ღია ყვითელთან, ღია ვარდისფერთან, ღია ცისფერთან, იასამნისფერთან და ჩალისფერთან; შავი - ნაცრისფერთან, ლურჯთან, წითელთან; მწვანე - ყვითელთან, ლიმონისფერთან, ლურჯთან, ცისფერთან, ყავისფერთან, ნაცრისფერთან; წითელი - ნარინჯისფერთან; ნარინჯისფერი - მწვანესთან, ყავისფერთან, თეთრთან; ყვითელი - მწვანესთან; წენგოსფერი - მწვანესთან და ლურჯთან; მომწვანო - მოლურჯო წენგოსთან

საოცარი ფერთა შეხამებაა, სამოთხე სულისა, ქსოვილზე ძაფით ამღერებული მთიელი ქალის ფიქრები, სუფთაა მთა, სუფთა და მართალი, რაც უხვად ჩანს მთიელი ქალის ხელსქმეში. მოვუაროთ, მოვეფეროთ და ავაღორძინოთ ქალთა ხელსაქმე კვლავ.

გაყენებული ლიტერატურა

1. მელიქიშვილი მანანა, ქსოვის კულტურა აჭარაში. - გაზეთი „ბათუმელები“, 2015 წ.
2. მთხრობელი ირემაძე გიუნეში, „ფერთა შეხამების ტექნოლოგიები“, ხულო, ღორჯომი, ჩაიწერა ლიანა ჯაყელმა 2019 წლის 20 აგვისტოს.
3. მთხრობელი ჯაყელი ელმასი, ჩაიწერა ლიანა ჯაყელმა 2019 წლის 20 აგვისტოს.

Liana Jakeli

Women’s Handicraft in Upper Adjara

Summary

The patterns of knitting and embroidery preserved in Adjara confirm that the art of knitting and embroidery was well developed from an early age. We also had well developed technologies of color matching and color cultivation, which greatly enhanced the development of these fields, representing the unique patterns from the past of our mountain life.

The art of knitting and embroidery still attracts great attention today, but a number of elements have been forgotten. It is desirable to refresh all the ornaments of knitting and embroidery and return them to the old variety. Let’s save the unexplainable beauty that was put onto fabric expressing master’s thoughts and let’s save it from forgetting.

მრავალფეროვანი წინდები

ფარდაგები

ნაქარგი - გობელენი



სარტყელი

ქალის სამოსი - სიხმა

ნაქარგი მულინით-დაროშკა

ნაქარგი-გობელენი



მაქმანი-ვაზის დასაფენი

მაქმანი-ლამპის ფონზე

ინგა დიასამიძე

ქალის აქსესუარებისა და შესანახი ნივთების ისტორია
(მუზეუმის ფონდში დაცული მასალების მიხედვით)

ქალის აქსესუარებსა და შესანახ ნივთებს დიდი ხნის ისტორია აქვს. რაც დრო გადიოდა, იხვეწებოდა ადამიანების გემოვნება და ფანტაზიები. მათ გაუჩნდათ სურვილი სილამაზისათვის სხვადასხვა მეთოდებისათვის მიემართათ.

ძველად, აჭარაში ქალები ჩაცმასა და თავის მოვლას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობდნენ, განსაკუთრებულად არჩევდნენ ტანსაცმელს და სამკაულებს, ქალის ტანსაცმელითა და სამკაულებით განისაზღვრებოდა იმ ოჯახის სიმდიდრე რომლის წევრიც იყო ის.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აჭარაში მცხოვრები ქალები უფრო ვერცხლის სამკაულს ეტანებოდნენ. ასევე გავრცელებული იყო ოქროსა და სპილენძის სამკაულებიც. სამკაულებს ატარებდნენ როგორც დღესასწაულებზე, ასევე ყოველდღიურად, ქორწილებსა და შუამთობის დღესასწაულზე ქალები განსაკუთრებულად იკაზმებოდნენ.

აჭარაში ქალები ყოველდღიურ სამოსად ლეჩაქს ატარებდნენ. ლეჩაქი ოქრო-ვერცხლის მონეტებით და მძივებით იყო მორთული. ხელს ამშვენებდა მინის მძივები და მარჯნის სამაჯურები. სამკაული და სხვადასხვა საიუვილერიო ნაკეთობანი აჭარაში ახალციხიდან და თურქეთიდან შემოჰქონდათ.

გათხოვილი ქალი მანდილს მუდამ ატარებდა. ძველად უნამუსო ცოლს ქმარი თავიდან მანდილ-კუჭურას მოხდიდა, ზედ დააფურთხებდა და გადააგდებდა, რადგან სწამდათ, რომ ქალის თავსაბურავი წარმოადგენდა არა მარტო თავის დასაცავ საშუალებას, არამედ ადამიანის ღირსების ნიშანს. ამიტომ თავდაუბურაობა შეურაცხადად იყო მიჩნეული.

აჭარაში საქორწილო თავსაბურავი იყო კონუსისებური, მუყაოს ზემოდან დასაფენი ძვირფასი ქსოვილი. წითელი ფერის ქსოვილს, რომელსაც ხოჯა შეკერავდა პატარძალს გადააფარებდნენ თავზე. სტუმრების გასტუმრებამდე არ მოიხსნიდა. სასიძოს სახლში პატარძლს ქალის ძმა ან ნათესავი ვაჟი მოხსნიდა დუვაღს და ქალიშვილების ჯგუფისაკენ გაიქნევდა, ვისაც მოხვდებოდა, ის გახდებოდა ვაჟის საცოლე.

საქორწინო სამკაულის ერთ-ერთი აუცილებელი ნივთი იყო ძეწკვი, რომელიც უნდა ყოფილიყო ორი მეტრის, ქალებს მრავლად ჰქონდათ ბეჭდები და სამაჯურები, რომლებიც ძირითადად ვერცხლისა და სპილენძისგან მზადდებოდა. ოქროს ბეჭედსა და სამკაულებს მხოლოდ შეძლებულები ყიდულობდნენ. (სამსონია, 2005:85)

გავრცელებული იყო თვლიანი და უთვლო რგოლები, ზოგიერთ ბეჭედზე ამოკვეთილი იყო გეომეტრიული ფიგურები და ორნამენტები, ბეჭედს იკეთებდნენ ყველა თითზე გარდა ნეკისა და ცერისა, (თვლიდნენ რომ ამ თითებზე სუსტი ნებისყოფის ქალები იბნევდნენ ბეჭედს) ბეჭედს საქმრო აბნევდა ნიშნობის დროს თითზე.

დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავსამკაულს, რომელზეც მონეტები იყო მიმაგრებული, მონეტები მიმაგრებული იყო თავსაბურავზე - ლეჩაქზე და შუბლზე ქონდათ ოდნავ გადმოშვებული.

სამკაულებში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საყურეს. გოგო ექვსი-შვიდი წლის რომ გახდებოდა მას ყურს უხვრეტდნენ და ამის შემდეგ ის მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებდა საყურეს. გათხოვილი ქალის საყურე უფრო დიდი იყო, გაუთხოვარის კი პატარა და სადა. ძირითადად გავრცელებული იყო ვერცხლის საყურეები, ასევე ვერცხლის რგოლები და საყურეები ძეწკვის საკიდებით.

კიდევ ერთი სამკაული, რომელსაც მხოლოდ გათხოვილი ქალი ატარებდა. საგულე კორდომია-კორდომი აუცილებელი იყო და მაგრდებოდა სამოსელზე, მკერდს ზემოთ მარჯვნივ. ქალები ამ სამკაულს ძირითადად სადღესასწაულო ტანსაცმელზე იკეთებდნენ.

საყურეებთან ერთად მნიშვნელოვანი სამკაული იყო ყელსაბამი, ხოლო ყველაზე ფართოდ გავრცელებული იყო ჯიღჯიღა.

ჯიღჯიღა ვერცხლის ან უბრალო ლითონისგან მზადდებოდა, იგი როგორც წესი ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ვიწრო და მოკლე მილაკებისაგან შედგება. თითოეულ მილზე მიჩითული პატარ-პატარა რგოლები ძეწკვის საკიდებით უერთდება მოგრძო ბურთებს ჯიღჯიღას ცენტრალური ნაწილი ოთკუთხაა კარგად ორნამენტირებული ფირფიტით არის დამშვენებული.

ასევე სადღესასწაულო ტანსაცმელზე აჭარაში ქალები ატარებდნენ სხვადასხვა ვერცხლისა და ლითონის ქამარს, რომელსაც საქმროს ოჯახი ყიდულობდა და უგზავნიდა პატარძალს, ვერცხლის ქამარიც ძვირადღირებულ ნივთებში შედიოდა და ის აუცილებლად უნდა ეჩუქებია ქალისათვის, ამიტომაც სასიძოს ოჯახი წინასწარ იჭერდა თადარიგს.

ქამრებში ნათლად ვლინდება ქალის სოციალური მდგომარეობა, მდიდარი ქალის შემკულობის აუცილებელი ატრიბუტი ვერცხლის ქამარი იყო, ღარიბი ქალის ფერადი ლითონის ან თასმაზე ასხმული ლითონის ფირფიტებისგან შედგენილ ქსოვილს ატარებდნენ.

ქალი, რომ თხოვდებოდა თან მას მზითევი მიჰქონდა, მუზეუმში დაცულია ყუთი ფერუმარილისა და სუნამოსათვის, ეს მდიდარი ქალის მზითევია. ის ქვემოდან ზემოთ იღებოდა, ქვედა განყოფილება დაყოფილია სხვადასხვა ზომის უჯრებად, სადაც მოთავსებული იყო თვის სამაგრი, სუნამო, ფერუმარილი და სხვადასხვა აქსესუარები, ყუთის ზემო ნაწილზე კი ჩასმული იყო სარკე, რომელიც ლამაზად დრაფირებული ნაჭრით იყო გარშემორტყმული.

ძვირფასეულებისა და ტანისამოსის შესანახი, ხის სხვადასხვა ზომისა და მოდელის ყუთები იყო, რომელთაც თითოეულს თავისი დანიშნულება და სახელები ჰონდა.

ზანდუკი - სახურავიანი ხის ყუთი. თუნუქის გარსაკრავი სალტეებით შეკრული. გამოიყენებოდა ქალის ტანსაცმლისა და სამკაულების შესანახად. იყო სამზითვო და ქალის პირად საკუთრებას წარმოადგენდა. ოჯახის გაყრის დროს წილში არ შედიოდა. ქვრივის გათხოვების შემთხვევაში ზანდუკი ოჯახში რჩებოდათ. თუ ქვრივი მოახერხებდა განაწყენებული მაზლებთან შერიგებას, სამზითვო ზანდუკი მას უბრუნდებოდა. ზანდუკი წყაროებში XVIII ს-დან იხსენიება.

ზარდახშა - ძვირფასეულობის შესანახი პატარა ყუთი. მისი შიგთავსის შესაბამისად ზარდახშები იმკობოდნენ ძვირფასი მასალით. თბილისურ ყოფაში განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ირანული ტიპის ზარდახშები, რომლებიც დაფერილია ოქროს წყლითა და ინკრუსტაციითაა შემკული.

მუზეუმის ფონდსაცავში დაცულია კიდევ უამრავი საინტერესო და ეთნოგრაფიული ნივთები, რომლებიც ექსპედიციის დროს არის ძირითადად შემოტანილი ზემო აჭარიდან, ზოგის შეძენას აკეთებდნენ, ზოგსაც ჩუქნიდა მოსახლეობა, რათა მისი ნივთი შემონახულიყო, რომელიც დროთა განმავლობაში მკვლევარები გააცნობდა საზოგადოებას აჭარის ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სამსონია ი., ხალხური ტანსაცმელი აჭარაში., ბათუმი, 2005 წ.

Inga Diasamidze

History of women’s accessories and belongings
(According to the materials kept in the Museum Fund)

Summary

The article deals with the history of women’s accessories and belongings. The types of jewels (earrings, necklaces, apparel) that were worn by women in ancient times. Not only the apparel, but one of the essential attributes of their dressing was the belt. It also deals with the storage of jewels and clothing that were essential to life.

ლეჩაქი - კიდეებზე შემოვლებულია მაქმანი - „კრუჟაო“. შემოსულია მოქ. მ. ბახტაძისაგან 1985 წელს. 180-120 სმ. აჭმ. საინ N 22677/2

ნიშანყუთი, სალიე შერვაშიძის ნაქონი. XIX ს. II ნახევარი. აჭმ. N19383. შემოვიდა 1967 წ. მოქ. ნ. ბეჟანიძისაგან.

კორდომი საგულე სამკაული, ვერცხლი,
XIX ს. II ნახევარი. აჭმ. N19813/1.
შეძენილია 1970 წ. მოქალაქე რ. დიასამიძისაგან

სამაჯური, ვერცხლი, სევადით XIX ს. II ნახევარი აჭმ.N19744. შემოსულია გ. შამხუდინოვისაგან 1970 წელს

ზანდუკი. ხე. ლითონის რომბებით. აჭმ. N22951. შემოვიდა 1988წ. გ. ახვლედიანისაგან.

ჯიღჯიღა, ვერცხლის მონეტებით XIX ს. II ნახევარი

ქამარი. ვერცხლი. ღვედზე ასხმული 17 სეგმენტი. შემოსულია 1976 წელს. აჭმ. N20291.
შეძენილია გიორგი ბერიძისაგან 1976 წელს. ხულო, ღორჯომი

ქამრის ფრაგმენტი, ვერცხლი, ყვავილოვანი ორნამენტებით გაწყობილი ცისფერი ქვებით. XX ს. აჭმ. N18536. შემოსულია 1962 წ. შეძენილია თენზილე ქათამაძისაგან 1962 წ. შუახევი,ჭვანა

სარჩევი

1. ოთარ გოგოლიშვილი - ქართული საოჯახო სამართლის ისტორია. 3
2. ალექსანდრე ჩხაიძე- საქართველო ოსმალო დამპყრობთა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში (1878 წლამდე). 16
3. ჯემალ კარალიძე-რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. 26
4. ემზარ მაკარაძე, ბექა მაკარაძე - საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის 1921 წლის ხელშეკრულებაში. 31
5. საშა ლეკვეიშვილი - აჭარელი ქალი XX საუკუნის 20-30 წლებში. 34
6. რუსუდან კობრავა-ვიეტნამური კერამიკა (მუზეუმის ფონდსაცავში დაცული მასალების მიხედვით). 44
7. მაყვალა გოგუა- მუზეუმში დაცული ჩიბუხების კოლექცია. 56
8. ეთერ კიღურაძე-ქალის სახე აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში. 62
9. ნატაშა ცეცხლაძე - ქალაქური აბრები და ჟეტონები (მუზეუმის ფონდში დაცული მასალების მიხედვით). 70
10. ლამარა გულორდავა - ქობულეთის ჭარბტენიანი ტერიტორიები. 77
11. თამარ ტარიელაძე - აჭარის მუზეუმში წარმოდგენილი ენტომოლოგიური კოლექციები. 86
12. იზოლდა აბაიშვილი - ოსკარ შმერლინგი-ქართველი იუმორისტ-სატირიკოსი (1863-1938). 94
13. შორენა მახარაძე- სამდინარო ნაოსნობის განვითარება აჭარაში. 99
14. ნინო ჩხარტიშვილი-ლურჯი სუფრა. 105
15. ლიანა ჯაყელი - ქალთა ხელსაქმე ზემო აჭარაში. 110
16. ინგა დიასამიძე- ქალის აქსესუარებისა და შესანახი ნივთების ისტორია (მუზეუმის ფონდში დაცული მასალების მიხედვით). 118

ბათუმი. სანაპირო ბულვარის წინ. XX ს. 20 - იანი წლები

მწვანე ჯონცხის გვირაბი. XX ს. 20 - იანი წლები

1898 წელს აშენებული სახლი ბათუმში. ხულოს ქუჩა №23

ნურის ტბა XX ს. 30-იანი წლები

აჭარის
მუზეუმი
MUSEUM
OF AJARA